# 6000000 ადანაშაულებს

## ისრაელის გენერალური პროკურორის სიტყვა აიხმანის პროცესზე

გაფანტულობის ქვეყნებში
მყოფ ებრაულ თემთა
გამოკვლევის საზოგადოება

იერუსალიმი

# 6.000.000 מאשימים

## נאום התובע הכללי של מדינת ישראל
## במשפט אייכמן

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი

შალომ დავითაშვილი

მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ი

დანიელ შალელაშვილი

עורך: שלום דוידאשווילי
המתרגם: דניאל שללאשווילי

გამომცემლობა „ეფექტი“
თელ-ავივი

©

*Издательство "Эффект" Тель-Авив, почтовый ящик 23052*

## მთავრობის მეთაურის
## ბ-ნ დავიდ ბენ-გურიონის
## განცხადება ქნესეთში
## ადოლფ ეიხმანის დაპატიმრების შესახებ

მე უნდა ვაცნობო ქნესეთს,რომ რამდენიმე ხნის წინ ისრაელის უშიშროების სამსახურის მიერ მიგნებულ იქნა ერთ-ერთი დიდი ნაცისტი ბოროტმოქმედი ადოლფ ეიხმანი,რომელიც ნაცისტთა სხვა მეთაურებთან ერთად პასუხისმგებელია ეგრეთ წოდებული ებრაული საკითხის საბოლოო გადაწყვეტის ანუ - ექვსი მილიონი ევროპელი ებრაელის მოსპობისათვის.

ადოლფ ეიხმანი უკვე დაპატიმრებულია, იმყოფება ისრაელში და მალე წარდგება ისრაელის სამსჯავროს წინაშე ნაცისტებისა და მათ თანაშემწეთა განსჯის (1950წ.) კანონის შესაბამისად.

5720 წლის იარის 26

(1960 წლის 23 მაისი)

# მთავრობის იურიდიული მრჩევლის
# ბ-ნ გიდეონ ჰაუზნერის
# სიტყვა

## I

## შესავალი

ექვსი მილიონი
ბრალმდებელი

აქ,სადაც ახლა ვდგავარ თქვენს წინაშე,ისრაელის მსაჯულნო,რათა ბრალი დავდო ადოლფ აიხმანს მე არა ვარ მარტო. ჩემთან ერთად აქ ამ წუთში წარმომდგარია ექვსი მილიონი ბრალმდებელი. მაგრამ მათ არ ძალუძთ წამოიმართონ,ბრალმდებელი თითი გაიშვირონ ამ ჯიხურისაკენ და შეჰყვირონ შიგ მჯდომს: „მე ბრალსა გდებ!" რადგან მათი ფერფლი დახვავებულია ოსვენციმის ბორცვებზსა და ტრებლინკას მინდვრებზე,მოფენილია პოლონეთის ტყეებში,მათი სამარეები მიმოფანტულია ევროპის კიდით კიდემდე. მათი სისხლი შფოთავს,მაგრამ ხმა არ ისმის. ამიტომ მათ მაგივრად მე ვლაპარაკობ და მე წამოვაყენებ ამ საშინელ ბრალდებას მათი სახელით.

ებრაელი ხალხის ცხოვრების მატიანე გაჟღენთილია ტანჯვითა და ცრემლით. „სისხლითა შენითა ცხოვრობდე!" - ეს ბრძანება თანა სდევს ამ ერს ისტორიის ასპარეზზე გამოჩენის დღიდან.ეგვიპტის ფარაონმა გადაწყვიტა დაეტანჯა აუტანელი შრომით

და მათი ვაჟები ნილოსში გადაეყარა. ამანმა ბრძანა გაენადგურებინათ, ამოეხოცათ და მოესპოთ ისინი. პეტლიურა არბევდა და აწიოკებდა. მაგრამ ამ ხალხის ერად ქცევის დროიდან დღემდე მისი სისხლით მორწყულ გზაზე არ გამოჩენილა ადამიანი, რომელსაც ჩაედინოს ის, რაც ჩაიდინა ჰიტლერის ბოროტმა რეჟიმმა და რაც განახორციელა ადოლფ ეიხმანმა - ებრაელი ხალხის მოსასპობად გაწვდილმა ამ რეჟიმის მარჯვენა ხელმა. ხალხთა ისტორიამ არ იცის მაგალითი, რომ პიროვნებისათვის წინ დაედოთ ისეთი საბრალდებო დასკვნა, როგორსაც აქ მოვისმენთ. ბარბარიზმისა და სისხლისმსმელობის შემაძრწუნებელი სახეების ნერონის, ატილასა და ჩინგიზ-ყაენის ყველაზე დიდი საშინელებანიც კი, რომელთა გახსენებაც სისხლს გვიყინავს და გვზარავს, და რომლებიც კაცობრიობისათვის გაკვეთილად იქცნენ, უფერულად გამოიყურებიან იმ საზიზღრობათა და ჟლეტის იმ შემაძრწუნებელი სურათების წინაშე, რასაც თქვენ იხილავთ ამ პროცესზე.

სატანისებური სიახლე:

ხალხის ამოჟლეტა.

ისტორიის გარიჟრაჟზე იყო მაგალითები მუსრის გამვლები ომებისა, როცა ტომი თავს ესხმოდა ტომს ამოსაჟლეტად, როდესაც ომით გამძვინვარებისას და ბრძოლებში გაშმაგებისას იჟლიტებოდნენ, იხოცებოდნენ, ან თავისი მიწა-წყლიდან იდევნებოდნენ ტომები. მაგრამ მხოლოდ ამ ეპოქაში მოხდა ისეთი რ-

ამ,რომ მთელი სახელმწიფო აპარატი დაირაზმა მშვიდობიანი და მშვიდობისმოყვარე,დაუცველი მოსახლეობის წინააღმდეგ,კაცების და ქალების,მოხუცებისა და ყმაწვილების,ბავშვებისა და ძუძუმწოვრების წინააღმდეგ; დაამწყვდია ისინი ბანაკებში შემოარტყა ზღუდე,შემოავლო დენიანი მავთულხლართები და გადაწყვიტა პირწმინდად ამოეწყვიტა ისინი.

თუმცა მკვლელობა ახალი მოვლენა როდია დედამიწაზე და კაცობრიობისათვის იგი ცნობილია დასაბამიდან,კაენიდან და აბელიდან. მაგრამ მეოცე საუკუნემდე უნდა მოგვეღწია,რომ საკუთარი თვალით გვენახა ახალი ტიპის მკვლელობა - არა წუთიერი გაშმაგებისა და გონების დაბნელების შედეგი,არამედ წინასწარ მოფიქრებული და სრულყოფილად დაგეგმილი. არა ერთის მზაკვრობით,არამედ გრანდიოზული შეთქმულების შედეგად,ათასების მონაწილეობით არა ერთი მსხვერპლის მიმართ,მკვლელმა რომ სასიკვდილოდ გაიმეტა,არამედ მთელი ერის მიმართ.

ამ პროცესზე ვიხილავთ ახალი ტიპის მკვლელს,რომელიც თავის სისხლიან საქმეებს აგვარებს კალმის მოსმით და მხოლოდ იშვიათად თუ გაისვრის საკუთარ ხელს სისხლით. ჩვენ დანამდვილებით ვიცით ერთი შემთხვევა,როდესაც აიხმანმა სასიკვდილოდ სცემა ებრაელი ყმაწვილი,რომელმაც გაბედა და ბუდაპეშტში ალუბალი მოიპარა მისი ეზოდან. მაგრამ მისი სიტყვა ამუშავებდა გაზის კამერებს მისი ტელეფონი ეშელონებს წარმართავდა სასიკვდილის ბანაკებისაკენ. მისი ხელმოწერა საბედისწერო ხდებოდა ათასობით და მილიონობით ადამიანი -

სათვის.

იგი მეთაურობდა და იძლეოდა ბრძანებებს.მის ბრძანებებზე დაიძვრებოდნენ მოთარეშეები,რათა გ აეძევებინათ ებრაელები მათი სახლებიდან,ეცემათ ეწამებინათ,შეერეკათ გეტოებში,მიეკრათ მათთვის სამარცხვინო ნიშანი,წაეგლიჯათ ქონება და ბოლოს ნაწამები და გაძარცული საკუთარი თმაც რომ წ აართვეს - მასობრივად გაერეკათ სასაკლაოზე. და ამის შემდეგაც ძარცვავდნენ - უკვე გვამებს - აძრობდნენ ოქროს კბილებსა და ქორწინების ბეჭ- დებს.

აიხმანი თავს დაგვიხატავს ინტელიგენტად,თეთ რხაყელოიანად. ყლეტის გადაწყვეტილება მისთვის იყო ფურცლის ნაგლეჯი,რომელზე დახახული გეგმაც შემდეგ უნდა განხორციელებულიყო. მაგრამ თვითონ გეგმავდა,თვითონ თაოსნობდა,ხელმძღვანელობდა და ბრძანებდა,რომ ხხვებს დაეგუბებინათ სისხლის ო კეანე მკვლელობათა,ძარცვათა და ტანჯვათა ყველა საშუალებით. ამდენად იგი უნდა განისაჯოს ისე, თითქოს თვითონ წაუჭირა მარყუჟი ყოველ მსხვერპ- ლს მილიონობით გაყლეტილთაგან,თითქოს თვითონ შ- ერეკა მათრახის ცლაშუნით გაზის კრემატორიუმებ- ში,თითქოს თვითონ დაახალა ტყვია კეფაში და თვი თონ ჩააგდო ღია ორმოში.ასე ეკუთვნის მას კანო- ნით და ასე ეკუთვნის მას მორალისა და სინდისის ყველა ნორმით. და ამ დანაშაულებებში მისი თანა მონაწილენი უბრალოდ განგსტერები ან ნაძირალები კი არ იყვნენ,არამედ ერის ბელადები და ხელმძ ღვანელები,მათ შორის პროფესორები და მეცნიერე- ბი,მანტიამოსხმული და აკადემიური ხარისხის მა-

ჭარებელნი,ენების მცოდნენი და გასხჭავლულხი,რომლებსაც ეძახიან „ინტელიგენციას". ჩვენ შევეყრებით ამ დოქტორებს,ამ ვექილებს,ამ ნასწავლებს ბანკირებსა და ეკონომისტებს იმ თათბირებზე,სადაც გადაწყდა ებრაელი ხალხის ამოყლეტა,ჩვენ მათ შევეყრებით მკვლელობათა შემაძრწუნებელი სანახაობების ხელმძღვანელთა და დირიჟორთა შორის.

აუღელვებლად და საღი გონებით მიღებული ეს გადაწყვეტილება ხალხის ამოყლეტისა და ცისქვეშეთში მისი სახსენებლის გაქრობის შესახებ იმდენად შემზარავი სანახაობაა,რომ სიტყვით მისი აღწერა შეუძლებელია. რადგან სიტყვას შეუძლია გამოსახოს ის,რასაც შეიძლება მისწვდეს კაცის გონება და რაც შეიძლება აღიქვას ადამიანის გულმა. ხოლო აქ ლაპარაკი იქნება იმაზე,რასაც ადამიანის გული ვერ მისწვდება. მაგრამ ეს მოხდა - სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს მილიონობით ადამიანს. არა ჩადენილი დანაშაულისათვის,არა რაიმე საქციელისათვის,არამედ მხოლოდ იმის გამო,რომ ისინი ებრაელ ხალხს ეკუთვნოდნენ. ხოლო ტექნიკის განვითარებამ მკვლელებს ხელთ მისცა კარგი საშუალებები ამ საშინელებათა ჩასადენად.

ევროპელის ხელით მეოცე საუკუნეში ჩადენილმა ამ უპრეცედენტო დანაშაულმა წარმოშვა სისხლის სამართლის დანაშაულის ახალი ცნება - „გენოციდი",რომლის მსგავსიც არ იცოდა კაცობრიობამ ყველაზე შავბნელ პერიოდშიც კი.

როგორ შეიძლებოდა
მომხდარიყო ასეთი რამ?

ებრაელი ხალხის ტრაგიკულ ბედზე ლაპარაკი ი-
ყო ხოლმე ზოგიერთ სასამართლო პროცესზე,რომელიც
შედგა მეორე მსოფლიო ომში ნაცისტური გერმანიის
დამარცხების შემდეგ,როცა მსოფლიომ გადაწყვიტა
აემოქმედებინა დაცვითი საშუალებანი - მათ შო -
რის სამართალში მიცემა და სასამართლოთა შექმ -
ნა,რათა აღარ განმეორდეს ჩვენს ეპოქაში მომხდა
რი ომები და მათი საშინელებანი. მაგრამ ებრაელ
თა კატასტროფა არ ყოფილა არც ერთი პროცესის ყუ
რადღების ცენტრში. ეს საკითხი წამოიჭრებოდა ხ-
ოლომე პროცესებზე,როგორც ერთ-ერთი,ზოგჯერ სა -
პატიო,მუდამ შემზარავი საკითხი,მაგრამ იგი ა-
რასდროს არ მდგარა ცენტრალურ საკითხად. რადგან
ბოროტმოქმედთ ბრალი ედებოდათ მრავალი სხვადას-
ხვა ხალხის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებებ -
ში.თითქმის მარტო ებრაელთა საქმით,მათი მოსპო-
ბა-განადგურებით რომ იყო დაკავებული,მარტო ებ-
რაელობით რომ იყო შემოფარგლული მისი მოღვაწეო-
ბა იმ ბოროტ რეჟიმში,ასეთი ადამიანი იყო ერთად
ერთი. ეს იყო ადოლფ აიხმანი. და თუ დღეს ჩამოვ
თვლით სხვა დანაშაულებებსაც,რაც მან ჩაიდინა
არაებრაელთა მიმართ თითქმის სხვათა შორის,ამას
ვაკეთებთ იმიტომ,რომ ჩვენ არა გვაქვს გარჩევა
ადამიანთა სისხლში. მაგრამ გავიხსენოთ,რომ რო-
ლი,რასაც ასრულებდა ბრალდებული,რასაც წლების გ
ანმავლობაში მიიჩნევდა თავის მიზნად და მისი -
ად,რისთვისაც შრომობდა აღგზნებითა და მთელი
თავდადებით,ეს იყო ებრაელთა ამოწყვეტა.

დღემდე კითხულობენ,და უეჭველია მომავალშიც
იკითხავენ: „როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ეს?

როგორ გახდა შესაძლებელი ასეთი რამ მეოცე საუკუნეში?" ნიურნბერგის პროცესებზეც დაუსვეს მოსამართლეებმა ასეთი კითხვა საკუთარ თავს,იქაც განიხილეს ეს საკითხი სხვადასხვა ასპექტიდან, ჩამოაყალიბეს საინტერესო ფორმულირებანი. მაგრამ ძნელია იმის თქმა,რომ პასუხი იყო სრული და დამაკმაყოფილებელი. ვშიშობ,რომ ამ პროცესზეც ვერ გამოვააშკარავებთ ბოროტების ფესვებს.ეს საქმე უეჭველად გადაეცემა ისტორიკოსებს,სოციოლოგებს,მწერლებსა და ფსიქოლოგებს,რომლებიც შეეცდებიან აუხსნან კაცობრიობას მის თავს დატეხილი ამბავი. მაგრამ ვეცადოთ და შევყოვნდეთ,თუნდაც წამიერად,საქმის ფესვებთან,რათა ვცადოთ ამოვხსნათ ის,რაც იქნებ ამოუცნობია ლოგიკის ბუნებრივი გზებით.

### ჰიტლერის მისვლა ხელისუფლების სათავეში

ჰიტლერი,მისი რეჟიმი და დამნაშავეობა არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა. ეს არ იყო გარემოებათა ერთჯერადი დამთხვევით გამოწვეული „ავარია". ისტორიული პროცესები წარმოადგენს,ჩვეულებრივ,მრავალი მოვლენის შედეგს. როგორც ნაკადულები მოედინებიან თავიანთი კალაპოტით მანამ,სანამ ერთ დიდ მდინარედ შეერთდებოდნენ.ისინი ერთმანეთს შეიძლება მიერთნონ მაშინ,თუ საყოველთაო შერწყმისაკენ მიისწრაფიან. რა თქმა უნდა, ნაციზმის აღმავლობას ხელი შეუწყო სხვადასხვა მოვლენამ: გერმანიის დამარცხებამ პირველ მსოფლიო ომში და ამ ომის შედეგად გამოწვეულმა სიძ-

ნელეებმა,ხელმძღვანელობის უუნარობამ და ხავოდავმა პარტიულმა გათიშულობამ, ძმათა შორის შუღლმა და ეროვნულმა განხეთქილობამ. ყოველივე ამან ხელი შეუწყო იმას,რომ ორიენტაციის დაკარგვისას და გზების ძიებისას გერმანელი ხალხი იმედის თვალით შეაჩერდა ცრუ წინასწარმეტყველს. მაგრამ ჰიტლერი ვერ გამლებდა თავისი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე და თავის უკან ვერ დარაზმავდა გერმანელ ხალხს,მისი ფენების უმრავლესობას,მათ შორის ინტელიგენციის უმრავლესობას,ვერ მიიღებდა ახე ბევრი პროფესორის,თავისუფალი პროფესიების წარმომადგენელთა,სამხედროთა და მოხამსახურეთა უმრავლესობის ახეთნაირ მხარდაჭერას,მისი გზა გ აკაფული რომ არ ყოფილიყო ბელადობისაკენ.ეხეხელი და მოიერიშე ხულიგნების მიერ მათი ყველა მოწინააღმდეგის მიმართ სახწრაფოდ ამოქმედებული საკონცენტრაციო ბანაკებისა და ტერორის დამთრგუნავი რეჟიმითაც კი ვერ ავხსნით ხალხის აღტაცებულ და თავდადებულ ამოდგომას ფიურერის უკან,ხალხი წინასწარ რომ არ ყოფილიყო ხულიერად მზად ამისათვის. როცა დღეს ვკითხულობთ მეცნიერთა,მწერალთა,ჟურნალისტთა და საზოგადოებრივი აზრის სხვა მესვეურთა განცხადებებს,თუ როგორ უკრავდნენ ტაშს,როგორ დაუჭირეს მხარი,როგორი ერთგულებითა და სიხარულით აკურთხეს თავიანთ მეფედ,და მათ შორის მრავალი იყო ისეთი,ადრე რომ არ ეკუთვნოდა ჰიტლერის მომხრეთა რიცხვს, - იძულებული ვხდებით დავასკვნათ,რომ ხალხის უმრავლესობა მზად იყო ეცნო იგი ბელადად. ეს აზრი ასე გამოხატა მეორე მხოლიო იმის შემდეგ ცნობილმა მოაზროვ -

ნემ პროფ. ვილჰელმ როპკემ:

„პიტლერელები იყვნენ ყველა ეპოქაში და ყველგან. მაგრამ გერმანიის სირცხვილი ისაა, რომ ამ არარაობამ შეძლო მიეღწია სახელმწიფოს ხელმძღვანელობამდე. ნაციზმის თესლი რომ აღმოცენებულიყო იგი უნდა მოხვედრილიყო პოხიერ ნიადაგზე. და ასეთი ნიადაგი მოიძებნა გერმანიის რაიხის და მისი ხალხის სახით, რასაც მაშინ წარმოადგენდნენ პოლიტიკურად, სულიერად, ეკონომიურად და საზოგადოებრივად".

სიცრუისა და სიძულვილის

მომღვრება

გოეთეს ნაწარმოებში: „გამონაგონი და სიმართლე", ვკითხულობთ წინასწარმეტყველებას პიტლერის პიროვნებაზე:

„ზნეობრივ ძალათა ვერავითარი კავშირი ვერ დასჯაბნის მას. ამაოდ ეცდებიან განათლებული ადამიანები შეაჩვენონ და გამოააშკარაონ მისი ნამდვილი სახე, როგორც ცრუსი და მატყუარისა, მასები მიიღტვიან მისკენ..."

მაგრამ საქმეა ამ შემთხვევაში „განათლებულთა" უმრავლესობა თუ ეცადა გამოეაშკარავებინა მისი სახე. პროფესორი იულიუს ანინგშაუერი წერდა ომის შემდეგ:

„სანამ კიდევ შეიძლებოდა, გერმანიის უნივერსიტეტები არ გამოვიდნენ აშკარად და მთელი ძალით მეცნიერებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს დანგრევის წინააღმდეგ".

აი მაგალითიც: მწერალმა და კრიტიკოსმა, რომ-

ლის ფსევდონიმია ვოლფგანგ ბრიგე,დაწერა სცაცია „როცა ეს ხმა მესმის". სცაცია დაწერილია 1937 წელს ჰიცლერის მყვირალა ისცორიულ გამოსვლებზე, რომლებიც წარმოადგენდა ქედმაღლობის,სიძულვილისა და შურისძიების გამოხაცულებას. აი,რა თქვა მწერალმა:

„უკანასკნელ წლებში მე სულ ერთნაირი შეგრძნება მქონდა ამ ხმის გაგონებისას... ყოველთვის ვგრძნობდი,რომ ხმა მომართულია უშუალოდ ჩემსკენ.მილიონთა შორის ერთ უცნობს - მე მომმართავ და ეს ხმა უშუალოდ. რათა დავებრუნებინე სწორ გზაზე,რათა დაენახვებინა ჩემთვის სწორი გზა,რათა ვყოფილიყავი გერმანელი. და ამ ხმამ ჰპოვა იდუმალი ბილიკი ჩემი გულისაკენ. მან გახსნა მეუვალი ცხრაკლიტული,რომლის უკანაც იყო გამოკეცილი ჩემი უკანასკნელი სახოება,მან შეანგრია შიგა კარები,წმინდა ცეცხლით ამომანთა ყოველგვარი ეჭვი,მან დათრგუნა ჩემში ჯაბანი ფინია და გამოაღვიძა გმირი საასპარეზოდ"

რას ეუბნებოდა ის ხმა აღგზნებულ და ათრთოლებულ მსმენელებს? იგი ლაპარაკობდა სიძულვილისა და ძალადობის კულცზე; იმაზე,რომ გერმანიის მისიაა იბაცონოს ხალხებსა და ქვეყნებზე; იგი იმავე სულისკვეთებით ლაპარაკობდა ომზე,როგორც ცრაიჩკე,რომელიც ქადაგებდა ომს,როგორც სახელმწიფოს არსებობის აუცილებელ საშუალებას; იგი ლაპარაკობდა არიული რასის უპირაცესობაზე,რომ არიული რასა წარმოადგენს ბაცონთა უმაღლეს რასას,რომლის მისიაა იბაცონოს ყველა დაბალ რასაზე,დაამყაროს „ახალი წესრიგი" მსოფლიოში. ახეც წერდა ჰიცლე-

რი თავის საპროგრამო წიგნში „ჩემი ბრძოლა":

„კაცობრიობის მთელი კულტურა, ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მიღწევა, რასაც ვ-ხედავთ ჩვენს წინაშე, არის თითქმის მხოლოდ და მხოლოდ არიელი არსების შემოქმედებითი ნაყოფი. ამ ფაქტს მივყავართ მისაღებ დასკვნამდე, რომ მ-ხოლოდ არიელი წარმოადგენს იმას, რასაც ეწოდება „ადამიანი"... იგი არის კაცობრიობის პრომეთე, რომლის შუბლიც ბრწყინავს გენიის ელვარებით და ყამიდან ყამზე ანათებს იდუმალებით მოცულ წყვდიადს ცოდნის სინათლით და ადამიანი მიჰყავს სამ-ყაროს სხვა არსებებზე გაბატონებისაკენ... შემ-თხვევითი როდია, რომ არიელმა შექმნა პირველი ცივილიზაცია, რადგან დაბალ რასასთან ყოველი შეყ - რისას იგი ძლევდა და იმორჩილებდა მათ... სანამ შეუბრალებლად ახორციელებდა თავის ბატონობას, ი-გი დარჩა ბატონი და ცივილიზაციის დარაჯი. ხოლო როდესაც არიელმა დამონებულ ხალხებს მისცა საშუალება გაბრძოლიყვნენ და აღზევებულიყვნენ, მან დაანგრია ზღუდე ბატონსა და მონამსახურეს შო-რის... ყველაზე მეტად დაუშვებელი იყო დათმობა თავისი სისხლის სიწმინდის საქმეში. როგორც კი დათმო სისხლის სიწმინდე, გამოძევებულ იქნა ედე-მის ბაღიდან, რომელიც თავისთვის დაიპყრო, გადაგ-ვარდა რასობრივად და დაკარგა კულტურული შემოქ-მედების უნარი..."

რასობრივი

ქედმაღლობა

ჰიტლერი უარყოფდა კაცობრიობის ყველა ნაწილის

საერთო ბაზისის არსებობას.მისი მოძღვრების თა-
ნახმად ადამიანი აღარ არის ვალდებული სხვას დ-
აეხმაროს. მცნება: „გიყვარდეს მოყვასი შენი,ვ-
ითარცა თავი შენი!" შეცვალა მცნებამ: „მოსპე ვ
ინც არაა შენგვარი!" ადამიანთა ძმობის პრინცი-
პი შეცვალა რასობრივმა ქედმაღლობამ. გამოცხად-
და ბატონთა რასის ნიშნები: წაგრძელებული თავის
ქალა,ღია ფერის მშვენიერი სახე,რომელსაც ზებუ-
ნებრივი სიცოცხლის ბეჭედი აზის. სანსკრიტულად
„არი" ნიშნავს „უზენაესს". არიელები ინდო-გერ-
მანული წარმოშობისანი არიან. მათ შორის საუკე-
თესონი არიან ტევტონები,ხოლო ამათგან რჩეულები
- გერმანელები. მხოლოდ ესენი და არა სხვა ვინ-
მე უნდა ბატონობდეს დედამიწაზე დაუნდობლად.მათ
ეკრძალებათ გაუწმინდურდნენ სხვა რასების წარმო
მადგენლებთან ურთიერთობით. რასობრივი სიწმინდე
და გაუწმინდურებისაგან დაცვა წარმოადგენდა მა-
თი პოლიტიკის ქვაკუთხედს. ეს იყო „ახალი წესრი
გი".. ამას შეჰპირდა პიტლერი თავის ხალხს. ამას
დაეფუძნება მესამე რაიხი,რომელიც იარსებებს ა-
თას წელიწადს. მხოლოდ არიული სისხლისანი შეიძ-
ლება იყვნენ გერმანიის მოქალაქენი. ასე დადგინ
და ნიურნბერგის კანონით. ეს „კანონი გერმანული
სისხლისა და გერმანული ღირსების დაცვაზე" იწყე
ბა შემდეგი შესავლით:

„ღრმად გამსჭვალულებმა იმის შეგნებით,რომ გ
ერმანული სისხლის სიწმინდეს არსებითი მნიშვნე-
ლობა გააჩნია გერმანელი ხალხის არსებობის გასა
გრძელებლად,და აღჭურვილებმა მტკიცე გადაწყვეტი
ლებით,რათა სამუდამოდ დაამკვიდრონ გერმანელი

ერის უსაფრთხოება,რაისსცაგმა მიიღო შემდეგი კ-ანონი".

აქედან მოყოლებული იწყება გაყალბების გრან-დიოზული კამპანიები. ამცკიცებდნენ,რომ იესო ქ-რისცე იყო არიელი და მის სისხლში არ ერია წვე-თიც კი ებრაული სისხლისა. მეცნიერებმა იკისრეს დაესაბუთებინათ არიული მეცნიერება. ფიზიკის პ-როფესორმა ფილიპ ლანდერმა,ნობელის პრემიის ლა-ურეაცმა,იკისრა დაეარსებინა „გერმანული ფიზიკა" საწინააღმდეგოდ „ებრაული ფიზიკისა,რომლის წარ-მომადგენელიცაა ალბერც აინშცეინი" რასობრივი მოძღვრების თეორეციკოსთა,ჰერმან გაუნისა და ს-ხვების განცხადებით არა ნორდული ადამიანი უფრო ახლო დგას ცხველებთან,ვიდრე ადამიანთან. რასო-ბრივი თეორიის მამამთავრებმა შექმნეს ცნება „ქვეადამიანი" - ამ მოდგმას ეკუთვნიან არაარი-ელები. მხოლოდ ნორდული წარმოშობის ხალხს შესწე-ვთ ხელმძღვანელობის უნარიო,ასწავლიდა პროფ.ვა-ლენცინ მილერი.

ნაცისცურ გერმანიაში დაარსდა რასის საკვლე-ვი ინსციცუცები,რომლებიც ქმნიდნენ რასათა ხარი სხების პირამიდებს. ებრაელები აღმოჩნდნენ ცხრი ლის ბოლოში და მათ ქვემოთ იყვნენ მხოლოდ ბოშე-ბი და ზანგები.

### სიძულვილი გადადის მკვლელობაში

ისრაელის სიძულვილი,რომელიც ცნობილია ანცისემი ციზმის სახელით,თავისი დანაშაულებრივი გამოვლი ნებით ცნობილი იყო პიცლერამდეც. მისი წყარო და

ფესვები ებრაელთა გაფანტულობის ტრაგედიაა, უვიცობა, წინასწარ აკვიატებული შეხედულებები, ცრურწმენები და შური. შეშლილებს მუდამ სძულდათ მათგან განსხვავებული, არაჩვეულებრივი. მაგრამ ნაცისტებმა ანტისემიტიზმი აქციეს სიძულვილის მოძღვრებად, რომლის სათავეა მტრობა და ბოლო - მკვლელობა. ეს იყო სტიქიური განვითარება მოვლენისა. ვინც დაუშვა ებრაელთა სიძულვილი, იგი დაადგა დეგრადაციის გზას ებრაელთა წინააღმდეგ: „ბოიკოტის დღე" 1933 წლის პირველ აპრილს. „ბროლის ღამე" 1938 წლის 10 ნოემბერს და „ფიზიკური მოსპობის" გადაწყვეტილება 1941 წლის 21 ივლისს. ასეთი დიალექტიკა მოვლენებისა, რომელთაგანაც ყოველი შემდგომი მომდინარეობდა წინასაგან და ყოველი წინა იწვევდა შემდეგს. ანტისემიტიზმის გზა მიდიოდა ოსვენციმის ჭიშკრისაკენ.

ჰიტლერმა იცოდა, რომ მისი ყალბი მოძღვრების წარმატებისათვის საჭირო იყო მოემარჯვებინა სიძულვილის უძველესი იარაღი. აუცილებელი იყო გერმანელი ხალხის წინაშე წარმოედგინათ ობიექტი, რომელსაც დააბრალებდნენ ყოველგვარ საძულველს და სამარცხვინოს, რომელიც იქნება ზიზღის ღირსი, სრული ანტითეზა არიელისა, ნაცისტისა; ასეთი ობიექტის არსებობას და მოქმედებას მიეწერებოდა სახელმწიფოს ყველა ნაკლი და სიძნელე.

ეს ობიექტი იყო ებრაელი. ჰიტლერს სხვებიც სძულდა: მარქსისტები და კომუნისტები წარმოადგენდნენ მისი გამძვინვარებული თავდასხმის მუდმივ საგანს. მაგრამ სხვაობა ის იყო, რომ ამათ შეეძლოთ მისი გული მოეგოთ, თუ თავიანთ იდეოლოგიას

შეაქცევდნენ ზურგს და ნაციონალ-სოციალიზმს შეე-
ხიზნებოდნენ. ებრაელი იყო განტევების უცვლელი
ვაცი,რომელსაც ყველა ჯგზა მოჭრილი ჰქონდა და არ
შეეძლო თავიდან აეცდინა სიძულვილის რისხვა.

ვინც კითხულობს ჰიტლერის სიტყვებს,სტატიებსა
და საუბრების ჩანაწერებს,შეძრწუნებული რჩება მ-
ისი უვიცობით და მისი უნარით წარმოესახა გამოგო
ნილი არსებანი,როგორც ნამდვილად არსებულნი. ხო-
ლო ყველაზე უფრო - მისი უნარით დაერწმუნებინა
სხვები ბრტყელ-ბრტყელი ტყუილებით. ერთი მისი მ-
იმდევარი,რომელიც შემდეგში იქცა მის მოწინააღმ-
დეგედ,წერდა მასზე:

"... მრავალჯერ მკითხეს,რაში მდგომარეობს ჰ-
იტლერის,როგორც ტრიბუნის გრანდიოზული ზემოქმედე
ბის საიდუმლოება. ეს შემიძლია მივაწერო მხოლოდ
მის არაჩვეულებრივ ინტუიციას,რის წყალობითაც ი-
გი მუდამ შეუცდომლად ადგენდა მსმენელთა ნაკლს.
როცა ის ცდილობს თავისი მტკიცებები დააფუძნოს
თეორიებზე ან ციტატებზე წიგნებიდან,რომლებსაც გ
აჭირვებით იგებდა,იგი მეტად ულიმლიმოდ გამოიყუ-
რება,მაგრამ როდესაც იგი ამ ყავარჯნებს მოისვ-
რის ხოლმე და გაბედულად მიიწევს წინ საკუთარი
ფეხით და ლაპარაკობს იმას,რასაც გრძნობა უკარ-
ნახებს, იგი დაუყოვნებლივ იქცევა საუკუნის
ერთ-ერთ უდიდეს ორატორად... იგი შედის დარბაზ-
ში,წამიერად ყნოსავს,ეძებს გზას აუდიტორიისაკ-
ენ,ეცნობა ატმოსფეროს. მოულოდნელად აღეგზნება.
და მისი სიტყვები ნატყორცნი ისარივით მიჰქრის
მიზნისაკენ. იგი ფეხს აჭერს ყველაზე მტკივნეულ
ადგილს,გზას აძლევს ბრბოს ქვეცნობიერ სურვილე-

ბს,გამოთქვამს ბრბოს ნალოლიავებ ოცნებებს და ე
უბნება იმას,რისი მოსმენაც სურს ამ ბრბოს".

### ანტისემიტიზმი თანდათან ცოფდება
### ცივილიზაცია ყურს იყრუებს

და ჰიტლერმა მართლაც აუშვა ისრაელის სიძულ-
ვილი გერმანელი ხალხის ქვეცნობიერებიდან. მან
გააძლიერა და წააქეზა იგი. ისრაელის სიძულვილ-
ის არსებული ბაცილის თესლი დათესა ნოყიერ ნია-
დაგზე და აქცია იგი გადამდებ სნეულებად. ნაცის
ტური გერმანიის საშინაო პოლიტიკის თვალსაზრის-
ით ებრაელი მოხერხებული ობიექტი იყო სიძულვილი
სათვის,რამდენადაც თავის დაცვა არ შეეძლო და რ
ოცა მისი დევნა დაიწყეს,გარე სამყარო დაკმაყო-
ფილდა სიტყვიერი რეაქციით,რასაც არ შეუძლია დ-
იდი ვნება მოუტანოს ვინმეს. ებრაელი წარმოსახ-
ეს კომუნიზმის მომხრედ და ამდენად,გერმანელი ხ
ალხის მტრად. იმავდროულად ებრაელი წარმოსახეს
კაპიტალისტად და,ამდენად,მუშათა კლასის მტრად.
ნაციონალ-სოციალიზმმა თავისი ორივე სახელის შ-
ესაბამისად იპოვა სიძულვილის ობიექტი და ებრაე
ლი დასახა ერთსა და იმავე დროს ეროვნული სიძულ
ვილისა და კლასობრივი რისხვის სამიზნედ. ებრა
ელი იყო მოხერხებული სამიზნეც იმისათვის,რომ ს
აზოგადოების ყურადღება ჩამოეშორებინათ სხვა პ-
რობლემებისაგან.ესეც ხომ ძველთაძველი ხერხია,
რომელსაც ხშირად მიმართავდნენ ებრაელთა მოძულ-
ენი ყველა დროში. ამაზე შეუძლია თქვას ბრალდე-
ბულმა: „ებრაული თემა იყო თვალისახვევის სასურ
ველი მანევრი,რათა ჩამოშორებოდა ყურადღება სხ-

ვა სიძნელეებს... თუკი იყო სხვა ხასიათის რაიმე სიძნელეები,მყისვე ჩაებღაუჭებოდნენ ებრაულ საკითხს და ყურადღება მოჰღებოდა იმ სიძნელეებს. ახე აკეთებდა არა მარტო ჰიტლერი; ახევე იქცეოდნენ გაუღაიტერები,ახე იქცეოდა ყოველი ერთი,რომლებსაც ბელადებს უწოდებდნენ".

იყვნენ სხვებიც,

მაგრამ ძალზე ცოტანი

თვალს ვერ დავხუჭავთ იმაზე,რომ გერმანიაში იყვნენ ათეულათასობით ადამიანები: მეცნიერებასა და სამღვდელოებაში,პოლიტიკოსებსა და მწერლობაში და უბრალო ხალხში,რომლებიც ბედავდნენ და ებრაელებს ეხმარებოდნენ წინ აღდგომოდნენ ბოროტ რეჟიმს და კიდეც ამბოხებულიყვნენ მის წინააღმდეგ.მათ შორის იყვნენ ცნობილი გერმანელი მეცნიერები და კულტურის მოღვაწეები. ჰირხისხლიანი რეჟიმის უამრავი მოწინააღმდეგე დააპატიმრეს და ბევრ მათგანს მომავალში ელოდა საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებანი თვით მანამდე,სანამ ფაშისტური ურჩხულის თავი გაიჭეჭყებოდა. ბევრი დაიღუპა და ვერ მოესწრო განთავისუფლების დღეს; დააპატიმრეს და საცუხაღოში ჩაჰყარეს სამღვდელოების ახობით მსახური. ზოგმა მათგანმა პირადი გმირობა ჩაიდინა,როგორც იმ მღვდელმა,აიხმანმა საკონცენცტრაციო ბანაკში რომ გააგზავნა ებრაელებისადმი აშკარა მხარდაჭერის გამო. ზოგი გერმანელი მალავდა ებრაელებს,უნაწილებდა მათ პირად სასურსათო ბარათებს,საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით ეხმარებოდა სამალავის პოვნაში

ან „არიული" საბუთების შეგროვებაში. ზოგმაც ანტი-ჰიტლერული იატაკქვეშეთი შექმნა. ომის დროს ისეთი გერმანელებიც აღმოჩნდნენ,ჰიტლერს რომ პროტესტი განუცხადეს იმ თავლაფის გამო,რასაც გესტაპო ასხამს გერმანელ ხალხს „მხეცებისადმი" ასეთი მოპყრობით,როგორც უწოდებდნენ ებრაელობის ამოჟლეტას. ისეთი სამხედროებიც კი გამოჩნდნენ, რომლებიც შეეცადნენ თავიანთი უშუალო ჩარევით ჩაეფუშათ ებრაელების მოსპობა,მაგრამ როგორც არ უნდა ყოფილიყო,ესენი მეტად უმნიშვნელო უმცირეხობას წარმოადგენდნენ. გერმანელი ხალხის უდიდეხი უმრავლესობა შეურიგდა ახალ რეჟიმს,მიიღო იგი და იყო გულგრილი მოწმე კაცობრიობის ისტორიაში მომხდარი ყველაზე საშინელი დანაშაულისა.როდესაც გებელსმა,ნაცისტური გერმანიის პროპაგანდის მინისტრმა საჯაროდ და აშკარად დაწვა ებრაელი და არაებრაელი მწერლების: ჰენრიხ ჰაინეს, თომას მანის,ვასერმანის,აინშტეინის,ფრეიდის,ეპტონ სინკლერის,ჰ.ჯ.უოლესის,ზოლას,ჰებლუკ ელისის და ათობით სხვების ნაწარმოებები,რამდენადაც ისინი „გერმანულ სულისკვეთებას ეწინააღმდეგებიანო" - მან განაცხადა:

„გერმანელი ხალხის სულისკვეთებას შეუძლია ახლა ჰპოვოს თავისი ხელახალი ასახვა. ეს კოცონები მარტო ძველი ეპოქის აღსასრულს კი არ აღნიშნავენ;ისინი არიან ელვარე ჩირაღდნები ახალი ეპოქისა." ნაცისტური გერმანიის ინტელიგენციის უმრავლესობა მზად იყო ხელი მოეთბო იმ კოცონთა ალზე და სულიერ კომპასად აღექვა იმ კოცონთა ელვარება".

## წასისიანების კამპანია

ნაცისტური გერმანია გადაიქცა სიძულვილისა და წასისიანების პირუცყვული ვნებით წარმართული და წაქეზებული ანციებრაული ღაშქრობის ასპარეზად. წარწერები „გერმანიავ,გაიღვიძე - იეპუდა დაღპეს!" - გამოჩნდა კედღებზე. ებრაელებს მია წერეს სამყაროს ყველა ცოდვა-ბრალი. პირუცყვული წასისიანების ნიაღვარი ღეკავდა ყოველკვირე ულად გერმანიის გაზეთ „შციურმერის" ფურცღებიდან,რომღის ავად მოსახსენებელ რედაქცორს იულიუს შცრაიხერს შემდეგში სასრჩობელა ერგო საერთაშორისო ცრიბუნაღის განაჩენით.

ებრაელი რომ შეებიზღებინათ,საჭირო იყო თავ იდან მოეცილებინათ მისი შემოქმედებაც. ამის გ ამო დასცინოდნენ და აკნინებდნენ ნაცისცები ებ რაული შემოქმედების უმშვენიერს ძეგლს ყველა ე პოქისას - „თანასს". მოძრაობის ერთ-ერთი იდეოლოგი ალფრედ როზენბერგი მოითხოვდა გაეძევები ნათ „თანასი" ხულიერი ზეგავლენის სფეროდან და მოესპოთ,როგორც რელიგიური რწმენის წყარო.იგი დიდ ნაკლად მიიჩნევდა,რომ პროცესცანციზმი წმი ნდად რაცხდა ძველ აღთქმას. ლაპარაკი იყო იმაზეც,რომ „იესო ქრისცე დაეხსნათ" ებრაული წარმომობისგან,რათა შესაძლებელი ყოფილიყო დაეკნი ნებინათ ის ხალხი,რომლისგანაც წარმოიშვა.

„სიონის უხუცესთა ოქმები", - რომელშიც დახაცულია მსოფლიოზე გაბაცონების ებრაული შეთქმულება,უკვე დაგმობილი და გამოაშკარავებული ი ყო,როგორც შეთითხნილი და სულმდაბლური ცილისწა მება,მაგრამ ნაცისცებმა კვლავ წამოსწიეს წინა

პლანზე,გამოაცხადეს დიდმნიშვნელოვან პროპაგან დისტულ საშუალებად,გაავრცელეს და შეასწავლეს ხალხს.

საზიზღარი „სისხლის მარი" რაც რომის პაპე-ბმა ანათემას გადასცეს და ხელმწიფეებმა დაგ - მეს,ნაცისტებმა კვლავ გააცოცხლეს მთელი მისი სიმახინჯით. მომავალში კვლავ წამოყოფს თავს უ პრეცედენტო ცინიკური მეტამორფოზა ცილისწამები სა,როდესაც 1943 წლის 19 მაისს,გამძვინვარებუ ლი ომის დროს ესესის უფროსმა რეისსფიურერმა პენრის ჰიმლერმა გაუგზავნა აისმანის უფროსს,უ შიშროების მთავარი სამმართველოს მეთაურს კალ-ტენბრუნერს,ასობით ეგზემპლარი წიგნსა „მკვლე ლობა რიტუალური მიზნით" და თხოვა გაევრცელები na ეს წიგნი ებრაული საკითხით დასაქმებულთა შ ორის. მან ბრძანა,რომ ემოქმედათ ებრაული სის-ხლისმსმელობის ამბის გასავრცელებლად რუმინეთ-ში,უნგრეთში და ბულგარეთში,რათა შესაძლებელი შექმნილიყო მათი მთავრობების დაყოლიება ებრა-ელთა გასაძევებლად. ეს იმ დროს,როცა ეს მთავ-რობები ყოყმანობდნენ ხელი შეეწყოთ ყლეტაში.

ჰიმლერი იქვე სწერდა კალტენბრუნერს წინადა დებას გამდევ სპეციალური რადიოსადგური შექმნა ანტისემიტური პროპაგანდისათვის,რომელიც იმუშა ვებს ინგლისზე და ამერიკაზეო. ეს რადიოსადგუ-რი გაავრცელებს მასალებს „შტურმერიდან"-ო.„და ყოველივე ამის გარდა საჭიროა დაუყოვნებლივ გ-ამოვყოთ ხალხი,რომ თვალყური ადევნონ ინგლისის პოლიციისა და სასამართლოს ცნობებს,რათა შევძ-ლოთ ჩვენს რადიოგადაცემებში გამოვაცხადოთ,რომ

ამა და ამ ადგილას დაიკარგა ბავშვი,რომელიც უ ეჭველად ებრაელებმა მოკლეს რელიგიური მიზნებ-ით", - წერდა იგი.

ჩემი აზრით ანტისემიტური პროპაგანდა,რომელ საც დიდი გავლენა აქვს,შეუდარებლად შეგვიძლია გავაძლიეროთ რუსულ ენაზეც სისხლის მოხმარების დაბრალებით!" - დასძენდა იგი.

მაგრამ დავუბრუნდეთ ამბების განვითარებას. 1933 წლის 30იანვარს ჰინდენბურგმა ხელისუფლე ბის სადავე ჩააბარა ჰიტლერს. იცოდა კი იმ მოხუც მა თუ რა დღეში ჩააგდო ამით თავისი ხალხი და მხოლოდ? მას შემდეგ,რაც დააფიცა ახალი მთავ-რობის წევრები,ასე მიმართა: „ახლა კი,ბატონე-ბო,ღვთისშეწევნით,წინ!" გერმანია მართლაც გა-ეშურა წინ,ომისაკენ,საშინელებისა და სიმდაბლი საკენ.

დევნა

„კანონიერ" საფუძველზე

ჯერ კიდევ არ იყო მათ ხელში ხელისუფლება, ნაცისტებმა ებრაელთა ოფიციალური დევნა რომ დ-აიწყეს. 1933 წლის 1 აპრილს,ხელისუფლების სა-თავეში მისვლიდან რაღაც ორიოდე თვის შემდეგ მ ოაწყეს „ბოიკოტის დღე",რომლის დანიშნულებას მ ეადგენდა ეჩვენებინათ თავიანთი მიზანი: არიელ კლიენტებს აეკრძალათ ებრაელთა საწარმო-დაწესე ბულებებში შესვლა. მაშინ დაწერა რობერტ ვალჩ-მა დაუვიწყარი სტატია „იდიშ რუნდშაუ"-ში,გერ-მანიის სიონისტთა ორგანოში: „სიამაყით ატარეთ ყვითელი ნაჭერი". მაგრამ ვალჩსაც არ შეეძლო

განეჭვრიცა,რომ ყვითელი ნაჭერი რამდენიმე წლ-
ის შემდეგ გადაიქცეოდა ნაცისტთა მმართველობის ქვეშ მყოფი ყველა ქვეყნის ებრაელთა ამოსაცნობ ნიშნად,რის მიხედვითაც აკავებდნენ ებრაელებს და ამზადებდნენ სასაკლაოსათვის.

ეკონომიური ბოიკოტი უკვე საბოლოო მოსპობა-მდე გაჰყვება ებრაელობას. შემდეგ ეს ბოიკოტი გააგრძელეს საკანონმდებლო საშუალებებით.კანო-ნების სერიამ ებრაელები მოწყვიტა რიგ პროფე-სიას: ებრაელს აეკრძალა ადვოკატობა,მედიცინა და პედაგოგობა. ებრაელები გააძევეს არმიიდან. 1935 წელს მიიღეს ნიურნბერგის კანონები,რომელთა მიხედვითაც აიკრძალა შერეული ქორწინება და ებრაელს ჩამოერთვა გერმანიის მოქალაქეობა. ა-მის შემდეგ ისინი გააძევეს მრეწველობიდან და მთელი სახალხო მეურნეობიდან.

### ისრაელის სიძულვილი
### ნაცისტური ექსპორტისგან

როდესაც ნაცისტებმა წარმატებას მიაღწიეს ანტისემიტიზმის გამოყენებაში თვით გერმანიაზე გა-საბატონებლად,შეუდგნენ იმის დაგეგმვას,როგორ გამოეყენებინათ სიძულვილისა და მტრობის ეს გესლი მთელ მსოფლიოში ისრაელის მცანჯველ და შე-მამჭიდროებელ ძალად,რომ მათი საშუალებით დაე-შალათ და შეერყიათ წინააღმდეგობა ნაცისტური გერმანიის გაბატონებისადმი. და მაშინ,როდესაც გერმანიის სამხედრო ძლიერება შიშის ზარს სცე-მდა ხალხებსა და სახელმწიფოებს,ახშობდა გონიე

რების ხმასა და აზროვნების უნარს,ანტისემიტიზმი მიმართული იყო ხალხთა სინდისის შესარყვნელად,ქვენა გრძნობების გასაღვივებლად,კვისლინგებისა და სხვა დამქაშების წასაქეზებლად. ნაცისტური პარტიისა და გერმანიის რაიხის ოფიციალურ დოკუმენტებში ებრაელს წარმოადგენდნენ მსოფლიო მშვიდობის საფრთხედ და წინადადებას იძლეოდნენ შეეკრათ ხალხთა მომცველი კავშირი იუდას წინააღმდეგ.

ყველგან,სადაც კი ნაცისტმა დამპყრობელმა შემდგომში დაადგა ფეხი,მას ელოდებოდა ავანტიურისტთა,სამშობლოს მოღალატეთა,ბნელი ელემენტების და ზოგჯერ უბრალოდ მკვლელების მზადმყოფი ჯგუფები,რომლებიც ხარბი თვალებით შეჰყურებდნენ ებრაელთა ქონებას და უწმინდური ხელი გაუწვდინეს დამპყრობლებს ებრაელთა ამოჟლეტაში დახახმარებლად. სადაც კი ნაცისტური გერმანიის არმია აღწევდა თრგუნავდა ადამიანის სულს და აღვივებდა ებრაელებისადმი სიძულვილს.

ანტისემიტიზმის თესლი გადაიქცა მნიშვნელოვან საექსპორტო საქონლად. მას აღვივებდნენ საზღვარგარეთ მყოფი გერმანიის ელჩები. სასამართლოში ვაჩვენებთ,როგორ იყენებდნენ ნაცისტები ებრაელთა მიმართ სიძულვილისა და მტრობის შეგნებულ გაჩაღებას სხვადასხვა ქვეყანაში ფაშისტური პარტიების შესაქმნელად,რათა იმ პარტიების დახმარებით შემსუბუქებოდათ ხალხთა და სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისათვის ძირის გამოთხრა,დაპყრობილ ქვეყნებში მათი ხელქვეითი მეხუთე კოლონის მოსამზადებლად,მეხუთე კოლონები ყ-

ველა ანტისემიტური იყო. ისინი ისახებოდნენ და
იზრდებოდნენ ებრაელებისადმი სიძულვილით. ნაცი
სტური თეორიისა და შეგნებულად გაღვივებული ან
ტისემიტიზმის შეთვისება ერთნაირი ცნებები გახ
და რაისის,კვისლინგის პარტიისათვის ნორვეგია-
ში,მუსერტისთვის ჰოლანდიაში,დარნანის ჯგუფისა
თვის საფრანგეთში,დეგრელის მოძრაობისათვის ბ-
ელგიაში,გლინკას პარტიისათვის სლოვაკიაში;პა-
ველიჩის უსტაშებისათვის ხორვატიაში; "რკინის
გვარდიისათვის" რუმინეთში; სალაში "გადაჯვარე
დინებული ისრებისათვის" უნგრეთში; უკრაინის
აჯანყებული არმიისათვის, "პერკონკრუსტისათვის"
ლიტვაში და ასე შემდეგ - ყველა ისინი მხარს
უჭერდნენ ფაშიზმს,დიქტატურასა და ანტისემიტი-
ზმს.

### ანტისემიტები -
### მოღალატეთა მეხუთე კოლონა

საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპი ილწ-
ვოდა,რათა შეექმნა ანტისემიტური ინტერნაციონა
ლი,როგორც მსოფლიოს ყველა ერში შეგზავნილი გა
ხრწნისა და გადაგვარების დამკვრელი არმია,რო-
მელსაც უნდა გაეკაფა გზა დამპყრობელთა არმიე-
ბისათვის. ნაცისტების ხელში ანტისემიტიზმი ი-
ყო ისეთივე მაღალხარისხოვანი და მომაკვდინებე
ლი იარაღი,როგორიც იყო მათი ქვემეხები,ბომბდა
მშენები,წყალქვეშა ნავები და სიკვდილის მთეს-
ველი სხვა იარაღი,რაც მათ შემართეს ქვეყნები-
სა და ხალხების წინააღმდეგ მაგრამ თუ ბოლოს
და ბოლოს დაიმსხვრა გერმანიის სამხედრო გენია,

დადუმდა ქვემეხები,ძირს დაენარცხა ბომბდამშე-
ნები,ქვესკნელში ჩაიკარგნენ წყალქვეშა ნავები,
- მსოფლიოს რომ მოსდეს,ანტისემიტიზმი ჯერ კი-
დევ ბოგინობს,ისხამს ნაყოფს და ზოგჯერ მაღლაც
კი სწევს თავის ურჩხულის თავს,ხოლო მისი მიმ-
დევრები ღამღამობით გამოდიან ქუჩებში და სვას
ტიკებს ხატავენ სახლების კედლებზე.

უკვე მსოფლიო ომის ზღურბლზე,როცა სასწორი
უკვე იხრებოდა მოკავშირეებისაკენ,მას შემდეგ,
რაც საბჭოთა არმიამ დამპყრობლები გააძევა აღ-
მოსავლეთში ოკუპირებული ტერიტორიების მეტი ნა
წილებიდან,როდესაც დასავლეთის არმიებმა უკვე
წამოაჩოქეს იტალია,როდესაც 1944 წლის ისტორი-
ულ ზაფხულში ბრიტანეთის კუნძულებზე უმსხვილე-
სი დესანტი ემზადებოდა მძლავრი შეჭრისათვის
და მზადდებოდა გრანდიოზული დამქრობა გერმანელ
თა წინააღმდეგ,მას შემდეგ რაც გერმანიის ქალა
ქები ნაწილობრივ ნანგრევებად იქცნენ,სწორედ
იმ წლის აპრილში გერმანიის საგარეო საქმეთა ს
ამინისტრომ სათათბიროდ მიიწვია თავისი ელჩები
ევროპაში,თუ როგორ გაეძლიერებინათ ანტისემიტ-
იზმი მსოფლიოში. ელჩმა შლაიერმა შეკრებილებს
მოახსენა,რომ ანტისემიტიზმი ძლიერდება ინგლი-
სსა და ამერიკაში. მან დასახა შემდგომი მოქმე
დების მიმართულებანი. აღნიშნა,რომ ანტისემიტ-
იზმის გავრცელება არის ნაცისტური გერმანიის ო
მის ერთ-ერთი მიზანი. შეკრებილებს განუცხადა,
რომ აღმოსავლეთის ებრაელობის მოსპობამ ებრაე-
ლობას მოუსპო ბიოლოგიური რეზერვი,თუმცა ებრაე
ლობა კიდევ არსებობს საბჭოთა კავშირში,ინგლი-

სსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. „არა მ-
არტო გერმანიაში,არამედ მთელ მსოფლიოში უნდა
გადაწყდეს ებრაული პრობლემა" - განაცხადა მან
შემაჯამებელ სიტყვაში. შეკრებილები შეუდგენ
დაწვრილებით განხილვას თუ როგორ გაევრცელებინ-
ნათ ისრაელისადმი მძულვარება ლიტერატურის,კა-
რიკატურების, კინოს, პრესის საშუალებით. ყოველ
ქვეყანას მიუსადაგეს შესაბამისი ღონისძიებანი.
სლოვაკებს უნდა ეთქვას,რომ ებრაელები სოლიდა-
რობას უცხადებენ ბოლშევიკურ რუსეთს. აქ პან -
სლავიზმის იდეას უნდა დაუპირისპირდეს პან-ან-
ტისემიტური იდეალი. „თურქეთში უნდა გავრცელდ-
ეს „სიონის უხუცესთა ოქმები". ინგლისისა და
ამერიკისათვის უნდა განახლდეს რადიო-პროპაგან
და. საფრანგეთში გაფართოვდება ანტიებრაული ინ
სტიტუტისა და მისი გამოფენების მოღვაწეობა.შ-
ვეიცარიაში გაიგზავნება პროპაგანდისტული ბრო-
შურები. იტალიელებს უნდა მოუთხრონ,რომ ებრაე-
ლები შავ ბაზარზე საქმიანობენ,ხოლო შვედებს
უნდა დაეგზავნოს ღია ბარათები ანტიებრაული ა-
ნეკდოტებით. ცდილობდნენ ნაცისტები ანტისემიტი
ზმით მიეღწიათ იმისათვის,რაც იარაღით ვერ შეძ
ლეს.

ბოროტები ჯოჯოხეთის ჭიშკართანაც კი არ ფიქ
რობენ მონანიებაზე. 1945 წლის აპრილში,როცა ნ
აცისტური გერმანია სასიკვდილოდ იკრუნჩხებოდა,
როცა საბჭოთა ქვემეხები ბერლინის ქუჩებს აზან-
ზარებდნენ,როდესაც პიტლერი ჩამძვრალი იყო რა-
ისსკანცელარიის ბუნკერში,როცა მისი სამყარო
ნაცარ-ტუტად იქცეოდა და მისი ქვეყანა ინგრეო-

და,ექვს მილიონამდე ებრაელის გვამზე ხწერდა ფიურერი თავის პოლიტიკურ ანდერძს. მან თავის ხალხს ანდერძად დაუბარა საუკუნო სიძულვილი ებრაელებისადმი:

"ხელმძღვანელებსა და მათ ხელქვეითებს ყველაზე უფრო ვავალებ შემდეგს, ზუსტად გაატარონ რასობრივი კანონები და დაუნდობლად ებრძოლონ საერთაშორისო ებრაელობას,ხალხთა ამ მხამს."

საფლავიდანაც კი ცდილობდა პიტლერი დაეთესა ებრაელთა სიძულვილისა და მოსპობის თესლი.

## II. ესესი,მოიერიშეთა რაზმები და გესტაპო

დამონების

საშუალებები

ებრაელთა დევნა გერმანიაში,ოკუპირებულ ქვეყნებსა და სატელიტებში წარმოადგენდა სახელმწიფოსა და ნაცისტური პარტიის პოლიტიკის ნაწილს. ამისათვის იყენებდნენ რაიხის ოფიციალურ დაწესებულებებს,მათ შორის გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს,პროპაგანდის სამინისტროს,არმიასაც კი. მაგრამ გერმანიაზე განსაკუთრებულად და ოკუპირებულ ქვეყნებში თავზარდამცემი რეჟიმის დასამყარებლად ძირითად საშუალებებად ნაცისტურმა პარტიამ და რეჟიმმა შექმნეს სამი დანაშაულებრივი ორგანიზაცია: ესესი,უშიშროების სა

მსახური და გესტაპო. ადოლფ აიხმანი იყო სამი-
ვეს წევრი.

თავისი გზის დასაწყისში,1921 წელს ნაციო - ნალ-სოციალისტურმა პარტიამ შექმნა მოიერიშეთა რაზმები,რომლებიც წარმოადგენდნენ პროპაგანდის ტული ორგანოს აღმასრულებელ ნაწილებს. ეს რაზ- მები ავრცელებდნენ "სასიცოცხლო სივრცის" იდეე ბს. მასში მრავლად იყვნენ ხულიგნები და ჩხუ - ბისთავები,რომლებიც სულით ეძებდნენ შარს და მ უშტი-კრივსა და აყალმაყალს ტეხდნენ ქუჩებსა და სამიკიტნოებში. ნაცისტების მიერ ხელისუფლე ბის ხელში ჩაგდების შემდეგ მოიერიშეებს იყენე ბდნენ მოწინააღმდეგეთა დასათრგუნავად და საკო ნცენტრაციო ბანაკებში ჩასამწყვდევად.

1925 წელს შეიქმნა მოიერიშეთა რაზმების რ- ჩეული ნაწილები, - ესესის ბრიგადების პირველ- ად,ოფიციალურ მიზანს შეადგენდა პიტლერისა და სხვა ბელადთა პირადი დაცვა. მაგრამ ესესი სწ- რაფად გადაიქცა ჯერ პარტიაზე,შემდეგ კი სახელ მწიფოზე და ბოლოს მთელ ოკუპირებულ ევროპაზე გაბატონების იარაღად. ესესის ორგანიზაციულ წ ყობას გააჩნდა თავისი მიზანდასახულობა. მისმა მეთაურმა ჰაინრიხ ჰიმლერმა იგი ააგო იმ მიზნ- ით,რომ ყოფილიყო დამკვრელი მუშტი,რომლითაც დ- აეცემოდა ყოველი მოწინააღმდეგე და დაემხობოდა ყოველი შეამბოხე. ამიტომ ამ ორგანიზაციაში ი- ღებდნენ მხოლოდ რჩეულებს,საუკეთესოთა შორის ს აუკეთესო ჯიშისას. როდესაც ჰიმლერი დაინიშნა ესესის რაიხსფიურერად ანუ მის მეთაურად,ეს ორ განიზაცია ითვლიდა მხოლოდ 280 წევრს. იმის დ-

აწყებისას მასში უკვე სამხედრო წესით გაწვრთნილი,სამხედრო ნიმუშით ორგანიზებული 250.000 კაცი ირიცხებოდა. ამის შემდეგ ჰიმლერმა შექმნა „შეიარაღებული ესესის" ნაწილები,როგორც არმიის რჩეული ნაწილები იმ მიზნით,რომ აემოქმედებინა გერმანიის არმიის წინააღმდეგ,თუკი ეს არმია როდისმე გამოამჟღავნებდა ყოყმანის ნიშნებს ფიურერისადმი ერთგულებაში. ასე შექმნა ჰიმლერმა უზარმაზარი ძალის ორგანიზაცია,რომელსაც გააჩნდა საკუთარი არმია,საკუთარი შეიარაღებითა და აღჭურვილობით,დამოუკიდებელი ეკონომიკითა და ცალკე სასამართლოთი და კანონებითაც კი. ესენი იყვნენ ერთგულები ერთგულთა შორის, რომლებსაც უნდა უზრუნველეყოთ ღვთაება ჰიტლერის ბატონობა,ხოლო ჰიმლერი იყო ამ ღვთაების დიდი ქურუმი.

## დაზვერვის

## ურჩხულისებური აპარატი

სატანისებური ვერაგობითა და გულმოდგინებით შექმნა ნაცისტურმა უწმინდურებამ თავისი ბატონობის საშუალებები. დაარსდა შიდაპარტიული ორგანიზაცია - უშიშროების სამსახური. საქვეყნოდ ითქვა,რომ ეს იქნება „პარტიისა და სახელმწიფოს ტვინი". მაგრამ ჩქარა იგი გადაიქცა შინაგანი დაზვერვისა და გამოძიების ორგანოდ,რომელიც არაფერს არ თაკილობდა. მისი შემქმნელი და მეთაური ჰაიდრიხი ჟუდამ ამტკიცებდა, „რომ ადამიანზე უნდა ვიცოდეთ რაც შეიძლება მეტი". ამგვარად შეიქმნა დაზვერვისა და ინფორმაციის პარტი

ული ქსელი,რომელსაც ჰყავდა თავისი „სანდო ხალხი", „აგენტები", „ცნობების მომწოდებელნი", „მოსამსახურეები", „გაუწვრთნელი ინფორმატორები". ეკონომიური,საზოგადოებრივი,პოლიტიკური, ძირითადად კი პირადი ცხოვრების ყოველი წვრილმანი ცნობა მიიღებოდა მადლობის გრძნობით.ჰაიდრიხს სურდა ყოველი წვრილმანი ცოდნოდა პარტიის წევრებსა და მოწინააღმდეგეებზე,მათ ხასიათსა და სუსტ მხარეებზე,მათ საყვარელ საგნებზე,ჩვეულებებზე,სკანდალურ საქმეებზე,რომლებშიც ისინი იყვნენ გარეულნი,რომანტიულ თავგადასავლებზე,სად დადიან ხოლმე ისინი,რა შემოსავლები და გასავლები გააჩნიათ საწარმოებს,როგორია მათი საბანკო ანგარიშები,რა პირადი ვნებები და სურვილები გააჩნიათ ადამიანებს,-ერთი სიტყვით ყველაფერი,რაც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო პიროვნებათა და ორგანიზაციათა წინააღმდეგ,რითაც შეიძლებოდა დამუქრებოდნენ,რითაც შეიძლებოდა შანტაჟი გაეწიათ. ყველაფერი ეს გულმოდგინედ აღინუსხებოდა უზარმაზარ პირად კარტოთეკაში,რომლისთვისაც ცნობებს აგროვებდა 100.000-მდე მუდმივი აგენტი,გამომძიებელი და დამსმენი. რაიხის ხელმძღვანელთა,შემდეგ კი მთელი ევროპის ხელმძღვანელთა ინტიმური ცხოვრების ყველაზე ფარული ამბების არც ერთი წვრილმანი არ ეპარებოდა უშიშროების სამსახურის თვალებს. აშკარაა,რომ ეს ორგანო მალე გადაიქცა დიდი ძალის იარაღად.

ესესი იქცევა
ბოროტი რეჟიმის
საყრდენ სვეტად

ნაცისტების ხელისუფლების სათავეში მოქცევას გარდაუვალად უნდა მოჰყოლოდა მოიერიშეთა რაზმებისა და ესესის შეჯახება. რაკი ჰიტლერმა თავისი ხელისუფლების ორ საყრდენ სვეტად სახელმწიფო და პარტია გამოაცხადა,აშკარა იყო,რომ პარტიული სვეტის საძირკველად შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ერთ-ერთი პარტიული ორგანო. ჰიტლერს არ გაჭირვებია მოიერიშეთა დამარცხება. ამას მოჰყვა 1934 წლის გახმაურებული წმენდები,როდესაც სიკვდილით დასაჯეს მოიერიშეთა მეთაურები. ამით მთლიანად დაეპატრონა ჰიტლერი პარტიას.

მაგრამ ძალაუფლების განმტკიცებისათვის საჭირო იყო არა მარტო დაზვერვის,არამედ მოქმედების საშუალებანიც. 1936 წლიდან ჰიტლერი ხდება გერმანიის პოლიციის და მისი ყველა ნაწილის, მათ შორის პოლიტიკური და სისხლის სამართლის საქმეთა პოლიციის მთავარი შეფი და იგი ქმნის პოლიციისა და ესესის მაღალი რანგის მეთაურთა ქსელს,რომლის წევრებიც მოქმედებენ,როგორც მისი წარმომადგენლები. ჰაიდრიხს დაემორჩილა უშიშროების პოლიცია და გესტაპო. მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ჰიტლერი ესესს დაჰყოფს 12 მთავარ სამმართველოდ. ერთ-ერთი მათგანია უშიშროების მთავარი საიმპერიო სამმართველო,რომელსაც ექვემდებარება პოლიცია. მისი ძირითადი ამოცანაა ჩაახშოს ყოველგვარი წინააღმდეგობა რე

ყიმიხადმი. მიხი მეთაური გახდა ჰაიდრიხი.მეი-თხე განყოფილება იყო გესტაპო და მისი მეთაური - მიულერი. ხოლო ამ განყოფილებაში ნაწილი- 4, რომელიც განაგებდა ებრაულ საქმეებს და მას მ-ეთაურობდა ადოლფ აიხმანი.

ჰიმლერის განკარგულებაში იყო,როგორც ითქვა, ნამდვილი სამხედრო ძალებიც,მათ შორის „მკვდა-რი თავის ქალები",რომლებიც საშინელებებს აცრია-ლებდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში; „რეყიმის მოწინააღმდეგეთა ძვლების მცვრეველი" და პოლი-ციის სხვადასხვა სახის ნაწილები.

ესესი გაიშალა და განვითარდა დამოუკიდებელ და ცალკე ორგანიზაციად,რომელიც დაეპატრონა ნა ცისტური გერმანიის მთელ ნერვულ სისტემას. იგი იყო ნამდვილი სახელმწიფო სახელმწიფოში,რომელ-იც განაგებდა ცენტრალურ და გადამწყვეტ ფუნქცი-იას. ყველას,ვინც მას ებრძოდა გავლენისა და ს ახელმწიფოში ძალის მოპოვებისათვის,მწარე იმედ გაცრუება ელოდა. ჰიტლერი მუდამ თავის „ერთგულ ჰაინრისს" უჭერდა მხარს. მხოლოდ სანდახან ჩან-და,რომ თვითონ ჰიმლერიც ერიდებოდა მებრძოლი არმიის შეურაცხყოფას და საჭირო ხდებოდა მორი-გებოდა და დაეთმო ვერმახტის მარშლებისა და გ-ენერლებისათვის,რომელთაგანაც ბევრს ეზიზღებო-და იგი.იმის თანახმაც კი არ იყვნენ,რომ გენერ ლის წოდება მინიჭებოდა მას. მაგრამ მას ეს სა წადელიც აუსრულდა 1944 წელს,როდესაც დაინიშნა სარეზერვო ჯარების მთავარსარდლად.

## საერთაშორისო
## სამხედრო ტრიბუნალის აზრი
## დანაშაულებრივ ორგანიზაციებზე

საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა,რომლის გადაწყვეტილება ამ საკითხზე სავალდებულოა ჩვენი კანონის თანახმად,თავის განაჩენში თქვა შემდეგი:

„უშიშროების მთავარი საიმპერიო სამმართველოს შექმნამ უმაღლეს დონეზე ჩამოაყალიბა ურთიერთობანი უშიშროების სამსახურსა,რომელიც სადაზვერვო ორგანოს წარმოადგენდა და უშიშროების პოლიციას შორის. ასეთივე ურთიერთობანი არსებობდა ყველა ადგილობრივ განყოფილებებშიც. გერმანიასა და სამოქალაქო მმართველობის მქონე ანექსირებულ ქვეყნებში გესტაპოს,სისხლის სამართლის პოლიციისა და უშიშროების სამსახურის განყოფილებები ფორმალურად ცალ-ცალკე იყვნენ.მათი მუშაობის კოორდინაციას ახდენდნენ უშიშროების პოლიციისა და უშიშროების სამსახურის ინსპექტორები,რომლებიც პოლიციისა და ესესის უმაღლეს ოფიცერთა წრეს ეკუთვნოდნენ. უშიშროების სამსახურის ადგილობრივ განყოფილებათა ერთ-ერთ უმთავრეს დანიშნულებას წარმოადგენდა გესტაპოს მომსახურებოდა,როგორც დაზვერვის აგენტი. ოკუპირებულ ქვეყნებში უფრო მტკიცედ იყვნენ ერთმანეთ - თან დაკავშირებულნი გესტაპოს,სისხლის სამართლის პოლიციისა და უშიშროების სამსახურის ნაწილები. აქ ისინი ორგანიზებულნი იყვნენ როგორც უშიშროების პოლიციისა და უშიშროების სამსახუ-

რის ადგილობრივი ნაწილები და იმყოფებოდნენ უშიშროების მთავარი საიმპერიო სამსახურისა და ჰიმლერის მიერ დანიშნული პოლიციისა და ესესის მაღალი რანგის მეთაურის ორმაგი კონტროლის ქვეშ. ამ ქვეყნებში ესენი წარმოადგენდნენ საოკუპაციო ხელისუფლების შტაბის ნაწილს... გესტაპოს იმთავითვე ერთ-ერთ ამოცანად დასახული ჰქონდა არ დაეშვა არავითარი პოლიტიკური წინააღმდეგობა ნაცისტური რეჟიმისადმი. ეს მიზანი ხორციელდებოდა უშიშროების სამსახურის დახმარებით

გესტაპოსა და უშიშროების სამსახურის ხელში იყო აგრეთვე ღალატის,პრესის,ეკლესიისა და ებრაელობის საქმეები. რაც უფრო იზრდებოდა ანტისემიტური დევნის პროგრამა,მით უფრო იზრდებოდა ამ ჯგუფების მნიშვნელობა... გესტაპო და უშიშროების სამსახური ქარტიის თანახმად წარმოადგენენ სისხლის სამართლის ობიექტებს,მათ შორის ებრაელთა დევნისა და მოსპობისათვის,საკონცენტრაციო ბანაკებში ჩადენილი სისასტიკისა და მკვლელობისათვის,დაპყრობილი ტერიტორიების მართვის საშინელი საშუალებებისათვის,მონური შრომის გეგმების გატარებისათვის,სამხედრო ტყვეების წამებისა და მკვლელობისათვის... ტრიბუნალი გესტაპოს ამ საქმიანობაში მონაწილედ თვლის უშიშროების მთავარი საიმპერიო სამმართველოს მეოთხე ნაწილის მთელ ადმასრულებელ და სამმართველო აპარატს... ტრიბუნალი ქარტიის გაგებით დანაშაულებრივად აცხადებს გესტაპოსა და უშიშროების სამსახურის იმ თანამშრომელთა ჯგუფს,რომლებიც იყვნენ ან დარჩნენ ამ ორგანოს წევრე-

ზად მას შემდეგ,როცა გაიგეს,რომ ეს ორგანოები გამოყენებულია დანაშაულებრივ საქმეთა ჩასადენად,როგორც ეს განმარტებულია ქარტიის მე-6 მუხლით ან ის პიროვნებები,რომლებიც პირადად იყვნენ გარეულები ამ დანაშაულთა ჩადენაში".

ხოლო ესესზე საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა თქვა შემდეგი:

„ესესი იყო თანამონაწილე სამხედრო დანაშაულობებსა და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებებში. ესესი განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ებრაელთა დევნაში... არავითარი შესაძლებლობა არ არის დავასახელოთ ესესის რომელიმე ნაწილი,რომელიც არ სჩადიოდა დანაშაულებრივ საქმეებს. ესესის ზოგადი ნაწილები აქტიურად მონაწილეობდნენ ებრაელთა დევნაში და ამ ნაწილებიდან მოვიდნენ საკონცენტრაციო ბანაკის მცველები. შეიარაღებული ესესის ნაწილები უშუალოდ იყვნენ ჩარეულნი სამხედრო ტყვეთა მკვლელობებში და ოკუპირებულ ქვეყნებში ჩადენილ საშინელებებში. ესენი ამარაგებდნენ კადრებით ოპერატიულ რაზმებს; ესენი მეთაურობდნენ საკონცენტრაციო ბანაკების დაცვით ნაწილებს მას შემდეგ,რაც ამ ნაწილებში შევიდნენ „მკვდარი თავისქალები",რომლებიც დასაწყისში თვითონ მართავდნენ ამ სისტემას. ესესის პოლიციის სხვადასხვა ნაწილები ფართოდ მონაწილეობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩადენილ მხეცობასა და ებრაელთა მოსპობაში. ესესის მთავარი სამართველო უწევდა ინსპექციას ყველა ამ ნაწი

ლთა ნებისმიერ მოქმედებას და იყო პასუხისმგებელი ისეთ სპეციალურ პროგრამებზე,როგორიცაა ცდების ჩატარება ადამიანზე და ებრაელთა პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა.ამ საქმესთან დაკავშირებით ტრიბუნალი ესესში რაცხავს ყველას,ვინც ოფიციალურად იქნა მიღებული წევრად,მათ შორის ესესის წევრებს,შეიარაღებული ესესის წევრებს, „მკვდარ თავისქალებს" და აგრეთვე ესესში შემავალ პოლიციის ნაწილებს... ტრიბუნალი ზემოთ განსაზღვრულ ადამიანთა ჯგუფს აცხადებს დანაშაულებრივ ორგანიზაციად,რამდენადაც იყვნენ ან დარჩნენ იმ ორგანიზაციის წევრებად მაშინ,როდესაც იცოდნენ,რომ ეს ორგანიზაცია ემსახურება დანაშაულებრივ საქმეთა ჩადენას,როგორც განსაზღვრავს მათ ქარტიის მე-6 მუხლი, - ან პირადად იყვნენ გარეულნი ამ დანაშაულობათა ჩადენაში".

ესესმა შექმნა საკონცენტრაციო,შრომისა და მოსპობის ბანაკები. ნიურნბერგის ტრიბუნალის განაჩენით დაგმობილი ეს ორგანიზაცია სინამდვილეში წარმოადგენდა გრანდიოზულ კავშირს დანაშაულობათა და საშინელებათა ჩასადენად.

## დანაშაულებრივ ორგანიზაციათა წარგზავნილები ოკუპირებულ ქვეყნებში

ჰიმლერის სპეციალური ემისრები მოქმედებდნენ გერმანიის მიერ დაპყრობილ ყველა ქვეყანაში,როგორც ესესის მაღალი რანგის ოფიცრები და პოლიციის უფროსები,ან როგორც უშიშროების მთავარი

სამმართველოს წარმომადგენლები.

ფორმალურად ისინი მიმაგრებულნი იყვნენ საოკუპაციო ხელისუფლებასთან,სინამდვილეში კი მოქმედებდნენ დამოუკიდებლად და მხოლოდ გარეგნულად ემორჩილებოდნენ საოკუპაციო ხელისუფალთ.ასე ხდებოდა დიქტატორული რეჟიმის ბუნების გამოც,რადგან ასეთ რეჟიმში პოლიციას,კერძოდ კი საიდუმლო პოლიციას გააჩნია უზარმაზარი ძალა. ასე ხდებოდა ოკუპირებულ ქვეყნებში შექმნილი საომხედრო მდგომარეობის გამოც,რადგან რეჟიმი ამ ძალებს იყენებდა ყოველგვარი წინააღმდეგობის ჩასახშობად და პოლიციური რეჟიმის განსამტკიცებლად.

ამგვარად ბატონობდა მესამე რაიხის უშიშროების მთავარი საიმპერიო სამმართველო მთელ დაპყრობილ ევროპაზე პოლიციის უფროსთა მეშვეობით.

საბჭოთა კავშირთან ომის დაწყების შემდეგ ესესს მიენიჭა დამატებითი და განსაკუთრებული უფლებამოსილებანი. 1941 წლის 17 ივლისს ჰიტ - ლერმა ბრძანა,რომ აღმოსავლეთში ოკუპირებულ ყველა ტერიტორიაზე უშიშროების საქმეებს განაგებდეს ესესის რაისსფიურერი,რომელსაც შეეძლება ამ საკითხებზე უბრძანოს ხელისუფლების ყველა სხვა წარმომადგენლებს. აწი ვნახავთ,როგორ გამოიყენა ჰიმლერმა თავისი უზარმაზარი ძალა.ესესისა და მისი პირმშოს - უშიშროების მთავარი საიმპერიო სამმართველოს აღმასრულებელი ებრაულ საკითხებში იყო ადოლფ ეიხმანი.

და მართლაც,შემდეგში აღმოჩნდა აღმოსავლეთის ოკუპირებულ ტერიტორიათა მინისტრის ადოლფ

როზენბერგის განკარგულება,რომელშიც ნათქვამია:
„მომხდარი შემთხვევის გამო ამით მე ვუკრძალავ აღმოსავლეთის ადმინისტრაციის ყოველ თანამშრომელს აქციური მონაწილეობის მიღებას სიკვდილით დასჯის ყველა სახეობაში. სიკვდილით დასჯა, და კერძოდ,ებრაელთა მოსპობა წარმოადგენს უშიშროების პოლიციისა და უშიშროების სამსახურის მოვალეობას".

საკონცენტრაციო ბანაკები -
დათრგუნვის მთავარი იარაღი

დათრგუნვის უპირველეს და უმთავრეს საშუალებად ესესი იყენებდა საკონცენტრაციო ბანაკებს. აქ განავითარეს ტერორისა და დაშინების სრულყოფილი სისტემა,რომლის სამსახურშიც ჩააყენეს ამ საუკუნის ტექნიკის ყველა მიღწევა. ნაცისტი - ეს მისტიკოსი და რომანტიკოსი გარეგნულად ჩანდა მეოჯახედ,მოსიყვარულე ქმრად,გულჩვილ მამად,ბუნებისა და ცხოველთა მოყვარულად,საკონცენტრაციო ბანაკში კი მოგვევლინა გამხეცებულ,გარეულ ნადირად,რომელიც ისე თვალისდაუხამხამებლად სპობს ადამიანურ არსებებს,როგორც რწყილს. ოსვენციმის ბანაკის უფროსის,რუდოლფ ჰესის მონათხრობში ერთ ერთი ყველაზე შემზარავი ნაწილია ის თავი,რომელშიც იგი ხატავს თავისი ოჯახის მყუდრო ცხოვრებას,ბავშვების აღზრდას,ცოლისადმი მგრძნობიარობას,- და ყოველივე ეს ხდებოდა იქვე,ღენიანი მავთულხლართებით გარშემოვლებულ შემაძრწუნებელ სიკვდილის ბანაკის გვერდით,სადაც ყოველდღიურად წამლავდნენ და სწვავდნენ 5 - 10 ათას და ზოგ-

ჯერ მეც ადამიანსაც.

ადამიანის გახუკითხავად გამომწყვდევა საპატიმროში,როდესაც ამ ადამიანს არა აქვს საშუალება თავისი სიმართლე დაამტკიცოს სასამართლოს წინაშე,და როდესაც მან არ იცის ოდესმე თუ განთავისუფლდება,თავისთავად წარმოადგენს სასტიკ დარტყმას მასზე; დავუმატოთ ამას დამცირების,კატორღული სამუშაოს,ცემა-ტყეპის,გამათრახების,ტანჯვა-წამების მთელი სისტემა და მაშინ მივხვდებით,თუ რა საშინელი დამთრგუნავი ძალა გააჩნდა ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკს.

გესტაპომ ისწავლა აგრეთვე ადამიანის ყოველი სუსტი მხარის გამოყენება.ისინი მიხვდნენ,რომ შიმშილსა და წამებას შეუძლია დროთა განმავლობაში გასტეხოს ძლიერი ადამიანიც კი; რომ დათრგუნვისა და დამცირების მეთოდური გამოყენებით ადამიანს შეიძლება წაართვა ღვთაებრივი სახე და გადააქციო უგრძნობ არსებად,რობოტად,რომელიც უსიტყვოდ აღასრულებს ბრძანებებს მაშინაც კი,როდესაც უბრძანებენ საკუთარი საფლავი გაითხაროს და აღასრულებს,როგორც კეთილ ვალდებულებას.

### პატიმრის მოტეხვა

არიული სისხლის მოწინააღმდეგეს გახსნილი ჰქონდა უკანდასახევი,მონანიების გზა - თუკი ნაციონალ-სოციალიზმის იდეებს იწამებდა. მას შეეძლო განთავისუფლებულიყო პატიმრობიდან,ეხსნა თავისი სიცოცხლე,ღირსება და ქონება. მრავალი ასეც მოიქცა მთავრობების იმ უნარის ზეგავლენით, რაც გააჩნდა ჰიტლერს,რომელიც წარმატებას წარმა

ტებაზე აღწევდა; და ესეც ახდენდა გავლენას,რა-
დგან წარმატებას აქვს თავისი შთამაგონებელი ძა
ლა. მხოლოდ ებრაელს არ დარჩა ხსნის გზა,რადგან
ყველაფერი გულდასმით მომზადდა,რათა გაეტეხათ მ
ისი წინააღმდეგობა და მიეყვანათ იქამდე,რომ დ-
აკარგოდა რწმენა დედამიწაზე თავისი არსებობის
უფლებისა. მასზეც აამოქმედეს გამარჯვებულ ბატო
ნთა უპირატესობის შთამაგონებელი ძალა. ამას გა
რდა აამოქმედეს შეურაცხყოფისა და დამცირების ყ
ველა საშუალება,რათა ადამიანში ჩაეკლათ საკუთა
რი თავის რწმენა. როდესაც ადამიანს სახეში მათ
რახით სცემენ და მას არა აქვს პასუხის გაცემის
საშუალება; როდესაც არ აძლევენ საჭმელ პურს და
შიმშილისაგან კრუნჩხვები უვლის; როდესაც მამა-
კაცებს,ქალებს,ბიჭებსა და გოგონებს უბრძანებენ
თავიანთი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებანი დაიკმა-
ყოფილონ ერთმანეთის თვალწინ,ცხოველებივით;როდ-
ესაც ქალებს ტიტვლებს არბენინებენ ყოველი გადა
თვლისას; როდესაც დახვრეტითა და ჩამოხრჩობით ა
დასტურებენ ყოველ დილა-საღამოს,რომ ებრაელის ს
იცოცხლეს არავითარი ფასი არ გააჩნია; როდესაც
შენს თვალწინ კლავენ და ჟლეტენ მოპრიანების გა
მო თუ გასართობად; როდესაც დღეში ათჯერ გიჩვე-
ნებენ,რომ შენ პატრონი არა გყავს,რომ შენი სიკ
ვდილ-სიცოცხლე დამოკიდებულია ყოველი ესესელის
დღევანდელ გუნება-განწყობილებაზე, - ძნელი ა-
რაა ისეთი ატმოსფეროს შექმნა,რომ ტანჯულთა და
ჩაგრულთა უმრავლესობას დაეკარგოს რწმენა და ჩ-
აეხშოს ყოველი გრძნობა,და უფრო ხშირად სიცოცხ-
ლის სურვილიც კი, და მათ ძირითად მიზნად იქცეს

ჩქარი და უცანჯველი სიკვდილი.

საკონცენტრაციო ბანაკის ცყვე საბოლოოდ მი-იყვანეს იქამდე,რომ თითქმის ველარ არჩევდა კ-ეთილსა და ბოროცს.ადამიანის ხელი გააპირუცყვ-ეს. მან თითქმის დაკარგა მწუხარებისა,გლოვისა და უბედურებაში თანაგრძნობის გაწევის უნარი,მ ონათა ბანაკში,სამკერვალოში მუშაობისას რომ უ ბრძანეს ნაძარცვი ცანსაცმლის გაწმენდა და შე-კეთება,შეიძლებოდა ადამიანს ხელში მოხვედროდა ცანსაცმელი თავისი ცოლისა და შვილისა,რომლებ-იც მოუკლეს. იგი წუთით შეძრწუნდებოდა,მაგრამ გაბრწყინებული თვალები მალე ჩაუქრებოდა. იგი კი არ აყვირდებოდა,კი არ გაგიჟდებოდა,მოლერე-ბული მუშცით კი არ ეცემოდა თავის დამმონებელს, არამედ გააგრძელებდა მკვლელთა ცყვიებით დაცხ-რილული ადგილების ამოკემსვა-დაკერებას,სამარ-ცხვინო ნიშნის მოშორებას,რომ შეკეთების შემდ-ეგ მკვლელებს გამოდგომოდათ.

გესცაპოელები კარგად იცნობდნენ დაპყრობილ ხალხებს და ყველგან,სადაც კი მიაღწიეს,ცდილობ დნენ გაელვივებინათ ებრაელობისადმი სიძულვილი. მაგრამ ისიც მშვენივრად იცოდნენ,თუ სად და რ-ომელ წრეებში მოიმკიდნენ თავისი შრომის უკეთ-ეს ნაყოფს. ებრაელთა ასაწიოკებლად წასისიანე-ბას ძირითადად იყნებდნენ აღმოსავლეთ ევროპაში დაპყრობილ ცერიცორიებზე და ბალციისპირეთის ქ-ვეყნებში. იქ შეეძლოთ დაყრდნობოდნენ სხვადას-ხვა წრეებში ფართოდ გავრცელებულ ანცისემიციზ-მს,მიეცათ მისთვის „მეცნიერული საფუძველი" და ოფიციალურად დაექირათ მხარი მკვლელობისა და მ

არცვისათვის. მომავალმა დამრზევებმა კარგად იცოდნენ, რომ ხელისუფლებაც მათ მხარეზეა. ჩვენ წარვუდგენთ სასამართლოს „აინზაცგრუპენის" მეთაურთა პატაკებს, რომლებშიც მოთხრობილია, რომ წარმატებებს მიაღწიეს ადგილობრივი მოსახლეობის პოგრომებზე წაქეზების საქმეში. მაგრამ იმავე პატაკებში ისიცაა ნათქვამი, რომ რამდენადაც დარზევებმა ჯერ კიდევ ვერ მოსპო ებრაელობა, საჭიროა პირდაპირი მოსპობის მეთოდებზე გადავიდეთო.

**ადამიანის იერი გაუქრეს**
**ბანაკთა პატიმრებს**

გესტაპოელებმა ისიც იცოდნენ, რომ არსებობის სურვილი არის პირველადი ინსტინქტი, ამიტომაც აღვივებდნენ ამ ინსტინქტს თავის სასარგებლოდ. როდესაც ყველა მსხვერპლს საკმაოდ დათრგუნავდნენ, ზოგიერთ მათგანს გამოარჩევდნენ განსაკუთრებული საქმეებისათვის ან ანიჭებდნენ მოჩვენებით უფლებებს. საყოველთაო მოსპობის გეგმა საიდუმლოდ ინახებოდა. ამგვარად შესაძლებელი იყო რამდენიმე ადამიანისათვის ფარულად, აშკარად ან მინიშნებით ეთქვათ: არაფერი დაგიშავდებათ თუ ჩვენს მითითებებს შეასრულებთ ან ენას მოგვიტანთ და ვინც ჩვენს დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებს, სულიც შერჩება და ოჯახსაც გადაარჩენსო. საერთოდ მიღებულ საშუალებად ითვლებოდა მსხვერპლის წინააღმდეგ გამოეყენებინათ მისივე ერის შვილი. წარმოგიდგენთ ვესტაპოს განკარგულებებს, რომ საკონცენტრაციო ბანაკებში ჩამოსრ-

ჩობა მოახდინონ იმ პატიმრების ხელით,რომლებიც ჩამოსახრჩობის ეროვნებას ეკუთვნიან და მათ გ-ასამრჯელოდ მიეცეთ სამი პაპიროსი.

ყოველგვარ ადამიანურ სისუსტესა და ბიოლოგი ურ მოთხოვნილებას დამმონებლები იყენებდნენ თა· ვიანთი მიზნით. მათ განკარგულებაც კი გასცეს საკონცენტრაციო ბანაკებში გაეხსნათ საროსკიპ-ოები იმათ დასაკმაყოფილებლად,რომლებიც მათი ს ურვილის მიხედვით იქცეოდნენ. ისინი ყოველი გ-ზითა და ხერხით ატყუებდნენ და აცდენდნენ თავ-იანთ მსხვერპლს. ყოველი ნადირობის შემდეგ,რო-ცა ასობით ებრაელი იგზავნებოდა სასიკვდილოდ,ს ხვები კი იპარებოდნენ ან იმალებოდნენ,ბანაკში დაირხეოდა ნაცისტების მიერ გავრცელებული ხმა, რომ ეს არის უკანასკნელი ასეთი ღონისძიება,რ-ომ დარჩენილებს ხელს აღარ ახლებენ და აღარავ-ის გააგზავნიან ბანაკებში. და მრავალი,ვისაც წესად ჰქონდა ყოველგვარ იმედს ჩასჭიდებოდა,ან ვისაც არ შეეძლო დაეჯერებინა,რომ ყველა ებრა-ელი განწირულია,ან ვისაც უკვე შიმშილისგან და ტანჯვა-წამებისგან ამოხდიოდა სული,მალულად ი-ჭვრიტებოდა გარეთ და გამოდიოდა თავისი სამალა ვიდან,ბრუნდებოდა ტყიდან,რომ ხელში ჩავარდნო-და მათ მტარვალებს ახალი ნადირობისას. ვეფხვი თავის ნებაზე ათამაშებდა მსხვერპლს.

## ებრაელები დათრგუნვისა და მზაკვრული თვალისახვევის ქსელში

ჩვენ ებრაელებსაც ვხვდებით ნაცისტთა განკა რგულებების აღმასრულებლად,გეტოთა ებრაულ პოლი

ციებსა და უხუცესთა საბჭოებში. გაზის კამერათა კარებშიც იდგნენ ებრაელები,რომელთაც ნაბრძანები ჰქონდათ სასიკვდილოდ განწირულები დაემშვიდებინათ და დაერწმუნებინათ,რომ ისინი აბანოში შედიან. ეს იყო გეგმის ერთ-ერთი ყველაზე საცანური ნაწილი - დაეჩლუნგებინათ ადამიანის გრძნობები,ჩაეხშოთ მასში ყოველგვარი სულიერი და გონებრივი უნარი,გადაექციათ დამფრთხალ და უხულგულო რობოცად და ამგვარად გაეხადათ შესაძლებელი თვითონ ბანაკების პატიმართა გამოყენება თანამოძმეთა ჟლეტის მექანიზმის ნაწილად.ამით გესცაპოს შეეძლო მინიმუმამდე დაეყვანა თავისი მუშაკების რაოდენობა სიკვდილის ბანაკებში.გასაგებია,რომ საბოლოოდ რობოცებიც ვერ აცდნენ მათ მწარე ხვედრს და ბოლოს ისინიც დახოცეს თავიანთ დანარჩენ თანამოძმეებთან ერთად.

ფრიად გასაოცარია,რომ ბევრმა ებრაელმა მოახერხა შეენარჩუნებინა ადამიანის იერი ჯოჯოხეთურ პირობებში და არ გაცუდა. იყვნენ სხვაგვარნიც. ამ პროცესზე ჩვენ არ განვსჯით ბრძანებათა აღმასრულებელ ებრაელებს - კაპოებს თუ უხუცესთა საბჭოების წევრებს,როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება მათდამი. ახლა მსხვერპლთა სასამართლო კი არაა,მკლეცავის სასამართლო მიმდინარეობს.

ისიც პრობლემაა,რა გზა უნდა აერჩია ვეფხვის ყბაში მოქცეულ ებრაელ ხელმძღვანელს თუ მოღვაწეს: გზა ელელმცეინისა,რომელმაც სცადა ცერეზენ-შცაცის გეცოს ორგანიზება,თუ გზა კასცნერისა,რომელმაც სცადა მოლაპარაკება გაემართა

და მცირედი ხვრელით ცოცხლები მაინც გადაერჩი-ნა; თუ გზა ჩერნიაკოვისა,რომელმაც დაინახა,რომ ნაცისტები მისგან ითხოვენ ვარშავის ებრაელებს სასიკვდილოდ და თავი მოიწამლა; ამ პროცესზე არ უნდა ექნეს ადგილი ამ დავას. არა მგონია დღეს შეიძლებოდეს შევადგინოთ დაწვრილებითი ინსტრუქ-ცია იმისა,თუ როგორ უნდა იქცეოდეს მსხვერპლი მ ცაცეზელ ნადირთან და ვთქვათ,თუ როგორ უნდა მოქ ცეულიყო ესა თუ ის ხელმძღვანელი ვარშავაში,ბუ-დაპეშტსა,პრაღასა თუ ვენაში; - უნდა ეცადა და გადაერჩინა ის,რისი გადარჩენაც შეიძლებოდა,გა-მოეცხადებინა ამბოხება,თუ ჩასჭიდებოდა იმედის ყოველგვარ ხავსს,თუნდაც იმედის საფუძველი არა ჰქონდა. რა თქმა უნდა,ყველანი ვამაყობთ ვარშა-ვის გეტოს აჯანყებით და შეუპოვრობის გამოვლინე ბით,წინააღმდეგობის გაწევით და ამბოხებით,პარ-ტიზანებითა და ბოროტ რეჟიმთან შეომრებით. მაგ-რამ ეს პროცესი არ არის ამ ტრაგიკული პრობლემ-ის გასარჩევად და იგი დავუტოვოთ კატასტროფის ი სტორიის მკვლევარებს. ამ პროცესზე ჩვენ განვს-ჯით ადოლფ ეიხმანს.

### III. ბრალდებული

ნებაყოფლობით შედის

ბოროტმოქმედთა ორგანიზაციებში,

გადადის გერმანიაში.

 აი რამდენიმე პირადი მონაცემი მასზე. იგი დ აიბადა 1906 წლის 19 მარტს ზოლინგენში და ბავ-

შვობაში ოჯახთან ერთად გადავიდა ლინცში(ავსტ-
რია). სახალხო სკოლის დამთავრების შემდეგ სწა
ვლობდა საშუალო სკოლასა და ტექნიკუმში. უკვე
1927 წელს ვნახულობთ მას ავსტრო-გერმანელ ფრო
ნტელების ორგანიზაციის დემონსტრანტთა რიგებში.
1932 წლიდან არის ნაცისტური პარტიისა და ესეს
ის წევრი. მისი ნათლია ამ ორგანიზაციაში შესა
ყვანად იყო მისი ბავშვობისდროინდელი მეგობარი,
შემდეგში მისი უფროსი ერნსტ კალტენბრუნერი -
ის სისხლისმსმელი; რომელზეც საერთაშორისო სამ
ხედრო ტრიბუნალმა თქვა,რომ იგი უნარიანად ადე
ვნებდა თვალყურს და წარმართავდა უშიშროების მ
თავარი საიმპერიო სამმართველოს მთელ დანაშაუ-
ლებრივ საქმიანობას. აიხმანის შესვლა ესესის
რიგებში,რა თქმა უნდა,თავისივე ნებით მოხდა.
მათ რიგებში დარჩენაც ნებაყოფლობითი იყო.როგო
რც მისმა მასწავლებელმა ჰიტლერმა,თვითონაც დ-
ატოვა ავსტრია და რაიხში გადავიდა. ჰიტლერი ა
სე იმიტომ მოიქცა,რომ არ სურდა ავსტრიის არმი
აში ემსახურა. აიხმანს კი ჯადოსნურად იზიდავ-
და გერმანული ნაციონალ-სოციალიზმის ანდამატუ-
რი ძალა. 1933 წელს ვხედავთ,რომ იგი გადის ს-
ამხედრო წვრთნას ესესის რიგებში,გერმანიაში,
ჯერ ლახფელდის,ხოლო შემდეგ პასაუს სამხედრო ბ
ანაკებში. 1934 წელს მას ვხვდებით - უკვე უნ-
ტერშარფიურერს - დახაუს ბანაკში,ყოველი „დამა
იმედებელი მონაცემების" მქონე ესესელის ამ ს-
კოლაში.ამ ბანაკის პირველმა უფროსმა თეოდორ
აიკემ იქ თავიდანვე გააბატონა პრინციპი:„შემწ
ყნარებლობა ნიშნავს სისუსტეს. ამ შეგნებით უ-

ნდა ვიმოქმედოთ შეუზრალეზლად,როღესაც სამშოზ-
ლოს ხჭირდეზა ახე მოქმედეზა. პოლიციკურ და ი-
ნცელექცუალურ წამხისიანეზლეზს - მნიშვნელოზა
არა აქვს რომელ ფრთას ეკუთვნიან,უნდა ვუთხრათ
გვერიდონ... თორემ ყელში ვწვდეზით და დავადუ-
მეზთ".

დახაუში გაიარეს ძალადოზისა და ამაზრზენ ხ
აქმეთა ხკოლა,იქ გამოიწრთნენ ნაცისცთა მომავა
ლი მთავარი კაცისმჭამელეზი. იქ ჩაუნერგეს მათ
სიძულვილის მოძღვრეზა,იქ აიძულეზდნენ გაერთზ-
გათ პაციმრეზი და დაეხაჯათ სიკვდილით.

ამ გამოცდილეზის შეძენის შემდეგ ადოლფ აიხ
მანი უკვე სერჟანცის ჩინით,1934 წლის სექცემ-
ზერში გადავიდა უშიშროეზის სამსახურში. ერთი
წლის შემდეგ მას ვხედავთ უშიშროეზის სამსახუ-
რის ეზრაულ განყოფილეზაში,რომელიც მჭიდროდ თ-
ანამშრომლოზდა სახელმწიფო საიდუმლო პოლიციის
- გესცაპოს ეზრაულ განყოფილეზასთან. თავისი მ
ოღვაწეოზის პირველსავე წლეზში აქ შეხვდა ზოგი
ერთს,რომლეზიც შემდეგ იქცნენ მის ერთგულ თანა
შემწეეზად: ვისლიცენის,დანეკერს,ძმეზს გუნცე-
რეზს და ალიოზ ზრუნერს.

ამ სამუშაოზე იგი ძირითადად დასაქმეზული ი-
ყო დაზვერვის სფეროში. აიხმანი გამოგზავნეს ა
ხლო აღმოსავლეთში,საიდანაც იგი დაზრუნდა დაწვ
რილეზითი ანგარიშით თავისი მოგზაუროზის შესა-
ხეზ. ვისლიცენი მოავლინეს მე-20 სიონისცურ კ-
ონგრესზე კამათის თვალყურის სადევნელად.

აიხმანი წინ მიიწევდა უშიშროეზის სამსახურ
შიც: 1937 წელს იგი გახდა ოფიცერი. ამ დროს ვ

ხედავთ მას თავის მეორე ნათლიასთან,ავადმოსა-
ხსენებელ იულიუს შტრაიხერთან,რომელიც საერთა-
შორისო სამხედრო ტრიბუნალმა დაგმო,როგორც მკვ
ლელობათა და ჟლეტის წამხისხიანებელ-შემგულიანე
ბელი.

შტრაიხერმა და მისმა თანამემწეებმა დაიახ-
ლოვეს და წაიყვანეს იგი ნაცისტური პარტიის ყ-
რილობაზე ნიურნბერგში 1937 წელს. იქ შეახვედ-
რეს ყველა საზღვარგარეთელს,რომლებიც ნაცისტთა
გამარჯვებაზე ოცნებობდნენ. იქვე დაამყარა კავ
შირი ანტისემიტური პროპაგანდის მესვეურებთან.

### პირველი დამოუკიდებელი თანამდებობა - ვენაში

ავსტრიის ოკუპაციისთანავე 1938 წლის მარ-
ტში ეიხმანი გაიგზავნა იქ,სადაც გაიზარდა. ამ
დროს უკვე ითვლებოდა ებრაულ საქმეთა გამოცდილ
სპეციალისტად. ვენა იყო მისი პირველი დამოუკი-
დებელი „სკოლა". აქ მოქმედებდა თავის სიცოცხ -
ლეში პირველად - როგორც საქმის ორგანიზატორი
და პასუხისმგებელი. მაშინ ნაცისტთა პოლიტიკა მ
დგომარეობდა იმაში,რომ ებრაელები აეძულებინათ
წასულიყვნენ ემიგრაციაში. და აიხმანიც ისე თავ
დადებით შეუდგა მინდობილი საქმის მოგვარებას,
რომ მალე გერმანიის მინისტრებს მისი მოღვაწეო-
ბა დაუხატეს იმის მაგალითად და ნიმუშად,თუ რო-
გორ მოეშორებინათ თავიდან ებრაელები. ვენაში
ეს საქმე მან მოაწყო კონვეიერული სისტემით: ადა-
მიანი შედის კანტორაში როგორც მოქალაქე,პატივ-

ცემული პიროვნება,თანამდებობისა და უძრავ-მოძრავი ქონების პატრონი. ხოლო როდესაც ყველა სარკმელს მოივლის,შენობიდან გამოდის ემიგრანტად,რომელსაც ქონება ჩამოართვეს - ნაწილობრივ კონფისკაციით,ნაწილობრივ კი ბანაკში შეიტანეს დაკეტილ ანგარიშზე გაზონებული ვალუტით,მისი სახლ-კარი უკვე კონფისკებულია,სამუშაო აღარა აქვს,მისი შვილები სკოლაში აღარ სწავლობენ და ყველაფერი,რაც მას შერჩა,ესაა სამგზავრო ვიზა,რომელიც ნებას აძლევს დაცვოვის განსაზღვრული ვადისათვის ავსტრიის საზღვრები,რათა აღარ დაბრუნდეს ავსტრიაში.

ებრაელებზე საემიგრაციო ზემოქმედებას ახდენენ ყველა ხერხითა და საშუალებით; უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომებს და მოქალაქეობის არ მქონეთ მოსთხოვეს 24 საათის განმავლობაში დაეტოვებინათ სახელმწიფო. პროვინციაში მცხოვრები ებრაელები ვენაში მიჰყავდათ ყოველმხრივ გაძარცულნი და ვენის ებრაელობას ავალდებულებდნენ შეენახათ ისინი ემიგრაციამდე. ვინც უარს ამბობდა,აპატიმრებდნენ. ამასობაში ექსპროპრიაცია გაუკეთეს ებრაულ სავაჭროებს,სკოლებს და დასასვენებელ სახლებს.

აღარ უნდა გაგვიკვირდეს,რომ ბერლინის ჯამაათის დელეგაციის წევრები,რომლებსაც უბრძანეს ჩასულიყვნენ ვენაში და ენახათ აიხმანის განსაცვიფრებელი მიღწევები,რათა თვითონაც ჭკუა ესწავლათ და მიებაძათ მისთვის,ელდანაცემი შეპყრობდნენ ემიგრაციის ამ კონვეირებს.

## ბოროტი საქმე

## თანდათან ვრცელდება

1939 წლის დასაწყისიდან ებრაელთა ემიგრაცია-გაძევების აიხმანისებური სისტემა დანერგეს ბერლინში შექმნილ ებრაელთა ემიგრაციის ცენტრალურ სამმართველოში. ხოლო პრაღაში გერმანელთა შესვლის შემდეგ, - იქაც.

უკვე ვახსენე, რომ 1939 წლის სექტემბერში ჰ-იმლერმა გააერთიანა სახელმწიფო უშიშროების პოლიცია და პარტიული დაზვერვის ორგანო უშიშროების სამსახური. ამ ხანებში ბრალდებულიც დაბრუნდა ბ-ერლინში და დაინიშნა ებრაელთა ემიგრაციის ცენ-ტრალური სამმართველოს უფროსად. ამ თანამდებობაზე თორმალურად ირიცხებოდა ჰაიდრიხი, თუმცა ბრალდებული ადრევ ასრულებდა ამ ფუნქციას.

მოვიტანთ იმის დამამტკიცებელ მოწმობებს, თუ რა მეთოდებით მუშაობდა ბრალდებული ვენასა და პ რაღაში, როგორ აწარმოებდა ებრაელთა საქმეებს და როგორ ესაუბრებოდა ებრაელებს - რჩეული ნაცისტური ბაქიბუქითა და ყოყლოჩინობით. ეს მეთოდები შ ეიცავდა დათრგუნვას, ტერორს, დაშინებას და ი-მავდროულად თვალთმაქცობას და ისეთი სახის მიღებას, რომ ეფიქრათ „იქნებ ეშმაკი არც ისე საშიში-აო", იქნებ შესაძლოც იყოს მასთან მორიგება, მო-ლაპარაკება და მისგან თავაზიანი პასუხის მიღე-ბაცო. ერთი მხრივ ხიდას აწნავს დოქტორ ლაიბნი-ცს - ვენის ჯამაათის ერთ-ერთ ხელმძღვანელს მა-თი პირველი შეხვედრისას; უხეში გინებით უმას - პინძლდება ბერლინის ჯამაათის ერთ-ერთ ხელმძღვა

ნელს შტაპელს 1939 წელს: „აი მე კაცუნა,მე განავალო,დიდიხანია საკონცენტრაციო ბანაკში არ ვდებულხარ!" ცოფმორეული უყვირის ბრატისლავის ჯამაათის უხუცესს შებემწაინს,რომელმაც გაბედა და პაპიროსი გაუწოდა: „გაეთრიე აქედან მაგიანა!" მეორე მხრივ კი თარისხევლურად ინტერესდება ებრაული პრობლემებით და უსრულებს ზოგიერთ სათხოვარს,უმეტესად უმნიშვნელო წვრილმანებს.

ებრაელ მოღვაწეებს ჯერ კიდევ ეჩვენებოდათ, რომ საჭიროა მასთან მორიგების რაიმე გზა მოინახოს. მით უფრო,რომ სინამდვილეში სხვა გზა არც არსებობდა. იგი გახდა ებრაელთა სიკვდილ-სიცოცხლის გამგებელი. ჯერ კიდევ შორსაა ოსვენციმის კრემატორიუმები და უნგრეთის ებრაელთა ველური დათრგუნვა,როცა ადოლფ ეიხმანი ეუბნება ებრაელთა სულის გამოხსნის სათხოვრად მოსულ ბუდაპეშტის ებრაელთა არისტოკრატიისა და მეთაურთა ერთ-ერთ წარმომადგენელს მარონ ფონ-ფროიდიგერს: „მოგახტები ზურგზე და ცხენივით გაჭენებო!" აიხმანი კი უკვე შედგომია გზას თავისი მიზნისაკენ. იგია უფროსი,იგი ჭრის და იგი კერავს,იგია ებრაელთა ბედის ფაქტიური ბატონ-პატრონი,როგორც ნათელი გახდება თქვენთვის,ვენისა და პრაღის ჯამაათების მოხსენებებს რომ წარმოგიდგენთ. ამასობაში კი ებრაელთა დევნაში მიღწეული წარმატებებისათვის მას მიანიჭეს მეტი უფლებები და მაღალი ჩინი.

უზარმაზარი უფლებამოსილებანი;

ემისრები ედებიან ქვეყანას

1939 წლის ბოლოს აიხმანს ვხვდებით ბერლინში.

ახლა უკვე თავისთან იძახებს ვენის ჯამაათის წა რმომადგენლებს და უბრძანებს ანგარიში წარმომიდ გინეთ,თუ როგორ ჩქარდება ემიგრაციაო. იქვე აძლევს განკარგულებებს ჯამაათის სხვა საქმეებზე. ამიერიდან,-უცხნება მათ, ჩემს დროს ვყოფ ბერლინზე,ვენაზე,პრაღასა და ოკუპირებულ პოლონეთზეო. ებრაულ საქმეებში დაკავებული პოსტის გარდა იმის წყალობით,რომ უკვე გაჩნდა მოსახლეობის აყრის გამოცდილება,დაინიშნა გერმანიაზე მიერთებული პოლონეთის აღმოსავლეთი რაიონებიდან და მათ შორის ვარშვიდან,ზემო სილეზიიდან,პოლონეთის კორიდორიდან და ქალაქ გდანსკიდან ებრაული და პოლონური მოსახლეობის განდევნის გრანდიოზული ოპერაციის პასუხისმგებლად და აღმასრულებლად.ამ დროს იგი უკვე განყოფილების უფროსია უშიშროების მთავარ საიმპერიო სამმართველოში. და ეს განყოფილებაა IVD4

ამავე დროს იგი ეწევა ებრაელთა ცრაგიკულ განდევნას ნისკოს ოლქში. ამავე საქმეებს ეწევა 1940 წელშიც.

1941 წლის მარცში აიხმანს ვხედავთ გესცაპოს IVB-4 განყოფილების უფროსად. ამ განყოფილებას აბარია ებრაელთა და მოსახლეობის აყრა-განდევნის საქმეები. ამავე პოსცზე დარჩება იგი ევროპის ებრაელობის მწარე აღსასრულამდე.მაგრამ იგი ამავე დროს იყო ჰაიდრიხის განსაკუთრებული ემისარი ებრაელთა პრობლემის საბოლოო გადაჭრის საქმეში. ამ თანამდებობათა ერთდროული დაკავების წყალობით,და ამაზე კიდევ ითქმება,აიხმანი პირადად იყო პასუხისმგებელი ებრაელთა მოსპობის გეგ

მის ოფიციალურ განხორციელებაზე,მას ჰქონდა გრანდიოზული უფლებამოსილებანი გერმანიის იმპერიაში,რომელიც მაშინ მოიცავდა ავსტრიასა და პროტექტორატსაც,და ყველა ოკუპირებულ ქვეყანას. გერმანიის იმპერიაში იგი მოქმედებს საოლქო და სარაიონო პოლიციის განყოფილებათა მეშვეობით და ყოველ მათგანში ჰყავს ებრაელთა საქმეების გამგე, რომელიც უშუალოდ აიხმანისგან იღებს მითითებებს.

ოკუპირებულ ქვეყნებში - საფრანგეთში,ნორვეგიაში,ბელგიაში,იტალიაში,ჰოლანდიასა და ლუქსემბურგში მას ჰყავდა სპეციალური ემისრები,რომლებიც მის ნება-სურვილს ასრულებენ,მუშაობდნენ პოლიციის შტაბებთან და აღჭურვილნი იყვნენ შესაბამისი უფლებამოსილებით ებრაელთა საქმეებში.ისეთ სატელიტებში,როგორიც იყო რუმინეთი,ბულგარეთი, სლოვაკია,იგი მოქმედებდა გერმანიის საელჩოებთან მყოფი სპეციალური წარმომადგენლების საშუალებით.ეს წარმომადგენლები ზრუნავდნენ იმისათვის, რომ ადგილობრივი ხელისუფლების შემწეობით წარეგზავნათ ებრაელები სადაც ჯერ არს და ეს კეთდებოდა უმეტესად მათი მოტყუების მეშვეობით - გერმანელები მათ ატყუებდნენ იმაში,თუ რა მიზნით იგზავნებოდა ებრაელებით სავსე ეშელონები.

სერბიაში ეიხმანი მოქმედებდა ემისრების მეშვეობით,ხორვატიაში გერმანიის საელჩოსთან მყოფი თავისი წარმომადგენლებით,დანიასა და ოკუპირებულ საბერძნეთში მან წარგზავნა სპეციალური რაზმები,რათა მოეხდინათ ებრაელთა დეპორტაცია სიკვდილის ბანაკებში.

საგენერალ -საგუბერნატოროში (პოლონეთში) მოქმედებდა უშიშროების პოლიციის შტაბების მეშვე-

ობით, ხოლო აღმოსავლეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე სპეციალური რაზმების - „აინზაცგრუპენის" მეშვეობით.

უნგრეთში პირადად გაიგზავნა მისი აღმატებულება ადოლფ აიხმანი. როგორც ქლესის ხელოვანი და სათავეში ჩაუდგა მგლების ხროვას, რომელიც ცდილობდა უმოკლეს ვადაში დაემთავრებინა ხალხის გაგზავნა ამოსაძირკვად.

ერთი სიტყვით, ყველგან წვდებოდა მისი ხელი „საბოლოო გადაწყვეტის" განსახორციელებლად ადგილზე შექმნილ პირობებში ყველაზე ეფექტური, მოხერხებული და შესაბამისი საშუალებებით. საცეცივით და დაპყრობილი ქვეყნების მთავრობებს იგი ზოგჯერ არწმუნებდა, ყოველთვის მაღას აცანდა ერთი მიზნით: გამოეგლიჯა ებრაელები და გაეგზავნა აღმოსავლეთში მდებარე საკონცენტრაციო ბანაკებში.

## გეტოებსა და ამოყლეტის ბანაკებზე უფროსობა

მის ხელთ იყო გეტოები და ამოყლეტის ბანაკები; მას განსაკუთრებული მდგომარეობა ეკავა უმის შროების მთავარ საიმპერიო სამმართველოში. იგი გვერდს უვლიდა თავის უშუალო უფროსებს და პირდაპირ უკავშირდებოდა პიმლერს. მისი მოკრძალებული თანამდებობა იმდენ უფლებასა და ისეთ გრანდიოზულ ძალაუფლებას ანიჭებდა, რომ მას საქმიანი ურთიერთობა ჰქონოდა იმპერიის მინისტრებთან, ოკუპირებული ქვეყნების მთავრობებთან, გერმანიის არმიის სარდლებთან, საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებთან. ებრაულ საქმეებს თუკი რაიმე შე-

ეხებოდა, აიხმანი მოქმედებდა ჰიმლერისა და ჰაიდრიხის სახელით და იყენებდა მათ უფლებამოსილებებს. წარმოგიდგენთ შესაბამის დოკუმენტებს, რომ ებრაულ საქმეებში უშიშროების მთავარი საიმპერიო სამმართველო ნიშნავდა ადოლფ აიხმანს.

ამიტომ არც უნდა გაგვიკვირდეს, რომ ებრაელთა საქმეებზე განკარგულებებს აძლევდა თანამდებობით მაღლა მდგომებსაც. ჯერ კიდევ 1940 წელს მონაწილეობდა თათბირში, რომელზეც მიწვეული იყო აგრეთვე მინისტრი ზაის-ინკვარტი. მისი უფლებამოსილებანი და ძალა იზრდებოდა განუწყვეტლივ, მიუხედავად ფორმალურად არამაღალი მდგომარეობისა, როგორც ამას ადასტურებდა მისი თანაშემწე ვისლიცენი:

„გერინგის ბრძანებით უფლებამოსილებანი ებრაელთა საქმეებში გადაეცა უშიშროების პოლიციისა და უშიშროების სამსახურის უფროსებს და ამგვარად განუზომლად გაიზარდა ძალა აიხმანისა ამ სფეროში. როგორც მახსოვს ეს ბრძანება 1941 წლის ზაფხულში გაიცა და მის საფუძველზე მას შეეძლო გვერდი აევლო და გაეუქმებინა ყველა სხვა მინისტრისა და ხელისუფლების ორგანოთა განკარგულებანი".

ჩვენ ვნახავთ, რომ იგი ამზადებს და ორგანიზაციას უკეთებს ვანზეეს ცნობილ კონფერენციას; იგი ინიშნება „საბოლოო გადაწყვეტის" შესახებ მიღებულ დადგენილებათა აღმასრულებლად: ჩვენ ვნახავთ აიხმანს, ჰიმლერის სახელით რომ მოქმედებს და ბრძანებებს იძლევა საკონცენტრაციო ბანაკებში სიკვდილით დასჯის შესახებ. ებრაელთა საქმეებში

აიხმანი განკარგულებებს უგზავნიდა გერმანიის არმიასაც კი.

აიხმანის ძალაუფლება იზრდება და მტკიცდება ჰაიდრიხის სიკვდილის შემდეგ. ნახევარი წლის განმავლობაში, კალტენბრუნერის დანიშვნამდე უშიშროების მთავარ საიმპერიო სამმართველოს უფროსი არა ჰყავდა და ამ პერიოდში გაიზარდა განყოფილების უფროსთა ძალა. ხოლო ახალ უფროსთან, ჭაბუკობისდროინდელ მეგობარ კალტენბრუნერთან მისი მდგომარეობა განმტკიცდა და განსაკუთრებული გახ - და.

### რისი წყალობით
### აღზევდა ეიხმანი

ყლეტის საქმეში მის ნამოქმედარზე სასამართლოს დაწვრილებით მოვახსენებთ, როდესაც შევეხებით ჩადენილ საშინელებებს. ახლა მხოლოდ იმას შევახსენებთ, რომ 1941 წლის ოქტომბერში ესესის პირადი შემადგენლობის განყოფილების უფროსმა ობერშტურმბანფიურერის ჩინოვნიკზე რეკომენდაციის მიცემისას ასე დაახასიათა აიხმანი:

„ამ დაწინაურებას მე რეკომენდაციას ვაძლევ იმ განსაკუთრებით კარგი სამსახურისათვის, რაც აიხმანმა გასწია ჯერ კიდევ ებრაელთა ემიგრაციის ცენტრალური ბიუროს უფროსად ყოფნისას, როდესაც შესანიშნავ შედეგებს მიაღწია ავსტრიიდან ებრაელთა ამოძირკვაში. აიხმანის მუშაობის წყალობით როხს გადმოეცა აურაცხელი ქონება. ასეთივე იყო მისი მუშაობა პროტექტორატში, სადაც გამოირჩეოდა შესანიშნავი ინიციატივით და საჭირო

სიმტკიცით. ისიც უნდა დავუმატოთ,რომ აიხმანი ა რის ესესის სანიმუშო ოფიცერი,რომ იგი ავსტრია-ში მუშაობდა მრავალი წლის განმავლობაში ნაციო-ნალ-სოციალისტური მოძრაობისათვის და პოლიტიკუ-რი მუშაობის გამო დაკარგა სამუშაო ადგილი.ამჟა მად აიხმანი მუშაობს მოსახლეობის დეპორტაციის და გადაყვანის მნიშვნელოვან პრობლემებზე. მხედ ველობაში ვიღებ რა მისი საქმიანობის მნიშვნელო ბას,მისი დაწინაურება მიმაჩნია სასარგებლოდ იმ საქმისათვის,რასაც იგი ემსახურება".

არაა საჭირო იმის თქმა,რომ რეკომენდაცია მ-იიღეს - აიხმანი გახდა ობერშტურმბანფიურერი.ე-ბრაელთა ამოჟლეტის საქმეში დამსახურებისათვის დაჯილდოვდა ესესის წარჩინების ნიშნებით. 1944 წელს გახდა უფროსი განყოფილებისა,რომელიც განაგებდა ებრაულ საქმეებს და ქრისტიანული ეკ-ლესიის პოლიტიკურ პრობლემებსაც.

ებრაელთა ჟლეტაში
იმაზე შორს გაიწია,
ვიდრე ნაბრძანები ჰქონდა

ადოლფ აიხმანი გეტყვით,რომ იგი ასრულებდა მ ის უფროსთა განკარგულებებს. მაგრამ მსოფლიოს ს ინდისმა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის პი-რით დაადგინა,რომ მორალის საერთო ნორმების სა-წინააღმდეგო განკარგულებანი,რომელნიც ბილწავენ პრინციპებს,რასაც კაცობრიობა ემყარება,რომელ - ნიც არარაობად აქცევენ არსებობის იმ ძირითად ნ ორმებს,რომელთა წყალობითაც,ეძლევა ადამიანს შ-

ესაძლებლობა იარსებობს თავისივე მსგავსის გვერ-
დით, - ასეთი განკარგულებანი არ წარმოადგენენ
არც მორალურ და არც იურიდიულ საბუთებს თავდაც-
ვისათვის. ამგვარად და ამ წესის მიხედვით ჩვენ
მა კანონმაც ჩამოართვა ბრალდებულს ამით დაცვის
საშუალება. უფრო მეტიც: ჩვენ დაგიმტკიცებთ,რომ
იგი აჭარბებდა მიღებულ განკარგულებებს,რომ თა-
ოსნობდა და ახორციელებდა ჟლეტის ოპერაციებს,რ-
ომელთა შესახებაც არავითარი ბრძანება არ ჰქონ-
და მიღებული. და ამას აკეთებდა იმის აღსასრულე
ბლად,რაც თავისი ცხოვრების მიზნად დაისახა.
1944 წლის ზაფხულში,როცა უნგრეთში ჰორტის აღარ
უნდოდა მჟლეტავებთან ეთანამშრომლა,აიხმანმა ს-
ასიკვდილო ეშელონი გააპარა კიშტარჩადან ოსვენ-
ციმისაკენ და თან ხრიკს მიმართა ბუდაპეშტის ჯა
მაათის ხელმძღვანელებთან და ისინი თავისთან მ-
იიწვია თათბირზე,რომ უკანასკნელ მომენტში ვერ
მოეხერხებინათ ჰორტისათვის მიემართათ აიხმანის
მზაკვრობის ჩასაფუშავად. მაშინ მას ნაბრძანები
არ ჰქონდა რაიმეს გაკეთება და მარტო განკარგუ-
ლებათა განმახორციელებელი რომ ყოფილიყო,შეეძ-
ლო მოეცადა,სანამ რაიმე განკარგულებას მიიღებ-
და. მაგრამ მან იმოქმედა და არ დაელოდა ბრძან-
ების მიღებას. ხოლო როდესაც 1944 წლის ოქტომ-
ბერში ჰიმლერმა საბოლოოდ ბრძანა შეეწყვიტათ
ჟლეტა,აიხმანმა კიდევ მოაწყო ებრაელთა ქვეით-
ად გადაყვანა უნგრეთიდან ავსტრიაში ისეთი გზე
ბითა და ისეთ პირობებში,რომ სიკვდილის გზად ქ
ცეულიყო. ამის შემდეგ დაგეგმა როგორ მოეწამლ-
ათ ტერეზიენშტადტში დარჩენილები და ცდილობდა ყ

ველგან ამოეხოცა ებრაელები,ხადაც კი ხელი მიუწვდებოდა.

მისი აღცყინებული მონდომება ჩაეღუშა ყოველი ცალკეული ებრაელის გაქცევა და გადარჩენა მაშინაც კი,როცა თვით აიხმანის უფროსები იყვნენ მზად იმ საცოდავისათვის მიეცათ ალყის გარღვევის საშუალება,და ჩვენ დაგიმცკიცებთ ათობით ახეთ შემთხვევას, - ეხეც მიუთითებს,რომ აიხმანი იყო ებრაელთა ლელაბუდიანად მოსპობის აღცყინებული და დამოუკიდებელი ინიციატორი. მანამ ვერ ისვენებდა და ვერ მშვიდდებოდა,სანამ გაზის კამერაში არ შერეკავდა ყველა ებრაელს ერთად და ყოველ მათგანს ცალ-ცალკე,იმათაც კი, მიღებული ბრძანების მიხედვით რომ შეეძლო ცოცხლად დაეტოვებინა.

### მისი თანაშემწეები და ამხანაგები სისხლიან საქმეებში

აიხმანისა და მის საქმეთა ზოგადი დახასიათება იმის შემდეგაც დატოვა რამდენიმემ იმათ - გან,ვისთანაც თანამშრომლობდა. ორ მათგანს უკვე გამოტანილი ჰქონდა სიკვდილის განაჩენი,როცა თავიანთ ჩვენებას წერდნენ. ერთი მათგანი იყო ბრატისლავის ციხეში მჯდომი ოტო ვისლიცენი, ჯერ აიხმანის ყოფილი უფროსი,შემდეგ კი ხელქვეითი და ერთგული თანაშემწე; მეორე იყო ოსვენცი მის უფროსი რუდოლფ ჰესი,რომელიც სიკვდილით დასჯის წინ კრაკოვის ციხეში წერდა თავის დღიურს. ორივე მათგანი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წერდა. ორივენი იყვნენ ბოროცმოქმედები,ო-

რივე მათგანი შეიძლება შემცდარიყო. მაგრამ გვ-
გონია,რომ მათ ხიჭყვაში ჯამოხჭვივის ამის ნამ-
დვილი სახე. აი,რა თქვა ჰესმა:

„აიხმანი ხულით-ხორციანად იყო შეპყრობილი თ
ავისი მისიით და კიდეც სწამდა,რომ ებრაელთა ა-
მოჟლეჭა აუცილებელია იმისათვის,რომ მომავალში
გერმანელი ხალხი დავიცვათ ებრაელთა მომაკვდინე
ბელი მჭაკვრობიდან. თავის როლს ხედავდა ამ გზ-
ით ხიარულში და მთელი თავისი ენერგია მიუძღვნა
ებრაელთა ამოწლეჭის შესახებ რაიხსხფიურერის გეგ
მათა გარხორციელებას. აიხმანი მჭკიცედ ეწინააღ
მდეგებოდა ყოველგვარ წინადადებას,რომ ეშელონე-
ბიდან ჯამოერჩიათ შრომის უნარიანი ებრაელები.
ამაში იგი ხედავდა მუდმივ ხაფრთხეს „საბოლოო გ
ადაწყვეჭის" თავისი გეგმებისათვის იმის გამო,რ
ომ შესაძლო მახობრივი გაქცევის ან სხვა შემთხ-
ვევის დროს ებრაელები შეიძლებოდა ცოცხლები დარ
ჩენილიყვნენ".

ვისლიჯენიმ დაწვრილებით დაახასიათა აიხმან-
ის კარიერა,მისი ინტიმური ცხოვრება,დამოკიდებუ
ლება უფროსებთან და ხელქვეითებთან. სხვათა შო-
რის წერდა:

„1942 წელს იგი წინააღმდეგი იყო ყოველგვარი
დათმობისა,თუნდაც უმცირესისა ყველაზე უმცირეს-
თა შორის. იგი ზრუნავდა ჰიმლერის თანხმობის მი
ხაღებად,მაგრამ იმავე დროს ყოველნაირად ცდილო-
ბდა მოეხდინა დეპორტაცია,რათა ჩაეფუშა და არა-
რაობად ექცია სადავო პრობლემის მოწესრიგების ყ
ოველი შესაძლებლობა".

სხვა,კვლავ ბრაჭისლავის ციხის ხიკვდილმისჯი

ლთა საკანში დაწერილ ცნობაში ვისლიცენი ამბობ-
და:

„ჩემი პირადი გამოცდილების საფუძველზე მე კ
ვლავ ვიმეორებ და ხელახლა ვასკვნი, რომ თუმცა
აიხმანი მოქმედებდა ჰიტლერისა და ჰიმლერის გან
კარგულებებით, მას პირადად გადამწყვეტი წილი უ-
ძევს ევროპის ებრაელთა ამოჟლეტაში და ამის გა-
მო იგი უნდა ჩაითვალოს პასუხისმგებლად ამ სიტ-
ყვის სრული გაგებით, რამდენადაც არსებობდა შესა
ძლებლობა გვერდი აევლო ჰიტლერის ბრძანებას..“

კიდევ ერთი პიროვნება, კურტ ბეხერი, რომელიც
ჰიმლერმა დანიშნა „ან სული ან ფული" ცნობილი ო
პერაციის უფროსად, რათა უნგრეთის ებრაელობისა-
გან შანტაჟით გამოეძალათ ქონება და რომელიც დ-
იდ ხანს მუშაობდა აიხმანის მახლობლად და მის მ
ხარდამხარ, ასე აფასებდა იმის მოღვაწეობას ებრა
ელთა ამოჟლეტის საქმეში:

„ეიხმანი არ ყოფილა პროგრამის სულისჩამდგმე
ლი, მაგრამ იყო მისი ფანატიკურად განმახორციელე
ბელი".

იგი ებრაელებს ხოცავდა
თავისი დანაშაულებრივი მისიის
შეგნებით

აიხმანი ჟლეტდა არა გონების დაბნელების გა-
მო, არამედ საღი აზრით, ნათელი გონებით და იმის
შეგნებით, რომ ესაა სწორი და ასეც უნდა მოიქც -
ეს. ამრიგად, პატივცემულნო მსაჯულნო, ამას აკეთე
ბდა გულმშვიდად და თავისი სურვილით. ჩვენ დავა
მტკიცებთ, რომ ნაცისტური ურჩხულის დამარცხების

შემდეგაც,მას შემდეგაც,რაც მთელმა მსოფლიომ გამოხატა ზიზღი და შეძრწუნება ჩადენილისადმი; მას შემდეგაც,რაც ნაცისტთა რამდენიმე ბელადმა დაფეთებულებმა დაიწყეს ერთი მეორის დადანაშაულება,ერთმანეთის დაგმობა და თითქოსდა მონანიება,ადოლფ აიხმანი დარჩა თავისი აზრებისა და პრინციპების ერთგული. მას არ უკუუგდია თავისი გზა. მას დღესაც მიაჩნია,რომ კარგი და სამართლიანი საქმე გააკეთა მილიონთა ამოწყვეტით.მან იცის,რომ ის საქმე დღეს დანაშაულად ითვლება და ამიტომ მზად იქნება სიტყვიერად,ნაძალადევად უარყოს და ზოგჯერ დიდი ზარ-ზეიმითაც. მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ: კიდევ რომ აღიმართებოდეს ხვასტიკიანი დროშა „ზიგ-ჰაილის" ძახილით,კიდევ რომ გაისმებოდეს ფიურერის ისტერიული კივილი,სიკვდილის ბანაკებს კიდევ რომ შემოერტყმოდეს დენიანი მავთულხლართები  ადოლფ აიხმანი ჩამოიმართებოდა,სამხედრო სალამს მისცემდა და კვლავ დაუბრუნდებოდა დათრგუნვისა და ჟლეტის საქმეს.

ახლა კი დაწვრილებით დავახასიათოთ ის ჟლეტა,რასაც ნაცისტებმა „ებრაელთა პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა" უწოდეს.

## IV. ებრაელთა პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა

### ნაცისტური მეთოდის თანმიმდევრობა

ნაცისტთა გეგმები და მათი განხორციელების გზები იცვლებოდა გარემოებათა მიხედვით და მათში

შეიძლება ვავარჩიოთ დაგეგმვისა და განხორციელების სხვადასხვა საფეხურები. ასე ხდებოდა პოლიციკაში. როდესაც წარმატებით ჩატარდა არმიის შეყვანა რეინის ოლქში,ხარბი თვალები მიაპყრეს ავსტრიას და როდესაც იგი ხელთ იგდეს,მოითხოვეს სუდეტების ოლქი. როდესაც სუდეტები მიიღეს,მთელი ჩეხოსლოვაკია დაიპყრეს და მემელში შევიდნენ ამის შემდეგ დაიწყეს ომისათვის მზადება.

წინასწარ არსებობდა გენერალური სამხედრო-პოლიტიკური გეგმა ხალხებისა და ქვეყნების დასაპყრობად თუ ეს გეგმა თანდათან ჩამოყალიბდა პოლიტიკურ წარმატებებთან ერთად,იმის შედეგად,რომ მსოფლიო ერიდებოდა მშვიდობის დეკლარაციებით მორთუ თავხედურ აგრესიას,იმის შედეგად,რომ ევროპელი პოლიტიკოსები ქედს უხრიდნენ მუქარასა და ფეხების დაბაკუნებას,ფაქტი ისაა,რომ ნაცისტებს განუმტკიცდათ თავდაჯერება და გაძლიერდა მათი პოლიტიკური მანქანა,რაც შემდეგ გადაიზარდა მსოფლიო ომში.

ასევე მოხდა ებრაელთა საკითხშიც. ფიზიკური მოსპობა წინასწარ დაიგეგმა,მომზადდა და მხოლოდ განხორციელება გადაიდო შესაფერისი მომენტისათვის თუ თანდათან განვითარდა და თავისი განვითარების ზენიტს მაშინ მიაღწია,როდესაც ნიღბის აფარება აღარ იყო აუცილებელი,როცა შესაძლებელი იყო აემოქმედებინათ ტოტალური ამოწყვეტის თავამვებული გეგმა, -ასე იყო თუ ისე,შეიძლება გავარჩიოთ ამ საკითხისადმი მიდგომის სხვადასხვა ეტაპი.

დასაწყისში,როცა ერთგვარად ერიდებოდნენ გა-

რესამყაროს რეაქციას,პრობლემის გადაწყვეტა გა
მოიხატა გაძევებით. იყენებდნენ მკვეთრ და მძი
მე საშუალებებს,მაგრამ თავხედობას ჯერ არ მი-
ეღწია ამოჟლეტის გადაწყვეტილებამდე. მაგრამ რ
ოდესაც დარწმუნდნენ,რომ ესეც შეიძლება,რომ მ-
სოფლიო ომს,გარემოებანი საშუალებას იძლევიან
- შეუდგნენ საყოველთაო ჟლეტას.

ამ ორ ეტაპს შორის იყო ერთი შუალედური ეტ
აპი,როცა ნაცისტები თავს იქცევდნენ ებრაელთა
პრობლემის თითქოსდა ტერიტორიალური გადაწყვეტ-
ის იდეით.

ბრალდებული აქტიურ მონაწილეობას იღებდა სა
მივე გეგმის დამუშავებასა და განხორციელებაში
იგი იყო პასუხისმგებელი მოსპობის სხვადასხვა-
ნაირ გეგმათა განმახორციელებელ მექანიზმზე და
თუ მისმა ბატონ-პატრონმა ჰიტლერმა ვერ მოახერ
ხა განხორციელებინა თავისი ვერც ერთი დაპირე
ბა და მიზანი,აი მან,აისმანმა შეასრულა რაც ი
კისრა. მაგრამ სანამ ვიტყოდეთ ამ განხორციელე-
ბაში მის წილზე,შევჩერდეთ თვითონ გეგმებზე.

## დასაწყისი -
## იძულებითი ემიგრაცია

პირველად ნაცისტები კმაყოფილდებოდნენ ებრა
ელთა მასობრივი ემიგრაციით,რითაც ებრაელები ც
დილობდნენ გაქცეოდნენ მოულოდნელად თავს დატე-
ხილ უბედურებას,ნიურნბერგის დამამცირებელ და
დასაქცევ კანონებს,ეკონომიურ ბოიკოტს,დაპატიმ
რებებსა და დაჭერებს საკონცენტრაციო ბანაკებ-

ში. ნაცისტთა სიხარბე იყო ერთადერთი შემაკავებელი ფაქტორი ებრაელებისადმი მათი სიძულვილისა და ეს სიხარბე არ აძლევდათ შემოსავლის ასეთ წყაროზე უარის თქმის საშუალებას. ამიტომ ყოველი ემიგრანტი ვალდებული იყო გადაეხადა საემიგრაციო ბაჟი - თავისი ქონების 25 პროცენტამდე, ხოლო დანარჩენი შეეტანა ბანკში და სამაგიეროდ მიეღო მარკების სერტიფიკატები, რომელთა რეალური ძალაც სწრაფად ეცემოდა ზედ აღნიშნული ღირებულების უმნიშვნელო ნაწილამდე. ეს ეტაპი გაგრძელდა ავსტრიის „ანშლიუსამდე" - 1938წლის 12 მარტს გერმანიასთან მიერთებამდე. 4 დღის შემდეგ ვენას მოევლინა აისმანი და ხელი მოჰკიდა ებრაულ საქმეებს ახალი საშუალებებით, რომლებზეც უკვე ვილაპარაკე. იქ შექმნეს ებრაელთა ემიგრაციის ცენტრალური ბიურო, რომელიც ფაქტიურად ეწეოდა ებრაელთა გაძევებას ქონების ნაწილობრივი კონფისკაციით.

1939 წლის ოქტომბრის ბოლოს ნაცისტური გერმანიის მთავრობამ გადაწყვიტა გაეძევებინა გერმანიაში მცხოვრები ყველა ებრაელი, რომლებიც ადრე პოლონეთის მოქალაქეები იყვნენ. თუმცა პოლონელებმა გააუქმეს იმათი პასპორტები, ნაცისტებმა გადაწყვიტეს ხელი ჩაევლოთ შემთხვევისათვის და თავიდან მოეშორებინათ ეს ებრაელები. უშიშროების პოლიციისა და უშიშროების სამსახურის მაშინდელი უფროსის რაინჰარდ ჰაიდრიხის ბრძანებით ისინი დააპატიმრეს და ასე მოხდა ებრაელთა პირველი მასობრივი გაძევება. მათ ნება დართეს თან წაეღოთ მხოლოდ ის, რისი ზიდვაც თვითონ შე-

ემლოთ. სხვა ქონება დატოვეთო, უბრძანეს მათ. ისინი შეჭეჭყეს საბარგო ვაგონებში, მიიყვანეს საზღვრის მახლობლად, უბრძანეს ვაგონებიდან ჩამოსვლა, გარეკეს მინდვრებში, წინ, პოლონეთის საზღვრისაკენ. სალხი ბორძიკობდა და ეცემოდა, მდევართა ჟანდურები აიძულებდათ წამომდგარიყვნენ და გაქცეულიყვნენ. ზოგიერთი ადგილზევე მოკვდა.

პოლონეთის სასაზღვრო დაცვა, რომელიც ასეთ რაიმეს არ ელოდა, გაოგნებული დარჩა. ნაკადმა შეარღვია პოლონეთის საზღვარი. პირველმა გაძევებამ ჩარმატებით ჩაიარა.

## ჰერშელ გრინშპანის
## სასოწარკვეთილი საქციელი

ამ საზრალო გაძევებულთა შორის იყო მეჯლანე მენდელ გრინშპანი. ისიც შიშველ-ტიტველი გაძევეს ცოლ-შვილთან ერთად. გამწარებულმა ოჯახმა ღია ბარათი გაუგზავნა მაშინ პარიზში მყოფ ვაჟ ჰერშელს. ამ 17 წლის ჭაბუკმა გადაწყვიტა, რომ არ გაუჩუმდება ამ უსამართლობას და, თუ მთელი მსოფლიო მზადაა შეურიგდეს დღისით-მზისით ჩადენილ ბოროტებას, ის, ჰერშელ გრინშპანი ვერ შეურიგდება და შეეცდება მისი მშობლებისა და ოჯახის უსამართლო დაჩაგვრისათვის მაინც იძიოს შური. შვიდი ნოემბრის დილით იყიდა რევოლვერი და იმავე დღეს გამოცხადდა გერმანიის პარიზის საელჩოში. გულში მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მოეკლა ელჩი, მაგრამ გააგზავნეს მრჩეველთან - ერნსტ ფონ-რატთან, რომელმაც ჰკითხა რა გინდაო. მაშინ ორჯერ იქუხა გრინშპანის რევოლვერმა და ფ-

ონ რატი მძიმედ დაჭრილი დაეცა. პარიზის პოლიციაში ჰერშელ გრინშპანმა განაცხადა:

„გადავწყვიტე პროტესტის ნიშნად მომეკლა გერმანიის საელჩოს თანამშრომელი. მე უნდა ვიძიო ებრაელთა შური, რათა მსოფლიოს ყურადღება მივაპყრო იმაზე, რაც გერმანიაში ხდება".

საბრალო ჭაბუკმა რა იცოდა მაშინ, რომ ამით იქნებოდა მისი თავგანწირვა. ახალგაზრდა ებრაელის ამ სასოწარკვეთილმა საქციელმაც ვერ შეაძრწუნა მსოფლიო. თვითონ ის პარიზის ციხეში ჩასვეს. გერმანელები რომ პარიზში შევიდნენ, მათ ის ხელთ იგდეს, სპეციალურად გააგზავნეს ბერლინში აიხმანის განყოფილებაში დასაკითხად. დაკითხეს და ამის შემდეგ გაქრა მისი კვალი.

ფონ-რატი ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა ჭრილობებისაგან. ჰაიდრიხმა დაუყოვნებლივ მიუთითა გესტაპოს ყველა ნაწილს, რომ ფონ-რატზე თავდასხმის შემდეგ „მოსალოდნელია დემონსტრაციები ებრაელთა წინააღმდეგ". მან პოლიციას უბრძანა: მონაწილეობა მიიღე დემონსტრაციების დაგეგმვაში, წარმართვაში; ნება მიეცი გაანადგურონ ებრაელთა ქონება, დასწვან სალოცავები, ოღონდ თუ შეიძლება, რომ ცეცხლი არ გავრცელდეს მეზობელ უბნებზე. უნდა მოხდეს ებრაელი ჯამაათების მთელი ქონების კონფისკაცია.

ნაცისტურმა გერმანიამ ევროპაში განაახლა ებრაელთა სამლოცველოების გადაწვა, რასაც მანამდე ბნელ შუა საუკუნეებში ჰქონდა ადგილი.

ბროლის ღამე - გეგმა იცვლება

ის ღამე,9 ნოემბერი რომ გადაიოდა და 10 ნოემბერი იწყებოდა,ცნობილია ბროლის ღამედ. ნაცისტი ხულიგნები შეიჭრნენ ებრაელთა ბინებში,ძარცვავდნენ,ანადგურებდნენ,ძალადობდნენ. აუარება ხალხი შეყარეს საკონცენტრაციო ბანაკებში,თითქოს იმისათვის,რომ „ისინი დაეცვათ ხალხის რისხვისაგან". ეს იყო ნაცისტთა პირველი ცდა ერთდროულად და მასობრივად დაემწყვდიათ ებრაელები და მათთვის ეგემებინათ საკონცენტრაციო ბანაკების გემო. დაიწვა 101 სამლოცველო,დაინგრა 76,მოისპო 7.500 წარმოება-დაწესებულება. და ეს მონაცემები მოყვანილია იმ ოფიციალური მოხსენების მიხედვით,რაც პაიდრიხმა წარუდგინა გერინგს ორი დღის შემდეგ ებრაულ საკითხებზე გამართულ მინისტრთა სხდომაზე და რომლის სრულ ოქმსაც წარმოგიდგენთ, პატივცემული მსაჯულნო. მარტო ვიტრინების ზარალი შეადგენდა 6 მილიონ მარკას და სხდომის მონაწილეებს განსაკუთრებით აწუხებდათ ის პრობლემა,რომ დაზღვევის სააგენტოებს დაეკისრებოდათ ებრაელებისათვის მიყენებული ამ ზარალის ანაზღაურება. პრობლემა უბრალოდ გადაწყვიტეს - დაზღვევის სააგენტოები ამ ზარალის თანხას გადაუხდიან გერმანიის ხაზინას,ებრაელებს კი დაეკისრებათ საკუთარი სახსრებით შეაკეთონ დაზარალებული შენობები და მოწყობილობანი. გერინგი ჩიოდა,რომ დიდძალი ქონება განადგურდა უაზროდ და როდესაც პაიდრიხმა მოახსენა,რომ მოკლულია 35 ებრაელი, გერინგმა თქვა:„აჯობებდა მოგეკლათ 200 და ამდენი ქონება არ მოგესპოთ".

იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა იმაზეც,რომ ებრა

ელები აეძულებინათ ეტარებინათ განსაკუთრებული ნიშანი და სხდომის ბოლოს გერინგმა თქვა:

„მოვნახავ შესაბამის ფორმულირებას ბრძანებისათვის,რომლის მიხედვითაც ებრაელებს - ყველას - დაევალება არამზადული ბოროტმოქმედებისათვის და ა.შ. და ა.შ. ჯარიმად გადაიხადონ ერთი მილიარდი მარკა. ღორები არც ისე ჩქარა ჩაიდენენ მეორე მკვლელობას. და საერთოდ მე უნდა გავიმეორო,რომ არ ვისურვებდი ამჟამად გერმანიაში ებრაელად ყოფნას".

ჯარიმა დაეკისრათ,ძალაში შევიდა სასტიკი კანონმდებლობა,რომლითაც ებრაელები მოწყვიტეს ყოველგვარ სარჩენ წყაროს.

ბროლის ღამე აისმანმა გაატარა ვენაში და ჩვენ კიდევ გვექნება შესაძლებლობა თვალი მივადევნოთ რას აკეთებდა იმ დროს.

გავაგრძელე მინისტრთა იმ სხდომაზე ლაპარაკი რადგან იგი ნიშნავდა შემობრუნებას და მოსამზადებელ საფეხურს მომავლისათვის. ეს იყო ნაცისტების მეორე საცდელი ნაბიჯი ებრაელთა მიმართ.თუკი შეიძლება მათ ასე მოექცნენ და მსოფლიო არ შეძრწუნდა,შეიძლება წინსვლა საბოლოო გადაწყვეტის გზაზე.

### გაძევება და ქონების წართმევა:
### მიზანთა ერთობა

იმავე თათბირს ჰაიდრიხმა მოახსენა ბრალდებულის საქმიანობაზე ვენაში და თავი მოიწონა იმით,რომ ვენის საემიგრაციო ცენტრის მოღვაწეობის წყალობით ავსტრია უკვე დატოვა 50 ათასმა ე

ბრაელმა. გადაწყდა შექმნილიყო ებრაელთა ემიგრაციის საიმპერიო სამსახური. 1939 წლის იანვარში გერინგმა ჰაიდრიხს დააკისრა განეხორციელებინა ეს გადაწყვეტილება და გამოეყენებინა ყველა საშუალება ემიგრაციის დასაჩქარებლად. ეს ემიგრაცია-გაძევება ამიერიდან ხორციელდებოდა მთელი გერმანიის მასშტაბით და 1939 წლის ივლისიდან ჩეხოსლოვაკიის იმ ტერიტორიიდანაც კი,რასაც ამ დროისათვის დაეპატრონენ გერმანელები და უწოდეს „პროტექტორატი".

გერინგმა უშიშროების სამსახურისა და უშიშროების პოლიციის უფროსი ჰაიდრიხი ბრძანებით დანიშნა ებრაელთა ემიგრაციის ცენტრალური სამსახურის უფროსად,ხოლო შახტის ყოფილი თანაშემწე,ეკონომისტი ვოლტატი გამგეობის წევრად. ამგვარად დაიზღვია გერინგმა თავი: სანამ ჰაიდრიხი ცდილობს ებრაელებს დაატოვებინოს გერმანია,ვოლტატი იზრუნებს გაძარცვოს ისინი.

ამ გზით დასძლია გერინგმა ის ეჭვები,რაც აშკარად გამოთქვა მინისტრთა თათბირზე,როცა ფინანსურ-ეკონომიური მოსაზრებები წამოაყენა იძულებითი ემიგრაციის წინააღმდეგ. ამიერიდან მონახული იყო გზა ამის გასაკეთებლად ისე,რომ არ დაზარალებულიყო გერმანიის ეკონომიკა,რომლის საომარ რელსებზე გადაყვანის პასუხისმგებელიც იყო გერინგი.

ამიერიდან ებრაელის თავისუფლებით ვაჭრობა გახდა გერმანიის ოფიციალური პოლიტიკა. რიბენტროპმა განაცხადა 1939 წლის 25 იანვრით დათარიღებულ საგარეო საქმეთა სამინისტროს ინსტრუქცი-

აში,რომ ნაცისტური გერმანიის პოლიტიკის ბოლო მიზანი არის ყველა ებრაელის ემიგრაცია და პრობლემა ვერ გადაიჭრება,სანამ უკანასკნელი ებრაელი არ დატოვებს გერმანიის მიწა-წყალს. ხოლო ეკონომიკის მინისტრს ფუნკს შეეძლო მაშინ გაეცხადებინა,რომ გერმანიის ებრაელთა 7 მილიარდი მარკიდან 2 მილიარდი უკვე გადავიდა სახელმწიფოს ხელში და იმედია,რომ ახლო ხანებში გერმანია მიიღებს დანარჩენსაც.

მიზანი:

მოკვლა და ქონების მითვისება

ეს ორი რამ: ებრაელთა ფიზიკურად მოშორება თავიდან - გაძევების თუ მკვლელობის საშუალებით - და მათი ქონების წაგლეჯა იქცევა ამიერიდან ნაცისტური გერმანიის პოლიტიკის უცვლელ მიზნად. გაძევება და წაგლეჯა დასაწყისში; მოკვლა და წაგლეჯა შემდეგ ისე იქნებიან ერთმანეთთან გადაჯაჭვული ყოველგვარ ორომტრიალში,რომ შეუძლებელი ხდება მათი გარჩევა ერთმანეთისაგან და გაგება,თუ რომელი მათგანია უფრო მნიშვნელოვანი და ამ ორი მიზნისაგან რომელი ემსახურება რომელს. ორივე წარმოადგენდა საბოლოო გადაწყვეტის პრობლემაზე პასუხის ნაწილს,ორივე წარმოადგენდა გერმანელთა ზრახვის - ერთდროულად მოკვლისა და მითვისების ძირითად პრინციპს. და კატასტროფის ყველა ორომტრიალში, გაგუდვით,დაწვით,ჩამოხრჩობით,ტანჯვით მოკვლინების,კაცობრიობის გონებისათვის მიუწვდომელ და ამაზრზენ საშინელებაზე გაგზავნილ ანგარიშებში ყოველთვის

მოიპოვება თანმხლები პარაგრაფი ქონების გამარცვის შესახებ.

ომი რომ აცყდა,ებრაელთა იძულება ემიგრაციაზე არ შეწყვეცილა და ხაზი შეიცვალა,როგორც ვთქვით,მხოლოდ მაშინ,როცა მიიღეს ახალი გადაწყვეცილებანი ებრაელთა ფიზიკური ბედის შესახებ.

დასარყისში ჯერ კიდევ არ დაედგინათ რა ექნათ ებრაელებისათვის. უნდა მოეშორებინათ კია თავიდან,მაგრამ არა მთლიანად; უნდა გაეძევებინათ,მაგრამ უნდა დაეცოვებინათ გარკვეული რაოდენობა,რათა გარე სამყაროს მიმართ ექციათ მძევლებად,რომ ამ მძევალთა მოსპობის მუქარით მხოფლიოს მესვეურნი აეძულებინათ დამორჩილებოდნენ გერმანიის ნება-სურვილს. ჰიცლერმა ეს აზრი გამოხაცა დანციგის სენაცის პრეზიდენცთან - რაუშინგთან საუბარში. 1939 წლის 30 იანვარს ჰიცლერმა რაიხსცაგში წარმოთქვა ცნობილი სიცყვა,რომელშიც იწინასწარმეცყველა,რომ თუ ევროპისა და მის გარეთ,საერთაშორისო კაპიცალზე გაბაცონებული ებრაელობა კვლავ წაუბიძგებს ხალხებს მსოფლიო ომისაკენ,ეს ბოლშევიზმის გაბაცონებას და ამრიგად ებრაელთა გამარჯვებას კი არ გამოიწვევს,არამედ ევროპის ებრაელთა მოსპობას.

ჰიცლერმა ისევ დაუკავშირა ებრაელობა თავის ორ მოსისხლე მცერს - კაპიცალისცურ დასავლეთს და კომუნისცურ აღმოსავლეთს. მისი თქმით ორივეგან ბაცონობენ ერთმანეთის მოკავშირე ებრაელები. კაპიცალისცური წრეები - მისი შეხედულებით - ესწრაფვიან კომუნისცების გამარჯვებას,რათა მათი საშუალებით მიაღწიონ ებრაელთა გაბაცონე-

ბას. ამ მტკიცების სულელურობა და აბსურდულობა იმდენად თვალშისაცემია,რომ საჭიროც კი არაა მისი ანალიზი. მაგრამ ჩვენთვის ამ მტკიცებაში მნიშვნელოვანია ის,რომ ებრაელთა მოსპობა ჰიტლერმა გამოიყენა მსოფლიოსთან გარიგების და შანტაჟის ერთ-ერთ ფაქტორად: „დამორჩილდით ჩემს მოთხოვნებს,თორემ ვაი თქვენს ებრაელებსო!" ამ ურჩხულის ყველა წინასწარმეტყველება გაცრუვდა. ათასწლიანი რაიხი ბროლის კოშკივით დაიმსხვრა. „ახალი წესრიგი",რომელიც კაცობრიობის და ცივილიზაციის საფუძველი უნდა გამხდარიყო,გადაიქცა ისტორიული სიბილწის სიმბოლოდ. არიელ ბატონთა ერი მუხლებზე წამოაჩოქა „გადაგვარებულმა პლუტოკრატებმა" და „დაბალი რასის" ხალხებმა - სლავებმა. გერმანია არა თუ გააძევეს მითვისებული„პურის ბეღლიდან" - უკრაინიდან,რასაც ჰიტლერი სამუდამო სამკვიდროდ პირდებოდა გერმანელებს, - არამედ თვით გერმანია გაყეს ორად და ბისმარკის ნამუშევარმა - ერთიანმა გერმანიამ ჩაიდურის წყალი დალია.

მაგრამ ერთი აღთქმა,ეს შემაზრზენი სიბილწე, რომელმაც სამუდამოდ ჩირქი მოსცხო გერმანიას, ადოლფ ჰიტლერმა შეასრულა. ეს აღთქმა - მოესპო ევროპის ებრაელობა - მან შეასრულა ამჟამად ჩვენს წინაშე სამართალში მდგომი სხვა ადოლფის საშუალებით.

ებრაელთა საკითხის გადაჭრა ნაცისტური ხელისუფლების დასაწყისიდან დარჩა გესტაპოსა და ესესის ხელში. 1940 წლის ივნისში ჰაიდრიხმა აცნობა რიბენტროპს,რომ რაიხის ხელისუფლების ქ-

ვემ ებრაული მოსახლეობის ძალიან გაზრდის გამო ემიგრაცია უკვე აღარ ჩაითვლება ებრაული პრობლემის გადაწყვეტად. ამრიგად, განაცხადა ჰაიდრიხმა, საჭიროა მოიძებნოს ებრაული პრობლემის საბოლოო გადაჭრის ტერიტორიული ვარიანტი. ამისათვის სურდა მას დათათბირება.

## ჩაფუშული გეგმები

ვაძევების პროგრამათა ჩარჩოებში წარმოიშვა ტერიტორიული ვარიანტის ორი განუხორციელებელი გეგმა. ერთი - ყველა ებრაელი გაიგზავნოს მადაგასკარზე. სინამდვილეში ეს იყო ძველი მზაკვრობა, რომელიც ანტისემიტურ ლიტერატურაში გამოჩნდა 20-იან წლებში, რომლითაც თავს იქცევდა პოლონეთის მთავრობა 30-იან წლებში და რომელზეც საუბარიც ნაცისტებმა ოფიციალურად დაიწყეს ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე. გერინგი და როზენბერგი მოწოდებით გამოვიდნენ რაიხსტაგში. ამ საკითხის გარშემო აქტიურობდნენ დიპლომატები და წარმოებდა ფსევდო-მეცნიერული გამოკვლევები.
1940 წლის ივლისში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაამუშავა მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც დამარცხებულ საფრანგეთს საზავო ხელშეკრულების ფარგლებში მოთხოვდნენ დაეთმო მადაგასკარი. იქ აიგებოდა გერმანიის სამხედრო ბაზა და გერმანული სამანდატო ხელისუფლების ქვეშ იქ დასახლდებოდნენ ებრაელები, როგორც „საწინდარი იმისა, რომ მათი რასა ამერიკის შეერთებულ შტატებში კარგად მოიქცეოდა".

ამ საქმეში ბრალდებულის ხელიც ერია. მისი

განყოფილების ერთ-ერთმა მუშაკმა,მასთან დაახლოებულმა თანამშრომელმა დანეკერმა,რომლის სახელსაც ხშირად გავიგონებთ ამ პროცესზე,თავისი სა გარეო საქმეთა სამინისტროსათვის დაამუშავა დაწვრილებითი მემორანდუმი მადაგასკარის პროექტის შესახებ. ამ პროექტის უპირატესობა, - წერდა იგი, - მდგომარეობს ებრაელთა განმარტოებაში კუნძულზე; განსორციელდება ებრაელთა ქონების კონფისკაციით; განახორციელებენ გესტაპოელები; ყოველ წელიწადს უნდა გაიგზავნოს 1 მილიონი ებრაელი.

რა თქმა უნდა,რომ ეს პროექტი განუხორციელებელი დარჩა. დღეს მკვლევარებს შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს იმაზე,ნაცისტები როდისმე მართლა სერიოზულად ფიქრობდნენ მის განხორციელებას,თუ ეს იყო უკვე ჩანასახში მყოფი სხვა გეგმის დაფარვის ერთ-ერთი საშუალება. როგორც უნდა იყოს,თითქმის არაფერი გაუკეთებიათ მის განსახორციელებლად.

სამაგიეროდ შეეცადნენ ცერიცორიული თავმოყრა მოეხდინათ სხვა პროექტით და მოეწყოთ ებრაელთა რეზერვუარი ლიუბლინის რაიონში მდინარეებს ვისლასა და სანს შორის. ეს პროექტი ცნობილია „ნისკოს" სახელწოდებით,იმ სოფლის სახელის მიხედვით,რომელიც დგას ამ პაცარა რაიონის ცენტრში. ამ რაიონში გადაასახლა 1939 წლის ზამთარში აისმანმა ვენელი,მორავიელი და ბოჰემელი ებრაელები. მოისმენთ მოწმეთა ჩვენებებს გასახლებულთა ქონების წართმევაზე,ადგილზე მათი უპატრონოდ დაყრის შესახებ; მათი დამცირება-შე

ურავხყოფის შესახებ; იმაზე,თუ როგორ გარეკეს მათი ნაწილი საბჭოთა საზღვრისაკენ მუქარით:ვი ინც დაბრუნდება,მოვკლავთო.

აიხმანი პირადად უძღვებოდა ამ გასახლების საქმეს და რამდენიმე დღეც გაატარა ნისკოს რაიონში. ბოლოს პროექცზე ხელი აიღეს პოლონეთის გენერალ-გუბერნატორის ჰანს ფრანკის წინააღმდეგობის გამო. მან დაარწმუნა გერინგი,რომ ეს პროექტი ხელს უშლის გერმანიის სამარ ლონისძიებებს. ნისკოში გადასახლებულები შემდეგში მოპ ყვნენ ბელეცის სასიკვდილო ბანაკის მხხვერპლთა შორის.

## ამოყლეცის გეგმა ყალიბდება

საბჭოთა კავშირზე თავდასხმა 1941 წლის 22 ივნისს და,რამდენიმე თვის შემდეგ - იმავე წლის დეკემბერში - ამერიკის შეერთება მოკავშირეებთან წარმოადგენენ შემობრუნების პუნქცს ამოყლეცის დაგეგმვაში. თუმცა ამაზე ლაპარაკი ადრეც გარკვევით იყო. სახამართლოს წარედგინება ოქმი სხდომისა,რომელიც მოიწვია ჰაიდრიხმა 1939 წლის 21 სექცემბერს. ამ სხდომაზე ესესის სხვა მაღალი რანგის ოფიცრებთან ერთად მონაწილეობდა აიხმანიც. ამ სხდომაზე დასახეს დაპყრობილი პოლონეთის ცერიცორიებზე ებრაელებისადმი მოპყრობის გზები. იმავე დღეს ჰაიდრიხმა ბრძანება გასცა ესესის ყველა ოპერაციული ფორმირებისადმი „ეინზაცგრუპენისადმი",რომლებიც თან ახლდნენ არმიას და წარმოადგენდნენ უშიშროების

განსაკუთრებულ დავალებათა ნაწილებს. მათი მოვალეობანი ჩამოყალიბებულია ჰაიდრიხის მიერ. იგი აფრთხილებს, რომ ყველა ბრძანება წარმოდგენს სასტიკ საიდუმლოებას და ახდენს განსხვავებას შორეულ და ახლობელ სამიზნო პროგრამებს შორის. პირველი მათგანი, უკვე მაშინ გულისხმობდა უეჭველად ნამდვილ გაჟლეტას, მეორე კი ჩამოთვლიდა ღონისძიებებს, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა განხორციელებულიყო: ებრაელთა თავმოყრა ქალაქებში, გაძევება სოფლებიდან, დაბინავება სარკინიგზო კვანძების მახლობლად, უხუცესთა საბჭოების შექმნა, რათა მათ დაეკისროთ პირდაპირი პასუხისმგებლობა ებრაელთა თავმოყრისათვის. ჰაიდრიხმა წინადადება წამოაყენა ებრაელთა თავმოყრის საბაბად ეთქვათ: ებრაელები მონაწილეობდნენ არეულობებსა და ძარცვაშიო. თავმოყრის ადგილებზე გადასვლის ბრძანების შეუსრულებლობას მოჰყვება უსასტიკესი სასჯელი. ოქმის მიხედვით, ჰაიდრიხმა ბრძანა მისთვის მოეხსენებინათ ყოველი განაჩენი, რომელიც სიკვდილით დასჯას არ გამოუტანდა დამნაშავეებს ოკუპირებულ რაიონებში.

გაიცა განკარგულებანი დაეკავებინათ ებრაელთა საწარმოები, ებრაელებისათვის აეკრძალათ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა და ღამის საათებში აეკრძალათ მათთვის ბინიდან გამოსვლა.

ჰაიდრიხი მოითხოვდა სისტემატურად წარედგინათ მისთვის ანგარიში, თუ რას აკეთებდნენ ოპერაციული ფორმირებანი მის ბრძანებათა აღსასრულებლად და დაამთავრა ასე:

„აღნიშნულ მიზანთა მისაღწევად მე მოვითხოვ

დაუყოვნებლივ ჩავრთოთ საქმეში უშიშროების სამსახურის მთელი ძალები. ერთმანეთის მეზობლად მოქმედი „აინზაცგრუპენის" მეთაურებს კავშირი ექნებათ ერთმანეთთან,რათა ამ ღონისძიებათა ქსელმა მოიცვას მთელი სავარაუდო ტერიტორია სრულად და დაუყოვნებლივ".

პოლონეთის ებრაელობის კატასტროფაზე რომ ვლაპარაკობთ,კიდევ ვნახავთ როგორ განახორციელეს ოკუპანტებმა ბრძანებები,მოვისმენთ თუ რა დამცირება-შეურაცხყოფანი და ძარცვა-მკვლელობანი მოჰყვა ამ ბრძანებებს.

ერთიანი გეგმა

ყველა ოკუპირებული რაიონისათვის;

ებრაელთა ემიგრაციის აკრძალვა

მაგრამ ნაცისტური გერმანიის ხელისუფალნი ებრაელთა პრობლემის საბოლოო გადაწყვეტაზე - ახლებური გაგებით,სრული ფიზიკური განადგურებით - გადავიდნენ მხოლოდ საბჭოთა კავშირში შეჭრის სანებში. 1941 წლის 31 ივლისს გერინგმა უბრძანა ჰაიდრიხს:

„იმ დავალების სრულყოფისათვის,რაც დაგაკისრე 1939 წლის 24 იანვრის ბრძანებით - გადაგეწყვიტა ებრაელთა პრობლემა ემიგრაციის ან ევაკუაციის გზით იმგვარად,როგორც ჩათვლიდი შესაფერისად შესაბლო გადაწყვეტისათვის, - ამით გიბრძანებ გააკეთო ყველა საჭირო მოსამზადებელი ღონისძიებანი ორგანიზაციული,პრაქტიკული და ეკონომიური თვალსაზრისით,რათა საყოველთაოდ გადაწყდეს ებრაული პრობლემა ევროპაში გერმანიის გავლენის

საზღვრებში. კიდევ გიბრძანებ დაჩქარებით წარმომიდგინო ყოველმხრივი გეგმა ორგანიზაციული,პრაქტიკული და ეკონომიური ღონისძიებებისა სასურველი საბოლოო გადაწყვეტის განსახორციელებლად.

ამით მიეცა ოფიციალური სიგნალი. ჰაიდრიხს დაევალა განადგურების დაგეგმვა. მან კი თავის მხრივ დასაგეგმავად და განსახორციელებლად დანიშნა სასტიკი და ფანატიკოსი ადამიანი,მტანჯველი და მტერი,ეს ავკაცი აიხმანი.

„საბოლოო გადაწყვეტისათვის" ჯერ კიდევ ამ დრომდე დაიწყეს ებრაელთა მასობრივი მკვლელობანი ახალმა საოკუპაციო ნაწილებმა იმ რაიონებში,რომლებიდანაც დაიხიეს უკან საბჭოთა არმიებმა 1941 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე. ამ მკვლელობებზე კიდევ შევჩერდებით შესაბამის ნაწილში. ჯერ კიდევ მანამდე ხორციელდებოდა ნაწილობრივი და მასობრივი გაძევებანი აღმოსავლეთისაკენ თვითონ გერმანიიდანაც. მაგრამ ბერლინში იმავე დროს ხდებოდა „საყოველთაო დაგეგმვა". 1941 წლის აგვისტოში აიხმანი სწერდა თავის საგარეო საქმეთა სამინისტროს,რომ მიმდინარეობს „ევროპის ებრაელობის პრობლემის საბოლოო გადაწყვეტისათვის მომზადება და ამის გათვალისწინებით" უნდა შეწყდეს ემიგრაცია. მოსამზადებელი სამუშაოები დამთავრდა იმავე წლის ნოემბრამდე, რადგან იმავე საქმესთან დაკავშირებით მაშინ წერდა „უკვე კარს მომდგარ საბოლოო გადაწყვეტაზე".

იმავე ზაფხულში აიხმანს ვხედავთ ოსვენციმში. აქ იგი რუდოლფ ჰესთან აგვარებს სხვადას-

ხვა ტექნიკურ საკითხებს და არჩევს მოხერხებულ ადგილს ამოყლეტის დანადგარებისათვის. შემოდგომაზე აიხმანი გაფრინდა კიევში და ჰიმლერს წარუდგა. ჰიმლერმა,როგორც ჩანს,მიიღო სრულიად დამაკმაყოფილებელი ანგარიში,რამდენადაც 1941 წლის 27 ოქტომბრის ბრძანებით აკრძალა ებრაელთა ყოველგვარი ემიგრაცია გერმანიის ხელქვეით მყოფი ტერიტორიებიდან. ორი დღით ადრე,25 ოქტომბერს,ოკუპირებულ ტერიტორიათა სამინისტროს თანამშრომელი ვეცელი წერდა,რომ აიხმანს შეუთანხმდნენ გაზის დანადგარები გამოიყენონ ებრაული პრობლემის გადასაწყვეტად.

ჩვენ ვხედავთ: დაგეგმვა დასრულდა,საშუალებები დადგინდა. ებრაელთა ემიგრაციის ადგილს დაიკავებს მათი დახოცვა.

დაგეგმვა დასრულდა:

ეიხმანი იწყებს სისხლიან საქმეს

ამიერიდან გესტაპოს ებრაული განყოფილების უფროსს დაეკისრება წარმართოს გერმანიის სხვა სმინისტროთა საქმიანობის დაგეგმვა იმ გენერალური პროგრამის შესაბამისად,რომლის ძირითადი ხაზები მოინიშნა ჯერ კიდევ 1939 წლის სექტემბერში. 1941 წლის 15 სექტემბერს ბრალდებულმა ჰაიდრიხს ხელმოსაწერად გაუგზავნა განკარგულებანი,რომლთა მიხედვითაც სავალდებულო ხდებოდა „ებრაელთა ნიშნის" შემოღება თვით გერმანიაშიც და მთელ ოკუპირებულ ტერიტორიაზეც. ეს ნიშანი უკვე დიდი ხნის შემოღებული იყო აღმოსავლეთში დაპყრობილ ტერიტორიებზე. ყოველ ებრაელს დაევა-

და მარცხენა მკერდზე ეცარებინა სპეციალური ნიშანი,რომ ყოველ დამნახველს გამოეცნო. ებრაულ დაწესებულებებს დაევალათ თვითონ მოემარაგებინათ ეს ნიშნები. ებრაელებს აეკრძალათ საცხოვრებელი ადგილების დატოვება და ტრანსპორტის საშუალებათა გამოყენება გარდა განსაკუთრებული,ზუსტად ჩამოთვლილი შემთხვევებისა.

მაგრამ იყო პრობლემებიც. ოკუპირებულ ტერიტორიათა მინისტრმა როზენბერგმა გამოსცა რამდენიმე ინსტრუქცია დაკავებული რაიონების საოკუპაციო ხელისუფლებისათვის. ეს ინსტრუქციები მოიცავ და ბალტიისპირეთს,აღმოსავლეთ პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს. ამ მითითებებს ეწოდება „ყავისფერი პორტფელი" და მასში იყო თავები ებრაელთა შესახებაც,რომელთა მიმართაც მოხსენიებულია უსასტიკესი ღონისძიებანი,მაგრამ არა მოსპობა. „ებრაელთა პრობლემა მთელ ევროპაში თავის გადაწყვეტას პპოვებს ომის დამთავრების შემდეგ", - ნათქვამია მასში. მაგრამ როდესაც ამ პორტფელის მონახაზის შესახებ გაიგო ჰაიდრიხმა,მეტად მნიშვნელოვანი წერილით გამოეხმაურა მას. წერილი დათარიღებულია 1942 წლის 10 იანვრით. ჰაიდრიხი არ თანხმდება როზენბერგის წინადადებებს და მოითხოვს მხედველობაში მიიღონ უკვე გაცემული განსაკუთრებული განკარგულებანი,რომლებიც,როგორც ცნობილია,შეიცავენ სრულ ამოჟლეტას. ჰაიდრიხი წერდა:

„უშიშროების მთავარი საიმპერიო სამმართველოს მიერ (პასუხისმგებელი შტურმბანფიურერი აიხმანი) დადგენილი ებრაული პრობლემის გენერალური

ხაზის გათვალისწინებით გთხოვთ ხელახლა გადამ-ეჭდოთ განკარგულებანი".

შესწორებანი

ეიხმანის ყვითელ პორტფელში;

ადგენს, რომ ებრაელთა „ლიკვი

დაცია" ვერ გადაიდება ომის

დამთავრებამდე

ჯერ კიდევ იმავე თვეში გადაუგზავნა ჰაიდრი ხმა როზენბერგს „ყავისფერ პორტფელში" აიხმან-ის მიერ გაკეთებული შესწორებანი. ამ დოკუმენ-ტის მნიშვნელობის გამო ვრცლად მოვიტან ადგილ-ებს მისგან:

„ებრაულ საქმესთან დაკავშირებული ყველა ღო-ნისძიება აღმოსავლეთის ოკუპირებულ ტერიტორი-ებზე უნდა შევაფასოთ იმ თვალსაზრისით, რომ ებ-რაულმა პრობლემამ თავისი გადაწყვეტა ჰპოვოს მ თელი ევროპის მასშტაბით. ამჟამად აღმოსავლეთ-ში ოკუპირებულ ტერიტორიებზე უნდა გატარდეს ი-სეთი ღონისძიებანი, რომლებიც რაიმე ფორმით არ შეუშლიან ხელს ებრაელთა საკითხის გადაჭრას და ამგვარად ებრაელობის ლიკვიდაციას. სწორედ აღ-მოსავლეთში ოკუპირებულ ტერიტორიებზე უნდა მი-ვისწრაფოდეთ ყველაზე სწრაფი გადაჭრისაკენ.... ხელი არ შეუშალოთ ადგილობრივი მოსახლეობის მო ქმედებას ებრაელობის წინააღმდეგ... ებრაელობ-ის სალიკვიდაციოდ მიმართულ ღონისძიებათა დაწყ ებამდე უსასწრაფესად უნდა გამოეყოს ებრაელობა სხვა მოსახლეობას... უნდა აიკრძალოს ებრაელთა

თავისუფალი მიმოსვლა. ებრაელები გადაყვანილ უნდა იქნან გეტოებში... გარესამყაროსგან გეტოს გამყოფი საზღვრის დაცვა დაევალოს ჩვეულებრივ პოლიციას... ებრაელობის საღიკვიდაციოდ მიმართული ღონისძიება გატარდება მიუხედავად ეკონომიური საჭიროებებისა... უნდა აღირიცხოს მთელი ებრაული ქონება.უნდა შეწყდეს ქონების გადაცემა სხვებზე..."

მაგრამ საქმე არ გვარდებოდა მარტო წერილების გაგზავნ-გამოგზავნით. ოკუპირებული პოლონეთის გენერალ-გუბერნატორი ფრანკი ცდილობდა ებრაელთა საკითხები ეგვარებინა თავისებურად და გესტაპოს ხელიდან გამოეგლიჯა იგი. სხვა აღგილებშიც იჩინა თავი სიძნელეებმა. ამის გამო აისმანმა წამოაყენა წინადადება სათათბიროდ მოეწვიათ მაღალი რანგის თანამშრომლები,რომლებიც დაკავშირებულნი იქნებოდნენ ყლეტის პროგრამის განხორციელებასთან. ჰაიდრიხი დაეთანხმა. აისმანმა შეასრულა ყველა მოსამზადებელი სამუშაო ამ კონფერენციისათვის - ფაქტობრივი მასალის მ ერჩევიდან მოსაწვევთა ტექსტებამდე. მოწვეულებს თხოვეს გამოენახათ დრო „იმის გათვალისწინებით,რომ ამ საკითხთა მნიშვნელობა მეტად გან საკუთრებულია და საჭიროებს ერთიანი შეხედულების გამომუშავებას".

ვანზეეს კონფერენცია -

ყლეტის საკითხთა კოორდინაცია

სამინისტროთა შორის

კონფერენცია ჩატარდა 1942 წლის 20 იანვარს

ბერლინის გარეუბან გროს-ვანზეეში. მასში მონა
წილეობდნენ აღმოსავლეთში ოკუპირებულ ტერიტორ-
იათა,შინაგან საქმეთა,იუსტიციის,საგარეო საქ-
მეთა,ეკონომიკის,რასისა და კოლონიზაციის სამი
ნისტროთა ცენტრალური ფიგურები  ამ სამინისტ-
როთა გენერალური დირექტორები,პარტიის წარმომა
დგენლები,უშიშროების მთავარი საიმპერიო სამმა
რთველოს წარმომადგენლები,რაიხსკანცელარიიის წ
არმომადგენლები და,რა თქმა უნდა,აიხმანი.ამ კ
ონფერენციაზე ბრალდებულის მიერ მომზადებული მ
ონაცემებით მოხსენებით გამოვიდა ჰაიდრიხი.მან
მოიხსენია გერინგის ბრძანება და ყოველგვარი ე
ჭვების გასაფანტავად თავიდანვე განაცხადა,რ-
ომ მისი სამმართველო არის პასუხისმგებელი ორ-
განიზაციური საბოლოო გადაწყვეტის განხორციელე-
ბაზე ყველგან და მიუხედავად ყოველგვარი გეოგ-
რაფიული საზღვრებისა. მან მოიხსენია აღმოსავ-
ლეთში დაგროვილი „პრაქტიკული გამოცდილება" და
ამ გამოცდილების გაკვეთილთა მნიშვნელობა საბო
ლოო გადაწყვეტისათვის. მას შემდეგ,რაც მოკლედ
მიმოიხილა „ამ მტერთან ბრძოლაში" მანამდე გა-
დადგმული ნაბიჯები,რომელთა მიზანსაც შეადგენ-
და ებრაელთა მოშორება ტერიტორიებიდან,რომელზ-
ეც ცხოვრობს გერმანელი ხალხი და რომლებიც წარ
მოადგენს გერმანელთა სასიცოცხლო სივრცეს,ჰაი-
დრიხმა განაცხადა,რომ ემიგრაცია შეწყდა ჰიმლე
რის განკარგულებით და ახლა დაიწყება ფიურერის
ბრძანებით,ებრაელთა ევაკუაცია აღმოსავლეთისა-
კენ იმ მიზნით,რომ საბოლოოდ გადაწყდეს პრობლე
მა.

სასამართლოს დავუმტკიცებთ,რომ ფაშისტური შ-ენილბვის სისტემით გამოთქმა „საბოლოო გადაწყვეტა" ამ შემთხვევაში ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ ებრაელთა ფიზიკურ მოკვდინებას. ამასვე ნიშნავს სხვა ცნებებიც „ლიკვიდაცია", „ყოვლისმომცველი გადაწყვეტა" და მრავალი სხვა.

ჰაიდრიხმა ჩამოთვალა ქვეყნები,რომელთაც უნ-და შეხებოდა საბოლოო გადაწყვეტა. მათ შორის ნაცისტების მიერ ოკუპირებული ყველა ქვეყანა და აგრეთვე ინგლისი,ირლანდია,ესპანეთი,თურქეთი და მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორია. საბოლოო გ-ადაწყვეტა უნდა შეხებოდა ებრაელებს,რომელთა რიცხვმა ჰაიდრიხის მოხსენებაში მიაღწია 11 მილი-ონამდე. მის სიაში ესტონეთი უკვე მოიხსენიებო-და „ებრაელებისაგან გაწმენდილად". მისი თქმით პრობლემა გადაწყდება ამგვარად:

„ებრაელებს შესაბამისი ხელმძღვანელობა შესაფერისი საშუალებებით გადაიყვანს აღმოსავლეთში შრომით კოლონებად. მათ გადაიყვანენ,ქალებსა და კაცებს ცალ-ცალკე დიდ კოლონებად იმ რაიონში გ-ზების გასაყვანად. მათი დიდი ნილი უეჭველად დ-აიღუპება ბუნებრივად. დარჩენილ ნალექს,რომელს-აც უეჭველად ექნება წინააღმდეგობის დიდი უნარი დასჭირდება „სპეციალური მოვლა",რამდენადაც იქნება ბუნებრივი ნაშთი და თუ მას შეექმნება განვითარების პირობები გახდება მარცვალი ებრაელობის ხელახალი აღმოცენებისათვის,როგორც ამას ამტკი-ცებს ისტორია".

„საბოლოო გადაწყვეტის განსახორციელებლად ევროპას „გაწმენდთ" სიგრძე-სიგანით. ებრაელებს

შეკრებენ გეტოებში და იქიდან გადაიყვანენ აღ-მოსავლეთით... ოკუპირებულ ქვეყნებსა და ჩვენი გავლენის ქვეშ მყოფ ევროპის ქვეყნებში იმოქმედებს უშიშროების პოლიციის უფლებამოსილი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დანიშნულ უფლებამოსილ წარმომადგენელთან ერთად. ჩვენ დაგიმტკიცებთ,რომ უშიშროების პოლიციის ს-რულუფლებიანი წარმომადგენელი იყო ადოლფ აიხმა-ნი და აგრეთვე დაგიმტკიცებთ,რომ „სპეციალური მ ოვლა" ნიშნავდა მკვლელობას.

ლაპარაკი იყო აგრეთვე შერეული ქორწინებისა-გან წარმოშობილ შთამომავალთა შესახებ. ეს პრობლემა აწუხებდა ამოიღეცის ხელმძღვანელებს. პრინციპალ დადგინდა: პირველ თაობას,მოვლენილს შერეული ქორწინების შედეგად,ე.ი. როცა ერთ-ერთი მ-შობელი ჰყავს ებრაელი,ზუსწად იგივე ბედი ეწევა როგორც სრულყოფილ ებრაელს.

ასეთი განსაკუთრებული მიზეზების მქონეთ მიეცემათ გერმანიაში დარჩენის ნება თუ დათანხმდე-ბიან კასტრაციას.

ასევე დაადგინეს მეორე თაობის ნაშიერთა,თვითონ შერეულ ქორწინებაში მყოფთა და მოსაზღვრე მ ემთხვევების ჯგუფთა მიმართ მოპყრობის წესები.

ეკონომიკის სამინისტრო ითხოვდა ჯერ-ჯერობით არ მოეხდინათ დიდი სამხედრო მნიშვნელობის ქარხნებში მომუშავე ებრაელთა დეპორტაცია. ჰაიდრიხი დაჰყაბულდა მოთხოვნას. პოლონეთის გენერალ-გუბ-ერნატორის წარმომადგენელმა დოქტორმა ბიპლერმა განაცხადა,რომ მათთან უკვე „შეუდგნენ" საბოლოო გადაწყვეტას და ითხოვა ყოველნაირად დაეჩქარები

ნათ პროცესი. მან განაცხადა,რომ მისი რაიონის ებრაელთა 2,5 მილიონიდან უმრავლესობა საერთოდ გამოუსადეგარია სამუშაოსათვის. იგი დათანხმდა რომ საბოლოო გადაწყვეტის განხორციელება იყოს გესტაპოს ხელში. მან აღუთქვა: გენერალ-გუბერნატორის ხელისუფლება ყოველნაირად დაეხმარება ამ საქმეში,ოღონდ ითხოვა რაც შეიძლება სწრაფად შეუდგნენ საქმეს.

ამის შემდეგ მოხდა აზრთა გაზიარება „გადაწყვეტის შესაძლებლობათა სხვადასხვა საშუალებებზე" და აღმოსავლეთის ოკუპირებულ ტერიტორიათა ხელისუფლების წარმომადგენელმა ითხოვა დაესრულებინათ მის ტერიტორიაზე დაწყებული მზადება და იმავდროულად ყოველნაირად აღმოეფხვრათ პანიკა მოსახლეობაში.

ერის მკვლელობის

იურიდიული საფუძველი

ამის შემდეგ ამ საქმეს იურიდიული საფუძველი დაუდეს. იუსტიციის მინისტრმა ტირაკმა განაცხადა,რომ გერმანელი ხალხის ორგანიზმის გასაწმენდად რამდენიმე ელემენტისგან,მათ შორის ებრაელობისაგან,იგი მათი მსჯავრდადების უფლებამოსილებას გადასცემს ესესის რაისხფიურერ ჰიმლერს. ნაცისტური იუსტიციის მინისტრი წერდა:

„მე ვეყრდნობი იმ მოსაზრებას,რომ იურიდიული პროცედურის წვლილი ამ რასების მოსპობაში შეიძლება ძალიან მცირე იყოს. თუმცა მართალია,რომ ახლა მათ წინააღმდეგ გამოაქვთ სასტიკი განაჩენები,მაგრამ ეს არ კმარა მოსსენიებული მ-

იზნის მისაღწევად. არცა აქვს აზრი ვიყოლიოთ ისინი ციხეებსა და საპატიმროებში... ამის ნაცვლად ამ ადამიანთა გადაცემა პოლიციისათვის,რომელსაც ხელ-ფეხი არა აქვს შებორკილი სისხლის სამართლის პროცედურით,გამოიღებს ბევრად უკეთეს ნაყოფს".

ამით საბოლოოდ გაიმარჯვა თვითნებობამ კანონზე. ამით დაგვირგვინდა ნაციონალ- სოციალიზმის მორალური დაცემა; ებრაელობის მოსასპობად მან აშკარად მიიტანა სამსხვერპლოზე თვით სამართლიანობის არსი. ასეთი შემთხვევა არ იცის სამართლის ისტორიამ.

ჯერ კიდევ მანამდე,1942 წლის 6 იანვარს ჰიმლერმა სიკვდილის მისჯის ან „სპეციალური მოვლისათვის" გადაწყვეტის უფლებამოსილება მიანიჭა ესესის IV განყოფილების უფროსსა და მის მოადგილეს. ჩვენ ვნახავთ,რომ აიხმანი იყო ის,ვინც ფაქტიურად იყენებდა ამ უფლებას ჰიმლერის სახელით. იგზავნებოდა დაწვრილებითი ინსტრუქციები, თუ როგორ მოეყვანათ სასიკვდილო განაჩენები სისრულეში საკონცენტრაციო ბანაკებსა და სხვა ადგილებში და როგორ გაეგზავნათ ანგარიშები მათ შესახებ.

მე უკვე აღვნიშნე,რომ ჯერ კიდევ 1941 წელს ჰაიდრისმა დაავალა აიხმანს დაემუშავებინა ამოყლეტის და მისი განხორციელების გეგმა. ამის შემდგომ დადასტურებას ვპოულობთ ჰაიდრისის წერილში 1942 წლის 26 იანვარს. ეს წერილი შეადგინეს ბრალდებულის განყოფილებაში და მასში ლაპარაკია ვანზეეს კონფერენციაზე. წერილში ნათქვა

მის: „ყველას გასახარად მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება საბოლოო გადაწყვეტის განსახორციელებლად გასატარებელი პრაქტიკული ღონისძიებების შესახებ".

საგარეო საქმეთა სამინისტროს წინადადება მიეცა დაენიშნა თავისი წარმომადგენელი ჰაიდრიხის რწმუნებულის ობერშტურმბანფიურერ აიხმანის მიერ 1942 წლის 6 მარტისათვის დანიშნულ სხდომაზე. სამინისტრომ წარგზავნა რადემახერი.

ამგვარად უკვე დაიწყო ღონისძიების პრაქტიკული განხორციელება. აქ უკვე აიხმანს ბადალი არა ჰყავს. ახლა მას უწინდელზე ხშირად ვხედავთ, თავის დამქაშთა თანხლებით რომ დაძრწის და ჩხრეკს მთელ ევროპას პირენეიდან ურალამდე. ისინი ნადირობენ ებრაელებზე, აგროვებენ და გზავნიან სასაკლაოზე. ევროპის ყველა ქვეყანაში დაგზავნილ ემისრების საშუალებით იგი ისევე ეჭდობა ებრაელ ხალხს და გუდავს მას, როგორც ობობა მსხვერპლს თავისი საცეცებით. ამიერიდან იგი მოქმედებს არა როგორც უშიშროების მთავარი საიმპერიო სამმართველოს ერთ-ერთი სექციის რიგითი უფროსი. იგია პირადი რწმუნებული ჰაიდრიხისა, რომელიც აღჭურვილია განუსაზღვრელი უფლებებით ებრაული პრობლემის გადასაჭრელად. სასამართლო ყურადღებას მიაქცევს მისი დანიშვნის არაჩვეულებრივ ფორმას. მეორე კაცი იმპერიაში ჰიტლერის შემდეგ – გერინგი, უეჭველად ფიურერის მითითებით, გვერდს უვლის ესესის რაიხსფიურერს ჰიმლერს, უშუალოდ მიმართავს ჰაიდრიხს და ნიშნავს მას ებრაული პრობლემის გ-

ადაწყვეტაზე პასუხისმგებლად. ჰაიდრიხი თავის მხრივ გვერდს უვლის უშიშროების მთავარი საიმპერიო სამმართველოს მეოთხე განყოფილების უფროსს მიულერს და აიხმანს ნიშნავს თავის რწმუნებულად. ეს დანიშვნა აიხმანს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებებს და დიდ ძალაუფლებას,როგორც თვით ფიურერის განკარგულებათა აღმასრულებელს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ,რომ აიხმანს ხელთ ჰქონდა დოკუმენტი,რომელიც შეიცავდა ჰიტლერის ბრძანებებს ებრაელთა გაჟლეტის შესახებ. ჩვენ არა გვაქვს ეს ბრძანება. მაგრამ არავითარი ეჭვი არ უნდა არსებობდეს,რომ დანიშვნის ასეთმა არაჩვეულებრივმა ფორმამ აიხმანს მიანიჭა განსაკუთრებული უფლებამოსილებანი,გაუხსნა თავისუფალი გზა მაღალი რანგის მოხელეებსა და მინისტრებისაკენ და შესაძლებლობა მისცა მოურიდებლად განეგო ყველაფერი,რაც კი ეხებოდა ებრაელი ხალხის ამოჟლეტას.

ჩვენ დავინახავთ,როგორ გამოსცემს იგი დაწვრილებით ინსტრუქციებს ოსვენციმში ებრაელებით სავსე ეშელონების გაგზავნის შესახებ. ჩვენ თვალს გავადევნებთ მის თანაშემწეებს,რომლებიც გაზით ამარაგებენ ებრაელთა მოსაგუდავად. თვალს გავადევნებთ მის მოლაპარაკებებს სატელიტი სახელმწიფოების მთავრობათა წარმომადგენლებთან,რომლებსაც იგი შეაგონებს,არწმუნებს და ექაჩება: ხელი მოჰკიდეთ საქმეს,როგორც შეშვენისო. იგი ყველგან წარმოადგენს ოფიციალურ ინსტანციას,რომელიც აწარებს მკვლელობებსა და ძარცვებს და რომელსაც ანგარიში უნდა ჩააბარო. ამაოდ ემიებთ მ

ის სახელს დიდ კონფერენციათა ორატორებს შორის. შესაძლოა,რომ მისი შეფები,ჰიმლერი და ჰაიდრი-ხი,რომლებმაც ყურადღებითა და გულდასმით შეარ-ჩიეს აიხმანი სასაკლაოს უფროსად,არ იყვნენ დ-აინტერესებულნი,რომ იგი გამოსულიყო ამ კონფე-რენციების მონაწილე ყოველგვარი პროფესორებისა და დოქტორების წინაშე. შესაძლოა იგი თვითონ არ იყო დაინტერესებული ლაქლაქით. იგი თავგამო დებითა და ფანატიკური ერთგულებით შეუდგა საქ-მის პრაქტიკულად განხორციელებას. თავის მოვა-ლეობათა შესრულებისას მას ხშირად უხდებოდა კ-ონფლიქტი ნაცისტური იერარქიის მასზე მაღლა მყ ოფებთან და კიდეც ატყუებდა მათ. მაგრამ სულაც არ აწუხებდა ეს,რადგან ყოვლისშემძლე ჰიმლერი მფარველობდა. მინისტრებსა და მათ ხელქვეითებს დაპყრობილ ქვეყნებში ეპყრობოდა აგდებით. შეგო ნებებით,მუქარითა და იძულებით აღწევდა იგი სა სურველს - ანტიებრაულ კანონებს,რომლებიც აუქ-მებდნენ ადამიანისა და მოქალაქის უფლებებს;ა-მით აღწევდა იგი ებრაელთა გადაცემას და გეტო-ებში შეყრას,გაგზავნას სიკვდილის ბანაკებში. თავის მოქმედებას იგი ყველგან ადგილობრივი პი რობების და შექმნილ გარემოებათა მიხედვით წ-არმართავდა. და,საბოლოოდ,მის სასტიკ და უწყვ-ეტ დაწოლას მოჰქონდა მისთვის სასურველი შედე-გები.

ყველაფერი,რაც კი ებრაელთა მოსპობას შეეხე ბა,მისი საქმეა. იგი ამოწმებს ვარშავისა და ლ ოძის გეტოებს. ჩვენ ფეხდაფეხ მივყვებით მას და ვნახავთ,რომ 1941 წლის შემოდგომაზე მოინა-

ხელებს გლობოჩნიკს,ესესისა და პოლიციის უფროსს ლიუბლინის ოლქში,და პირადად გადასცემს საიდუმლო ბრძანებას ებრაელთა ფიზიკური მოსპობის შესახებ. ის იყო ტრებლინკასა და ხელმონში,სადაც იყენებდნენ გაზს ებრაელთა მოსასპობად.ხელმონში მან ნახა შიშველი ადამიანები,რომლებიც გაზით მოსაგუდავად მიჰყავდათ.

იგი უყურებდა როგორ გლეჯდნენ მკვდრებს - მისხავე მსხვერპლთ - ოქროს კბილებს. იგი ამოწმებდა „მოგუდვის" სისტემებს ჯერ კიდევ მანამდე,სანამ მათ გამოყენებას დაიწყებდნენ მასობრივი მოსპობისათვის. მას წარგზავნიან,რათა თვალყური ადევნოს,როგორ აწარებენ ებრაელთა დახვრეტებს „განსაკუთრებული დანიშნულების რაზმები" („აინზაცგრუპენი"). მან მინსკში ნახა,როგორ ესროდნენ სასიკვდილოდ განწირულებს კეფაში და შემდეგ ყრიდნენ წინასწარ მომზადებულ ორმოებში. იგი ხედავდა,როგორ ხოცავდნენ ქალებსა და ბავშვებს. იგი იყო მოწმე იმავე რაზმების მოქმედებისა ლვოვის შემოგარენში,სადაც,მისივე თქმით, „შადრევანივით" ასხამდა სისხლი საფლავიდან.

ტყვიით მოკვლა არაა „ლამაზი"
გადადიან გაზების სისტემაზე

პირდაპირ ტყვიით მოკვლა აღარ აკმაყოფილებდა მას. „ჩვენი ბიჭები სადისტურად იქცევიან", თქვა მან. სხვაგან კი ისა თქვა,რომ მოკვლის ამგვარი ფორმა არც ისე ელეგანტურად ჩანს. საჭიროა სხვა ფორმის მონახვა. და ეს ფორმაც მოინ-

ახა ვაჩის კამერებში,სიკვდილის ბანაკების კრე მატორიუმებში,რომლებიც მან რამდენჯერმე დაათვალიერა,რათა შეემოწმებინა დანადგარები,დაედგინა ეშელონების გაგზავნის წესები,გაეცა შესაბამისი განკარგულებანი. იქ ისიც ნახა,თუ როგორ წვავდნენ გვამებს ღია მინდორში.

მას შემდეგ,რაც მოხპობის ამ დანადგარებმა,როგორც ჩანს,დააკმაყოფილეს,ბრუნავდა,რომ საჭირო მხხვერპლი მიეწოდებინა მათთვის.

მისი განყოფილება სისტემატურად იძლეოდა დაწვრილებით მითითებებს სასიკვდილო ეშელონების გაგზავნაზე. მითითებები ეხებოდა ყველა ებრაელს,გარდა იმათსა,რომლებსაც ათავისუფლებდა მისივე განყოფილება. ებრაელთა ქონების შესახებ გამოიცა განსაკუთრებული მითითებანი. გაძევებულებს ეკრძალებოდათ ყოველგვარი ფასეულობის წალება.

ჩვენ წარვადგენთ სასამართლოს წინაშე საბუთებს,რომ გაძევების შესახებ ვალდებულნი იყვნენ ანგარიში წარედგინათ აიხმანისათვის. ახეთივე ვალდებულება დაეკისრა ოსვენციმის ბანაკის უფროსსაც,რომელსაც მკვლელობათა მიმდინარეობის შესახებ ანგარიში უნდა ებარებინა აიხმანისათვის. ამრიგად აიხმანმა მუდამ იცოდა ვინ გაიგზავნა ოსვენციმში,ვის ელოდება იქ სიკვდილი და ვინ მოკვდა უკვე. აიხმანის განყოფილება იძლეოდა დაწვრილებით მითითებებს,როდის გაეგზავნათ საღხი თუ გარკვეული ეშელონი სასიკვდილო საკნებში. ამდენად შეგვიძლია ვთქვათ: „სადაც სიკვდილი იყო,ისიც იქ იყო".

## აიხმანი -
## „ავტორიტეტი" ყველა ებრაულ საქმეში

ჩვენ დავამტკიცებთ,რომ ებრაულ საქმეებში აიხმანი და მისი განყოფილება იქცნენ ავტორიტეტულ მისამართად გერმანიის იმპერიის ყველა სამინისტროსათვის. მას მიმართავდნენ და რასაც ის იტყოდა,კანონი იყო. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სწორედ აიხმანს მიმართა თხოვნით „შეენახა" უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი 30 ათასი ებრაელი,რათა შესაძლებელი ყოფილიყო მათი გაცვლა იმ ქვეყნებში მცხოვრებ გერმანელებზე. როცა მოეჩვენა,რუმინეთი შეძლებულ ებრაელებს ჩასვლის საშუალებას აძლევსო,თავისი საგარეო საქმეთა სამინისტრო ააწრიალა: ცოტაც და იქ მარტო ღარიბი ებრაელობა შეგვრჩება ხელთაო და იქვე დაურთო:

„ებრაელთა პრობლემის საბოლოო გადაწყვეტის გეგმის დაუბრკოლებლივ განსახორციელებლად გთხოვთ: შესაბამისი საშუალებებით შეაჩეროთ მოვლენათა ასეთი განვითარება და,აგრეთვე გთხოვთ,მაცნობოთ საქმის ვითარება".

განზრახვა ნათელია. არსებობს საშიშროება,რომ რუმინეთში ყლეპა მოხდება მარცვის გარეშე. განა ასე იყო დაგეგმილი საბოლოო გადაწყვეტა? და როდესაც გერმანელთა მფარველობის ქვეშ მყოფი სლოვაკიის მთავრობაც კი შეძრწუნდა გაურცელებული ხმებით,თუ რა ბედი ეწია სლოვაკიიდან აღმოსავლეთში,თითქოს სამუშაოდ,გაგზავნილ ებრაელობას და ითხოვა: ჩვენს წარმომადგენელს დარ-

თეთ ნება დაათვალიერონ ის სამუშაო ბანაკებიო, აიხმანმა უარი სტკიცა. თავის საგარეო საქმეთა სამინისტროს მან უთხრა: აუხსენით სლოვაკიის მთავრობას,რომ გაძევებულები მშვიდობით არიან; ამის საბუთია მათგან მიღებული ღია ბარათები და ამ საკითხზე პრესაში გამოქვეყნებული მასალები,რასაც მოგართმევთ ებრაულ საკითხთა მრჩეველი ბრატისლავაში,ვისლიცენი. მაგრამ გერმანიის ელჩს ბრატისლავაში მაინც მოთხოვეს ბანაკების მონახულების ნებართვა. საქმეში ჩაერია სლოვაკიის მთავრობის მეთაური ტუკიც. საგარეო საქმეთა სამინისტრომ კვლავ მიმართა აიხმანს და თხოვა მიეცა ნებართვა. მან უარი თქვა. გასაგებიცაა: ებრაელები,რომელთა მონახულებაც უნდოდათ,უკვე აღარ იყვნენ ცოცხლები.

5.000 უნგრელი ებრაელი ბავშვის ერეც-ისრაელში გაგზავნის წინადადება გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აიხმანს გადაუგზავნა გადასაწყვეტად. ესპანეთიდან ოლეთა კეშის კახელის შესახებ ანგარიში მას ჩაბარდა. ესპანეთის მთავრობის მიმართვა იმ ქონების შესახებ,რაც სალონიკში ჩამოართვეს ესპანეთის ქვეშევრდომ ებრაელებს,აიხმანს გადაეცა განსახილველად. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბოდიში მოიხადა მის წინაშე,რომ გაბედა და ებრაელთა საკითხებზე აიხმანის გარეშე მისცა განკარგულებანი ვიშის ადმინისტრაციას საფრანგეთში გერმანელთა ჯარების შესვლის შემდეგ. სამინისტრომ განუმარტა: ასე მოვიქეცით იმიტომ,რომ საქმე სასწრაფო იყო და თქვენ ბერლინში არ იმყოფებოდ-

ით იმ დროხო.

აიხმანი განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდა ერეც-იხრაელში ებრაელთა ემიგრაციის საკითხს. როგორც თვითონ ამცკიცებდა, ამ საქმეში მას ნაკის რები ჰქონდა გარკვეული ვალდებულებანი იერუმალი იმის ყოფილი მუფთის ხაჯ ამინ ალ-ჰუსეინის წინაშე. იგი შეხვდა მუფთის და კავშირი გააბა მასთან. ისე მოეწონათ მათ ერთმანეთი, რომ ხაჯ ამინმა ჰიმლერს თხოვა: ომის შემდეგ, "დერძის" სახელმწიფოთა არმიების სათავეში მყოფი რომ შევალთ იერუსალიმში, აიხმანის განყოფილებიდან მოგვეცით სპეციალური მრჩეველი, რომელიც დაგვეხმარება იქაც ისევე გადავწყვიტოთ ებრაული საკითხი, როგორც დამისწურ ქვეყნებში გადაწყვიცეთო. აიხმანმა თავის თანაშემწეს, ვისლიცენის შესთავაზა: იკისრე ახეთი მრჩევლის პოსტიო.

### იჩხრიკება

### ყველასა და ყოველის საქმეში

არგენტინის მთავრობა დაინტერესდა ლვოვში მც ხოვრები თავისი ქვეშევრდომის გერმონ ვილნერის ბედით. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უშუალოდ ჰიმლერს თხოვა: ანგარიში გაუწიე არგენტინასთან ჩვენს განსაკუთრებულ დამოკიდებულებას და ის კაცი საკონცენტრაციო ბანაკში არ გააგზავნოო. აიხმანმა ცინიკურად უპასუხა: ის ებრაელი გარდაიცვალა გულის კუნთის სისუსტით, მიუხედავად იმ გამამაგრებელი საშუალებებისა, რაც მას უხვად მიეცაო.

1942 წელს აიხმანმა გადაწყვიტა უნგრეთის ებრაელობას მოქცეოდა ისევე,როგორც გერმანიისას. საგარეო საქმეთა სამინისტრო,რომელსაც მაშინ გაცხარებული დავა ჰქონდა თავის სატელიტ უნგრეთთან პოლიტიკურ საკითხებზე,არ დაეთანხმა აიხმანს. მაგრამ აიხმანი ისე მოიქცა,როგორც თვითონ უნდოდა.

ჩვენ ვნახავთ,როგორ აჩქარებს და უთვებს იგი ხელქვეითებსა და თანამშემწეებს: ჩქარა მორჩით ს აქმეო. იგი ვერ იტანდა ვერავითარ დაყოვნებას ან დაგვიანებას. როცა ერთხელ საფრანგეთიდან ვერ გავიდა დეპორტირებულთა ეშელონი,განაცხადა: ჩემთან მსგავსი რამ არ მოხდება და თუ ასეთ დაბ რკოლებას კიდევ ექნება ადგილი იძულებული გავხდები ვიფიქრო,ხომ არ აჯობებს საერთოდ მოვეშვათ საფრანგეთს,და უარი ვთქვათ ებრაელებისაგან მის განწმენდაზეო. ამ მუქარამ დააფრთხო მისი ხელქვე ითი რეტკე: საფრანგეთის ებრაელთა ცოცხლად დატოვებას მე დამაბრალებენო,ბოდიში მოიხადა და აღუთქვა: ამიერიდან ყველაფერი ჩესიერად იქნებაო.

როცა უმიშროების პოლიციის უფროსი,კნუხენი არმიის მხრიდან სიძნელეებს წააწყდა ბელგიაში ებრაელის გამოსაცნობი ნიშნის შემოღებაში,სწორედ აიხმანს მიმართა თხოვნით: გავლენა მოეხდინა ოკუპირებული ბელგიის სამხედრო ადმინისტრაციის უფროს გენერალ რედერზე,რომ დათანხმებოდა ნიშნის შემოღებას.

როცა საიდუმლო წყაროდან გაიგო,რომ საფრანგეთის ერთ-ერთ,ღრანსის ბანაკში მყოფი ებრაელი გ-

ოლუბი ელოდება ერთ-ერთი სამხრეთამერიკული ქვე
ყნის მოქალაქეობის მიღებას ემიგრაციაში წასას
ვლელად,აიხმანმა დეპეშა აფრინა პარიზის გესტა
პოს უფროსთან: იჩქარე და გოლუბი ოსვენციმში გ
ააგზავნეო.

როცა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტ-
რო ჩაერეოდა ხოლმე საქმეში და თხოვდა გადაერ-
ჩინა ცალკეული ებრაელები,რომელთა ცოცხლად და-
ტოვებითაც იყო დაინტერესებული საოკუპაციო ხე-
ლისუფლება ამა თუ იმ მოსაზრებით,როგორც,მაგა-
ლითად როჟერ მასი - საფრანგეთის მაღალი რანგ-
ის ოფიცერი,რომელიც ტყვედ ჩავარდა და დააპატი
მრეს როგორც ებრაელი,ან საბერძნეთის მოქალაქე
ჟან კუენკა,და მრავალი სხვა - მისი პასუხი უც
ვლელი იყო: პრინციპული მოტივებით უარი ეთქვას
თხოვნას.

ზოგჯერ ის და მისი განყოფილება საგარეო ს-
აქმეთა სამინისტროს თხოვნაზე უარის მოტივებს-
აც ასახელებენ. შვეციის ქვეშევრდომი ებრაელი
ქალები ვიალიკე და ბელზიკერი ვერ დატოვებენ
საგენერალ-საგუბერნატოროს,რადგან მათ იციან რ
ოგორ ხორციელდებოდა დეპორტაცია; ვერც ებრაული
პრესის სააგენტოს თანამშრომლები ვარშავაში,ე-
ბრაელი რაზმუ სილელი ვერ უნდა დაბრუნდეს უნგ-
რეთში,რადგან მან ზედმეტად ბევრი რამ იხილა ვ
არშავაში და,რა თქმა უნდა,იმ ამბებზე ჩააბარ-
ებს ანგარიშებს სადაც ჯერ არს,რაც არც თუ ისე
სახარბიელო იქნება გერმანიისათვის. ამიტომ უ-
ნდა გაიგზავნოს იგი საკონცენტრაციო ბანაკში.

საოკუპაციო ჯარების უფროსს საფრანგეთში თხო

ვეს გერმანელი ებრაელებისათვის დაერთო ოკუპირებულ საფრანგეთში შეხვლის უფლება ნათესავების მოხანახულებლად. მან იკითხა როგორ მოვიქცეო. აიხმანმა უპასუხა, რომ ეს ებრაელებს შესაძლებლობას მისცემს დაუსხლტნენ აღმოსავლეთში დეპორტაციას- ამიტომაც უარი ეთქვათ თხოვნაზე.

ერთი სიტყვით წყვეტს
სერბიის ებრაელთა ბედს

სერბიის მარიონეტულ მთავრობასთან აკრედიტებულმა გერმანიის დესპანმა ბენცლერმა მოითხოვა ინსტრუქცია, რა ეყოთ სერბიის ებრაელობისათვის. მათი ყოლა საკონცენტრაციო ბანაკებში სახიფათოა პარტიზანთა მოქმედების გამო. გაიგზავნოს აღმოსავლეთში, პოლონეთში ან რუსეთში? - არ კმარა მატარებლები.

წარმოიდგენთ წერილს, რომლის კიდეზეც იპოვით გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპეტენტური განყოფილების კაპიტ რადემახერის წარწერას: აიხმანი წინადადებას იძლევა დახვრიტონ. და როცა რადემახერმა სცადა შეემოწმებინა კვლავ და ხელმეორედ ჰკითხა ტელეფონით აიხმანს, „დაიხვრიტონ", უპასუხა აიხმანმა და დაადო ტელეფონის ყურმილი. ასე ერთი სიტყვით სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა 10.000-მდე ებრაელს. ასეთი იყო იგი და ასეთი იყო მისი ძალა.

ჩურთავს გადარჩენის ყველა ხვრელს

ერთ-ერთ შეხვედრაში გერმანიის საგარეო საქ

მეთა სამინისტრო არ დაკმაყოფილდა აიხმანის მოადგილის გიუნტერის ეარით და უშუალოდ მიმართა მას. საქმე ეხებოდა ანდრე მისაელისს,რომელსაც ცოლად ჰყავდა შვეიცარიის მოქალაქე. საგარეო საქმეთა სამინისტრომ აცნობა,რომ პოლიტიკური მიზეზების გამო უნდა დათანხმდნენ ამ ებრაელის გადარჩენას,რამდენადაც ქალის მამა ძალიან გავლენიანი კაცია ოლქში და ლოიალურია გერმანიის მიმართ. აი აიხმანის პირადი პასუხი:

„მას შემდეგ,რაც ხელახლა ავწონ-დავწონე ეს საქმე,პრინციპულ მოსაზრებათა გამო არ შემიძლია,სამწუხაროდ,მოქალაქეობის არმქონე მისაელისს ნება მივცე წავიდეს შვეიცარიაში".

ასეთ მაგალითებს მრავლად წარვუდგენთ სასამართლოს. დავამტკიცებთ,რომ იგი არჩევდა ყველასა და ყოველის,ებრაელთა ყოველი დასახლების, მის ხელში მოხვედრილი ყოველი ცალკეული ებრაელის საქმეს. და მიზანი მუდამ ერთი იყო: სიკვდილი.

ამ პროცესზე ჩვენ დავამტკიცებთ,თუ როგორ ზრუნავდა აიხმანი და რა ყურადღებას აქცევდა,რომ ამოექოლა ყოველი შესაძლო ხვრელი და საძრომი,რომლითაც შეიძლებოდა თუნდაც ერთი ებრაელი დასხლტომოდა ფართოდ გაშლილ ბადეს. ამ მხრივ დამახასიათებელია საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწრაფო მიმართვა მისადმი 1943 წლის 26 მაისს. საქმე ეხებოდა ზაგრებელ მარიო სასონს,რომელიც დაქორწინებული იყო ქრისტიან გერმანელ ქალზე,რომლის სამი ძმაც მსახურობდა აღმოსავლეთის ფრონტზე. და აი მარის სასონი გაგზავნილია

ოსვენციმში. ქალის სასოწარკვეთილებაში ყოფნის
გამო აიხმანს თხოვეს სასონი გადაეყვანა გერ-
მანიაში და შესაძლებლობა მიეცა დაბრუნებოდა ო
ჯახს. აიხმანმა დიდ ხანს დააყოვნა პასუხი,სა-
ნამ მისი განყოფილება შეძლებდა ეცნობებინა,რ-
ომ სასონი აღარაა ცოცხალი.

როცა გერმანელები ეძებდნენ კაცს,რათა ლავა
ლის მთავრობაში დაენიშნათ ებრაულ საქმეთა კო-
მისრად,აიხმანს ჰკითხეს დუ პატი დე-კლამის კ-
ანდიდატურაზე. აიხმანის კანტორიდან უპასუხეს,
რომ ეს კაცი ყველაზე შესაფერისად მიაჩნიათ ამ
თანამდებობისათვის,რამდენადაც მამამისი იყო
ის ფრანგი ოფიცერი,რომელმაც დააპატიმრა თავის
დროზე დრეიფუსი.

შვეციის საგარეო საქმეთა სამინისტრო ცდილ-
ობდა გადაერჩინა 30 ნორვეგიელი ებრაელი,რომლე
ბიც შვეციაში იყვნენ დაბადებულნი. და ეს მიაღ
წია მათთვის შვეციის მოქალაქეობის მინიჭებით.
„ესენიც ხომ ადამიანები არიან,ეს საცოდავები",
უთხრა შვეციის საელჩოს წარმომადგენელმა ოსლო-
ში გესტაპოს თანამშრომელს. აი აიხმანის პასუ-
ხი:

„უნდა ჩაიფუშოს ეს ცდები.და განზრახული მ-
აქვს,მიუხედავად ყველაფრისა,რაც შეიძლება სწ-
რაფად ჩავტიო ეს ებრაელებიც საერთო ებრაულ ღ-
ონისძიებათა ჩარჩოებში".

ჟლეტის გზაზე

ყოველგვარ დაბრკოლებას სპობს

როცა გაიგო,რომ შვეიცარიელმა მღვდელმა გამოაქვეყნა წიგნი,რომელშიც მოთხრობილი იყო ებრაელთა ბედზე საფრანგეთის სატრანზიტო ბანაკებში,ბრძანება გასცა მოეშორებინათ სამღვდელოების წარმომადგენლები ბანაკებიდან.

როცა მისი წარმომადგენელი საფრანგეთში დანეკერი სიძნელეებს წააწყდა და გაუჭირდა მატარებლების შოვნა ებრაელთა ოსვენციმში გადასაყვანად,საკმარისი გახდა პირადად აიხმანისათვის მიემართა,რომ საქმე მოგვარებულიყო.

1944 წელს ევროპაში უკვე ცნობილი იყო რა დაემართათ ებრაელებს გერმანელთა მმართველობის ქვეშ. ვესტერბორკის ბანაკში (ჰოლანდია) მყოფმა რამდენიმე პატიმარმა,რომლებიც ოსვენციმში უნდა გადაეყვანათ,შვეიცარიაში მყოფი ნათესავებისა და მეგობრების დახმარებით მიიღეს ჰონდურასის,პერუს,სან-სალვადორისა და სხვა ქვეყნების პასპორტები,რაც მათ უფლებას აძლევდა დაეტოვებინათ ევროპა. აიხმანის ბრძანებით დააბრკოლეს პასპორტების გადაცემა. მაგრამ საკითხავი ის იყო,თუ როგორ აეხსნათ შვეიცარიის ხელისუფალთათვის ის ფაქტი,რომ შვეიცარიიდან გაგზავნილი შეკვეთილი წერილები არ მისვლიათ ადრესატებს. შვეიცარიის ფოსტამ საზღაურიც კი მოითხოვა ამისათვის. აიხმანის განყოფილებიდან ბრძანეს: გერმანიის ფოსტა აცნობებს შვეიცარიის ფოსტას,რომ წერილები დაიკარგა „მტრის მოქმედების" შედეგად. არ დააბრუნონ წერილები უკან,არც საზღაური გადაიხადონ მათი დაკარგვისათვის.

ზოგჯერ გვეჩვენება,რომ ბრალდებული და მისი

განყოფილება არღვევენ სასტიკი საიდუმლოების
კედლებს და აშკარად ლაპარაკობენ ყველაზე. ყო-
ველ შემთხვევაში მაშინ მაინც, როცა საქმე ეხე
ბა აზრთა გაცვლა-გამოცვლას ნაცისტთა მმართვე-
ლ წრეებში. საგარეო საქმეთა სამინისტროს გე
ნერალური დირექტორის მოადგილეს, ლუთერს, რომე-
ლმაც მიუთითა ამ საჩივრებზე, რაც შეეხებოდა ე
ბრაელების მიმართ გატარებულ ღონისძიებებს, ა-
იხმანის განყოფილებიდან უპასუხეს:

„ხეს ჭრიან – ნაფოტები ცვივა. მტერი ყოვ-
ელთვის შეეცდება რამდენადაც კი შეუძლია გაა-
მუქოს მის წინააღმდეგ მიღებულ ღონისძიებათა
სურათი, რათა გამოიწვიოს სიბრალული იმ იმედით,
რომ ეს ღონისძიებანი შეწყდება. მას შემდეგ, რ
აც გავაძლიერეთ ებრაელი მტრის წინააღმდეგ მი
მართული ღონისძიებანი, ისინი მესამე რაიხის თ
ითქმის ყველა დაწესებულებაში აგზავნიან ანო-
ნიმურ წერილებს და ამით ცდილობენ საკადრისი
ხვედრი აიცდინონ".

ზედმეტია შევახსენოთ, რომ ეს „ებრაელი მტე
რი" იყო დაუცველი სამოქალაქო მოსახლეობა, მათ
შორის ძუძუმწოვრები, ბავშვები, ქალები და მოხუ
ცები. ხოლო საკადრისი ხვედრი – მკვლელობა.

ჩვენ ვნახავთ, როგორ ებრძოდა აიხმანი თვით
გერმანელ დიპლომატებს, ოკუპირებულ ტერიტორია-
თა ხელისუფალთ, რომლებიც არ თანამშრომლობდნენ
მასთან ან მთლიანად მის დუდუკზე არ ცეკვავდ-
ნენ. ვნახავთ მის გაცოფებას იტალიელ ჩინოვნი
კებზე, რომლებმაც მრავალჯერ ჩაუფუშეს გეგმები;
მის განრისხებას დანიაზე, რომელმაც რაინდული,

მეტად რისკიანი ოპერაციით გააპარა თავისი ებ-
რაელები შვეციაში. ჩვენ ვნახავთ როგორ ებრძო-
და ყოველი დაპყრობილი ქვეყნის მთავრობას იმი-
სათვის,რომ მხარში ამოდგომოდნენ მას. როცა თა-
ვით რომის პაპი ჩაერია,გერმანიის საგარეო საქ-
მეთა სამინისტროს სიტყვებით რომ ვთქვათ, "თვ-
ით ვატიკანის ფანჯრებთან" დაპატიმრებული რომ-
ის ებრაელების სასარგებლოდ,და აიხმანს თხოვეს
ისინი მაინც დაეტოვებინათ იტალიაში,შრომით ბ-
ანაკებში და არ წაეყვანათ აღმოსავლეთში,მაში-
ნაც კი ამან გამოიწვია ეს მიმართვა: ებრაელები
გააგზავნეს ოსვენციმში.

> მისი ხელები მოთხვრილია
> ბავშვების სისხლით,

მაგრამ მის ყველა სისხლიან საქმეთა შორის არ არის უფრო შემაძრწუნებელი და თავზარდამცემი საქმე,ვიდრე ამბავი მილიონი და უფრო მეტი ისრაელი ბავშვისა,რომელთა სისხლიც წყალივით დაიღვარა მთელ ევროპაში. როგორ წყვეტდნენ ძალით დედებს,რომლებიც ცდილობდნენ დაემალათ,როგორ ხოცავდნენ ბანაკებში საბარგო მანქანებიდან გადაყრით,როგორ კუწავდნენ ნაწილ-ნაწილად დედების თვალწინ,როგორ უხეთქავდნენ ძუძუმწოვრებს თავებს მიწაზე დარტყმით; როგორ ისროდნენ ჰაერში და ხიშტის წვერით იჭერდნენ, - აი,ეს ამბებია ყველაზე ამაზრზენი სისხლის დათხევის მთელ ისტორიებს შორის. მოისმენთ მოწმეთა ისეთ ჩვენებებს,რომლებზეც ადამიანს გული ეუბნება არ

დაიჯეროო.

მოისმენთ პაწია ბავშვებზე,რომლებსაც საავადმყოფოს ფანჯრებიდან ისროდნენ დასათვლელად ძირს ჩასვლის ბრძანებას თუ არ შეასრულებდნენ.

წარმოგიდგენთ განკარგულებებს,რომლებიც აის მანმა და მისმა განყოფილებამ გასცეს ბავშვების დეპორტაციაზე. განკარგულებაში ნათქვამი იყო,რომ ბავშვები უნდა გაანაწილონ ოსვენციმში მიმავალ ეშელონებში. 14 წლის ბავშვები ითვლებოდნენ „დამოუკიდებლებად" სიკვდილის ბანაკებში გასაგზავნად.

და ვინ იცის,ვისი ხვედრი იყო უფრო მწარე: დახოცილებისა თუ ყოველ სოროსა ან ხვრელში მიმალულებისა,ვინც მუდმივი შიშით არსებობდა,ვინც მინდობილი იყო ქრისტიანი მეზობლების წყალობას,ვის დამალვასაც მეზობლები დათანხმდნენ.

ბავშვები ბრუნდებოდნენ სასწავლებლებიდან და მათ ელოდებოდათ ჯამაათის მიერ მოწყობილი თავშესაფარი იმის ნიშნად,რომ მშობლებს ბინა დააცლევინეს და „აქციის დროს" პირდაპირ გააგზავნეს სასიკვდილოდ,ხოლო მათი ბინა ამასობაში სხვებმა დაიკავეს.

მოისმენთ მოწმეთა ჩვენებებს ჩვილ ბავშვებზე,დედებმა რომ მკერდზე მიიკრეს გაზის კამერებში და ამის გამო არ მოწამლულან და არ დახოცილან,სანამ ჯალათები არ მოვიდნენ და ცოცხლად არ ჩაყარეს აგიზგიზებულ ცეცხლში თუ გათხრილ სამარეში.

აი ეს საბრალო ბავშვები,რომლებიც წლების განმავლობაში კანკალით ელოდნენ თოფის კონდახის

რახუნს კარებზე,რომლებსაც მშობლები გზავნიდნენ ტყეებში გადასარჩენად,რომლებსაც ასწავლეს უცრემლოდ ეტირათ და უხმოდ ეკვნესათ,რადგან მტირალს ადგილზე ხვრეტდნენ; რომლებსაც დაავალეს უარეყოთ თავისი წარმოშობა და თავი ქრისტიანებად გაესაღებინათ,რომლებიც ხედავდნენ,როგორ ამთრახებდნენ მათ მამებს მათსავე თვალწინ,რომელთა თანდასწრებითაც „კამათობდნენ" ჯალათები იმაზე,ვინ მოეკლათ პირველად - მამა თუ შვილი, რომლებიც გათხრილი საფლავებისაკენ მიაბიჯებდნენ ტუჩებზე მომდგარი „შემა ისრაელით",სწორედ ეს ჩვილები და ბავშვები,მიუხედავად ყველა სასოწარკვეთილი ღონისძიებისა და ყოველგვარი ეშმაკობისა,ბოლოს რომ მაინც დაუძინებელ მტრების ხელში ხვდებოდნენ,სწორედ ესენი წარმოადგენენ საბრალდებო დასკვნის სულსა და გულს. ის ანი ფრანკები,იუსტინა დრენკერები და მილიონობით სხვები წარმოადგენდნენ სხივმოსილი ახალგაზრდობის სიცოცხლის,შემოქმედებისა და იმედების ძვირფას განძს,ებრაელი ხალხის მომავალს. ვინც ისინი მოსპო,მას ებრაელი ხალხის მოსპობა სურდა.

ჩვენ წარმოგიდგენთ ფოტოსურათებს რამდენიმე ასეთი ბავშვისას,დამფრთხალი და დაძაბუნებულები რომ გამოიყურებიან,შიში და ძრწოლა რომ ჩაბუდებულა მათ თვალებში. გაჩვენებთ სანაგვე საბარგულებზე დაყრილ მათ დამწვარ სხეულთა ფოტოსურათებს,სასიკვდილო დანადგარების კარებთან მოყრილი პატარების სურათებს. იქნებ მოვახერხოთ მკრთალად მაინც წარმოგიდგინოთ ის გამძვინვარებული ზღვა,ისრაელს რომ დაატყდა თავზე.

### მზადაა „სამარეში ჩახტეს"

### რაკი თავისი მისია შეასრულა

საკვირველი როდია,რომ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აიხმანს შეატყობინა,რომ ლონდონის რადიოთი გადაიცა გაფრთხილება: პასუხისმგებელნი ოსვენციმის ბანაკში ჩადენილი მკვლელობებისათვის სამართალში წარდგებიანო. და მაშინაც კი, - 1945 წლის აპრილში როცა გერმანია ხელს ლაფავდა,როცა კერპების მზე ესვენებოდა,როცა მოკავშირეებმა აღმოსავლეთიდან,სამხრეთიდან და დასავლეთიდან შეკრეს გერმანია,მაშინაც კი არ შეუცვლია აიხმანს ნირი და წითელი ჯვრის წარმომადგენელს განუცხადა,რომ გული უარს ეუბნება ებრაელთა მიმართ  უფრო ჰუმანურ მეთოდებზე,რაზეც ჰიმლერი ფიქრობდა იმ დროს.

ნუთუ უნდა გაგვიკვირდეს,რომ იმ დღეებში თავის ერთ ახლობელ თანაშემწეს უთხრა,მზადა ვარ თავი მოვიკლა და სიხარულით ჩავხტები საფლავში მას შემდეგ,რაც მოვახერხე ხუთი მილიონი ებრაელის მოსპობა. ამითაც ჰგავდა იგი თავის მასწავლებელს,ჰიტლერს,რომელმაც ასევე თქვა,რომ მხიარული გულით მოკვდება,რადგან იცის რა დიდი მიღწევები მოიპოვა გერმანიამ და რა წვლილი შეიტანა ისტორიაში

### მხოლოო ომი -

### ულეცის საფარველი

იმ დიდ ომში დაიღუპა მრავალი მილიონი არა-

ებრაელი. აქ,ამ პროცესზე არ შევეცდებით გადავწყვიტოთ თუ იმის წარმოების საერთაშორისო სამართლის ნორმებით რომელი მტრული მოქმედება იყო „ნებადართული" და რომელი „აკრძალული". მაგრამ ითქმება და მკვეთრი ხაზგასმითაც,რომ ებრაელი ხალხის გაჟლეტა არ იყო დაკავშირებული არავითარ საომარ ღონისძიებასთან და,რომ იგი არ უნდა გავუტოლოთ ქალაქების დაბომბვას,წყალქვეშა ნავებით ბრძოლას და მსგავს მოქმედებებს,რამდენადაც ეს წარმოადგენდა სამხედრო მოქმედებას და კანონიერი იყო თუ უკანონო - ამას აქ არ ვწყვეტთ - ხდებოდა იმის გამო და იმისათვის. ებრაელთა მოსპობას არავითარი კავშირი არ ჰქონდა გერმანიისა და მის მოკავშირეთა საომარ ღონისძიებებთან. ჟლეტა ხდებოდა იმის დროს,როცა ბრძოლათა კვამლი რამდენადმე ფარავდა ამაზრზენ საქმიანობას,მაგრამ ეს არ ხდებოდა იმისა და საომარი საჭიროებისათვის. ეს იყო ცალკე და თავისთავადი ღონისძიება,რომლის განხორციელება იმის დროს უფრო ადვილი და მოხერხებული,უფრო დაზღვეული იყო შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ჩარევისაგან,მაშინ უფრო შეიძლებოდა მათი მიჩქმალვა და შენიღბვა საომარი ღონისძიებების ნიღბით.

მოსპობა მაშინაც კი,

საომარ ღონისძიებებს რომ აზიანებს

და მართლაც,თვით ნაცისტთა იმ დოკუმენტებშიც კი,ებრაელთა გაჟლეტის საკითხებს რომ ეხებიან და ამ გადაწყვეტილების მოტივირებას ახდ-

ენენ,ხსენებაც კი არ არის,თითქოს ეს საომარ ლ ონისძიებათა წარმატებისათვის კეთდებოდეს.პირიქით,თუ ნაცისტ ლიდერთა და მათ დამქაშთა შორის იყვნენ ისეთები,რომლებიც მოითხოვდნენ „საბოლოო გადაწყვეტა" გადაედოთ გარკვეული ხნით, ამას ასაბუთებდნენ იმით,რომ ომის დროს საჭიროა ებრაული სამუშაო ძალა გამოვიყენოთ. წარმო გიდგენთ საბუთებს ამ მტკიცების დასადასტურებლად. ამჟამად კი მხოლოდ ერთს მოვიხსენიებ: გერმანიის არმიები რომ საბჭოთა კავშირში შეიჭრნენ,გაიცა განკარგულებანი დაუყოვნებლივ მოესპოთ ებრაელები ოპერატიული რაზმების საშუალებით. იმასაც ვნახავთ,როგორ შესრულდა ეს ბრძანებები,მაგრამ 81-ე ოპერატიული რაზმის პატაკში ჩვენ ვკითხულობთ შემდეგს:

„უნდა მოვიხსენიოთ,როგორც არაჩვეულებრივი მოვლენა,ებრაული კოლმეურნეობების არსებობა. კრივოი როგსა და დნეპროპეტროვსკს შორის არსებობენ კოლმეურნეობები,რომლებშიც ებრაელები მარტო ხელმძღვანელები კი არ არიან,არამედ წარმოადგენენ მთელ სამუშაო ძალას. ვხედავთ,რომ მათი განვითარების დონე დაბალია და ამიტომ მიუმაგრებია პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ისინი მ იწის სამუშაოებზე. ამიტომ გადაწყვიტა მე-6 ოპერატიულმა რაზმმა თავი შეიკავოს ამ ებრაელთა დახვრეტისაგან და საშუალება მისცეს გააგრძელონ მიწის დამუშავება. რაზმმა საკმარისად ჩათვალა ის,რომ მოსპო ებრაული ხელმძღვანელობა და შეცვალა ისინი უკრაინელებით".

სამხედრო ღონისძიებათა წარმატებისათვის ო-

პერატიულმა რაზმმა დაარღვია ბრძანება და ცოცხლად დატოვა ებრაელთა გარკვეული რაოდენობა.

უფრო მეტიც: სატრანსპორტო საშუალებები გადამწყვეტი იყო გერმანელთა სამხედრო ღონისძიებათა წარმატებისათვის,განსაკუთრებით როცა ფრონტი გაიშალა აღმოსავლეთით,სამხრეთით და დასავლეთით. მაგრამ იმ დროს,როცა არმიას საჭიროებდა ყოველი ვაგონი,ყოველი ორთქლმავალი და იგრძნობოდა სატრანსპორტო საშუალებათა სასტიკი ნაკლებობა,მაინც პოულობდნენ ეშელონებს სიკვდილის ბანაკებში ებრაელთა გასაგზავნად. და იმ დროს,როცა ფრონტი გამჩარებით მოუწოდებდა ძალები მომაშველეთო,პოულობდნენ ნაწილებს ებრაელთა საჟლეტად.

## სისხლიან საქმეთა შენიღბვა

ჟლეტის ამბავი საიდუმლოდ უნდა შენახულიყო და ამას ჰქონდა რამდენიმე მიზეზი. პირველ რიგში იმისათვის,რომ თვით მსხვერპლი გაეცურებინათ და დაერწმუნებინათ,თითქოს მხოლოდ შრომით ბანაკებში მიჰყავდათ ისინი. ჩვენ ვნახავთ,თუ რა „ეშმაკურ ხერხებს" მიმართეს ნაცისტებმა,რათა გაზის ვაგონები საცხოვრებელ ნაგებობებად გაესაღებინათ,როგორ გააშენეს მოჩვენებითი რკინიგზის სადგური ტრებლინკაში,თითქოს აქ ჩვეულებრივი კვანძი იყო სხვა ადგილებში გადასაყვანად. და ოსვენციმის სიკვდილის ბანაკის ჭიშკარსაც კი წააწერეს: „შრომა ათავისუფლებს". შენიღბვის მიზნებით ბანაკებში გამომწყვდეულებს აიძულებდნენ ღია ბარათებზე დაეწერათ „მშვიდობ-

ით ვართო" და ეს ბარათები ადრესატებთან მიდიო-
და მაშინ,როცა მათი დამწერები უკვე დიდი ხნის
შთანთქმული ჰქონდა კრემატორიუმთა ცეცხლს. მაგ-
რამ ასეთი ხრიკები წუთიერად მაინც აწყნარებდა
მომავალ მსხვერპლს,უღვიძებდა აღშფოთების და წი
ნააღმდეგობის დაძლევის სურვილს,რადგან მისთვის
თითქოს ნათელი ხდებოდა,რომ ძალით წაყვანილები
ჯერ კიდევ ცოცხლები არიან,რომ კოშმარული ხმები
ჟლეტის შესახებ შეიძლება არც იყოს მართალი. მ-
ეორეც - შენიღბვა საჭირო იყო,რათა დაემალათ მ-
სოფლიოსათვის,თუ რა ხდებოდა. ამიტომ ბრძანა ფ-
იურერმა,რომ ამ ღონისძიებებთან დაკავშირებული
ყველაფერი დარჩენილიყო სასტიკ საიდუმლოებად,რ-
ომ არავის ცოდნოდა იმაზე მეტი,რაც საჭირო იყო
მისი მუშაობისათვის,რომ ცნობები ამ ღონისძიებ-
ებთან დაკავშირებით გადაეცემულიყო მხოლოდ უშუა-
ლოდ მათი განხორციელების წინ. გერმანიის სამხე
დრო სარდლობას ებრძანა არ ეხმარა ტერმინები „გ
ადასახლება აღმოსავლეთში" ან დეპორტაცია და მ-
ათ მაგივრად გამოეყენებინა გამოთქმა „გაგზავ -
ნა იძულებით სამუშაოზე". საიდუმლოებისა და შე-
ნიღბვის ატმოსფერო სუფევდა თვითონ გესტაპოშ -
იც.

მაგრამ საიდუმლოება,რა თქმა უნდა,არ შეიძლე
ბოდა დიდხანს დაფარულიყო. განსაკუთრებით მას შ
ემდეგ,რაც ჟლეტის წრის გაფართოებას მოჰყვა შე-
თქმულთა,დამგეგმავთა,განმახორციელებელთა და ს-
აქმესთან დაკავშირებულთა წრის განუწყვეტელი გ-
აფართოება. ეს ამბავი იცოდა არა მარტო ოპერაც-
იული რაზმების ათასობით წევრმა,არამედ ფოსტალი

ონებმაც,რომლებსაც უნდა დაებრუნებინათ წერილე-
ბი,რომელთა პატრონებიც აღარ ჩანდნენ; უნდა ვოდ
ნოდათ მოსახლეობის რეგისტრაციის თანამშრომლებს.
რომლებიც წიგნებში ხაზს უსვამდნენ გასახლებუ-
ებს; უნდა ეოდნოდა და იცოდა თრონტებიდან დაბრუ
ნებულმა ათიათასობით ყარისკაცმა. ასე რომ,საბო
ლოოდ,ამ ტრობამ მოიცვა - ასე თუ ისე - მილიონო
ბით გერმანელი. თვითონ აისმანის პირიდან მოვის
მენთ, რომ დასაწყისში იღებოდა განკარგულებანი
მენიღბვაზე და გაქცევის ამბავი ინახებოდა,როგ-
ორც სახელმწიფო საიდუმლოება. „მე მხო-
ლოდ ის ვიცი, - ამბობს იგი, - რომ 1943,1944
და 1945 წლების დასაწყისში,ცოტა გამონაკლისით თუ
ვიტყვი,ამაზე ყლურტულებდნენ ჩიტები ყოველი სა-
ხლის სახურავზე".

### ნაცისტური „ლილების ფურცელი"

ქებისა და წაქეზების გრძელ სიტყვაში,რაც ჰიმლერმა წარმოთქვა პოზნანში ესესის ოფიცერთა წინაშე 1943 წლის 4 ოქტომბერს,თავისი მუშაკების ქება-დიდებისა და მათი მამაცობის,თვისებათა სიდიადის და სხვა საუკეთესო შონაცემთა სოცბასთან ერთად მან თქვა

„აქ სრულიად გულახდილად ვილაპარაკებ განსაკუთრებით მძიმე საკითხზე. ჩვენს შორის ამაზე ვილაპარაკოთ დაუფარავად,თუმცა საჯაროდ ამას არ განვაცხადებთ... მე ვგულისხმობ ებრაელთა გაძევებას,ებრაელი ხალხის მოსპობას,სათქმელად იოლია... მაგრამ აქ მყოფთაგან მხოლოდ რამდენიმემ იცის,თუ რას ნიშნავს,როცა შენს წინაშე ერთად

აწყვია 100 გვამი, 50 გვამი ან 1.000 გვამი ერმანეთის გვერდით. გაუძლო ყოველივე ამას და შეინარჩუნო ღირსებება, - აი რამ გამოაწრთო ჩვენი ხასიათი. ეს არის ჩვენი ისტორიის დიდებული ფურცელი, რომელიც არც დაწერილა როდისმე და არც არასდროს დაიწერება".

ამაში ხედავდა გერმანელი ხალხის ზეადი თავისი ერის სიდიადეს, რაც სააშკარაოზე გამოტანის ნაცვლად საიდუმლოდ უნდა შეენახათ. ამასობაში კი ეს ამბავი აშკარა გახდა. ის, რითაც ეს არამზადები ამაყობდნენ, სხვა არაფერია, გარდა საუკუნო სამარცხვინო დაღისა. რაც მათ საიდუმლოდ აქციეს იმის იმედით, რომ ისტორიაში ყველაზე დიდი ჟლეტა არ გაცხადდებოდა, აქ აშკარად წარმოდგება ჩვენს წინაშე, გამომზეურდება და საქვეყნოდ დაიგმობა.

ახლა კი თვალი მივადევნოთ აიხმანის საქმიანობას სხვადასხვა ქვეყანაში, რომლებსაც რისხვად დაატყდა ნაცისტური რეჟიმი.

## V. ჟლეტა პოლონეთში

### პირველები რიგში

პოლონეთი იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც იგემა გერმანიის ელვისებური ომის („ბლიცკრიგის") მთელი სიმწარე, როცა საუკეთესო იარაღით კბილებამდე შეიარაღებული, საბრძოლო თვითმფრინავების გიგანტური ქოლგით დაცული და კავშირგაბმულობის ყველაზე თანამედროვე საშუალებებით აღჭურვილი მილიონ ნახევარი ჯარისკაცი დაესხა თ-

ავს მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას. პოლონეთი მუდამ სიკვდილივით ეჯავრებოდათ ნაცისტებს. პოლონეთი იყო პირმშო ვერსალის საზავო ხელშეკრულებისა, რაც ნაცისტებს გერმანელი ხალხის სირცხვილად მიაჩნდათ. მან გაყო აღმოსავლეთი პრუსია დასავლეთისაგან და დაეპატრონა გდანსკს (დანციგს). სანამ ხელისუფლების ხელში ჩაგდებისაკენ მიისწრაფვოდნენ, ამ ფაქტებს იყენებდნენ ნაცისტები, რომ ხალხი აემხედრებინათ პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შედეგთა წინააღმდეგ.

ხელისუფლების საჭის დაპყრობის შემდეგ ჰიტლერმა მოახერხა შეცდომაში შეეყვანა პოლონელი პოლიტიკოსები, რომლებიც ბრმებივით ჩაცვივდნენ მის დაგებულ მახეში. ჯერ კიდევ 1934 წელს მოახერხა განხეთქილება მოეხდინა საფრანგეთსა და პოლონეთს შორის და ამით მიაღწია პოლონელთა თანხმობას ხელი მოეწერათ თავდაუსხმელობის პაქტზე. სანამ ჰიტლერი სხვა ადგილების უომარი დაპყრობით იყო დაკავებული, პოლონელებს საშუალებას აძლევდა ერწმუნათ, რომ მათთან მშვიდობას აპირებს. მაგრამ ამ მდგომარეობამ დიდხანს არ გასტანა და 1939 წლის 1 სექტემბერს პოლონეთს თავს დაატყდა ტევტონური რისხვა ელვისებური თავდასხმით.

ნაცისტთა რასობრივი თეორია სლავ ხალხებს მიიჩნევდა დაბალხარისხოვან რასად და მათ ისტორიულ დანიშნულებად თვლიდა: ყოფილიყვნენ მოსამსახურენი უფრო მაღალხარისხოვანი ხალხებისა. ამრიგად, მათი პოლიტიკის აშკარა მიზანს წარმოადგენდა დაემონებინათ პოლონელი ხალხი და არ მიეცათ მისთვის აღორძინების საშუალება. აი რა თქვა ჰიტლე

რმა გერმანიის მიერ პოლონეთის გენერალ-გუბერნატორად დანიშნული ფრანკის განაცხადი:

"... საგენერალ-საგუბერნატორო იქნება მხოლოდ შავი მუშების წყარო. გერმანიისათვის საჭირო მუშახელს მოვიყვანთ საგენერალ-საგუბერნატოროდან... პოლონელებს ეყოლებათ მხოლოდ ერთი ბატონი - გერმანელები... ამდენად მოისპობა პოლონური ინტელიგენციის ყველა წარმომადგენელი. ჩვენ ვიზრუნებთ,რომ პოლონელებს შიმშილით არ გაასძვრეთ სული,მაგრამ ისინი არ უნდა ავიდნენ უფრო მაღალ საფეხურზე... თუ პოლონელები როდისმე მიაღწევენ განვითარების უფრო მაღალ საფეხურს,ისინი აღარ იქნებიან ჩვენთვის საჭირო სამუშაო ძალის წყარო. გერმანიის ყველაზე დაბლა მდგომი მუშა და გლეხი 10 პროცენტით მაინც უნდა იდგეს ყოველ პოლონელზე მაღლა."

პოლონეთის ებრაელობა

უპატრონოდ

ახეთი იყო დამოკიდებულება პოლონელებისადმი ხოლო ნაცისტების დამოკიდებულება პოლონეთის ებრაელობისადმი მრავალგზის უარესი იყო. ამათ საერთოდ აღარ ჰყავდათ გამკითხველი. თუკი გენერალ-გუბერნატორის ადმინისტრაციასა და უშიშროების მთავარ საიმპერიო სამმართველოს შორის იყო აზრთა სხვადასხვაობა პოლონეთის ებრაელობისადმი დამოკიდებულებაში,ეს განსხვავება შეეხებოდა მხოლოდ გაჟლეტისათვის ხელსაყრელ დროის რაოდენობას. მაშინ,როცა ფრანკი ცდილობდა შეენარჩუნებ

ინა „გერმანიის კორიდორის" გუბერნატორის მის-
ია და იარაღის,პროდუქტებისა და სხვა საჭირო მ
ასალების საწარმოებლად მიეწოდებინა მუშა-ხელი,
ხოლო ებრაელები მოესპო მას შემდეგ,რაც მთელ თ
ავიანთ ძალ-ღონეს შეალევდნენ გერმანიის მეურ-
ნეობას, - ბერლინიდან მოდიოდა ბრძანებები გაჟლე
ტის შესახებ; მით უფრო,რომ გესტაპო თავის ჭკუ
აზე მოქმედებდა და არც რაიმეს უთანხმებდა და
არც ანგარიშს არ უწევდა გენერალ-გუბერნატორის
ადმინისტრაციას.

ამან გააოცა ფრანკი. ჩვენს ხელთაა მისი დ-
ღიურები,რომლებიც შეიცავენ მისი მთავრობის ს-
ხდომებზე წარმოთქმულ სიტყვებს და მის გამოსვლ
ათა ჩანაწერებს. მოვიყვან რამდენიმე ნაწყვეტს
ამ დოკუმენტებიდან 1942 წლის 9 დეკემბრის სხ-
დომაზე ფრანკი ჩიოდა,რომ ხელიდან გამოაცალეს
ებრაული სამუშაო ძალა. „განა აშკარა არაა, -წ
ერდა იგი, - რომ გვიძნელდება სამუშაოს,თუკი უ
ცბად მოდის ებრაელთა ვაჟლეტის ბრძანება. მაგ-
რამ პასუხისმგებლობა ამისათვის ჩვენ არ გვეკი
სრება. ბრძანება ებრაელთა მოსპობაზე მოვიდა მ
აღლიდან... ებრაელთა გაყვანამ უზარმაზარი სიძ
ნელეები წარმოშვა შრომით სფეროში,ახლა იმასაც
გვიბრძანებენ,რომ იარაღის ქარხნებიდანაც გავი
ყვანოთ ისინი."

თავს ნუ მოვიტყუებთ იმის ფიქრით,თითქოს ფ-
რანკს ებრაელთა გადარჩენა უნდოდა. ჯერ კიდევ
ერთი წლით ადრე ჰქონდა ნათქვამი თავისი მთავ-
რობის სხდომაზე:

„რაც შეეხება ებრაელებს - ეს კულახლიდან უ

ნდა ვთქვა - ახე თუ ისე ჰათ ბოლო უნდა მ-ოვუღოთ... არიან ადამიანები,რომლებიც აკრიტი-კებენ იმ მეთოდებს,რახაც გერმანია იყენებს ე-ბრაელთა მიმართ... ლაპარაკობენ ხაზიზღარ მოქ-მედებაზე,სისასტიკესა და ა.შ. მე გთხოვთ თავი დანვე დამთანხმდეთ ერთ რამეში: მოწყალებას ჩ-ვენ გამოვიჩენთ მხოლოდ გერმანელი ხალხის მიმ-ართ და არა სხვა ვინმეს მიმართ მთელ ქვეყანა-ზე. როგორც ნაციონალ-სოციალისტმა,მე უნდა ვთ-ქვა,რომ თუ ევროპის ებრაული თემი ცოცხალი დარ ჩება ამ ომის შემდეგ,როცა ჩვენს საუკეთესო მა ლებს ვწირავთ ევროპის შესანარჩუნებლად,მაშინ ეს ომი მხოლოდ ნაწილობრივ იქნება წარმატება. ამრიგად,ებრაელებისგან მე მოველი მხოლოდ რაი-მეს - ისინი უნდა გაქრნენ".

კამათი ნაცისტთა ბელადებს შორის

ყლეტისათვის დროის შერჩევაზე

მაგრამ „გაქრობის" ფორმებზე,როგორც ითქვა, აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. ფრანკი გესტა პოსაგან სისტემატურად მოითხოვდა: სპეციალისტი მუშები მაინც დამიტოვეთ და ესენი მაინც არ გ-ააგზავნოთ მოსასპობადო. მაგრამ გესტაპო უმეტ-ესად არავითარ ანგარიშს არ უწევდა მის სურვი-ლებს. ზრადლებული და მისი თანამდგომნი კი მოქ მედებდნენ ევროპის ებრაელობის მოსასპობად.

ფრანკი მწარედ წუწუნებდა: გესტაპო ჩემს ს-ამფლობელოში თავის ჭკუაზე მოქმედებს და სახელ მწიფოში სახელმწიფოს ქმნისო. „გერმანიის იმპე

რიაში უხვად შევქმენით კომპეტენტური ორგანოე-
ბი,რომლებიც სერიოზულად ებრძვიან ერთმანეთს",
წერდა იგი. საქმე იქამდეც კი მივიდა,რომ ფრან
კმა 1943 წელს გადადგომა ითხოვა,მაგრამ ჰიტლე
რი არ დათანხმდა. იმ დროისათვის უკვე მოსპობი
ლი იყო პოლონეთის ებრაელთა უმეტესობა,ხოლო ნა
ცისტთა შინაურ კინკლაობას გავლენისა და ძალის
მოსაპოვებლად,სულაც არ უმოქმედია ებრაელთა გ-
ადარჩენის საქმეში. და როცა პოლონეთის ებრაელ
ობის უკანასკნელ ნაშთთა ნაცარი მიემატა ოსვენ
ციმის სილიან ბორცვებს,ფრანკმა თქვა: „აქ და-
ვიწყეთ 3,5 მილიონი ებრაელით,რომელთაგან მხო-
ლოდ ზოგიერთები დარჩნენ შრომის ბანაკებში.ხო-
ლო სხვები - ასე ვთქვათ: „ემიგრაციაში წავიდ-
ნენ". ოქმი ამატებს,რომ დამსწრენი საყოველთაო
გამოცოცხლებამ და სიხარულმა მოიცვა გაჟლეტის
ასეთი სურათის წარმოდგენისას.

ებრაელები ფრანკის ხელით არ გაჟლეტილა. უკ
ვე მოვისმინეთ,ფრანკის მთავრობის მეთაურმა ბ-
იჰლერმა რომ განაცხადა ვანზეეს კონფერენციაზე
ეს საქმე მთავარ საიმპერიო სამმართველოს კომ-
პეტენციაში შედისო; რაც ნიშნავს,აისმანის კო-
მპეტენციაშიო. არც სიკვდილის ბანაკები იყო ფ-
რანკის ხელქვეით და ასეც ითქვა გარკვევით იმ
სხდომებზე. „... ეს ბანაკები აიგო უშუალოდ ბ-
ერლინში მყოფი ესესის მიერ,იქიდანვე მართავენ
მათ და მათში მომხდარ ყოველივეზე პასუხისმგე-
ბელია ბერლინის ცენტრი". მართლაც ასე იყო და
ამაზე კიდევ მივიღებთ სამხილებს სხვებისგანაც.

„მცირე ტერორის"

პერიოდი

ებრაელთა ტანჯვა პოლონეთში დაიწყო გერმანელთა არმიის შეხვედრისთანავე. დარბევა-აწიოკება, დამცირება-შეურაცხყოფა, სალოცავების გადაწვა, ქონების წართმევა, კოლექტიური ჯარიმები იმთავითვე იქცნენ პოლონეთის ებრაელობის წილ-ხვედრად, როგორც კი გერმანიის არმია შევიდა პოლონეთში. უკვე პირველ კვირეებში დაიღუპა ათასობით ადამიანი ყველანაირი სიკვდილით, რაც კი დედამიწაზეა ცნობილი. იაროსლაველი ებრაელები მიიყვანეს სანის ნაპირებზე და ასობით მათგანი დაახრჩეს მდინარეში. ბიდგოშტის ბრომბერის ებრაელობა აჩეხ-აკეწეს. ლოძში მოაწყეს დარბევა ჰებელსის ვიზიტის აღსანიშნავად. ებრაელთა დამცირება - შეურაცხყოფა წარმოადგენდა ქცევის ნორმას; წვერს პარსავდნენ ხორცთან ერთად; ცეცხლს უკიდებდნენ სალოცავებს და ზოგჯერ, როგორც ვლოცლავეკში, ჯერ ცეცხლს წაუკიდებდნენ სალოცავებს, შემდეგ კი ნარჩინებულ ებრაელებს დააპატიმრებდნენ, აიძულებდნენ ხელი მოეწერათ ჩვენებაზე ჩვენა ვართ ხანძრის გამჩაღებლებიო, და ამ ჩვენების საფუძველზე ქალაქის ებრაელობას აჯარიმებდნენ 100 ათასი ზლოტით. რამდენიმე კვირაში გადასწვეს ან აათეთქეს ასობით სალოცავი, გადააქციეს ისინი საჯინიბოებად, საპირფარეშოებად და საპატიმროებად. ებრაელებს უბრძანებდნენ სალოცავი მოსასხამებით („ტალითებით") დაეხვეტათ ქუჩები, დაეწვათ წმინდა წიგნები და ეცეკვათ ამ

კოცონების გარშემო. მთელ ამ სცენებს ილებდნენ „დერ შტურმერში" („მოიერიშეში") და ნაცისტური პრესის სხვა ორგანოებში გამოსაქვეყნებლად. ერ-თდროულად დაიწყეს ქონების ძარცვა-გლეჯა სხვა-დასხვა მეთოდებით. ადებდნენ კოლექტიურ ჯარიმე-ბს, ართმევდნენ ბინებს შიგ არსებული მთელი ქო-ნებით; ზოგჯერ მიმართავდნენ ჩვეულებრივ წართ-მევას იმ საბაბით, იარაღს ვეძებთო, თუ შესაძლე-ბელი იყო მიეტაცათ ძვირფასი ნივთი და იქაურო-ბას გაცლოდნენ.

დაიწყო მუშა ხელის მოტაცება. იტაცებდნენ ქ-უჩაში შემთხვევით გავლილ მამაკაცებს. ადამია-ნი სახლიდან გამოდიოდა დილით და არ იცოდა სა-ღამოთი თუ შეძლებდა დაბრუნებას. ზოგიერთი ბრ-უნდებოდა „სამუშაო ბარათით" ხელში, ზოგი კი ა-ღარ ბრუნდებოდა და გერმანელები ამბობდნენ, რომ გაიგზავნენ „ქალაქგარეთ" სამუშაოდ. მათ უკვე ვეღარასდროს ნახულობდნენ. ესესის მუშაკები ი-ჭრებოდნენ ებრაელთა უბნებში და გეტოებში და ც-ემით აიძულებდნენ გასულიყვნენ ისეთ სამუშაოზე, რაც თავისთავად წარმოადგენდა დამცირება-შეურა-ცხყოფას: ჯერ ათხრევინებდნენ ორმოებს და შემ-დეგ ავსებინებდნენ, ლოდებს გადაატანინებდნენ ს-ხვა ადგილზე და შემდეგ უკანვე მოატანინებდნენ და ა.შ. ებრაელები იქცნენ დამფრთხალ, დამცირე-ბულ და დამონებულ, ყოველგვარ ადამიანურ უფლებ-ას მოკლებულ მასად. სალოცავები დაიკეტა, საზო-გადოებრივი საქმიანობა შეწყდა, რჩენის წყარო-ები დაიშრიტა.

მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს იყო მხოლოდ „მცირე

ტერორის" პერიოდი. ჯერ კიდევ წინ არის პოლონ-
ეთის ებრაელობის ტრაგედიისა და მოსპობის პერი
ოდი.

### მოსპობის მოსამზადებელი ეტაპები:
### გეტოებში გამომწყვდევა

ებრაელებისადმი მოპყრობის საკითხებზე ჰაი-
დრიხის მიერ 1939 წლის 21 სექტემბერს გაცემუ-
ლი განკარგულებანი უკვე მოვიხსენიე,კატასტრო-
ფის დაგეგმვაზე რომ ვლაპარაკობდი. ამ განკარ-
გულებათა თანახმად პირველ ეტაპზე უნდა მომხდეს
ებრაელთა თავმოყრა და განსაკუთრებული ნიშნის
შემოღება მათ გამოსაცნობად. ეს უნდა ყოფილიყო
საშუალედო ეტაპი საბოლოო გადაწყვეტის გზაზე.
ამავე აზრისა იყო აიხმანიც. ასეთი თავმოყრა ა
რც თუ ისე ძნელი იყო პოლონეთში,რამდენადაც ი-
ქაური ებრაელობის დიდი უმრავლესობა ძირითადად
ქალაქებსა და დაბებში ცხოვრობდნენ. ბრძანება,
რომ ყოველმა ებრაელმა უნდა დაიკეროს ყვითელი
ნაჭერი,გაიცა დაუყოვნებლივ. ვინც ბრძანებას
არღვევდა,ხვრეტდნენ.

ჰიტლერმა,გერინგმა და კაიტელმა 1939 წლის
10 ოქტომბერს ბრძანეს აღმოსავლეთში გამოეყოთ
ტერიტორიები გერმანელთა დასასახლებლად და გაე
წმინდათ ისინი სხვა ერებისაგან. ჰიმლერს მიე-
ცა თითქმის შეუზღუდავი უფლებანი. ამ მიზნის გ
ანხორციელება დაეკისრა უშიშროების პოლიციას
და მისმა უფროსმაც,ჰაიდრიხმა 1939 წლის 21 დ-
ეკემბერს ბრძანა:

„საქმიანი მიზეზების გამო აუცილებელია აღმოსავლეთის რაიონების ევაკუაციასთან დაკავშირებული საპოლიციო და უშიშროების საკითხები დამუშავდეს კონცენტრირებულად. ამრიგად ამ საკითხებზე განსაკუთრებული პასუხისმგებლობა უშიშროების მთავარი საიმპერიო სამმართველოს მე-4 ბიუროსგან დავაკისრე პაუპშტურმფიურერს აიხმანს (მისი მოადგილეა პაუპშტურმფიურერი გიუნტერი)"

ამ ღონისძიებათა ამოცანები დაწვრილებით იყო განსაზღვრული დოკუმენტში,რომელშიც აღნიშნული იყო გერმანიის პოლიტიკის მიზნები მესამე რაიხისათვის მიერთებულ ტერიტორიებზე. ეს მიზნები მოიცავენ მთელი იმ მოსახლეობის გაძევებას, რომლის დაბრუნებაც შეუძლებელია გერმანელი ხალხის წიაღში „გერმანიზაციის პროცესით". ამ მიზნებში შედის აღნიშნულ ტერიტორიათა ხელახალი კოლონიზაცია (დასახლება) გერმანელთა მიერ. ებრაელები უნდა გაძევებულ იქნან სწრაფად და უნდა გაუქმდეს ყველა მათი უფლება.

## ქონების წართმევა და გაძევება

გაძევების დაწვრილებითი დაგეგმვა და განხორციელება გადავიდა აიხმანის ხელში. სხვათა შორის მახვე დაეკისრება განახორციელოს ჰიმლერის ბრძანება აღმოსავლეთის ოლქებიდან ყველა ებრაელის გაძევების შესახებ. ამჟამად აიხმანი აღმოსავლეთში უკვე მოქმედებს თვით რაიხსფიურერის დავალებით და სახელით.

1939 წლის ხექტემბერში განხორციელდა აგრეთ

ვე ბრძანებები ებრაელთა ქონების ორგანიზებული წართმევის,საწარმოთა და საქონლის საწყობების ჩამორთმევის,ხოლო შემდეგ ხელში მოხვედრილი ყოველი ნივთის ნაგლეჯის შესახებ. ამასთან ერთად დაიწყეს ებრაულ თემთა ქონებრივი დაჯარიმება ისე,როგორც მოეპრიანებოდათ. ნაძარცვი ქონების მოსავლელად 1939 წლის ოქტომბერში შეიქმნა „აღმოსავლეთის სამეურნეო ორგანიზაცია",რომელსაც მთავარი კანცელარია ჰქონდა ბერლინში,ხოლო ფილიალები პოლონეთის რამდენიმე ქალაქში. ჰიმლერმა დაადგინა ამ ორგანიზაციის თანამშრომლობის გზები იმ დაწესებულებასთან,რომელსაც მიეცა პოლონური და ებრაული ქონების ძარცვის შეუზღუდავი უფლებები.

1940 წლის იანვარში გაძევების საკითხებზე აიხმანის ხელმძღვანელობით გამართულ სხდომაზე უკვე ვხედავთ „აღმოსავლეთის სამეურნეო ორგანიზაციის" წარმომადგენელს. ამ სხდომაზე ლაპარაკი იყო იმ მეთოდებზე,რითაც ხდებოდა გაძევება საგენერალ-საგუბერნატოროში და ითქვა,რომ ერთ ეშელონში ყინვისაგან დაიხოცა რამდენიმე ასეული კაცი. შეთანხმდნენ,რომ ახლო ხანებში ვარტეგაუს რაიონიდან,რომელიც მოიცავდა ლოძსა და პოზნანს,გააძევებენ 350 ათას ებრაელს და მათ გადაიყვანენ,ფრანკის ადმინისტრაციასთან შეთანხმების შემდეგ,საგენერალ-საგუბერნატორო ტერიტორიაზე. მთელი ქონება,რის წაღების უფლებაც ეძლეოდა ებრაელს,იყო 100 ზლოტი. ყოველ გაგზავნილ ჯგუფზე ანგარიშით უნდა ჩაბარდეს პოლიციის შტაბს კრაკოვში და ადოლფ აიხმანს.

## როგორ ხორციელდებოდა გაძევება

საგენერალ-საგუბერნატოროს მთავრობის სხდომაზე ეს მოძრაობა დახასიათებულ იქნა „ხალხთა თანამედროვე გადასახლებად". გავა ორ წელზე მეტი და ამ ღონისძიებას ასე დაახასიათებს ფრანკი:

„... მაშინ წარმოიშვა ფანტაზიები ასეულ ათასობით პოლონელისა და ებრაელის გადმოყვანის შესახებ საგენერალ-საგუბერნატოროს ტერიტორიაზე. გაიხსენეთ ის საშინელი თვეები, როცა ჩვენს რაიონში ყოველდღიურად მოდიოდა ხალხით გაჭედილი სატვირთო მატარებლები. ზოგიერთი ვაგონი თითქმის ჭერამდე იყო სავსე მიცვალებულთა გვამებით. ეს იყო საშინელი დრო ჩვენი ოლქის ყველა დირექტორისათვის, სახალხო მმართველობის ყველა მუშაკისათვის, რომლებსაც დილიდან საღამომდე უნდა ერბინათ და ეზრუნათ იმათზე, რომლებიც ჯერ კიდევ გერმანიაშიც კი არ უნდოდათ და ახლა კი უცბად გადაწყდა გამოეგზავნათ ისინი ჩვენსკენ... უნდა გაგვეძლო ყველაფერი ამისათვის".

თუ რისთვის უნდა გაეძლოთ ამ საშინელი მგზავრობის მსხვერპლთ, რა ტანჯვა-წამება უნდა გადაეტანათ, როგორ იხოცებოდნენ დედები თავიანთ პაწიებთან ერთად, როგორ ეყარნენ თოვლსა და ტალახში, ყოველივე ამის შესახებ ფრანკს, რა თქმა უნდა, არაფერი ჰქონდა სათქმელი. გაძევებულ იქნა ნახევარ მილიონამდე ადამიანი. ეს ღონისძიება განახორციელა უშიშროების მთავარი საიმპერიო ს

ამმართველოს სპეციალურმა    განყოფილებამ ა-
ისმანის მეთაურობით. ამ ოპერაციამ მოიცვა აგ-
რეთვე აღმოსავლეთ პრუსიის ებრაელობაც.

ბოლოს გაჭრა ფრანკის ჩივილმა,რომ ეს ვადას
ახლება მძიმე ტვირთად აწევს მას და მის თანა-
შემწეებს,რომლებიც ენაგადმოგდებული დარბიან ა
მდენი ხალხის საქმეების მოსაგვარებლად და
1940 წლის 23 მარტს გერინგმა ბრძანა აღარ გა-
ეგრძელებინათ დეპორტაცია საგენერალ-საგუბერნა
ტოროში ფრანკის წინასწარი თანხმობის გარეშე.

## გეტო -
## ჟლეტის პირველი საშუალება

ამასობაში კი პოლონეთში გრძელდებოდა,1939
წლის გენერალური გეგმის მიხედვით,ებრაელთა თ-
ავმოყრა და ძარცვა. შეიქმნა გეტოები ქალაქე-
ბის ყველაზე ცუდ უბნებში,სადაც არ იყო ჰიგიე-
ნისა და სანიტარიის დაცვის ყველაზე ელემენტა-
რული საშუალებებიც კი. არაადამიანურმა სივიწ-
როვემ და სიბინძურემ სწრაფად წარმოშვეს მძიმე
ეპიდემიები. გეტოს დატოვება იწვევდა საჯარო ს
იკვდილით დასჯას. თვით გეტო გადაიქცა მოსპობ-
ის საშუალებად.

აი გეტოს დახასიათებაც.

## ვარშავა

1940 წლის ქიფურის დღეს გამოცხადა რ
ადიომ გერმანელთა ბრძანება ქალაქ ვარშავაში ე
ბრაული კვარტლის შექმნის შესახებ. ებრაელებს

რამდენიმე დღეში უნდა დაეტოვებინათ ამ კვარტლის გარეთ არსებული საკუთარი სახლები და გადასულიყვნენ ამ უბანში. არ იყო აღნიშნული,ვინ სად უნდა დაბინავებულიყო. ასე შეასახლეს 100 ათასამდე ებრაელი უკვე ისედაც გადაჭედილ კვარტალში. ისინი იქცნენ ლტოლვილებად. ვინ ხელით მიათრევდა თავის ბარგი-ბარხანას და ვინ ხელის ურიკებით. დახეტიალობდნენ კვარტლის უბნებში, ჩერდებოდნენ სახლის პირდაპირ და გონდაკარგული შეჰყურებდნენ ქალსა და უპატრონობას,რომ არ იცოდნენ სად შესულიყვნენ. მაშინ გეტო ჯერ კიდევ ღია იყო და გარე სამყაროსთან კავშირიც არსებობდა. შეიძლებოდა სამუშაოდ გასვლა ებრაული კვარტლის გარეთაც. ცოტა ხნის შემდეგ წინასწარი გაფრთხილების გარეშე გამოჰყვეს და გააცალკევეს ებრაული კვარტალი და ყოველ ჭიშკართან თუ გასასვლელთან დააყენეს გერმანელი და პოლონელი პოლიციელები. მყისიერად მოწყდა გეტო საარსებო წყაროებს,სამუშაო ადგილებს და ყველას დაეუფლა საპატიმროში გამომწყვდეულთა განწყობილება. იმავე პერიოდში მოყარეს გეტოში კიდევ ათეულ-ათასობით ებრაელი მახლობელი დასახლებებიდან. ამათ უბრძანეს ორი საათის განმავლობაში მიეხედათ თავისი ყველა საქმისათვის,თან წაეღოთ რის წაღებასაც შეძლებდნენ ხელით და ზურგით. ამის შემდეგ ყველა ფეხით გაუყენეს გზებს ვარშავის გეტოებისაკენ. ყველას,ვინც გზაში სუსტდებოდა ან წაბორძიკდებოდა,ვინც კვნესოდა ან წუთით შეჩერდებოდა,ადგილზე ხვრეტდნენ. ისევ შედევნეს გეტოში ლტოლვილთა ნაკადები,ისევ დაეხე

წებოდნენ ან ისხდნენ გეტოს ქუჩებში უსახლკარო
ულუკმაპურო ადამიანები,ელოდნენ სასწაულს. გე-
ტოში ცხოვრება გადაიქცა აუტანელ ჯოჯოხეთად.ს-
აშინელი სივიწროვე ახრჩობდა ხალხს - ყოველ ო-
თახში ათობით ადამიანი იყო,ცუდი სანიტარული პ
ირობების შედეგად მძვინვარებდა ავადმყოფობა
და ეპიდემია. სამუშაოს არარსებობამ,გერმანელე
ბთან მონური სამუშოს გარდა და სურსათის უქონ-
რობამ ჩქარა გამოიწვიეს შიმშილობა. ებრაელთა
მთელი ოჯახები,ქალებთან და ბავშვებთან ერთად
ეყარნენ ქუჩებში შიმშილისაგან დაოსებულ-დასი-
ვებულები. კომენდანტის საათებში,როცა ირგვლივ
სიწყნარე დაისადგურებდა,ყოველი მხრიდან მოის-
მოდა ჩვილი ბავშვების ხმა,პურის ნაჭერს „ა-
შტიკელე ბროიტ" რომ ითხოვდნენ. და ერთადერთი,
რისი მიცემაც შეიძლებოდა მათთვის,ეს იყო ნამც
ეცები,რასაც გულმოწყალე ებრაელები იძლეოდნენ.

დილაობით ეზოების ჭიშკართან და შესასვლელ-
თან პოულობდნენ ქაღალდით დაფარულ ადამიანთა გ
ვამებს,რომლებსაც ღამით ტანსაცმელი აართვეს.
ყველაზე მძიმე მდგომარეობაში იყვნენ,რა თქმა
უნდა,გარეუბნებიდან მორეკილები,რადგან შეუძლე
ბელი იყო მათთვის თავშესაფარი ადგილის პოვნა.
ისინი მოთავსდნენ ლტოლვილთა სახლებში. ასეთ ს
ახლებში გავლაც კი შეუძლებელი იყო,რადგან ყოვ
ელი კუთხე-კუნჭული ხალხით იყო გაჭედილი. მათ
ეძლეოდათ თეფში სუპი და ერთი ნაჭერი პური დღე
ში. ყოველ დღე მარხავდნენ ასობით ებრაელს...
სამუშაოსათვის გამოყოფილი ებრაელები ყოველ დ-
ღით გარბოდნენ გერმანელების მიერ დაარსებულ ს

წარმოებში იმის იმედით,რომ ასე გადაურჩებოდ-
ნენ მიმშილით სიკვდილს. ბევრი სამუშაოზეც კი
ვერ აღწევდა, რადგან გერმანელები შედიოდნენ გ
ეტოში,დგებოდნენ შუა ქუჩაში და იწყებდნენ სრო
ლას. ებრაელებმა არ იცოდნენ საიდან მოელოდათ
საშიშროება და თავს იყრიდნენ,ჩვეულებრივად,ე-
რთ ადგილზე. მაშინ ესესელები კეტავდნენ ქუჩე-
ბს,აგროვებდნენ ერთ ადგილას და მიჰყავდათ ისი
ნი „უმშლაგისაკენ",რომელიც წარმოადგენდა სადე
პორტაციო პუნქტს. გერმანელები ამას აკეთებდნ-
ენ იმ საბაბით,თითქოს სამუშაო ბარათებს ამოწ-
მებდნენ. ზოგიერთებს კიდევ ათავისუფლებდნენ მ
ათი „სამუშაოს გამო". იმართებოდა გულისგამგ-
მირავი სცენები. აი,დაიჭირეს ებრაელი,რომელს-
აც აქვს სამუშაო ბარათი. ბავშვებს ართმევენ მ
ას და იგი იხვეწება ბავშვებთან ერთად წასვლის
ნებას,მაგრამ უარს ეუბნებიან.მოხუცებისა და ა
ვადმყოფებისათვის მოჰყავთ საზიდრები და ისინი
თავიანთი ლაცაკური ფუთებით ადგებიან თავიანთ
უკანასკნელ გზას. ამასთან ერთად,დეპორტაციის
მთელი პერიოდის განმავლობაში არ შეწყვეტილა ტ
ერორი გეტოში. „წინააღმდეგობას გვიწევენო",ამ
საბაბით ხოცავდნენ ყოველდღე ათობით ებრაელს,დ
არჩენილთა დასანახად და დასაშინებლად. ესესე-
ლები,პატარა ბავშვებს იჭერდნენ და ქვებზე უხ-
ეთქავდნენ თავებს. სულ უფრო ხშირდებოდა შემთ-
ხვევები,რომლებიც ისე ჩანდნენ,რომ გაძევების
ღონისძიებათა გარდა ზოგი გერმანელი ებრაელს
ამცირებდა და აბუჩად იგდებდა იმიტომ,რომ სია-
მოვნებას პოულობდა სხვის ტანჯვა-შეურაცხყოფა-

ში.

შიმშილი რომ გამძვინვარდა,ეხეხელებმა „ახალი მეთოდი" შემოიღეს. მათ განაცხადეს,რომ ყოველი,ვინც თვითონ მოიხურვებს „გახახლებას",ხაგზლად მიიღებს 3 კილოგრამ პურსა და კილოგრამ მურაბას.და მართლაც,გამოჩნდა მრავალი,შიმშილმა რომ აიძულა,თავისი ფეხით გამოცხადებულიყო ხადეპორტაციო პუნქტში. ქუჩებში კვლავ გამოჩნდნენ ებრაელები,ხელში აყვანილი ბავშვებითა და ზურგზე მოკიდებული ბარგი-ბარხანით რომ მიაბიჯებდნენ ხადეპორტაციო პუნქტისაკენ.

ლოძი

ერთ-ერთი პირველი გეტო შეიქმნა ლოძში (ლუცმენშტატში). 160 ათასი ხული შეპყარეს 4 კვადრატულ კილომეტრ ფართობზე. 6 ხული ერთ ოთახში. წელიწადნახევრის განმავლობაში 15.000 მათგანი დაიღუპა. იქ გამეფებული ხაშინელი პირობების მიუხედავად,აიხმანმა კიდევ შეჭეჭყა 20 ათასი ებრაელი და 5.000 ბოშა გერმანიის ხხვადასხვა ადგილებიდან. ოლქის ზედამხედველმა თვით ჰიმლერთან იჩივლა:„როგორც ჩანს აიხმანმა არახწორი მონაცემები მოგაწოდათ იმაზე,თუ ხალხის რა რაოდენობის მიღება შეუძლია გეტოს,ხადაც ეპიდემიები მძვინვარებს". აიხმანის მოქმედების მეთოდებს ლუცენშტატის ოლქის ზედამხედველი ადარებს ცხენებით ვაჭრობის ბოშათა მეთოდს. ამ გულწრფელ წერილს რომ წერდა 1941 წლის 9 ოქტომბერს, მან არ იცოდა,რომ უკვე გადაწყვეტილია ყველა ებრაელის მოხპობა და აღარა აქვს მნიშვნელობა,

თუ რა მეთოდით მოხდება ამოჟლეტა.

1941 წლის საბედისწერო ზაფხულში გერმანიის ჰაერში ტრიალებდა ებრაელთა მოსპობის აზრები და გეგმები. აიხმანის ემისარმა პოზნანში, შტურმბანფიურერმა ჰეპნერმა ბრალდებულს გაუგზავნა პირადი წერილი, რომელშიც, სხვათა შორის, სთავაზობდა ვარტეგაუს მთელი ებრაელობისათვის (300 ათასამდე კაცისათვის) თავი მოეყარათ ისეთ ადგილზე, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მათი გამოყენება ქვანახშირის მაღაროებში სამუშაოდ. ამ გზით ფიქრობდა დაეძლია ლოძისა და სხვა გეტოებში მძვინვარე ეპიდემიები და გამკლავებოდა მთელ პრობლემას. ამ ბანაკში შეიძლებოდა ყველა ებრაელი ქალის დაკოდვა და ამ გზით მთელი ებრაული პრობლემის გადაჭრა, - წერს იგი და აგრძელებს:

„არსებობს საშიშროება, რომ ამ ზამთარში ვერავითარ საკვებს ვერ მივაწვდით ებრაელებს. საჭიროა სერიოზულად ვიფიქროთ, ხომ არ იქნებოდა უფრო ადამიანური ებრაელთა საქმეს მოვრჩენილიყავით რომელიმე სწრაფმოქმედი საშუალებით. ყოველ შემთხვევაში ასე უფრო სასიამოვნო იქნება, ვიდრე ის, რომ შიმშილით ამოძვრეთ სული".

თანხმლებ წერილში ჰეპნერი წერს, რომ შესაძლოა მისი სიტყვები ფანტასტიკურად ისმოდეს, მაგრამ მათი განხორციელება შეიძლება. მაშინ, როგორც ჩანს, მანაც არ იცოდა, თუ რა ახლოს იყო მისი სიტყვები აღსრულებასთან საყოველთაო გადაწყვეტის ფარგლებში.

1943 წლის ზაფხულში აიხმანი მივიდა ლოძის გეტოში და ამ საქმესთან დაკავშირებულ სხვა პირ-

ებთან ერთად გადაწყდა,რომ გეტო აღარაა რენტა-
ბელური. ამდენად ეს გეტო გადაიქცევა საკონცენ
ტრაციო ბანაკად,მასში დარჩებიან მხოლოდ შრომ-
ის უნარის მქონენი. დანარჩენები „გაიგზავნებ-
იან".

### შრომითი ბანაკები -
### მოსპობის მეორე საშუალება

სხვა საშუალება,რასაც გესტაპო იყენებდა პო
ლონეთის ებრაელობის მოსასპობად,იყო შრომითი ბ
ანაკები. ოკუპაციიდან უკვე ერთი თვის შემდეგ
14-60 წლის ასაკის პოლონეთის ყველა ებრაელს ე
ბრძანა მიმაგრებულიყვნენ სამუშაოებზე. ებრაე-
ლებს ებრძანათ ყველაზე მძიმე სამუშაოთა შესრუ
ლება. ბანაკებში გაბატონდა ცემა-ტყეპისა და ს
ასტიკი ფიზიკური დასჯის სისტემა. ადამიანები
წელში წყდებოდნენ,რადგან სამუშაოს შესრულება
მოითხოვდა არაადამიანურ ძალებს.

პოლონეთში ნაცისტთა დანაშაულებათა გამოსა
კვლევად პოლონეთის მთავრობამ დანიშნა კომისია,
რომლის ოფიციალური მოხსენების თანახმად იქ ი-
ყო 300-ზე მეტი ასეთი ბანაკი. პატიმრებს გაპ-
ყავდათ გზები,აგებდნენ სიმაგრეებს,კალაპოტებს
უცვლიდნენ მდინარეებს,მუშაობდნენ ქარხნებში,მ
აღაროებში და ა.შ. გეტოებშიც იყო შემოღებული
საყოველთაო სავალდებულო შრომა.

### კრაკოვი

მოვიტანთ ჩვენებებს,თუ როგორი იყო ცხოვრება

ამ გეცოებში. პლაშოვში,კრაკოვის მახლობლად,ს-
ამუშაო დღე იწყებოდა დილის 4 საათზე და მთავრ-
დებოდა გვიან საღამოს. საცხოვრებლად გამოყენე
ბული იყო ბარაკები; ყოველ ბარაკში რამდენიმე
ასეული კაცი იწვა სამსართულიან ხის საწოლებ -
ზე. ყოველ სამუშაოს ასრულებდნენ უწყვეტი სირ-
ბილით. ვინც ჩამორჩებოდა,25 როზგს გადააწნიდ-
ნენ შიშველ სხეულზე. საჭმელი ცოცა პური,დღე
ში ორჯერ სასმელი, "ყავას" რომ ეძახდნენ,წყალ
წყალა სუპი შუადღეზე და ზოგჯერ ცოცა ქონი.ად-
ამიანები განუწყვეტლივ შიმშილობდნენ,მაგრამ ა
კრძალული იყო გარედან რაიმეს შემოცანა. ამ აკ
რძალვის დარღვევისათვის ადგილზევე სვრეცდნენ
ან ჩამოახრჩობდნენ. ზოგჯერ ამისათვის სჯიდნენ
მთელ ჯგუფებს. ხშირად ახლენდნენ საჯარიმო გა-
დათვლას და მაშინ საათობით უნდა მდგარიყვნენ
გაუნძრევლად. ვინც ვერ გაუძლებდა,ადგილზევე ს
ვრეცდნენ. ჩამოხრჩობას აცარებდნენ მთელი ბანა
კის თანდასწრებით. და აჲ გამოიყურებოდა ეს ა
მაზრზენი სურათი: 20.000 ადამიანი დგას ლენი-
ანი მავთულხლართებით შემოლობილ მოედანზე,ხოლო
სათვალთვალო კოშკებიდან ცყვიამფრქვევებია მი-
მართული მათკენ. ყველას თვალწინ ახრჩობენ 15
წლის ჭაბუკს. ბაწარი წყდება და ჭაბუკი ითხოვს
შეწყალებას. იგი მეორედ აჰყავთ ეშაფოცზე და ა
ხრჩობენ. რიგში მდგომი სხვა სიკვდილმისჯილი ა
მახობაში ძარღვებს იჭრის და იგი სახრჩობელაზე
აჰყავთ სისხლში მოთხვრილი. მოისმენთ ჩვენებე-
ბს,როგორ უსისიანებდნენ ძაღლებს ადამიანებს,
აკბენინებდნენ და აფლეთინებდნენ;როგორ მილიო-

დნენ ესესელები ადამიანებთან და როგორ ეხროდ-
ნენ ისე,მოპრიანების გამო; როგორ არჩევდნენ ხ
უსტებს,მოხუცებსა და ბავშვებს სიკვდილის ბანა
კებში გასაგზავნად. ამ დროს კი ხმამაღლამოლა-
პარაკეებით გადასცემენ „იავნანას". შერხევა
კი აკრძალულია. ყოველი შერხევა იწვევს ტყვია-
მფრქვევთა ამოქმედებას. გასაგებია,რომ სიკვდი
ლიანობის პროცენტი ასეთ ბანაკებში საშინელი ი
ყო,ხოლო თვით ბანაკები წარმოადგენდა სიკვდილ-
ის იარაღს.

ლვოვი

აი,როგორ ხატავს მოწმე იმას,რაც ხდება ლვო
ვში:

„1941წლის 21 ივლისს დამაპატიმრეს სხვა
5.000 ებრაელთან ერთად. სამი დღის წამების შ-
ემდეგ ზოგიერთები გავიქეცით. ყველა დანარჩენი
დახოცეს. ორი დღის შემდეგ წამიყვანეს სამუშაო
ზე ას ებრაელთან ერთად. საღამოს დაბრუნდა 12
კაცი. დანარჩენები დახოცეს. 1942 წლის თებერ-
ვალში წამიყვანეს „იანოვსკას" საკონცენტრაციო
ბანაკში. იქ შემეყარა ტიფი და ფილტვების ანთე
ბა. 8 ივნისს გამიყვანეს დასახვრეტად. მოგვც-
ეს ბარები,რომ ჩვენი საფლავები გაგვეთხარა. რ
ომ დავამთავრეთ თხრა,ამოგვიძახეს სახელებით.
ორი ჩავიდა ორმოში. ისინი ერთმანეთის გვერდით
დაწვნენ პირქვე. ორივე დახვრიტეს. სხვა ორმა
ცოტაოდენი ქვიშა მიაყარა დახვრეტილებს; თვით-
ონაც ჩავიდნენ,დაწვნენ იმ ქვიშაზე და,ისინიც
დახვრიტეს... უკანასკნელ მომენტში გავიქეცი.

1943 წლის ივნისში შემიყვანეს „სიკვდილის ბრიგადებში" ანუ კომანდოს 1005-ე რაზმში. ეს ბრიგადა შექმნეს იმისათვის,რომ წაეშალათ და მიეჩქმალათ გერმანელების დანაშაულებათა კვალი. ჩვენს სამუშაოს ოქროს კბილების ამოგლეჯისა და ოქროს ბეჭდების წაძრობის შემდეგ შეადგენდა საფლავების თხრა,გვამების წვა და ნაცრის გაბნევა-გაფანტვა. ყოველდღიურად ვაგროვებდით 8 კილოგრამამდე ოქროს. ახალი მსხვერპლი რომ მოდიოდა,ადგილზევე ხვრეტდნენ და წვავდნენ. ზოგჯერ 2.000-მდე აღწევდა მათი რიცხვი. იქ ვიყავი 19 ნოემბრამდე,გაქცევამდე".

აღმოსავლეთ პოლონეთში კატასტროფის სურათი დაგვრჩა გერმანელთა მხრიდანაც. გადარჩენილებს მომავალ თაობათა გადასაცემად დარჩათ აღმოსავლეთ გალიციის ებრაელთა მჟლეტის,ესესის გრუპენფიურერის კაცმანის საანგარიშო მოხსენება. იგი ყვება ებრაელთა გამოსაცნობი ნიშნის შემოღებაზე,შრომითი ბანაკების შექმნაზე,ებრაელთა გადაყვანაზე გეტოში და ამ შემთხვევაში იმ „განსაკუთრებულ მოპყრობაზე",რასაც იყენებდნენ „ნაყარნუყარი" ებრაელობის ყველა ზარმაცი და ანტისოციალური ელემენტის" მიმართ.

ჩქარა გაირკვა,ამატებს კაცმანი,რომ ებრაელები სამუშაოზე მათი მიმაგრებისა და სამუშაო ბარათის მიცემის ფაქტში ხედავენ უფრო მძიმე სასჯელისაგან თავის დაძვრენის საშუალებას.ამის გამო, - წერს იგი, - გატარდა ახალი ღონისძიებანი,რის შედეგადაც „განსაკუთრებულად მოეპყრნენ" ათასობით დამატებით ებრაელს. საჭირო იყო

„გადაგზავნილიყო" კიდევ ათიათასობით ებრაელი, რადგან გაირკვა,რომ შესაძლებელი იყო სამუშაო ბარათების შოვნა გერმანელებისათვის ქრთამის მიცემით.

დეპორტაციისას კაცმანი გდააწყდა „არაჩვეულებრივ სიძნელეებს",რადგან ებრაელები, - მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, - ცდილობდნენ დამალულიყვნენ სარდაფებში,ბუნკერებში,ორმოებში და სადაც კი მოსერხდებოდა. მაგრამ მამაცმა ესესელებმა,რა თქმა უნდა,მოახერხეს გადაელახათ ასეთი სიძნელეები და ცეცხლის ან გაზის საშუალებით აეძულებინათ დამალულები გამოსულიყვნენ სამალავებიდან. აღმოჩნდნენ ებრაელები,რომლებსაც იარაღი შეუსყიდავთ.საზღვარგარეთ გაქცევის ცდებიც კი იყო. „ბოლოს იძულებული გავხდი, - წერს კაცმანი, - მიმეღო უსასტიკესი ზომები და ლვოვის ებრაელთა ნაშთები ამომეწყვიტა მათსავე სახლებში ცეცხლის წაკიდებით ან აფეთქებით.3000-მდე ებრაელმა მოიკლა თავი ამგვარად".

პატაკი შეიცავს          ცნობას,რომ კაცმანმა მოსპო 434.329 ებრაელი,რომ მისი ოლქის რამდენიმე ბანაკში დარჩა მხოლოდ 21156 ებრაელი და მათი რიცხვიც განუწყვეტლივ მცირდება.

ამ მოხსენებით ბარათს ერთვის ნაძარცვი ქონების გრძელი სია და ასევე ფოტოსურათები. კაცმანი ჩამოთვლის გალიციის ებრაელობის მოსპობისას ნანახ ზარალს: მისი 18 მუშაკი დაიღუპა ებრაელებისაგან გადადებული ეპიდემიით,8 კაცი მოუკლეს ებრაელებმა,2 დაიღუპა ღონისძიებათა ჩატარებისას მომხდარი ავარიით. ასე ამთავრებს

კაცმანი თავის საანგარიშო მოხსენებას გალიციის
ებრაელობის მოსპობაზე:

„მიუხედავად იმ არაჩვეულებრივი ტვირთისა,რ-
აც მხრებზე დააწვა ყოველ ესესელს და პოლიციელს
ამ ღონისძიებათა გატარების დღეებში,მათი სულის
კვეთება უდრეკი და ქების ღირსი იყო პირველივე
დღიდან ბოლო დღემდე. მხოლოდ მოვალეობის შეგნე-
ბამ - ყოველი მეთაურისა და ხელქვეითის მიერ - მ
ოგვცა საშუალება გავმკლავებოდით ამ სიბინძურეს
უმოკლეს ვადაში".

როდესაც კაცმანი თუ სხვა ნაცისტი ჯალათები
ლაპარაკობენ „გადაგზავნაზე",ისინი გულისხმობენ
ებრაელთა გაგზავნას სიკვდილის ბანაკებში,რომლე
ბზეც აწი ვილაპარაკებ. 1941 - 1944 წლებში ამ
ბანაკებში მოსპეს რამდენიმე მილიონიანი პოლონე
თის ებრაელობა.

### ეიხმანის პირადი პასუხისმგებლობა
### პოლონეთში მოწყობილი ჟლეტისათვის

როგორც გესტაპოს ებრაული განყოფილების მეთა
ური და ებრაელთა ჟლეტის სპეციალური ზედამხედვე
ლი,ადოლფ აიხმანი,უშუალო პასუხისმგებელია,როგ-
ორც წამომწყები და რეალიზატორი ამ მასიური ჟლე
ტისა. ჩვენ დავამტკიცებთ მის ინიციატივას და უ
ფროსობას გეტოებზე,მის პასუხისმგებლობას და მო
ნაწილეობას ჟლეტის ბანაკების შექმნასა და მოქ-
მედებაში და მის პასუხისმგებლობას პოლონეთის ე
ბრაელობის ამოწყვეტისათვის. აქაც ვნახავთ,რომ
აიხმანი არჩევს ყველას და ყოველის საქმეს. მან
განახორციელა პაიდრიხის 1939 წლის 21 სექტემბ-

რის გეგმა. მან მიმართა გერმანიის საგარეო სა ქმეთა სამინისტროს თხოვნით,ნება მიეცათ,რომ ვ არშავის გეტოში მყოფ უცხოური პასპორტების მქო ნე ებრაელების მიმართ ისეთივე პოლიტიკური ზომე ბი მიეღოთ,როგორც გეტოში მყოფი მთელი მოსახლე ობის მიმართ. იგი პირადად გაემგზავრა ვარშავა ში,რათა ადგილზე „მიეხედა" საქმისათვის. მან მოაწყო პოლონეთის ებრაელობის გრანდიოზული ევა კუაცია „სიკვდილის ფაბრიკებში". ამასთან ერთ-ად ვნახავთ,რომ იგი იცლის „წვრილმანებისთვის-აც". იძლევა ბრძანებას 4 ჩეხანოველი ებრაელის დახვრეტაზე,ხოლო კიდევ ერთ ბრძანებას: მახლო-ბელ გეტოში მთელი მოსახლეობის თანდასწრებით ჩ ამოახრჩონ 7 ებრაელი. მანვე გაუგზავნა ცნობა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს,რომ ვ ერ მიაგნეს ლვოვში მცხოვრები რუმინეთის ქვე-შევრდომი ებრაელის ჰერშ რაიფერის კვალს და,რ ოგორც ჩანს,იგი გაიპარა რუმინეთში.

არც ქონება ავიწყდებოდა. სასამართლოში წარ მოვადგენთ დაწვრილებით ინსტრუქციებს ძარცვის თაობაზე. ესესის მთავარმა განყოფილებამ სამე-ურნეო განყოფილების მეთაურს გაუგზავნა ბრძანე ბა ლიუბლინისა და ოსვენციმის რაიონში გაძევე-ბული პოლონეთის ებრაელობის შესახებ. ბრძანებ-აში დადგენილია,რომ ებრაულ ქონებას უწოდონ „კ ონფისკებული ქონება",რამდენადაც წარმოადგენს ან მოპარულს და ან კონტრაბანდულს. ამას მოჰყ-ვება ბრძანება: ნაღდი ფული - გაიგზავნოს იმპე რიის ცენტრალურ ბანაკში; საათები,ავტოკალმები, ჯიბის ფარნები,საფულეები და სხვა პირადი ნივ-

თები შეკეთდეს,გაიწმინდოს და მინიმალურ ფასად მიეყიდოს ფრონტზე მყოფ გერმანელ ჯარისკაცებს. მამაკაცისა და ქალის ტანსაცმელი მიეყიდოს აღმოსავლეთში მცხოვრებ გერმანელებს. მათვე მიეყიდოს საწოლები,საბნები,ქოლგები,ბავშვის ურიკები და კიდევ სხვა საგნები,რომლის გრძელი სიაც მოყვანილია ბრძანებაში. თეთრეული და მაგიდის საფრები გადაეცემა არმიას. სათვალეები გაეგზავნოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებს. ქურქები - ესესის მთავარ სამმართველოს. და ბოლოს,ორი მეღმივი ბრძანება: ებრაელის გამოსაცნობი ნიშანი მოეხსნას ყოველგვარ ტანსაცმელს და პალტოებს. შემოწმდეს ყოველგვარი ტანსაცმელი და გაიჩხრიკოს ისინი: ხომ არაა დამალული მათში რაიმე ძვირფასეულობა.

ესესმა კიდევ ერთი საცანისებური რამ მოიგონა; დახოცილთა ტანსაცმლის მოვლა,წმენდა და შეკეთება უნდა ეწარმოებინათ ებრაელთა ხელით.

„ოპერაცია რაინჰარტი"

ესესის სპეციალური შენაერთი აცარებდა ღონისძიებებს,რომლებსაც ეწოდა „ოპერაცია რაინჰარტი", 1942 წლის ივნისში მოკლული ჰაიდრიხის სახელის მიხედვით. იგი მამაცური თავდასხმის დროს მოკლა ჩეხმა პარტიზანმა ხელყუმბარის ხროლით. ოპერაციის ხელმძღვანელად დაინიშნა ლიუბლინის პოლიციის უფროსი გლობოჩნიკი. ოპერაციის მიზანს შეადგენდა პოლონეთის ებრაელობის ტოტალური ძარცვა და თვით გაძარცვულთა დახოცვა.

გლობოჩნიკმა წარადგინა მოხსენება,რომელშიც

ჩამოთვლილია ნაძარცვი ვალუტა,ძვირფასეულობა და პირადი ნივთები. თვითონ პირადად შეაფასა ეს ქონება - მხოლოდ ნომინალური ღირებულების მიხედვით - 200 მილიონ მარკად. შეგვიძლია ვივარაუდოთ,რომ ამ ქონების ძირითადი ნაწილი თვითონ მძარცველებმა მიითვისეს და საერთოდ არ მესულა ანგარიშში. ეს ვარაუდი მოდის იქიდან,რომ საგენერალ-საგუბერნატოროს მთავრობის ხელომაზე მარტო პოლონეთის ებრაელობისგან წაგლეჯილი ქონება შეფასდა მრავალ მილიარდ მარკად.

გეტოებსა და სიკვდილის ბანაკებში მყოფი ებრაული მუშახელის გამოსაყენებლად ესესმა შექმნა კომპანია „ოსტინდუსტრი,ანუ შემოკლებით „ოსტი". ამ კომპანიას მართავდა თვით ესესი და მის დანიშნულებას წარმოადგენდა შეექმნა სამრეწველო საწარმოები და დაესაქმებინა მათში ებრაელები,ხელთ ეგდო მთელი ებრაული საწარმო იარაღები და ნედლეული. აემოქმედებინა ყველა საწარმო,რომლებიც ადრე ებრაელთა ხელში იყო. შეიქმნა გერმანული კერძო საწარმოებიც კი,რომლებსაც ამარაგებდნენ ებრაული მუშა-ხელით და სადაც ებრაელები ნამდვილი მონებივით ცხოვრობდნენ.

გლობოჩნიკმა ანგარიში წარადგინა გატარებულ ღონისძიებათა წარმატებაზე: ათიათასობით ებრაელი მუქთ სამუშაო ძალად გადავეცი „ოსტის" საწარმოებსო. „ყველგან მივაღწიე წარმატებას", წერდა იგი, და მხოლოდ ერთ ადგილზე დავმარცხდი „ვარშავაში ღონისძიება არ გატარებულა როგორც საჭირო იყო და არ გამოყენებულა სწორი მეთოდები".

## ვარშავის გეტო -
## ხოცვისა და გმირობის მწვერვალი

ვარშავის გეტო იყო უდიდესი ევროპის გეტოებს შორის. არა მარტო იმიტომ,რომ ქალაქის ებრაული მოსახლეობა იყო მრავალრიცხოვანი,არამედ იმიტომაც,რომ გაიქცნენ და შერეკეს გარეუბნებისა და მახლობელი ქალაქების ებრაელებიც. საფიქრებელია,რომ გარკვეულ პერიოდში იქ იმყოფებოდა 500 ათასი ებრაელი. ჰიმლერი ხაზს უსვამდა,რომ გერმანელი ტებენსის საწარმოები მილიონებს იგებენ ებრაელი მონების ექსპლოატაციით-ო. და მიუხედავად ამისა მაინც ბრძანა ებრაელები თანდათანობით მოეშორებინათ საწარმოებიდან. „ვიღონებთ,რომ პოლონელები მივიყვანოთ ებრაელი მუშების ნაცვლად... და ებრაელები გადავიყვანოთ სხვა ადგილას. რა თქმა უნდა,ებრაელებს მოუწევთ იქიდანაც გაქრნენ ერთ დღეს ფიურერის სურვილისამებრ".

ჰიმლერი უარზეა დაეთანხმოს იმას,რომ საჭიროა ამ ებრაელების ცოცხლად დატოვება,რამდენადაც ეს საწარმოები მუშაობენ არმიისათვის. „არმია მოგვცემს თავის შეკვეთებს და მომარაგლება მისთვის საჭირო ტანსაცმლით. ბრძანება გავეცი არაფერს გაუწიონ ანგარიში და იმოქმედონ ყველა იმათ წინააღმდეგ,ვისაც სწამს,რომ შეძლებს წინააღმდეგობა გაუწიოს ჩვენს საქმეს,თითქოს შეიარაღების ინტერესების მომიზეზებით და ვისაც დასახული აქვს დაეხმაროს ებრაელებს და მათ საქმეს".

1942 წლის ზაფხულში უკვე არავითარი ილუზიები აღარ გააჩნდათ ვარშავის გეტოში მყოფთ იმაზე, თუ რა მიზნებით აგზავნიდნენ გერმანელები ხალხს გეტოდან. აქამდე ებრაელებს კიდევ რაღაცის იმედი ჰქონდათ, კიდევ იტყუებდნენ თავს და არ უსმენდნენ იატაკქვეშა მოძრაობის შეგონებებს იარაღით შებრძოლებოდნენ ნაცისტებს. გეტოს უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარემ ადამ ჩერნიაკოვმა თავი მოიწამლა ჯერ კიდევ 1942 წლის ივლისში, როცა გერმანელებმა კიდევ მოთხოვეს მათთვის გადაეცა ებრაელები.

საშინელი „სელექცია"

მაგრამ დეპორტაციაში კვლავ ჰყავდა ათასობით და ათიათასობით ადამიანი. სექტემბერში 100 ათასზე მეტი ებრაელი შეყარეს უბანში, რომელსაც „ქვაბი" ეწოდებოდა. მათგან 30 ათასი გამოარჩიეს სამუშაოდ, დანარჩენები კი სიკვდილის ბანაკებში გაგზავნეს. მოვისმინოთ ამ ამბის აღწერა:

„გერმანელებს დარჩენილი ებრაელები გადაჰყავთ ზამენჰოფის, სტავკის, სმოჩისა და გენშის ქუჩებს შორის მოთავსებულ „ქვაბში". გენშისა და მილის ქუჩების შესაყარზე მთელი ქვაფენილი გადაკეტილია სის ჭიშკრით. სიკვდილ-სიცოცხლის ამ ჭიშკრიდან იკლაკნება უზარმაზარი რიგი. ყოველ ადამიანს ამოწმებენ გულდასმით. ახალგაზრდა, ხალისიანი ესესელების მწკრივი დგას საგუშაგოზე. წელზე რევოლვერები ჰკიდიათ. „მოუჩქარე, მოუჩქარე!" – გაჰკივიან ისინი. მათრახების ცლაშუნი და წივილ-კივილი ირევა ერთმანეთში.

ხალხის რიგს ბოლო არ უჩანს. მიაბიჯებენ სიკვდილ-სიცოცხლის ჭიშკარში გაფითრებული,დამფრთხალი ადამიანები,თვალები შიშისაგან დასწითლებიათ. ქმრები ეხმარებიან ცოლებს,დედებს ჩაუხუტებიათ პაწარები,ქალიშვილებს ფრთხილად მიჰყავთ მოხუცი დედები. ოჯახის წევრები ცდილობენ ერთმანეთს არ დაშორდნენ და ერთმანეთზე მიკრული მიიწევენ წინ. ყველას ხელთ უპყრია სამუშაო ბარათი რაც სიცოცხლის უფლებას ანიჭებს მათ. ისინი თავგამოდებით ჩაბღაუჭებიან ამ დოკუმენტს,რადგან იგია სიცოცხლის ერთადერთი საწინდარი მათთვის და - რაც უფრო მნიშვნელოვანია - მათი ძვირფასებისათვის.

დღეს დიდებული,მშვენიერი დღეა. მზე ახალგაზრდულად ბრწყინავს და იცინის. უნტერშტურმფიურერი პანტკე ოფლის წვეთებს იწმენდს წითური,მსუქანი სახიდან. შემდეგ ზურგსაც იმშრალებს და კვლავ მზადაა მუშაობის გასაგრძელებლად. მათრახი სისინით ეშვება დაფეთებულ მსხვერპლთა თავებზე, სახეებსა და სხეულის ყველა შესაძლო ადგილას. ენერგიული,მტკიცე ოფიცერი დამფრთხალებს უჩვენებს საით წავიდნენ.

მარცხნივ - სტავკის მიმართულებით - სიკვდილის ჭიშკარია. იქიდან წაიყვანენ ეშელონისაკენ, რომელიც გადაიყვანს მათ მალინკასა და ტრებლინკასაკენ. აქეთ მიმართავენ ქალებს,მოხუცებს,სახიჩრებს.

ხელის გაქნევა მარჯვნივ - ესაა გზა ლეშნოსაკენ,კარმელიცკისაკენ,ნოვოლიპკისკენ. ესაა გზა სიცოცხლისა. მარჯვნივ გაიგზავნებიან ისინი,რო-

მეღთა შრომისა და ოფლისაგან შეიძლება კიდევ რაიმეს გამორჩენა.

ასეთი იყო ხელექცია გეცოში.

ახალგაზრდული მოძრაობა მოუწოდებს მოძრაობისაკენ,მაგრამ იარაღი არაა. პოლონურმა იაცაკქვე შეთმა მიაწოდა ცხრა რევოლვერი და ხუთი ხელყუმბარა. ხულ ესაა ოპერაციის დასაწყებად.

იაცაკქვეშეთი იქმნება

ბოლოს აირჩიეს იაცაკქვეშეთის საკოორდინაციო კომიცეცი მორდეხაი ანილევიჩის ხელმძღვანელობით. მის მოადგილედ იცხაკ ცუკერმანი. სასოწარკვეთილებით გამოწვეული ცალკეული წინააღმდეგობანი ადრეც ხდებოდა. ახლა კოორდინაციას გაუკეთებენ ლონისძიებებს.

ებრაული იაცაკქვეშეთი პირველად 1943 წლის იანვარში ამოქმედდა. დაეცნენ პირველი გერმანელები. ანილევიჩი,რომელსაც ცყვია-წამალი შემოელია,მუშცებით ეცაკა ყველაზე ახლოს მყოფ გერმანელ ჯარისკაცს,იარაღი გამოგლიჯა და მიიმალა.ამის შემდეგ მრავალი ბრძოლა ჩაატარა და წარმართა მან.

დამონებულთა ხულისკვეთება ამაღლდა. თურმე გერმანელების დამარცხებაც შეიძლება,თურმე შეიძლება მათშიც იყოს მსხვერპლი. მღეროდა კაცასცროფის პოეცი იცხაკ კაცენელსონი,რომელიც თვითონ დაიღუპა კაცასცროფაში:

*"ნუთუ მართლა?... - ვით სისინი მეცრის, ჩაწყვეტილი სიცყვა, - ებრაელი გვეცვრის?"*

*უწმინდურმა გველმა დაანთხია გესლი*
*სასიკვდილოდ დაეცა და მაინც არა სჯერა:*
*" ეს რა მესმის, ოი, ებრაელი გვესვრის?!"*

ბრძოლა დაიწყო. სასოწარკვეთილების ბრძოლა, განწირული ბრძოლა, იოტისოდენა იმედის გარეშე, ყოვლად უიმედო, უაზრო ბრძოლა. მხოლოდ იმისათვის, რომ ცხვარივით თავჩაქინდრული აღარ წასულიყვნენ სასაკლაოზე, მხოლოდ იმისათვის, რომ საზიზღარი მკვლელებისათვის კბილები ჩაემტვრიათ. იატაკქვეშეთი გადასახლისდა. გეტო დაიყო უბნებად. დაიწყეს გულმოდგინედ მუშაობა იარაღის შესაძენად ქალაქის ქრისტიანული მოსახლეობისაგან. რევოლვერი ღირდა ათასობით ზლოტი. იარაღი შეჰქონდათ ყველა საშუალებით: საკანალიზაციო თხრილებით, ყარაულების მოსყიდვით და სასურსათო მანქანებით. „რომ შეგვეძლოს საჭირო იარაღისა და საჭურვლის შოვნა, - წერადა ანილევიჩი ბრძოლის წინ, - მტერს სისხლის ოკეანეს დავუსვამდით გეტოსთვის ბრძოლას.. მაგრამ უამისოდაც დავამტკიცებთ, თუ რა ძალა გვაქვს, როცა გაგვაჩნია ჩვენი ძალების რწმენა". დაიწყო ბუნკერების აგება დასამალავად და მიწისქვეშა გვირაბების თხრა იარაღის შესანახად, კავშირისა და ბრძოლის შესამსუბუქებლად.

ნაცისტები საგონებელში ჩავარდნენ. წინააღმდეგობის პირველი ბუდეები რომ მოსპეს, ჩვეულებრივი წატყუება დაიწყეს: „ყველაფერი, რაც ჩვენ გვინდა, ესაა კიდევ რამდენიმე ებრაელის გაგზავნა შრომის ბანაკებში. რა საჭიროა ასეთი ხმაური?"

ესესელები ცდილობდნენ ჩვეულებრივად გეტოს უ

ხუცესთა საბჭო.დაეშინებინათ,მაგრამ საბჭომ აც-ნობა,რომ ებრაელები აღარ ემორჩილებიან საბჭოს.

ჰიმლერმა ბრძანა მოესპოთ გეტო. „5000 ათასი ქვეადამიანური არსებების სამყოფელი,რომელსაც ისეც არავითარი ღირებულება არ გააჩნია გერმანელებისათვის,უნდა გაქრეს," - წერდა იგი.

## ბრძოლა გეტოსათვის

1943 წლის 19 აპრილს,ფესახის საღამოს გეტოსაკენ გაემართნენ ესესელთა შეიარაღებული ნაწილები,რომელთაც მეთაურობდა იმ ხანებში ვარშავის პოლიციის უფროსად დანიშნული იურგენ შტროპი. შემტევ ნაწილებში შედიოდა 2.100 ჯარისკაცი და მ მათ ეხმარებოდათ ტანკები. ებრაულმა იატაკქვეშეთმა გახსნა ცეცხლი. ბევრი გერმანელი დაეცა. „მოლოტოვის ბოთლებმა" უკან დაახევინეს ტანკე - ბს.

ვარშავის მეორე მხარეს გაგზავნილ ცუკერმანს რომელსაც უნდა ეზრუნა მომარაგებასა და პოლონური იატაკქვეშეთის დახმარებაზე,ანილევიჩი სწერდა:

„მოხდა ის,რაც ყველაზე გაბედულ ოცნებებშიც კი ვერ იქნებოდა წარმოდგენილი. გერმანელები ორჯერ გაიქცნენ გეტოდან... ამ საღამოდან ჩვენ ვიწყებთ პარტიზანული მოქმედების მეთოდთა გამოყენებას. ღამით გავა ჩვენი სამი რაზმი. მათ წინაშე ორი მიზანი ისახება: საკვების მოძებნა და იარაღის შოვნა... ვერ შევძლებ დაგიხატოთ ის პირობები,რაშიც აქ ცხოვრობდნენ ებრაელები. მხო

ოლოდ რჩეული ერთეულები გაუძლებენ. ყველა დარჩენი ადრე თუ გვიან დაიღუპება. ჩვენი ბედი გადაწყვეტილია. ბუნკერებში,სადაც ჩვენი ამხანაგები იმალებიან,ღამით სანთელსაც კი ვერ აანთებ უჰაერობის გამო... მშვიდობით იყავი,ჩემო ძვირფასო. იქნებ კიდევ ვნახოთ ერთმანეთი. მთავარია რომ ჩემი მთავარი ოცნება ამიხდა. ვეღირსე მეხილა ებრაული თავდაცვა გეტოში მთელი თავისი სიდიადითა და მშვენიერებით".

დაიწყო განწირული გმირული ბრძოლა. გერმანელებმა ალყა შემოარტყეს გეტოს და დაიწყეს ჯალათური დაბომბვა. ამის შემდეგ გეტოში შეიჭრნენ ესესელთა ნაწილები,შეიპყრეს ტყვეები და ააფეთქეს ბუნკერები და სახლები. ტყვედ წაყვანილები - ათეულ ათასობით ადამიანი - გაჟლიტეს,ნაწილი ადგილზე და ნაწილი ტრებლინკას სიკვდილის ბანაკში.

1943 წლის 16 მაისით დათარიღებულ ბოლო მოხსენებაში აჯანყების სისხლში გაბანილი შტროპი იტყობინებოდა,რომ აჯანყების ჩახშობისას მოისპო 56.065 ებრაელი. ძნელია არ აღინიშნოს,რომ ეს მკვლელი და მჟლეტავი თავის მსხვერპლს „ბანდიტებს" უწოდებს. სასამართლოს წარვუდგენთ იურგენ შტროპის ანგარიშს,რომელიც იწყება ასე:„ვარშავაში აღარ არსებობს ებრაელთა საცხოვრებლები". წარმოგიდგენთ აგრეთვე სურათებს,მოხსენებას რომ დაურთო მან,ცნობილ სურათს ხელებაწეული პატარა ბავშვისას, - ისიც გერმანიის მტერი ყოფილა; სურათებს მებრძოლი ქალებისას,სიკვდილის სიმწარე რომ გამოსჭვივის მათი თვალებიდან.

ადოლფ აისმანის წინააღმდეგ გამართულ პროცე-
სზე არ წარმოვსახავ აჯანყების მთელ ისტორიას.
იგი აღიბეჭდება ისრაელის ისტორიაში,როგორც უღ
დესი გმირობა,როგორც თავგანწირული ბრძოლა სახ-
ალხო გმირობისა,რომლებმაც თითქმის მთელი თვე გ
აუძლეს ნაცისტური არმიის შეტევას. ორგანიზებუ-
ლი წინააღმდეგობა რომ დამთავრდა,კიდევ მრავალი
თვის განმავლობაში გრძელდებოდა ბრძოლები ნანგ-
რევებში,კანალიზაციის თხრილებში,სამალავებში.
გერმანელები მათ წინააღმდეგ იყენებდნენ მთელ თ
ავიანთ არსენალს. 1943 წლის სექტემბერშიც კი გ
რძელდებოდა ცალკეული ბრძოლები,სანამ არ დადუმ-
და გმირთა ხმა,სანამ არ დაეცნენ უკანასკნელე -
ბი.

ეს აჯანყება არ იყო

ერთეული შემთხვევა

ვარშავა არ იყო ერთადერთი ადგილი,სადაც ებ-
რაელებმა გაუწიეს ორგანიზებული წინააღმდეგობა
თავიანთ მჟლეტავებს. მანამდეც და მას შემდეგაც
იყო სამხედრო მოქმედებანი ჩენსტოხოვში,ვილნიუ-
სში,კრაკოვში,ბენძინში,ბელოსტოკში და მრავალ ს
სვა ადგილას. შემდეგ მოხდა აჯანყებები „სიკვდი
ლის ფაბრიკებში",ტრებლინკას,სობიბორისა და ოს-
ვენციმის გაზის კამერებს შორის. ასობით იყო ც-
ალკეული გმირობის,წინააღმდეგობისა და ამბოხის
მაგალითები. ებრაელები ცდილობდნენ ყველგან და
ყოველთვის წამდგარიყვნენ თავიანთ მჟლეტელთა წი
ნაშე ისე,რომ არ დაეკარგათ ღვთიური და ადამია-

ნური სახე. ესესმა აკრძალა ლოცვა და ებრაელები
საიდუმლოდ აწყობდნენ ღვთისმსახურებას ყველგან,
თვით სიკვდილის ბანაკებშიც კი,თვით გაზის კამე
რების კარებთანაც კი. ნაცისტებმა აკრძალეს საზ
ოგადოებრივი საქმიანობა და ურთიერთდახმარების
გაწევა - ებრაელებმა შექმნეს ასობით ხელშემწყო-
ბი ჯგუფები. აიკრძალა ებრაელ ბავშვთა სწავლება
- ებრაელებმა გამონახეს საიდუმლო გზები თავიან
თი შვილების აღსაზრდელად. ოკუპანტებმა სიკვდი-
ლით დასჯა გამოაცხადეს უცხო სახელმწიფოთა რად-
იოსადგურების მოსმენისათვის - ებრაელები საიდუ
მლოდ გამოსცემდნენ გაზეთებს,რომლებიც შეიცავდ-
ნენ მოკავშირეთა განცხადებებს. ათეულ ათასობით
ებრაელი შეუერთდა პარტიზანებს და იბრძოდა მებრ-
ძოლ რაზმებში. და ყველაზე დიდი საოცრება ისაა,
რომ დათრგუნვის,დამცირების,უპატრონობისა და ში
მშილის წლების შემდეგაც,ებრაელებს კიდევ შერჩ-
ათ სულიერი ძალა ამბოხებულიყვნენ,გაეწიათ წინ-
აალმდეგობა,გაეძლოთ გესტაპოს უმძლავრესი მექა-
ნიზმისა და მოსპობის საშუალებებისათვის ერთი მ
ხრივ და,გაჟლეტის მიზანთა შესანიღბავად გამოყე
ნებული მიტყუებისა,სიყალბისა,ვერაგობისა და ს-
რიკებისათვის,მეორე მხრივ.

და უკვე აჯანყების ჩახშობის შემდეგ,1944 წ-
ლის ივლისში შეერთდნენ ებრაელთა ნამუსრევნი ვ-
არშავის პეორე მხარეს ერთიან ეროვნულ ორგანიზა
ციად და მოუწოდეს ებრაელებს შეერთებულიყვნენ
და შებმოდნენ მტერს. „ებრაელი ხალხი ცოცხლობს"
წერდნენ ისინი და წინასწარმეტყველებდნენ,რომ ე
რთადერთი ისტორიული საზღაური ამ დამწუხრებული

ხალხისა,რომელმაც დაკარგა 5 მილიონი შვილი,იქ-ნება მათთვის მიცემული თავისუფალი,დემოკრატიუ-ლი სახელმწიფო,სადაც შეძლებს ტანჯული ებრაელი განვითარდეს და აღორძინდეს ხელახლა. პროკლამა-ცია ასე მთავრდება:

„თუ ჩვენ სიკვდილი გვიწერია - ეს ომში მოხ-დეს. ყველა ჩვენგანმა უკვე იმდენჯერ ჩახედა ს-იკვდილს თვალებში,რომ სიკვდილი აღარ გვაშინე - ბს... ყველა გადარჩენილი ებრაელი ვალდებულია თ-ავი ჩათვალოს ებრაული ურთიერთდახმარების და ო-მის ჯარისკაცად,დემოკრაციისა და განთავისუფლე-ბისათვის მებრძოლად."

ვარშავის გეტოს მებრძოლთა აჯანყება იქცა გ-მირული ბრძოლის სიმბოლოდ,რომლის მსგავსი არ ი-ცოდა ებრაულმა ისტორიამ ბარ-ქოხბას შემდეგ.ის-ინი იბრძოდნენ და იმედის ნატამალიც არ გააჩნ - დათ,რომ ბრძოლაში გაიმარჯვებდნენ,მაგრამ ნათლ-ად ჰქონდათ შეგნებული,რომ მათი სიკვდილი სხვე-ბის არსებობას მისცემდა აზრს. მათ და თავიანთ თანამებრძოლებს ამბოხებაში,მელეგობასა და მჩა-გვრელებისადმი წინააღმდეგობის გაწევაში,უკვე აღარ შეეძლოთ ებრაელები გადაერჩინათ სიკვდილი-საგან,მაგრამ მათ გადაარჩინეს ერის ღირსება.

მათ სიკვდილს იგლოვებს ისრაელი და მათი გმ-ირობის მაგალითზე აღზრდის თავის შვილებს.

პოლონეთის ებრაელობამ თავისი მწარე დასას-რული ჰპოვა სიკვდილის ბანაკებში,სადაც მიიყვა-ნეს მილიონები აიხმანისა და დანაშაულში მის თ-ანამემწეთა ბრძანებით. აღსასრული დაუდგათ ოსვ-ენციმში,ტრებლინკაში,სობიბორში,მაიდანეკსა და

ხელმონში.და რაც ხდებოდა იმ ბანაკებში,კვლავ დავუბრუნდები მას.

ახლა კი უფრო აღმოსავლეთით გავიხედოთ და ვ-ნახოთ რა მოუვიდა საბჭოთა კავშირის ებრაელობას იმ რაიონებში,რომლებიც ნაცისტურმა გერმანიამ ი გდო ხელთ.

## VI. ჟლეტა საბჭოთა კავშირსა და მასთან მიერთებულ ქვეყნებში

### მოსპობა შუალედური ეტაპების გარეშე

ვახსენე,რომ ებრაელთა გაჟლეტის მეთოდები ყ-ოველ ქვეყანაში დაკავშირებული იყო იმასთან, თუ როგორ ექცეოდნენ ნაცისტები იმ ქვეყნის ძირითად მოსახლეობას. განზრახული იყო ყველა ებრაელის მ ოსპობა,მაგრამ ამ განზრახვის განხორციელება სხ ვანაირად ხდებოდა,მაგალითად,ნორვეგიასა და და-ნიაში,სადაც გერმანელები გარკვეულად უკვე უწევ დნენ ანგარიშს მოსახლეობის გრძნობებს. და სხვ-ანაირად ხდებოდა პოლონეთში,რომელიც მიაჩნდათ მ ხოლოდ მონური მუშახელის რეზერვუარად,ან საბჭო-თა კავშირში,რომელიც ყველაზე საძულველ მტრად მ იაჩნდა ჰიტლერს და რომლის მიმართაც რისხვა შეი კავა დროებით,რადგან არ სურდა ორ ფრონტზე ბრძო ლით გაერთულებინა საქმე. როცა დასავლეთში დაამ თავრა დაპყრობები და დარწმუნდა,რომ ინგლისის წ ამოჩოქებას დრო დასჭირდება,ჰიტლერმა გადაწყვი-ტა განეხორციელებინა თავისი ძველი გეგმა და თ ავს დასხმოდა საბჭოთა კავშირს,რომელიც უკვე მო

იცავდა ბალტიისპირეთს,აღმოსავლეთ პოლონეთსა და
ბესარაბიის ნაწილს. „ბარბაროსას" გეგმა მომზად
და 1941 წლის გაზაფხულზე. ნაცისტურ გერმანიას
წადდა უსასტიკეს ელვისებურ ომში გამანადგურებ-
ელი დარტყმა მიეყენებინა საბჭოთა კავშირისათვ-
ის მაქსიმალურად მოკლე ვადაში. ამისათვის ჩატ-
არდა გულდასმითი მოსამზადებელი სამუშაოები,რო-
მელთა მიზანიც იყო,რომ განზრახული დარტყმები ყ
ოფილიყო მედეგიანი და უზრუნველეყო ფრონტის ზუ-
რგი. ამ მიზნით ესესმა 1941 წლის მაის-ივნისში
ჩამოაყალიბა ახალი ოპერატიული რაზმები („აინზ-
აცგრუპენი"). უშიშროების მთავარი საიმპერიო ს-
ამმართველოს ხელმძღვანელები ჰაიდრიხი და შტრე-
კენბახი პირადად უძღვებოდნენ ამ საქმეს. აიხმა
ნი ჩართეს ყველაფერში,რაც კი შეეხებოდა ებრაე-
ლებს. იგი მონაწილეობდა ბერლინში,პრინც - ალბ-
ერტ ფლაიში გამართულ საიდუმლო შეხვედრაზე,სად-
აც ჰაიდრიხმა აუხსნა „აინზაცგრუპენის" შემადგე
ნელ „აინზაცკომანდოსთა" მეთაურს მათი ამოცანე-
ბი ყველა ებრაელის მოსპობაში. არმიას შეუთანხ-
მდნენ,რომ ებრაელების საკითხის მოგვარება იქნე
ბა უშიშროების პოლიციისა და უშიშროების სამსახუ
რის ხელში და ესენი იმოქმედებენ არმიასთან თა-
ნამშრომლობით,მაგრამ დამოუკიდებლად. გერმანიის
არმიის მთავარსარდალი ფონ-ბრაუხიჩი დათანხმდა
უფართოესი რწმუნებანი მიეცა უშიშროების პოლიცი
ისათვის. უშიშროების მთავარი საიმპერიო სამმარ
თველოს ბრძანებით უბრალოდ უნდა მოეკლათ ყველა
ებრაელი,მათ შორის ქალები და ბავშვები არაებრა
ელ კომუნისტ და სახელმწიფო ხელმძღვანელებთან ე

რთად.

1941 წლის 17 ივლისს გესტაპოს მე-4 განყოფილებამ გასცა შემდეგი განკარგულებანი:

პირველ რიგში უნდა დაიძებნოს ყველა „პროფესიონალი რევოლუციონერი, კომინტერნის ყველა თანამშრომელი, წითელი არმიის ყველა პოლიტხელი, ყველა საბჭოთა ინტელიგენტი და ყველა ებრაელი". განკარგულებაში შემდეგ ნათქვამი იყო, რომ „ხელთ უნდა იქნეს ჩაგდებული ყველა ესენი, ყოველკვირეულად უნდა მოახსენონ უშიშროების მთავარ საიმპერიო სამმართველოს ჩატარებულ ღონისძიებებზე. განსაკუთრებული მოპყრობა უნდა განხორციელდეს ყოფილ საბჭოთა ტერიტორიაზე. ბანაკებმა სიკვდილით დასჯა უნდა აწარმოონ თვითონ ბანაკების ზონაში. დაწვრილებით უნდა წარმოდგეს მოხსენება „განსაკუთრებული მოპყრობის" შესახებაც.

## მკვლელთა ჩვენებანი

ჩვენ წარმოგიდგენთ ამ ანგარიშებს ჟლეტაზე, დოკუმენტებს, რომლებიც მშრალი კანცელარული ენით მოგვითხრობენ ათეულ და ასეულ ათასობით ადამიანების მასობრივ ჟლეტაზე.

„აინზაცგრუპენ - D ' მეთაური ოტო ოჰლენდორფი შემდეგში მიცემულ ჩვენებაში ასე ახასიათებდა მიღებული ბრძანების განხორციელებას და 90.000 ებრაელის დახოცვას:

„მამაკაცები, ქალები და ბავშვები მიჰყავდათ სიკვდილით დასჯის ადგილას, უმეტესად ტანკსაწინააღმდეგო თხრილებთან. მაშინ ესროდნენ მათ მუხლებზე დაჩოქილებს ან ფეხზე მდგომთ. გვამებს ყ

რიდნენ თხრილებში. მე არასდროს არ ვაძლევდი ნ ებას,რომ ერთ რომელიმეს ესროლა,არამედ ვბრძა-ნებდი,რომ ერთდროულად ესროლა მთელ რაზმს,რათა აუცილებელი ყოფილიყო უშუალო,პირადი პასუხისმ-გებლობა,მაგრამ ოპერავიის მეთაურები ვალდებუ-ლები იყვნენ ბოლო ტყვია დაეხალათ მსხვერპლის-ათვის,რომელიც ჯერ კიდევ არ იყო მკვდარი.1942 წლის დასაწყისში უშიშროების პოლიციისა და უში შროების სამსახურის უფროსმა გამოგვიგზავნა გ-აზის მანქანები.. და როცა საკმარისად გროვდე-ბოდა მსხვერპლი,ეს მანქანები იგზავნებოდა მო-სასპობად. მანქანებს ვაყენებდით დროებითი ბა-ნაკების მახლობლად,სადაც აგროვებდნენ მსხვერ-პლს. მათ ეუბნებოდნენ,უნდა გადაგიყვანოთ სხვა ადგილას და ამისთვის მანქანაში უნდა შეხვიდე-თო. მაშინ იკეტებოდა კარები და გაზი მილაკებ-ით მიედინებოდა შიგნით. მსხვერპლნი იხოცებოდ-ნენ 10-15 წუთის განმავლობაში. მანქანები მი-დიოდა სამარხებთან,გვამები გამოჰქონდათ და მ-არხავდნენ".

ჩრდილოეთსა და ბალტიისპირეთში მოქმედი „ა-ინზაცგრუპენი - A მეთაური შტალეკერი მოახსე-ნებდა,რომ მისდა გასაოცრად ვერ მოახერხა რათა ძალიან ფართოდ ჩაება ლიტვის ადგილობრივი მოს-ახლეობა ებრაელთა „პოგრომებში". არც ლატვიაში მოჰყოლია პოგრომებს 400-ზე მეტი ებრაელის სი-კვდილი.

„შეიძლებოდა იმის წინასწარ გათვალისწინება - წერდა შტელაკერი, - რომ პოგრომები ვერ გა-დაწყვეტდა პრობლემას აღმოსავლეთის ტერიტორია-

ზე... ამდენად ლიტვაში განსაკუთრებული ნაწილების მიერ... და ლატვიაში ლატვიის დამხმარე პოლიციის მეშვეობით ჩატარდა სიკვდილით დასჯა დიდი მასშტაბებით,ძირითადად ქალაქებსა და ღია მინდვრებში".

ეს დამხმარე ნაწილები და დამხმარე პოლიცია, აგრეთვე ოკუპირებული ქვეყნების ადგილობრივი მოსახლეობისაგან შედგენილი სხვა ძალები მოქმედებდნენ საოკუპაციო ხელისუფლების,ძირითადად ესესის ყველა ჯურისა და ჯიშის ნაწილების ბრძანებით.

### ჟლეტის ოფიცრის ანგარიშები

შტალეკერმა მოახსენა წინააღმდეგობის შესახებ,რაც გაუწიეს კაუნასში. ლიტვაში მან მოასწრო,1941 წლის 15 ოქტომბრით დათარიღებული მოხსენების მიხედვით,იმ დროისათვის მოესპო 30.000 ებრაელი. ქალები,წერდა იგი,ჯერჯერობით დასაქმებულნი არიან სამუშაოებზე; ამასობაში შექმნა გეტოები კაუნასსა და რიგაში - ქალაქის ყველაზე ცუდ უბნებში,მას შემდეგ,რაც ბრძანება გასცა ეტარებინათ სამარცხვინო ნიშნები. იგი მოახსენებს სულ 135.567 ადამიანის გაჟლეტაზე.

წარმოგიდგენთ ამ ოპერაციული რაზმის ჩვენს ხელთ არსებულ მოხსენებებს,ამ სისხლის გამყინავსა და შემზარავ დოკუმენტებს. ადამიანი კითხულობს ამ ათობით მოხსენებას,იყურება,თუ რა ითქვა ამავე საკითხებზე გამართულ პროცესებზე,მოწმეთა ჩვენებებში,კანტი-კუნტად გადარჩენილთა მოგონე-

ბეზში. თითქოს გახაგეზია ნათქვამი და ნაწერი, და მაინც კვლავ და კვლავ ეკითხება თავის თავს: „როგორ შეიძლებოდა ახეთი რაიმე მომხდარიყო?" და თითქმის შეუძლებელია ვირწმუნოთ,რომ ათახობრთ ადამიანი მრავალი თვის განმავლობაში ყოველდღიურად,გულგრილად,წინასწარი განზრახვით და მცკივე გადაწყვეცილებით,საკუთარი ხელით გულგრილად ხოცავდა აუარებ ადამიანურ არსებას,ისე, რომ დახოცილთა რიცხვმა გადააჭარბა სამ მეოთხედ მილიონ ებრაელს. ძნელია შეეგუო აზრს,რომ ახეთი მხეცური ქმნილებანი დაიარებიან დედამიწის ზურგზე.

ყლეცა წარმოებდა,როგორც ჩვეულებრივი საქმე. ყოველი ყლეცის შემდეგ მკვლელები კარგად გამოძლებოდნენ,გააბოლებდნენ,დაპარაკობდნენ მთიხახ და ბარიხახ და უკვე მზად იყვნენ გაეყლიცათ მხხვერპლთა ახალი ჯგუფები,რომლებხაც უკვე ალოდინებდნენ რიგში. ზოგჯერ მკვლელები პირადად იცნობდნენ თავიანთ მსხვერპლს,როგორც იმ ებრაელს მემელიდან,თავისი მეზობლების მიშვერილი ლულების წინ რომ დააყენეს. იგი თხოვდა მის მკვლელს ერთი სიკეთე ეყო მისთვის: „გესხცავ,კარგად მესროლე!" ეს იყო რასაც ითხოვდა,რადგან უნდოდა სწრაფად მომკვდარიყო და მეორე ცყვია არ დასჭირვებოდა ცანჯვის დასასრულებლად.

მსხვერპლი კი მოდიოდა გრძელ რიგებად გაჭიმული. რაბინები თავიანთ შავ ხერთუკებში,ჩვილი ბავშვები,ძუძუმწოვრები,ხანშიშესულები და ღრმა მოხუცებულები. ყველანი მიჰყავდათ ღია საფლავთან,ხვრეცდნენ,ყრიდნენ საფლავში და მათზე აწ-

ვენდნენ სხვა ფენას. ახეც ვკითხულობთ ჩვეულებრივ საკანცელარიო მოხსენებაში,რომელიც ჩართულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე ამბების აღწერაში,მოსახლეობის განწყობილების დახასიათებაში და მათ შორის მოხსენიებულია 55.000 ებრაელის მოსპობა ბელორუსიაში,54.596-ისა სიმფეროპოლის რაიონში,10.000 კაცისა - დნეპროპეტროვსკში,10.000-ისა ჩერნიგოვში,45.467-ისა -ცენტრალური ფრონტის ტერიტორიაზე,16.964-ისა - მინსკის რაიონსა და მოსკოვის მახლობლად,5.000 სულისა - ნიკოლაევში და უამრავი სხვებისა - სხვა ქალაქებში,რაც ყველა ერთად გვაძლევს ასობით ათასი ადამიანის ჟლეტის სურათს გერმანელთა მიერ ოკუპირებულ საბჭოთა კავშირში და მის მიერ მიერთებულ მთელ ტერიტორიებზე.

### ჟლეტის აღწერა

პირველად ხალხს ხოცავდნენ ჩაცმულებს. შემდეგ,როგორც აიხმანის განყოფილების თანამშრომელმა პაულ ბლობელმა განაცხადა,შეიცვალა მეთოდი. მსხვერპლთ უბრძანებდნენ ტანსაცმელი გაეძროთ,ფოვებდნენ შიშვლებს. მოვუსმინოთ აღწერას:

„მანქანებიდან ჩამოსულ ყველა ასაკის მამაკაცებს,ქალებსა და ბავშვებს ესესელი უბრძანებდა გაეხადათ. ამ ესესელს ხელში ეჭირა ცხენის ან ძაღლის მათრახი. ხალხს უნდა გაეხადა ამისთვის გამოყოფილ ადგილას. ცალკე უნდა დაეწყოთ ფეხსაცმელები,ცალკე გარეთა ტანსაცმელი და ცალკე საცვლები. მინახავს ფეხსაცმელების გროვა,

რომელშიც 8.000-1.000 წყვილი ფეხსაცმელი იქნე
ბოდა; მინახავს ტანსაცმლისა და საცვლების დი-
დი გროვები. ადამიანები იხდიდნენ უყვირლად და
უტირლად. ოჯახები იდგნენ ჯგუფ-ჯგუფად,კოცნიდ-
ნენ,ეთხოვებოდნენ ერთმანეთს,ელოდებოდნენ ნიშ-
ანს თხრილის მახლობლად მდგარი ესესელისგან.ა-
მასაც მათრახი ეკავა ხელში. არ ისმოდა ჩივილი
ან შეწყალების თხოვნა. აი ოჯახი,რომელშიც რვა
სული შედიოდა: კაცი და ქალი,50-ოდე წლისა თი-
თოეული და მათთან მათი ბავშვები: ორი ბიჭი -ე
რთი 8 წლისა და მეორე 10-ისა,ორი ქალიშვილი -
ერთი 20 და მეორე 24 წლისა. თოვლივით თმათეთრ
მოხუც ქალს ხელში ეკავა ერთი წლის ბავშვი,უმ-
ღეროდა და ეთამაშებოდა. ბავშვს სახე უბრწყინა
ვდა სიამოვნებისაგან. ქალ-ვაჟი ერთმანეთს შე-
ჰყურებს ცრემლიანი თვალებით. მამას ხელში აე-
ტაცებინა 10-ოდე წლის ვაჟი და ნაზად ეჩურჩულე
ბოდა. ბავშვი ძლივს იკავებდა ცრემლებს,მამამ
ცისკენ გაიშვირა თითი,ბავშვს თავზე ხელი გადა
უსვა და თითქოს რაღაცას უხსნიდა. ამ წუთში ე-
რთმა ესესელმა რაღაც დაუძახა მეორეს. ამან გ-
ადაითვალა 20 სული და უბრძანა გასულიყვნენ ბ-
უჩქის იქით. ამათ შორის იყო ის ოჯახიც. ერთმა
წარმოსადეგმა შავთმიანმა ქალიშვილმა ჩაიარა ჩ
ემს გვერდით,თავისთავზე მიმითითა და თქვა:„23!
ადამიანები დაწვნენ ერთმანეთზე და ისე იყვნენ
გაჭეჭყილები,რომ თავები ძლივს უჩანდათ. ყვე-
ლას სისხლი სდიოდა. დახვრეტილთაგან ზოგი კიდ-
ევ იძროდა. ზოგი მკლავებს იქნევდა,ზოგი თავს,
რომ ეჩვენებინათ,რომ ჯერ კიდევ ცოცხლები არი-

ან. ათასამდე კაცი იყო იქ. ისროდა ესესელი,რ
ომელიც თხრილის პირზე ჩამომჯდარიყო და ფეხე-
ბი თხრილში ჩაეშვა. მუხლებზე ტყვიამფრქვევი
ედო და პირში პაპიროსი. შიშველ-ტიტველი ადა-
მიანები ჩადიოდნენ რამდენიმე საფეხურით ქვე-
მოთ,თავს ადაებდნენ იმათ,ვინც უკვე იწვა იქ,
როგორც ესესელი უბრძანებდა მათ. ისინი წვებ-
ოდნენ მკვდრების ან დაჭრილების წინ. ზოგიერ-
თები ეფერებოდნენ ჯერ კიდევ ცოცხლებს და ნა-
ზად ეჩურჩულებოდნენ. მაშინ გაისმოდა ტყვიამ-
ფრქვევის კაკანი. თხრილში ჩანდნენ როგორ იკ-
რუნჩხებოდნენ სულთმობრძავი სხეულები იმათ ზ-
ემოთ,ვინც უკვე უძრავად იწვა. სისხლი მოთქრი
ალებდა მათი კეფიდან. ამასობაში მოახლოვდა მ
ეორე ჯგუფიც. ჩავიდნენ თხრილში,დაწვნენ ადრე
დახოცილებთან და ესენიც დახოცეს".

ფასიანი და ძვირფასი ნივთები ადრევე წაგ-
ლიჯეს და ჩამოართვეს,ხოლო შემდეგ გაგზავნეს
ღია სამარისაკენ. კიევში რაღაც ორი დღის გა-
ნმავლობაში მოსპეს 33.771 ებრაელი. და მოხსე
ნებაში ამაზე ლაპარაკია უბრალო,ნათელი ენით.
ლაპარაკია „მათ სიკვდილით დასჯასა და მოსპო-
ბაზე".

### ზუსტი მოხსენება
### ბერლინს

ანგარიშები იგზავნებოდა ბერლინში და აის-
მანს შესაძლებლობა ეძლეოდა განუწყვეტლივ ედ-
ევნებინა თვალყური სისხლიანი საქმიანობისათ-
ვის; იმისათვის,თუ როგორ აჭარბებდა დახოცილ-

თა რიცხვი ათეულ ათასებს და გადადიოდა ასეულ ათასებში.

როგორ იყო მინსკში და ლვოვში და რა იხილა იქ, უკვე ვილაპარაკე. მოვისმენთ, თუ რაცომ დაი-წუნა აისმანმა უმუალოდ მოკვლის მეთოდი. თვით-ონ ესესელეზმა დაიწყეს ზუზლუნი. ეისმანი ფიქ რობდა, რომ ეს ადამიანებს აქცევს სადისცებად. სხვებს მიაჩნდათ, რომ ასეთი მოკვლა „არაელეგან ცურია". და მაშინ დაიწყეს გაზის მანქანების გ აგზავნა მოსპობისათვის. მანქანებს მრავალნაი-რად ნილბავდნენ. ამ რაიონებში მოწყობილ ყლეც-ებში 1941-1942 წლების რვა თვის განმავლობაში დახვრეცილთა ციფრი აღწევს შემაძრწუნებელ რაო-დენობას - 720.000-ზე მეც ებრაელს. მაგრამ ა-მით როდი დასრულდა ცანჯვა-წამება.

უკვე მოვისმინეთ როზენზერგის „ყავიხფერი პ ორცფელის" და იმ ცვლილებების შესახებ, რაც აი-სმანმა შეიცანა ოკუპირებულ ცერიცორიათა მინის ცრის განკარგულებებში. აღმოსავლეთის ცერიცორი ების ებრაელთა პრობლემა გადაიჭრება არა ომის შემდეგ, არამედ ომის დროს და დაუყოვნებლივ. მან მისცა როზენზერგს მითითებები, როგორ მოპყრობოდ ნენ მათ, ვინც „აინზაცგრუპენის" ცყვიას გადაუ-რჩა, როგორ ჩაემწყვდიათ გეცოებში, როგორ გაეთი-შათ მოსახლეობის სხვა ნაწილებისაგან, როგორ გ-აეძარცვათ.

ამ მითითებათა შესაბამისად შეიქმნა გეცოე-ბი და მათ შორის რიგაში, მინსკში, კაუნასში, ვი-ლნიუსში, ბელოსცოკსა და შებელიში. გეცოები აქ-აც მხოლოდ სწრაფი მოსპობის საშუალებას წარმოა

დგენდა,მანამდე კი იყენებდნენ ებრაულ სამუშაო ძალას. აქ ძალიან არ შეუწუხებიათ თავი მოსამზადებელი ეტაპებისათვის და უკვე ოკუპაციის პირველსავე კვირეებში დაიწყეს დახვრეტები,ზოგჯერ ჯგუფებისა და ზოგჯერაც მასობრივი. ხოლო დახვრეტამდე გეტოებში მყოფთა ხვედრს წარმოადგენდა ბოროტი შეურაცხყოფა და ტანჯვა. ათასობით ადამიანი გავარდა ტყეში,შეუერთდნენ პარტიზანებს,ხელში აიღეს იარაღი,იბრძოდეს და ებრაელი პარტიზანის ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს კატასტროფის ისტორიაში. მაგრამ ბევრი არ ღირსებია ამ ბედს. ებრაელთა უმრავლესობა ჩაამწყვდიეს გეტოებში და გაჟლიტეს.

## გეტოებში დროებით დარჩენილთა შემაძრწუნებელი ყოფა

რიგისა და მინსკის გეტოებს,სადაც თავი მოუყარეს გერმანიის იმპერიის ებრაელებს და დროებით,ამოჟლეტამდე,ამუშავებდნენ,აიხმანის განსაკუთრებული ყურადღება ხვდა წილად. ჯერ კიდევ 1941 წლის ოქტომბერში მან თავისი გეგმის შესახებ უამბო დოქტორ ვეტცელს როზენბერგის სამინისტროს წარმომადგენელს. დიუსელდორფის პოლიციამ ანგარიში წარმოადგინა 1941 წლის დეკემბერში დეპორტირებულთა შესახებ და ანგარიშს თან დაურთო ზუსტი სია 1067 დეპორტირებულისა. სიაში მითითებული იყო ასაკი,სქესი და პროფესია. თქვენ ნახავთ თუ როგორ მოუნიშნავს დეპორტაციის ჩინოვნიკს დეპორტირებულთა ყოველი ხუთსულიანი ჯგუფი: 4 პერპენდიკულარული და 1 დიაგონალური

სახით.

რიგა

ამის შემდეგ მოვისმენთ ამ დეპორტირებულთა შ სახებ „აინზაცგრუპენ - A "-ს მიერ წარდგენილი ნომერ 154 მოხსენებიდან. ისინი მიიყვანეს რიგ-ასა და მინსკში და გადაიყვანეს გეტოებში. რაი-ხიდან განდევნილებს ეუბნებოდნენ: გადაჰყავხართ დასასახლებლად,მსგავსად ერეც-ისრაელში არსებუ-ლი სასოფლო-სამეურნეო დასახლებებისაო. ანგარი-შში წერია:

„შეიძლება ვიგრძნოთ,რომ ამ ებრაელებმა თავ-იანთ წარმოდგენაში შექმნეს მათი მომავლის მთლი ანად გაყალბებული სურათი,მათ თავი მიაჩნიათ ა-ღმოსავლეთის კოლონიზაციისათვის გაგზავნილ პირ-ებად... ამასობაში ესესის მაღალი რანგის მეთა-ურმა და რიგის პოლიციის უფროსმა გრუპენფიურერ-მა იეკელნმა დაადგინა,რომ დახვრეტა მოხდება 30.11.1941 და მოიცავს 4.000 ებრაელს რიგის გ-ეტოდან და რაიხიდან გამომევებულთა ნაწილს".

ასე სპობდნენ შექმნილ გეტოებს,ნაწილს შიმში ლით,ნაწილს ავადმყოფობით,ნაწილსაც პირდაპირ დ-ახვრეტით. პატარა ქალაქებში მცხოვრებლებს უბრ-ძანებდნენ გამოცხადებულიყვნენ ბარებითა და ნიჩ ბებით,გაჰყავდათ ქალაქგარეთ,უბრძანებდნენ გაე-თხარათ საკუთარი საფლავი,ესროდნენ კეფაში და წ ისლის კვრით აგდებდნენ უკვე მზა საფლავში.ის-რაელთა მასები,რომლებსაც გადარჩენის იმედი აღ-არ ჰქონდათ,მწარე სასოწარკვეთილებამ მოიცვა.და ბევრს სურდა სწრაფად მომკვდარიყო,ოღონდ ცემა-ტ

ყეპა და ტანჯვა-წამება აღარ განეცადა. და ასე მეორდება ერთი და იგივე სურათი ყველა დაბა-ქალაქში: მიაბიჯებს ისრაელის ჯამაათი, დედ-მამა ღმერთის სახელს მოიხსენიებს, შვილებს ათქმევინებენ „შემა ისრაელს" და ასე ლევენ სულს. ლატვიასა და ესტონეთში შექმნილი შრომითი ბანაკები მოისპო მათ ბინადართა დახოცვით. ვილნიუსის ებრაელობა გაჟლიტეს ქალაქის მახლობლად მდებარე პონარის ტყეში და თვით გეტოში.

ვილნიუსი

როცა ვილნიუსის ქუჩებში გამოჩნდა დაჭრილი, თმაგაჩეჩილი, ფეხშიშველი ქალი, რომელიც რაღაც უცნაურად იმზირებოდა აქეთ-იქით და რომელმაც კანკალით და ჩურჩულით მოუთხრო მის მომვლელ ექიმს ეს-ესაა პონარის ტყიდან, დახოცილთა გროვიდან გამოვიპარე... იქ უბრალოდ ხოცავენ ებრაელებსო. არ დაუჯერეს, გიჟად ჩათვალეს, იფიქრეს, რას ბოდავს ეს ქალიო. იგი კი ამის შემდეგ დამფრთხალი იჯდა სამკერვალოში, სადაც მიამაგრეს სამუშაოდ და დუმდა. ეშინოდა თავისი საიდუმლო ხელახლა და საქვეყნოდ ეთქვა, გესტაპომ ხელახლა არ გამაგზავნოს იმ ტყეშიო.

აქაც განმეორდა იგივე საშინელი სცენები სელექციისა, მიტყუებისა, სამუშაო ბარათებისა, გაცურებისა და მკვლელობისა, რასაც უკვე ვიცნობთ პოლოხეთის ამბებიდან.

ადამიანი იდგა არჩევანის წინაშე: ვინ ჩაეწერა თავის სამუშაო ბარათში: ცოლი თუ დედა. ბრუნდებოდა შინ, წყევლიდა თავისი ქორწინების დ-

ლეს და უმჟღავნებდა დედას – შენთვის სამუშაო
ბარათი აღარ არისო. ეს ნიშნავდა,რომ დედა გ-
ანწირულია და დაუყოვნებლივ მოკლავენ. დედა ა-
კურთხებდა შვილს ამ არჩევანისათვის,თავის ძვ-
ელ „სიდურს" აძლევდა რძალს,გადაკოცნიდა და უ-
სურვებდა,ამ საშინელებათა დასასრულს მოესწარ-
ით.

კაუნასი

იგივე ამბები ხდებოდა კაუნასშიც. „მეშვიდე
ფორტში" დახვრეტები,სასტიკი წამების შემდეგ,
ჯერ კიდევ 1941 წლის ივნისის ბოლოს დაიწყეს.
ამას მოჰყვა შეურაცხყოფათა და მკვლელობათა ხ-
შირი კოშმარები. ქალებს აყენებდნენ მიშვლებს
და ესესელი ხულიგნები მათ ტანზე აწყობდნენ ჩ-
ხრეკას. გაიცა ბრძანება ორსულობისა და მშობი-
არობის აკრძალვაზე. ეწყობოდა გრანდიოზული გა-
დარჩევები და ათასობით ადამიანი დაუყოვნებლივ
იგზავნებოდა სასიკვდილოდ. აქაც მოვისმენთ ხ-
აბრალო ბავშვებზე,დედებს რომ მოწყვიტეს და ხ-
ასიკვდილოდ გაგზავნეს; აქაც მოვისმენთ დარდი-
სა და შიშისაგან გაგიჟებულ დედებზე. ებრაელი
დედები გეტოს კედლებიდან აპარებდნენ ბავშვებს,
რომ ისინი წაეყვანათ გლეხებთან,რომლებიც დამა
ლავდნენ მათ. ბევრმა ბავშვმა როდი მოახერხა გ
აქცევა. მშობლები რომ სამუშაოზე იყვნენ,მოდი-
ოდნენ ესესელი მკვლელები,იტაცებდნენ ბავშვებს
და მიჰყავდათ სასიკვდილოდ.

მოზრდილთა რიგმაც მოაღწია და კაუნასის გეტო
ისეთივე ჯალათური და ეფექტური მეთოდებით მოს-

პეს,როგორც სხვა ადგილებში. გვცოს ნაშთები მ-
ოსპეს 1944 წელს და დარჩენილები გადაიყვანეს
მცუცპოფის სამინელ საკონცენცრაციო ბანაკში.
ვისაც სურს გაეცნოს ცოცაოლენს იმ ცანჯვა-წ
ამებიდან,რაც კაუნასის ებრაელობას ხვდა წილად,
აიღოს ხელში წიგნი „შეკითხვები და პასუხები ს
ილრმეებიდან" და ჩაიხედოს ამ წიგნში,რა გადაწ
ყვიცეს იმ დღეებში რაბანუთის მსაჯულებმა და
რა წესები დაადგინეს: როგორი განაჩენი უნდა გ
ამოეცანოს ებრაელს,რომელსაც მკვლელებმა უბრძა
ნეს დაესია სეფერ-თორა და წაებილწა ის; შეიძ-
ლება თუ არა მოკლული ებრაელის ცანსაცმლის ჩაც
მა; უნდა მოახსენოს თუ არა ღმერთს სამადლობე-
ლო ადამიანმა,რომელიც გადაურჩა „აქციას",რომ-
ლის დროსაც დახვრიცეს ათიათასზე მეცი ებრაელი;
შეიძლება თუ არა ებრაული კანონით აზორცი გაა-
კეთონ ქალის გადასარჩენად,რადგან ორსულს თუ ა
ღმოაჩენენ,დაუყოვნებლივ მოკლავენ; გაიცნოს ეს
და სხვა შეკითხვები,რომლებიც იმ დროის „ყოვე-
ლდღიურობას" ასახავდა.
მაინც ცდილობდა ეს ჯიუცი ებრაელი ხალხი შ-
ეენარჩუნებინა მამა-პაპათა გზა და მიუხედავად
იმისა,რომ ჯოჯოხეთის კარზე იყო მიმდგარი,ეცხო
ვრა ისრაელის რწმენის მიხედვით.
მაგრამ ჩქარა მოაღწიეს მათმა მყლეცავებმა
და ბოლო მოუღეს ებრაელებს. მათ რაბებსა და მსა
ჯულებს.

აისმანის ხელი
აღწევს აქაც

აქაც შევხვდებით აისმანს.რომელიც აგვარებს
როგორც დიდ და ყოვლისმომცველ საქმეებს,ასევე
მრავალგვარ წვრილმანსაც. მან თავისი წარმომად
გენელი ბური გააგზავნა სხდომაზე,რომელზეც აღ-
მოსავლეთის რაიონებისათვის დაადგინა თუ „ვი -
ნაა ებრაელი" და ვის ეხება მოსპობის ბრძანება.
ბურმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ბრძანებათა
ჩამოყალიბებაში. აისმანი აგვარებდა აღმოსავლე
თის რაიონებში მყოფ უცხო მოქალაქეთა საქმეებს
და მისმა განყოფილებამ მისცა განკარგულება ყვ
ელა ოკუპირებულ რაიონსა და „აინზაცგრუპენის"
მეთაურებს,რომ ბრძანებაში ჩამოთვლილი უცხო ქ-
ვეყანათა მოქალაქეები „ჯერ-ჯერობით" არ მოეყო
ლებინათ ებრაელთა წინააღმდეგ ვატარებულ საერ-
თო ღონისძიებებში და დაკმაყოფილებულიყვნენ მ-
ხოლოდ მათი დაპატიმრებით. ბრძანება გაიცა,რომ
მტრული ქვეყნების მოქალაქეები ცალკე ჩაემწყვ-
დიათ.

აისმანი არ ივიწყებდა არც ცალკეულ პიროვნე
ბებს. ერთი ებრაელი,გვარად კოცი,გათხოვილი ი-
ყო იტალიელ ქრისტიანზე. ამ ქალმა მოახერხა თა
ვისი ბედით დაეინტერესებინა იტალიის ხელისუფა
ლნი. იტალიელებმა ითხოვეს გაეთავისუფლებინათ
იგი რიგიდან. აისმანმა უპასუხა: იტალიის ხელი
სუფლებას ვთხოვ შეწყვიტოს ამ ქალის ბედით დაი
ნტერესებათ. გერმანიის საგარეო საქმეთა სამი-
ნისტრომ მეორედ აცნობა აისმანს: იტალიის ხელი
სუფალნი თავის სიტყვაზე დგანან და გთხოვთ გაა
კეთო ყველაფერი,რაც კი შეგიძლიათ,რომ ეს თხო-
ვნა დააკმაყოფილოთ თუნდაც იმ ქალის დროებით გ

ადაყვანით ბერგენ-ბელზენში. იტალიის ფაშისტურმა პარტიამ ამ საკითხზე ოფიციალურად მიმართა გერმანიის ნაცისტურ პარტიას. მაგრამ აიხმანი თავისას იჟინებდა. აი მისი საბოლოო პასუხი თავისი საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი:

„ვბრძანე,რომ ახალი ცნობის მიღებამდე,ებრაელი ქალი კოცი დარჩება რიგის საკონცენტრაციო ბანაკში".

მაპატიოს სასამართლომ,ამ ნაწილს თუ შევამოკლებ და საშუალებას მივცემ,დოკუმენტებმა და მოწმეებმა,რომლებსაც წარმოგიდგენთ,დახატონ იმ შემაძრწუნებელ ამბავთა სურათი,რაც თავს დაატყდა საბჭოთა კავშირისა და მასთან მიერთებული ტერიტორიების ებრაელობას. ვშიშობ,რომ არ მეყოფა საჭირო სიტყვები საშინელებათა საერთო სახის აღსაწერად. სიტყვა მივცეთ კატასტროფისა და პარტიზანთა პოეტს შმერკ კოჩერგინსკის:

იავნანა ვილნიუსის
ობოლ ებრაელს

*წყნარად, წყნარად, ჩემო გვრიტო,*
*გულმა ვეღარ გაიხარა,*
*აყვავილდნენ საფლავები,*
*დუშმანმა რომ გაგვითხარა*
*ფონარს მიდის ყოველი გზა,*
*უკან აღარ ბრუნდება*
*მამაც იმ გზას გაუყენეს,*
*მზე ბნელდება დუნდება.*
*წყნარად ვიყოთ ჩემო გვრიტო,*
*ნუ გვატირებს სევდა- დარდი,*

*მტერს ცრემლები სიცილს ჰგვრის,*
*საფლავზეა ჩვენი ვარდი.*
*ზღვას და ხმელსაც კიდევ უძევს,*
*საზღვარი აქვს მიწას, ზეცას,*
*უსაზღვროა ჩვენი სევდა,*
*ჩვენი ცრემლი საფლავს რეცხავს..*

## VII. ჟლეტა ჩრდილოეთ, დასავლეთ, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპაში

### ჰოლანდიის ებრაელობის მოსპობა

სამსალით სავსე ჯამი შესვეს აგრეთვე ოკუპირებული ევროპის სხვა ებრაულმა ჯამაათებმა და თემებმაც. ამ შესავლის სიტყვაში დაწვრილებით შევჩერდები ჰოლანდიის ებრაელობის თავს დატეხილ ტრაგედიაზე და ზოგადად დავახასიათებ სხვა ქვეყნებში მომხდარ შემაძრწუნებელ ამბებს.

1940 წელს რომ შებრუნდა დასავლეთისაკენ, გერმანიის არმიამ დაიმორჩილა ნიდერლანდები. დაინიშნა რაიხსკომისარი, რომელსაც გადაეცა სრული საკანონმდებლო და აღმასრულებელი ძალაუფლება. უშიშროების პოლიციის განმგებელ სამმართველოში შევხვდებით ებრაულ საქმეთა სპეციალურ განყოფილებას, რომლის სახელიც გარკვეული ხნის შემდეგ გააიგივეს აიხმანის განყოფილების სახელთან - IVB4 ამ განყოფილების სათავეში ჰოლანდიაში დააყენეს აიხმანის წარგზავნილები: ცაპფი, რაიაკოვიჩი და სხვები. ამსტერდამში შეიქმნა თითქოსდა საემიგრაციო ცენტრი, რომლის ნამდვილ მიზ-

ანხაც შეადგენდა ებრაელთა სახლებისა და მისამართების დადგენა და მათი აღნიშვნა „საბოლოო გადაწყვეტის" მოსამზადებლად.

და ოკუპაციის დაწყებისთანავე დაიწყო ანტი-ებრაული ლაშქრობა მისი ყველა ცნობილი ფორმითა და ეტაპებით,როგორც გავიცანით 1939 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებაში,რაც წარმოადგენდა ყოველ კუთხე-კუნჭულში ამოყლეტის გენერალურ გეგმას. მყისვე შეუდგნენ ანტი-ებრაული კანონების გამოცემას,რაც წარმოადგენდა ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა გაუქმებას; დაიწყეს ებრაელთა ადგილსამყოფელის დადგენა; შემოიღეს სამარცხვინო ნიშნის სავალდებულო ტარება,ებრაული ქონების წართმევა-წაგლეჯა. ბოლოს კი დეპორტაციაც მოსასპობად.

საკანონმდებლო აქტების გამოცემა დაიწყეს 1940 წელს კანონთა სერიით,რომელიც შეესაბამებოდა ოკუპირებულ საფრანგეთში გამოცემულ კანონებს და ტარდებოდა აისმანსა და მის განყოფილებასთან თანამშრომლობით. წარმოგიდგენთ პოლან - დიის მთავრობის ოფიციალურ ანგარიშს ამ უკანონობათა შესახებ,რაც დაიწყო ებრაელთა გამოდევნით ეკონომიკიდან,გაგრძელდა დაწესებულებებიდან ებრაელ თანამშრომელთა დათხოვნით,ნიურნბერგის კანონების გამოყენებით;მოიცვა მოძრაობისა და ადგილის გადანაცვლების,თეატრებსა და გასართობ ადგილებში შესვლის აკრძალვა,შეზღუდვები თავისუფალ პროფესიებში დასაქმებისა,სპეციალური პასპორტების შემოღება,ბავშვების გაძევება სკოლებიდან,სამარცხვინო ნიშნის ტარების ვალდებუ-

ლება; ამის შემდეგ კი - საზოგადოებრივი ტრან-
სპორტით და ტელეფონით სარგებლობის აკრძალვა;
არაებრაულ მაღაზიებში შესვლის აკრძალვა; კომე
ნდანტის საათის დაწესება საღამოდან დილამდე,
კატეგორიული აკრძალვა არაებრაელთა სახლებში შ
ესვლისა; ებრაელებს აეკრძალათ ველოსიპედის -
ჰოლანდიაში ამ მეტად პოპულარული ტრანსპორტის
გამოყენებაც კი და ებრძანათ ჩაებარებინათ მათ
ხელთ არსებული ველოსიპედები.

აქაც შეაწუხა საოკუპაციო ხელისუფლება მერ-
ეულ ქორწინებაში მყოფთა პრობლემამ. თვითონ გ-
ერმანიაში ეს საკითხი წამოჭრა სამხედრო ხელი-
სუფლებამ,რომლის ათეულ-ათიათასობით ჯარისკაც-
ებს ნაწილობრივ ებრაული წარმოშობა გააჩნდათ;
ახლა კი უნდა ებრძოლათ ფიურერისა და სამშობლო
სათვის,როცა იცოდნენ,რომ მათი სისხლის ნაწილი
„უწმინდურია". ესენი ბრუნდებოდნენ შვებულებით
შინ,ნახევრად ებრაელ მამასთან ან დედასთან,მ-
ას შემდეგ,რაც თავისი თვალით იხილეს,ან თავი-
სი ხელით მიიღეს მონაწილეობა იმ ყლეტაში,რაც
„აინზაცგრუპენმა" მოუწყო აღმოსავლეთის ებრაელ
ობას,ანუ იმათ,ვისი ერთადერთი დანაშაულიც ის
იყო,რომ ადამიანთა იმავე ჯგუფს ეკუთვნოდნენ,რ
ომელშიც შედიოდა ამ გერმანელი ჯარისკაცის მშო
ბელი. ამიტომ თვითონ ჰიტლერი მოითხოვდა ამ ს-
აქმეში სიფრთხილეს ომის დროს და,ჩვენ ვნახავთ
თუ რა განსაკუთრებული განკარგულებანი გასცეს
ამ საკითხზე.

ანტი-ებრაული კანონმდებლობის ერთ-ერთმა მ-
ესვეურმა ჰოლანდიაში ანგარიში წარუდგინა თუ
რა საუბრები ჰქონდა ამ საკითხზე ბერლინში,და

აღნიშნა,რომ ადაოლფ აიხმანმა თათბირის დროს წ-
ამოაყენა მეტისმეტად უკიდურესი (თვით ჰიტლერზე
უკიდურესი) აზრები. აიხმანი მოითხოვდა ანტი-ებ
რაული კანონები შეხებოდა შერეული ქორწინებისა-
გან დაბადებულ ყველა ადამიანს.

ბოლოს აქაც გამონახეს გამოსავალი. ბრალდებ-
ულმა და მისმა თანამშრომლებმა ბრძანეს დაეკოდ-
ათ შერეული ქორწინებიდან დაბადებულები,რათა შ-
თამომავლობა ველარ გაეჩინათ.

### ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობა

მაგრამ ჰოლანდიაში ნაცისტები პირველად წაა-
წყდნენ არაებრაული,ადგილობრივი მოსახლეობის წ-
ინააღმდეგობას,რასაც იწვევდა ნაცისტთა საზიზღ-
რობანი ებრაელთა მიმართ. ნაცისტებმა რომ ამსტე
რდამში მოაწყეს ებრაელთა შეპყრობა-დაპატიმრება-
ნი 1941 წლის თებერვალში,იქ იფეთქა საყოველთაო
გაფიცვამ,რომელიც მოედო აგრეთვე უტრეხტს,ჰილვე
რსუმს და სხვა ადგილებს. გაიფიცნენ გაზის საწა
რმოები და ელექტროსადგურები,მგზავრები ჩამოხვ-
ეს მატარებლიდან. დაიწყო ამბოხება. ნაცისტებმა
სასწრაფოდ გამოიძახეს ესესისა და „მკვდარი თა-
ვისქალების" ნაწილები გერმანიიდან. გააძლიერეს
პოლიციის ნაწილები და გაიცა ბრძანება ესროლათ
დემონსტრანტებისათვის. ჰოლანდიის წინააღმდეგო-
ბის მოძრაობის მეთაურები შეიპყრეს,ნაწილი დახ-
ოცეს,ნაწილი საპატიმროში ჩაამწყვდიეს,როგორც
მძევლები. შერეული ქორწინებისაგან დაბადებული

ებრაელი ბავშვები გააგზავნეს საკონცენტრაციო ბანაკებში და იქ წამებით დახოცეს. გაფიცვა ჩაახშეს დაუნდობლად და სასტიკი ტერორით. ამოჟლეტის პროცესი გაგრძელდა. აიხმანის წარგზავნილი და მისი სიტყვის განმახორციელებელი პოლანდიაში - ცაპფი 1942 წლის 8 ივნისს მოახსენებდა,რომ ანტიებრაული კანონმდებლობის დანარჩენი ნაწილიც დაგეგმილია ეა მალე იქნება მიღებული. „ებრაული ნიშნის" შემოღება არც ისე ადვილი გახდა ნაცისტებისათვის. დევნილთა მიმართ სოლიდარობის ნიშნად ათასობით არაებრაელმა დაიბნია ყვითელი „მაგენ დავიდი". „მივიღეთ ენერგიული ზომები ამის აღსაკვეთად",  მოახსენებდა ცაპფი. პირველად - უკვირდა ცაპფს, - ებრაელები ამაყობდნენ „სამარცხვინო ნიშნით",მაგრამ შემდეგ მომავლის შიშმა შეიპყრო ისინი - წერდა იგი. ამასობაში კი,თითქოს სხვათაშორის,რამდენიმე ოლქში მოეწყო ებრაელთა სალოცავების დაწვა.

პირველი ეტაპის განხორციელებას - ებრაელთა ადგილსამყოფელის დადგენას და გამოცალკევებას დანარჩენი მოსახლეობისაგან, - სწრაფად მოჰყვა დამატებითი ნაბიჯები: თავმოყრა ბანაკებსა და სპეციალურად გამოყოფილ უბნებში და ქონების ძარცვა. გესტაპოს მანქანა მუშაობდა ეფექტურად.

1942 წელს დაიწყეს ებრაელთა გადაყვანა შრომის ბანაკებში. პირველად ელერკომის ბანაკში,რომელიც სწრაფად გახდა ცნობილი იქ ჩადენილ ჯალათობისა და უმსგავსოებათა გამო. ელერკომის ბანაკს მოჰყვა ვუტის,ვესტერბორკის და სხვა ბანაკები. დაიწყო ჰოლანდიის ტერიტორიის „გაწმენდა და

ებრაელთა დეპორტაცია ბანაკებში. „წმენდა" ვრცელდებოდა ყველა ებრაელზე,იქნებოდნენ ისინი კაცები თუ ქალები,ბავშვები თუ ძუძუმწოვრები,საავადმყოფოებში მყოფი სულით დაავადებული განუკურნებელი ავადმყოფები თუ მოხუცთა თავშესაფრების პ-დგმურები,ბრმები თუ საავადმყოფოებში მყოფნი,რომლებიც ოპერაციის ან მკურნალობას ელოდნენ. გერმანელები მუშაობდნენ ჩვეულებრივი „საფუძვლიანობით"

დასაწყისში ნაცისტებმა არ იცოდნენ რა ექნათ ჰოლანდიაში მყოფი სეფარადი ებრაელებისათვის; ესენიც უნდა გაიყლიცონ თუ არა; არ იცოდნენ,სანამ არ მოვიდა აიხმანის ხალხი და არ გაუფანტვეს ეს ეჭვები,სანამ აიხმანის განყოფილებამ არ გასცა ბრძანება,რომ სეფარადებიც ყოველმხრივ ებრაელები არიან და დანარჩენ თანამოძმეებთან ერთად უნდა გაიყლიცონ.

### მუდმივი კოშმარები:

### დაჭერები,ძარცვა და დეპორტაცია.

ჰოლანდიაში წარმოუდგენლად ხშირი იყო ებრაელებზე ნადირობა: ალყის შემორტყმა,დაჭერა,და ძალით გადაყვანა ბანაკებში. ებრაელებმა დაიწყეს დამალვა. როგორც ცნობილი ანა ფრანკის ოჯახმა გააკეთა. 1943 წლის ნოემბერში. აიხმანმა ბრძანა გაედიდებინათ ჯილდოს თანხა,რასაც მიიღებდა ყოველი,ვინც დააბეზღებდა მიმალულ ებრაელს. მან თავის ხალხს დაუწესა თვიური ნორმა გამოსაჭერი და სახიკვდილოდ გასაგზავნი ებრაელებისა.

ყველაფერ ამას ფეხდაფეხ მიჰყვებოდა საბოლოო გ
ადაწყვეტის თანმხლები პროცესი - ქონების წაგ-
ლეჯა. ამაზეც ზრუნავდნენ ცაჰტი და რაიაკოვიჩი.
1941 წლის მაისში ებრაელებს ებრძანათ რეგისტ-
რაციაში ჯასაყიდად გაეტარებინათ მთელი მოძრა-
ვი ქონება და ამის შემდეგ მთელი კაპიტალი და
ჩაებარებინათ ისინი გერმანული ფირმისათვის.პ-
ოლანდიის მთავრობის ანგარიშში დამატებით ნათქ
ვამია: 1941 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მათ მ
იერ ლიკვიდირებულ იქნა ებრაულ თემთა ყველა სა
ზოგადოებრივი დაწესებულება და მათი ქონება ჩ-
აბარეს გარკვეულ ბანკს. 1942 წლის მაისში ე-
ბრაელებს ებრძანათ ჩაებარებინათ მთელი ფული,
ოქრო,ძვირფასეულობა და სამკაულები და ხელოვნე
ბის ქმნილებანი.

ფულის გამოსაგლეჯად და ქონების წასართმე-
ვად გერმანელები მზად იყვნენ იმაზეც კი,რომ ც
ალკეული ებრაელისათვის გადარჩენის საშუალება
მიეცათ. აიხმანის განყოფილებამ ბრძანა,რომ
100.000 შვეიცარულ ფრანკად შეიძლება ემიგრაც-
იის ნება მიეცეს მოსულ ებრაელს. თხოვნა ბევრი
შევიდა,მაგრამ მხოლოდ ცოტას შეეძლო დაეკმაყო-
ფილებინა შანტაჟის პირობები და პროგრამის მი-
ხედვით ემიგრაციის უფლება მიეცა მხოლოდ 28 ე-
ბრაელს. ცაჰტმა აცნობა: 8 ებრაელს,როგორც გა-
მონაკლისს,დავრთე ემიგრაციის ნება დიდი მნიშ-
ვნელობის სამრეწველო საწარმოს გერმანიის გან-
კარგულებაში გადმოცემის სანაცვლოდ.

იმავე დროს სპეციალურმა შტაბმა მოახდინა ე
ბრაელთა მოძრავი ქონების: ავეჯის,საოჯახო ნივ

თებისა და ხელოვნების ქმნილებათა კონცენტრაცია. ამ საკითხზე წარმოგიდგენთ როზენბერგის შტაბის მიერ ჩატარებული „ოპერაცია - M"-ის ოფიციალურ ანგარიშს,რომელშიც ჩამოთვლილია მთელი წანაგლეჯი ქონება. ფასდაუდებელი მხატვრული ქმნილებების შეკვრათა გვერდით ჩაწერილია ასობით ყუთი,რომლებიც შეიცავდნენ ჯამ-ჭურჭელს,ტანსაცმელს,სარკეებს,ფარდებს,მანდილებს და ჭაღებს პიანინოებს,წიგნებს. იქვეა მიწერილი,თუ სად გაიგზავნა ეს ქონება: ბერლინი,ჰამბურგი,როსტოკი,ბონი,ლინცი,კილი,ჰანოვერი,გრაცი,ბრემენი,ლიუბეკი,დიუსელდორფი,შტუტგარტი,ლუდვიგსჰაფენი კენიგსბერგი,მიუნხენი და კიდევ მრავალი სხვა ადგილი. მეკობრეები ცდილობდნენ,რომ მთელ ხალხს,სახელმწიფოს ყველა კუთხეში,ესარგებლა ნაძარცვით. სულ გაიგზავნა 29436 ვაგონი (735 სპეციალური ეშელონი) დასავლეთის ებრაელობისაგან ნაძარცვი ქონებით.

ხოლო ბანაკებში მოჰყავდათ და მოჰყავდათ ებრაელები,რომლებსაც უკვე აღარც სახლ-კარი გააჩნდათ,აღარც თავშესაფარი,აღარც რაიმე ებადათ და ელოდებოდნენ თავიანთ მწარე ხვედრს. ადოლფ აიხმანმა,როგორც თვითონ წერს: „ყველაზე საიდუმლო წყაროდან",შეიტყო,რომ გარკვეულ რაოდენობას,სულ 20 ათას საბრალო ებრაელს გაუგზავნეს უცხოური პასპორტები და საემიგრაციო საბუთები. მყისვე ბრძანა დაწვრილებით გამოეძიებინათ ეს საქმე და განაცხადა: მათ ბედს პირადად მე გადავწყვეტ. ხოლო ასეთი არასასურველი მოვლენების აღმოსაფხვრელად ბრძანა ამიერიდან გაემ-

ნელებინათ ბანაკების კავშირი გარე სამყაროსთან.
ებრაელს ნება ეძლევა თვეში გააგზავნოს მხოლოდ
ერთი ღია ბარათი; ბარათი დაიწეროს გერმანულ -
ად, მისი შინაარსი შეიზღუდოს მოკითხვითა და პ-
ირადი ამბის შეტყობინებით. მთელი ასეთი ფოსტა
ჩაბარდეს მის განყოფილებას ბერლინში, საიდანაც
გადაიგზავნება საჭიროებისამებრ.

## მკვლელები იყოფენ ნაძარცვს

უნდა გადაჭრილიყო უცხოელ მოქალაქეთა ქონე
პის პრობლემა. აიხმანი წერდა გერმანიის საგა-
რეო საქმეთა სამინისტროს, რომ უნდა გადაწყდეს
იმ ებრაელთა ქონების ბედი, ვინც ჰოლანდიის ქვ-
ეშევრდომი არ არის. ასევე უნდა გადაწყდეს რა
უყონ იმ ებრაელთა ქონებას, ვინც გერმანიაში ც-
ხოვრობს და უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომს წ-
არმოადგენს. მან წინადადება წამოაყენა მოწვე-
ულიყო თათბირი ამ საკითხთან დაკავშირებული ყვ
ელა სამინისტროს მონაწილეობით. იმ თათბირზე გ
ამოიმუშავეს პრინციპი, რომელიც ამიერიდან გავრ
ცელდება ყველა საჯელიც ქვეყანაზე. ამ პრინცი-
პის მიხედვით გერმანია „თმობს" თავის უფლებას
მიიღოს უცხო სახელმწიფოებიდან იმ სახელმწიფო
ებში მცხოვრები გერმანელი ებრაელების ქონება,
თუკი ეს ებრაელები გაიგზავნენ სიკვდილის ბან
აკებში. მეორე მხრივ, ნაცისტურმა გერმანიამ გ-
ადაწყვიტა არ გადაეცა უცხო ქვეყნებისათვის იმ
ებრაელთა ქონება, რომლებიც უცხო სახელმწიფოთა

ქვეშევრდომები არიან, გერმანიაში ცხოვრობენ და გაძევებული იქნებიან გერმანიიდან. ეს წესი ყველა ოკუპირებულ ქვეყანაზე ვრცელდებოდა და ჩამოყალიბებულ იქნა ამგვარად:

„იმ ღონისძიების წარმატებისათვის, რომელიც დაიწყო და იმ მიზნით, რომ საფრთხე არ შექმნეს ევროპაში ებრაული პრობლემის გადაწყვეტას, რაც უკვე ხორციელდება, ამით დგინდება, რომ მოლაპარაკებანი უცხო სახელმწიფოებთან ამ საკითხზე იწარმოებს ტერიტორიული პრინციპის საფუძველზე".

ანუ: მოსასპობად გაგზავნილი ებრაელების ქონება დარჩება იმ ქვეყანაში, საიდანაც გაიგზავნა, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის ქვეშევრდომი იყო.

პატივცემულო მოსამართლენო, კიდევ ერთი ნიმუში იმისა, რომ ძარცვა-გლეჯა მჭიდროდაა დაკავშირებული მკვლელობასთან და ორივე წარმოადგენს ერთი საქმის ორ მხარეს.

ეს ტერიტორიული პრინციპი ამიერიდან გარდაიქმნება ნაცისტური გერმანიის გენერალურ საზად და სატელიტი ქვეყნები აჰყვებიან ებრაელთა პირველ რიგში კი უცხოეთის ქვეშევრდომთა განდევნის ცდუნებას, რათა მათი ქონება დაიმკვიდრონ. რამდენიმე ადგილას, როგორც ვნახავთ, დაიწყეს მოქალაქეობის არმქონეთა ან უცხოელთა დეპორტაციით და მას შემდეგ, რაც „შეეჩვიენ" ამ ებრაელთა განდევნასა და მათი ქონების ძარცვას, უმეცხად გადადიოდნენ საკუთარ ებრაელებზე – ადგილობრივ მცხოვრებლებსა და მოქალაქეებზე.

## დეპორტაცია „აღმოსავლეთში"

დავუბრუნდეთ პოლანდიას. რაკი ქონების საკითხი გადაწყვიტეს,შეუდგნენ მზადებას ბოლო აკორდებისათვის. ებრაელი გამოაცალკევეს,სპეციალური ნიშნები მიაბნიეს,შემდეგ თავი მოუყარეს ერთად, ქონება წაართვეს,რისი გამოგლეჯაც კი შეიძლებოდა მათგან - გამოგლიჯეს და უკვე მოაღწია აღმოსავლეთის ბანაკებში გაგზავნის ჯერმაც. იქ მათ სხეულს გამოიყენებენ სამუშაოდ,კატორღული და მონური სამუშაოებისათვის. ამის შემდეგ დააჭრიან თმებს,რომელთა გამოყენებაც შეიძლება სხვადასხვა მიზნით,ხოლო მათ,მიშველ-ცოცვლებს,გაძვალტყავებულებს შეყრიან გაზის მახრჩობელა კამერებში. დახოცვის შემდეგ პირიდან ამოაძრობენ ოქროს კბილებს,ხოლო თითიდან წააძრობენ ქორწინების ბეჭედს. ამასაც ფასი აქვს. საქმეს ამთავრებენ გვამების შეყრით გავარვარებულ ღუმელებში და ადამიანისაგან რჩება მუჭა ნაცარი.

ყველაფერში წესრიგი სუფევდა. ყველაფერი ეფექტურად კეთდებოდა. „აღმოსავლეთში" გადაგზავნის წესები დაადგინეს აისმანმა და მისმა განყოფილებამ. წარმოგიდგენთ დოკუმენტებს,რომლებითაც იწვევდნენ თათბირებს აისმანთან; წარმოგიდგენთ იმ სხდომათა ოქმებს,რომლებსაც იგი მართავდა; წარმოგიდგენთ მის მიერ გაგზავნილ განკარგულებებს. სიტყვით ჯერ კიდევ ლაპარაკობდნენ - საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხსენებაშიც კი,რომ ებრაელები „იგზავნებიან სამუშაოდ",რომ ოსვენციმში მიმდინარე სამუშაოებზე მისამაგრებლად" იგზავნე

ბა 40.000 ებრაელი ოკუპირებული საფრანგეთიდან, 40.000 ებრაელი ჰოლანდიიდან,10.000 ებრაელი ბელგიიდან. თავის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან მიმოწერაში აიხმანი კვლავ და კვლავ იმეორებდა ხაზგასმით,რომ ლაპარაკია მხოლოდ შრომისუნარიან ადამიანებზე.

თუ რას ნიშნავდა „გაგზავნა ოსვენცემში",ამაზე კიდევ ვილაპარაკებ. მაგრამ აქ მინდა შეგახსენოთ,რომ აიხმანი ატყუებდა თავისავე საგარეო საქმეთა სამინისტროს.თავისი ხელქვეითებისადმი მიცემულ განკარგულებებში კი მიუთითებდა, რომ საფრანგეთიდან,ბელგიიდან და ჰოლანდიიდან გაგზავნილ ყოველ ეშელონში უნდა ჩართონ ათი პროცენტი შრომისუნარმოკლებული ებრაელები. აშკარაა: ვისაც უნარი შესწევს,მთელ თავის ძალღონეს შეალევს მონურ შრომას,ხოლო სხვებს დაუყოვნებლივ შერეკავენ მოსასპობად.

დეპორტაცია ჰოლანდიიდან დაიწყო 1942 წლის ივლისში. და თვენახევრის შემდეგ,გამოცდილება რომ დაგროვდა,აიხმანმა ბერლინში სათათბიროდ მიიწვია თავისი ემისრები. ყოველმა მათგანმა ჩააბარა თავისი მოღვაწეობის ანგარიში. აიხმანმა მოითხოვა მთლიანად დაემთავრებინათ დეპორტაცია წლის ბოლომდე და საბოლოო თარიღად დაადგინა 1943 წლის ივლისი. იგი მოითხოვდა: განსაკუთრებული ძალის დაძაბვით იმუშავეთ უახლოეს თვეებში,რადგან ნოემბერში,დეკემბერსა და იანვარში რკინიგზის სამმართველო ვერ მოახერხებს ტრანსპორტის გამოყოფას. ამასთან შეპირდა,მე იმ თვეებში უზრუნველვყოფ დღეში ერთი ეშელონი მა-

ინც გამოიყოხო.

აიხმანი უყიყინებს:
ოპერაცია დააჩქარეთ

•

გამევება განუწყვეტლივ გრძელდებოდა. 1943 წლის აპრილში ცაპფმა აცნობა აიხმანს,ჯერ კიდ-ევ ვერ მოვრჩი საქმესო. ლემდე პოლანდიიდან დეპორტირებულია 68.300 ებრაელი და ჯერ კიდევ დარჩა 71.700 ებრაელიო. მყისვე გადაწყდა გაძ-ლიერებულიყო ცემპი და აიხმანმა საბოლოო ვადად დაადგინა 1943 წლის ბოლო. მან მოითხოვა მაის-ში მიეღწიათ 8000,ხოლო ივნისში 15.000 სულის დეპორტაციისათვის გაიცა დაწვრილებითი მითითე ბანი დაკოლვის შესახებ. სავალდებულო დაკოლვა (კასტრაცია) უნდა გაევლოთ შერეული წყვილისაგ-ან დაბადებულებს. აიხმანმა გადაწყვიტა გაეძლი ერებინა პოლონელ მაზებლართა წახალისება და ბრ ძანა,რომ ენის მიცანა მიმაღულ ებრაელთა ლიდ რ აოდენობაზე ენის მიმცანს გაათავისუფლებდა იმ მოვალეობისაგან,რომ ხელახლა გამოცხადებულიყო სამხედრო ცყვეთა ბანაკებში. ახეთი მოვალეობა მაშინ ეკისრებოდა პოლანდიის მოსახლეობის ერთ ნაწილს იაცაკქვემა მუშაობის გაძლიერებასთან დაკავშირებით.

ხოლო თავიდან რომ აეცდინათ სიძნელეები,რა-საც შეიძლებოდა წაწყდომოდნენ პოლანდიის პროცე ქცორისაგან მვეცისაგან,გადაწყდა,რომ სპეცი ალური კანონით გერმანიის ებრაელთა მსგავსად, პოლანდიის ებრაელებსაც ჩამოერთმევათ მოქალაქე

ობა აღმოსავლეთისაკენ მიმავალ თავიანთ ტრაგი-
კულ გზაზე,სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისთა-
ნავე.

ცაპფს მოსთხოვეს დეპორტაციის ბრძანებები მ-
ეესრულებინა ამ ბრძანებათა უზუსტესი დაცვით.და
მართლაც,1943 წლის მეორე ნახევარი იყო გაძლიე-
რებულ ღონისძიებათა პერიოდი. ცოცხალი ტვირთით
დახუნძლული ეშელონები მიემართებოდნენ აღმოსავ-
ლეთისაკენ.

და ბოლოს ჰოლანდიაში დარჩნენ ებრაელთა მხო-
ლოდ კანტიკუნტი ჯგუფები. ბრილიანტის დამმუშავე
ბელი სპეციალისტები,რომლებიც გერმანიას ესაჭი-
როებოდა. ამათი ბედი თვითონ ჰიმლერს უნდა გადა
ეწყვიტა. დარჩნენ ცალკეული ებრაელები,რომლებიც
ლითონს აგროვებდნენ გერმანიის სამხედრო წარმო-
ებისათვის,ან ისეთები,რომლებიც გერმანიის არმი
აში იბრძოდნენ პირველი მსოფლიო ომის დროს. სულ
870 კაცი. ისინიც დააპატიმრეს და გაგზავნეს ტ-
ერეზიენ შტატში.

ვუტის ბანაკში ჯერ კიდევ დარჩენილი იყო ა-
თასზე მეტი ებრაელი,რომლებიც გერმანიის სამხ-
ედრო ქარხნებში მუშაობდნენ. ბოლოს ისინიც სხ-
ვების გზას გაუყენეს და გაგრძელდა ნადირობა მ
იმამულთა შესაპყრობად. 120.000 ებრაელი გაჰლ-
ევნეს ჰოლანდიიდან და გადაიყვანეს პოლონეთის
სიკვდილის ბანაკებში. მცირედი ნაწილი გააგზავ
ნეს სხვა ადგილებში და მათგან მხოლოდ 5.000
სული გადარჩა.

## ერთნაირი სურათი ყველა ოკუპირებულ ქვეყანაში

ასეთია მოკლედ ჟლეტის ამბავი ერთ ქვეყანაში,სადაც ადოლფ აიხმანი მოქმედებდა. იგივე ამბავი მეორდება ყველა სხვა ქვეყანაშიც,ოდნავ სახეცვლილი,ოდნავ შეფარდებული ადგილობრივ პირობებთან. თითქოსდა ერთი და იგივე თემა - სისაძაგლის,მკვლელობისა და ჟლეტის ვარიაციებით.

## ნორვეგია

დავიწყოთ ჩრდილოეთიდან. ნორვეგიაში ცხოვრობდა ერთი მუჭა - 1750 ებრაელი. მათი ნახევარი გაიქცა შვეციაში,ნახევარიც პოლონეთში გადაგზავნეს ჟლეტის ბანაკებში. ნორვეგიის იატაკქვეშეთმა,როგორც და რამდენადაც მოახერხა,გააპარა ებრაელები. ხალხი ამბოხდა ჟლეტის წინააღმდეგ და ამის გამო მის მიმართ დაიწყეს სისხლიანი ტერორი. მაგრამ ბოლოს აქაც წაართვეს ებრაელებს ადამიანური უფლებები,წაგლიჯეს ქონება,პირადობის მოწმობებში ჩაურტყეს დაღი „ებრაელი",მოაწყეს მათზე ნადირობა,შეიპყრეს და,ბოლოს,1942 წლის მიწურულში,შეუდგნენ მათ დეპორტაციას.

ებრაელთა საქმეებს აქ განაგებდა უშიშროების პოლიცია ( B.d.S. ),რომელზეც აიხმანი ამბობს, „ეს იყო ჩემი დაწესებულებაო". მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის,რომ ჩაეფუშა შვეციის მთავრობის ყველა ცდა ნორვეგიის ებრაელთა გადასარჩენად. მისი განყოფილება წერდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს; „შვეციის მთავრობა ამ ებრაელთა მიმართ აწყობს მოქალაქეობის მინიჭების ძალიან თვალში საცემ მანევრებს; არ

უნდა დავთანხმდეთ ამას". ხხვა ხაზუთეზში აიხმანი ჩივის,რომ შვეციის მთავრობა „ცდილობს ჩაფუშოს ებრაელთა წინაამდეგ მიღებული ზომები."
ნორვეგიის ებრაელობის 800 დეპორცირებული - დან ცოცხალი დარჩა 21 სული.

დანია

დანია რომ გერმანიის ხელში ჩავარდა,მაშინ იქ 6.500 ებრაელი ცხოვრობდა. განსაკუთრებულ გარემოებათა გამო დასაწყისში გერმანელებმა მოქმედების საშუალება მისცეს დანიის ხელისუფალთ. მათ სურდათ დანიაში შეექმნათ პროცექცორაცის სანიმუშო ხელისუფლება. მეფე ქრისციანი დარჩა სახელმწიფოს ოფიციალური ბაცონ-პაცრონი, ხოლო დანიის მთავრობა აგრძელებდა თავის მოღვაწეობას. ამრიგად აქ არ დაუკანონებიათ ანციებრაული კანონები და არ შემოუღიათ სამარცხვინო ნიშანი. მეფე პირადად საქმეებში ერეოდა დანიის ებრაელთა სასარგებლოდ.
თვითონ გერმანელებიც ყოყმანობდნენ და საგარეო საქმეთა სამინისცრო ეჭვობდა მოეწყო თუ არა დანიაშიც ყლეცის დაშქრობა. მაგრამ აიხმანი ხთანა კაცი ვერ იყოყმანებდა იმ საქმეში,რაც ებრაელებს ეხებოდა. ჯერ კიდევ 1943 წლის აპრილში აცნობა მან ფონ-ცადენს საგარეო საქმეთა სამინისცრომი: „მალე შეგაცვლევინებენ თქვენს პოზიციას". და მართლაც,აიხმანი თანდათან იმარჯვებდა. შესაფერისი შემთხვევა მიეცა მას,როცა დანიაში იფეთქა გაფიცვებმა და გაძლიერდა ანცი გერმანული იაცაკშეობა სამიანობა. მაშინ საო-

კუპაციო ხელისუფლებმა გამოაცხადეს სამხედრო მ დგომარეობა და 1943 წლის სექტემბერში კოპენჰაგენს მოევლინა ესესის ტერორის მეფე,უშიშროების პოლიციის მაღალი რანგის მეთაური და მყისვე დაგეგმეს ნადირობა ებრაელებზე.

წარმოგიდგენთ დანიის მთავრობის ოფიციალურ ანგარიშს,რომელშიც დახატულია უშიშროების პოლიციის უფროსის,დოქტორ მილდნერის საქმიანობა.მეტი საიმედოობისათვის აიხმანმა დანიაში გააგზავნა თავისი მოადგილე ვოლფ გიუნტერი განყოფილების რამდენიმე თანამშრომელთან ერთად. გერმანიის საოკუპაციო არმიას თავისი მოსაზრებები გააჩნდა და ყოყმანობდა,მიელო თუ არა მონაწილეობა ებრაელებზე ნადირობაში. მაშინ საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიმართა ებრაელთა საქმეში შეუზღუდავი უფლებების პატრონს - აიხმანს: არმიასთან საქმე შენ მოაგვარეო.

დანიის მცხოვრებნი
შველიან ებრაელებს

ბოლოს,1943 წლის ოქტომბრის პირველი ორი დღის განმავლობაში მოაწყეს ნადირობა. მოძალადე დამპყრობლები იჭრებოდნენ ებრაელთა სახლებში,იჭერდნენ ქუჩებში და მიჰყავდათ თავისთან. მაგრამ აქ მოხდა ისეთი რამ,რომ ელდასავით ეცათ მკვლელებს: ებრაელთა სახლების უმრავლესობა იყო ცარიელი,რადგან დანიელმა ხალხმა,რომელმაც დროულად შეიტყო მკვლელთა მზაკვრობა,საიდუმლოდ მოაწყო გადარჩენის საუცხოო ოპერაცია,რომელიც

ცნობილია „მცირე დიუნკერის" სახელით. ეს ოპერაცია საფრთხეში აგდებდა პირადად მათ სიცოცხლეს და მოითხოვდა დიდ გამბედაობას და სიმამაცეს. ნავსადგურში საიდუმლოდ შეკრიბეს სათევზაო გემები,სასეირნო კატარღები და ყველანაირი ტრანსპორტი,რასაც კი ცურვა შეეძლო. ებრაელები სანაპიროებზე მოიყვანეს გუშაგებმა,სტუდენტებმა და სხვა მოხალისეებმა. იქიდან აიყვანეს გემებზე და საიდუმლოდ გადაიყვანეს შვეციაში.მხოლოდ რამდენიმე ასეული კაცი ჩაუვარდა ხელთ აიხმანის ემისრებს.

აიხმანმა სიბრაზისგან ჭკუა დაკარგა,როცა შეიტყო,რომ მის მხხვერპლთაგან ამ ცოტაოდენმა მოახერხა თავის დაძვრენა. მან უჩივლა გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლებას,ხოლო ცოტა ხანში თვითონ გაემგზავრა კოპენჰაგენში იმის შესამოწმებლად,თუ რა მოხდა და რატომ იწვნია მარცხი. მაგრამ უკვე გვიანი იყო. დანიის ებრაელობის უდიდესი ნაწილი გადარჩა დანიელი ხალხის ვაჟკაცობისა და კეთილშობილების წყალობით.

## ბელგია

ბელგიაში უკვე სხვა სურათს ვხედავთ. აქ ვაწყდებით უკვე გამოცდილ მეთოდს: ანტიებრაული კანონების გამოცემა 1940 წლის ბოლოდან,სავალდებულო რეგისტრაცია,სამარცხვინო ნიშნის შემოღება,კომენდანტის საათი,ებრაელთა თავმოყრა ანტვერპენში,ბრიუსელში,ლიეჟში,შალროეში და მათი ჩამწყვდევა ბრენდონკის ბანაკში. აქ,ამ ბანაკში ნაცისტები,როგორც კი რომელიმე პატიმარს მ-

ოკლავდნენ,ყველას უბრძანებდნენ ჩაევლოთ გვამის გვერდით და ემღერათ ბანაკის ჰიმნი:

„არასდროს დავივიწყებთ ჩვენს ბრენდოკს,
ებრაელთა სამოთხეს..."

გაჟლეტის შესახებ დაწერილ ბელგიის მთავრობის ოფიციალურ ანგარიშში ამ ეტაპს ეწოდება „მოსამზადებელი ეტაპი"; ამას მოჰყვა - ანგარიშის ენით - „გაჟლეტის ეტაპი". აქ ისევ ვაწყდებით ქონების ძარცვა-გლეჯას და დეპორტაციას ჯერ შესაკრებ და საკონცენტრაციო ბანაკებში,აქედან კი აღმოსავლეთით. აი ნაწყვეტი მალინის შესაკრებ პუნქტში თავმოყრის შესახებ იმავე ოფიციალური ანგარიშიდან:„მალინში რომ მივიდნენ და კარები გაიღო,მათ წინ გადაიშალა შემაძრწუნებელი სურათი: ყოველი,ტრაგიკული სატვირთო ავტომანქანის კარის გაღებისას მანქანიდან გამოდიოდა სქელი ორთქლი და გულისამრევი სუნი. შიგნიდან დაწოლის შედეგად გაღებული კარებიდან - სათევზაო გემში ტრიუმს რომ გააღებენ და თევზები გადმოიყრებიან,ისე დაცვივდნენ მიწაზე ერთმანეთში არეული,შემაძრწუნებელი და გულისამრევი,დაბერილი და დალურჯებული გვამები,რომლებსაც თვალები ამოსცვენოდათ ბუდეებიდან და ტანსაცმელი ოფლითა და განავლით გაჟღენთოდათ. ცხრა გვამი გამოიღეს ამ მანქანიდან; ოთხმოცი კაცი,რომლებსაც სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდათ,ლაზარეთში გაგზავნეს".

მასობრივი დაპატიმრებანი დაიწყო 1942 წლის ივლისში. აგვისტოში დაიწყეს ეშელონის გაგზავნა ოსვენციმში.

თქვენ წარმოგიდგენთ საბუთებს,რომლებითაც დ
აგიმტკიცებთ,რომ აიხმანს ეკისრება უშუალო პა-
სუხისმგებლობა ბელგიის ათეულ ათასობით ებრაე-
ლის გაყლეტისათვის. ამ ქვეყნის ებრაელებიდან
მხოლოდ ნაწილი დარჩა ცოცხალი იატაკქვეშეთის დ
ახმარების წყალობით: იატაკქვეშეთის მებრძოლე-
ბი ერთხელ თავს დაესხნენ ოსვენციმში მიმავალ
მატარებელს,სხვა შემთხვევებში სასიკვდილოდ გ-
ანწირულებს შეუქმნეს გაქცევის საშუალება. ასე
ვე გადარჩნენ ებრაელები ქრისტიანი მოსახლეობ-
ის წყალობით,რომელმაც შეიფარა და დამალა ზოგი
ერთი ებრაელი.

• ბელგიაში აიხმანმა გააგზავნა თავისი თანა-
შემწე ბურგერი,რომელმაც მითითება მისცა დაეწ-
ყოთ მოქალაქეობის არმქონე ებრთელობის დეპორტა
ციით. ამის შემდეგ გადავიდნენ ბელგიის ქვეშევ
რდომ ებრაელებზეც. კვლავ ვიხილავთ,როგორ თაოს
ნობს,როგორ გეგმავს და როგორ ლახავს ყლეტის გ
ზაზე შეხვედრილ ყოველ წინააღმდეგობას აიხმანი.

## საფრანგეთი

საფრანგეთშიც ვიხილავთ მის განყოფილებას -
IVB4 ,რომელიც აქაც ჩვეული რეცეპტით მოქმედე-
ბს. აქ მოქმედებდნენ თვითონ აიხმანი და მისი
თანაშემწენი,რომელნიც სათავეში უდგნენ უშიშრო
ების პოლიციასთან არსებულ ებრაულ სექციას.მი-
სი თანაშემწეები იყვნენ პირველად დანეკერი,შ-
ემდეგ რეტკე და ბოლოს ალოიზ ბრუნერი. მათ ეხ-
მარებოდნენ ფრანგი მოქალაქეები პიერ ლავალი
და დარნანი,რომელნიც მათი თანამონაწილეები ი-

ყვნენ ამ საქმეში.
ადამიანის უფლებათა ჩამორთმევის ნაკალს ს-
აფრანგეთშიც ვნახავთ ტანჯვის იმავე კალაპოტით
მიმავალს,როგორც სხვა ქვეყნებში. კანონების ს
ერია იწყება 1940 წლის 27 სექტემბერს,როცა ს-
ავალდებულო რეგისტრაცია გამოცხადდა,და მთავრ-
დება ებრაელთა საწარმო-დაწესებულებების აღრი-
ცხვით,კომენდანტის საათითა და სამარცხვინო ნ-
იშნის დაბნევით. იმავე დროს მიმდინარეობდა ქ-
ონების წართმევა და დაიწყო ნადირობა ებრაელებ
ზე და მათი თავმოყრა. თვით პარიზში ხშირად ე-
წყობოდა ასეთი ნადირობა. შეპყრობილი ებრაელე-
ბი ჩაამწყვდიეს დრანსის,კომპიენის,პატივიეს,
ბონ-და-როლანდის და თავმოყრის სხვა ბანაკებში.
აქედან იგზავნებოდნენ უფრო შორს,აღმოსავლეთით
- ამოსაყლეტად. ვიშის ხელისუფლებამაც,უპატრონ-
ოდ მიტოვებით,ებრაელები აქცია გერმანელების კ
ერძად: ჯერ მოქალაქეობის არმქონენი,შემდეგ უ-
ცხო სახელმწიფოთა მოქალაქეები და,ბოლოს,მარ -
მალ პეტენის წინააღმდეგობის მიუხედავად,თვით
საფრანგეთის ქვეშევრდომებიც კი. აქაც შევხვდე
ბით ფრანგულ იატაკქვეშეთს - მაკის,რომელიც ყო
ველნაირად ცდილობს დაეხმაროს გაქცევაში,დამა-
ლოს და გადაარჩინოს. მაგრამ აქაც იმარჯვებს გ
ერმანული „ეფექტიანობა". აიხმანი პირადად უძ-
ღვებოდა დეპორტაციას საფრანგეთიდან. მისი წარ
მომადგენლები პიერ ლავალს ევაჭრებოდნენ ებრა-
ელთა დეპორტაციაზე. აიხმანის ემისრები ძალით
წყვეტდნენ ბავშვებს დედის კალთისაგან,თუმცა დ
ედები ებღაუჭებოდნენ შვილებს და იხვეწებოდნენ

ჩვენც ამათთან ვიქნებით.

დრანსელი ბავშვების

მწარე ხვედრი

მოისმინეთ ამ შემაძრწუნებელ სცენათა აღწერა: როცა 2 - 14 წლის ასაკის ბავშვებიდან სულ 4.000-და დარჩა,1942 წლის 21 ივლისს დანეკერმა ჩაიწერა ამ ბავშვების შესახებ აიხმანის განკარგულებათა შინაარსი: „მან(აიხმანმა)გადაწყვიტა,რომ შეიძლება განახლდეს დეპორტაცია საგენერალ-საგუბერნატორომში. საჭირო იქნება გაიგზავნოს ბავშვების ეშელონები". და მართლაც,უკვე იმავე წლის 14 აგვისტოს რატკემ ანგარიში გაუგზავნა ბრადლებულს და ოსვენციმის ბანაკის კომენდატურას შეატყობინა,რომ დაიწყო ბავშვების დეპორტაცია. მოისმინეთ, როგორ მიაღწიეს ამ ბავშვებმა დრანსს:

„ბავშვები (დრანსის) ბანაკში მიჰყავდათ გაჭედილ ავტობუსებში ჩაჭეჭყილები. ავტობუსებს პოლიციელები დარაჯობდნენ. ბავშვები ჩამოჰყავდათ ეკლიანი მავთულხლართებით შემოღობილ ეზოში, რომლსაც საფრანგეთის ჟანდარმერიის პოლიციელები იცავდნენ. პოლიციელები და ჟანდარმები,ეს უხეში ადამიანები,რომლებსაც გრძნობები ნაკლებად ერევათ,ვერ ფარავდნენ თავიანთ შეძრწუნებასა და ზიზღს იმ როლისადმი,რაც მათ დააკისრეს.ავტობუსები რომ მოვიდნენ,ბავშვები ჩამოუშვეს იქიდან და დარბაზებისაკენ გაუყენეს გზას ჯგუფად. უფრო დიდ ბავშვებს ხელი ჩაეკიდათ პაწარე

ბისათვის ან ხელში აყვანილი მიჰყავდათ ისინი. ბავშვები არ ტიროდნენ, მიდიოდნენ დაფეთებულები, მორჩილად. ცხვრის ფარასავით ასრულებდნენ მათი თებებს თან ერთმანეთს ეხმარებოდნენ..."

და აი, თვით დეპორტაციის აღწერა:

„დეპორტაციის დღეს მათ დილის 5 საათზე ად-ვიძებდნენ. განერვიულებულ, ნახევრად მძინარე ბავშვთა უმრავლესობა უარს ამბობდა ადგომასა და ეზოში ჩასვლაზე. საჭირო იყო მოხალისე მოხული ქალების ხანგრძლივი, სათუთი და ესოდენ ტრაგიკული შეგონება, რათა დაერწმუნებინათ უფრო მოზრდილი ბავშვები, რომ საჭიროა ბრძანების შესრულება და დარბაზის დატოვება. რამდენჯერმე ამ ცდებ-მაც ვერ უშველა, ბავშვები ტიროდნენ და უარს ამბობდნენ ლოგინიდან წამოდგომაზე. მაშინ ჟანდარმები შედიოდნენ დარბაზებში და ხელში აჰყავდათ ბავშვები, რომლებიც შიშისაგან ტიროდნენ, იბრძოდნენ და ერთმანეთს ებღაუჭებოდნენ. დარბაზები შეშლილთა სამყოფელს დაემსგავსა და სანახაობა აუტანლად მძიმე იყო ყველაზე სასტიკი ადამიანებისთვისაც კი.

ეზოში სათითაოდ კითხულობდნენ ბავშვთა სიებს და ყოველ მათგანს აღნიშნავდნენ. ამის შემდეგ მიჰყავდათ ავტობუსებში, რომელიც გავსებისთანავე ტოვებდა ეზოს თავის ტვირთთან ერთად. რამდენადაც ბევრი ბავშვის ვინაობა ვერ გაარკვიეს, ხოლო ზოგიერთები არ პასუხობდნენ მათი ნამდვილი თუ გამოგონილი სახელის ამოძახებისას, ამათ აყენებდნენ რიგებში რაოდენობის შესავსებად. ყოველ ასეთ რიგში 500 ბავშვი და ბანაკის

პაცმირებიდან შერჩეული 500 მოზრდილი იყო.სა- მიოდე კვირის განმავლობაში - 1942 წლის აგვი სტოს მეორე ნახევარსა და სექტემბრის დასაწყი სში ასე წაიყვანეს 4.000 ბავშვი,რომლებიც აქ ციეს ობლებად და ახლა უცხო მოზრდილებთან შე- რიეს.

ოფშცურმფიურერი რეშკე ესწრებოდა ამ დეპორ ტაციებს და პირადად აკონტროლებდა ბავშვთა ჯ- გუფებს,სიებს ამოწმებდა და ავტობუსში აყვა ნას".

აიხმანის აზრით საფრანგეთი ჩამორჩებოდა დ ეპორტაციის საქმეში და ამასთან დაკავშირებით დიდი მიმოწერა იყო გამართული.

1944 წლის აპრილში IVB4 განყოფილებამ გას ცა განკარგულება დაეკავებინათ ყველა ებრაელი და არავითარი ყურადღება არ მიექციათ მათი მ- ოქალაქეობისათვის. მან ბრძანა დამალულ ებრა- ელთა გაცემისათვის დამსმენებს მისცემოდათ ს- აზღაური თვით დასმენილ ებრაელთა ქონებიდან.

იტალიელები არ ეხმარებიან

აიხმანს

საფრანგეთის სამხრეთი ნაწილი იტალიელებს ჩაუვარდათ ხელში. მუსოლინი მზად იყო ეთანამ- შრომლა გერმანელ ნაცისტებთან ებრაელების ამო ყლეტის საქმეში,მაგრამ მაღალი რანგის მოხელე თა ნაწილი არ აპყვა მას და ჩაფუშა განზრახვა. თვით იტალიის ებრაელობის პრობლემის გადასაწ- ყვეტად ნაცისტებმა გადაწყვიტეს მიეშვათ პიმ-

ლერი დუჩესთან სალაპარაკოდ. ხოლო იტალიის ხ-ელქვეით მყოფ სხვა ქვეყნების ებრაელობის გა-მო აიხმანი და მისი თანამშრომლები მწარედ ჩ-იოდნენ იტალიელ ჩინოვნიკებზე,რომელნიც მავნე-ბლობას" ეწეოდნენ სამხრეთ საფრანგეთში,იუგოს-ლავიასა და საბერძნეთში. ეს საჩივრები,სხვა-თა შორის,შეჯამდა წერილში,რომელიც აიხმანმა შეადგინა 1943 წლის 25 თებერვალს თავისი სა-გარეო საქმეთა სამინისტროსადმი და ხელმოწერი-ლია გესტაპოს უფროსის მიულერის მიერ. მიულე-რი თვით წერილში იმეორებს აიხმანს,როცა ლაპ-არაკობს,თუ როგორ იქცევიან იტალიის ხელისუფა-ლნი და როგორ მუდამ უდგანან მხარში ებრაელე-ბს. ეს ამბავი,მიულერის თქმით,მეტისმეტად აძ-ნელებს „საბოლოო გადაწყვეტას" და კიდეც ფუშ-ავს ნაწილობრივ,რადგან სხვა სახელმწიფოები ღ-ერძის ერთ-ერთი სახელმწიფოს დამოკიდებულება-ზე მიუთითებენ,როცა ეძებენ საბაბს ებრაელთა წინააღმდეგ მოქმედებაში თავიანთი ყოყმანის გ-ასამართლებლად.

იტალიის ხელისუფლებაზე ძლიერი იერიში მიი-ტანეს საგარეო საქმეთა მინისტრის რიბენტროპ-ის გზით. ყველა ეს მიმართვა მოამზადა აიხმა-ნმა,რომელიც ვერ ურიგდებოდა რამდენიმე ათეულ ათასი ებრაელის გასხლტომას იმ ზონიდან,რომე-ლიც ევროპას მოახვია. იტალიელები ძირითადად დაყოვნების ხრიკებს მიმართავდნენ; ცდილობდნ-ენ,და კიდეც მოახერხეს რამდენიმე ათასი ებრა-ელის გაპარება ნაღდი სიკვდილისგან.

როცა იტალიელებმა მონაკო დატოვეს,აიხმანი

ამტკიცებდა,რომ ამ სამთავროს ტერიტორიაზე იმყოფება 15.000 ებრაელი. იგი მოითხოვდა საერთო ღონისძიებათა ფხრილში ჩაერთოთ ისინიც.გერმანიის საკონსულო მონაკოში იტყობინებოდა,რომ იქ იმყოფება მხოლოდ ათასი ებრაელი,მაგრამ აიხმანი თავისას იჟინებდა და ამტკიცებდა,ჩემთვის პირადი ვიზიტით ცნობილია,რომ ის ციფრია ზუსტი,რაზეც დასავლეთი ბოლოს თვითონაც დათანხმდა,რომ ებრაელთა რაოდენობა იქ მხოლოდ 1000 - 1500 კაცია. მისმა კანცლერამ კი მოითხოვა სათანადო ზომები მიეღოთ იმათ წინააღმდეგ. როგორც ჩანს ეს ღონისძიება წარმატებით ჩატარდა, რადგან 1944 წლის ივლისში გერმანიის კონსულს მონაკოში შეეძლო განეცხადებინა,რომ იქ 40 - 50 ებრაელზე მეტი აღარ დარჩენილა.

იტალიის იმ ნაწილში,რომელიც გერმანელებმა დაიპყრეს მუსოლინის დაცემისა და ბადოლიოს დამორჩილების შემდეგ,მოქმედებდნენ აიხმანის ემისრები ბოსჰამერი და დანეკერი. 1943 წლის 16 ოქტომბერს რომში დიდი ნადირობა მოეწყო,რომლის ტალღამაც იქიდან გადაინაცვლა ჩრდილოეთ იტალიაში. ნადირობამ ვერ გაამართლა იმ დახმარების წყალობით,რაც იტალიელებმა გაუწიეს ებრაელებს და გადამალეს ისინი საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით. იტალიის სამღვდელოებაც მოქმედებდა მათ გადასარჩენად და მონასტრებში გადასამალავად. როგორც უკვე მოვიხსენიე,თვითონ რომის პაპი ჩაერია დაპატიმრებულ რომის ებრაელთა გულისათვის.

სულ უფრო ივსებოდნენ რისხვით გერმანელები

იცალიელთა ამ დამოკიდებულებაზე. როცა მუსოლინიმ ფაშისტური რესპუბლიკა აღადგინა ჩრდილოეთ იტალიაში,მან გააგრძელა თავისი საელჩოს ყოლა ბერლინში. ამ საელჩომ შეკითხვით მიმართა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ლვოვში მცხოვრები ებრაელის,იცალიელი მოქალაქის ბერნარდო ცაუბერცის შესახებ. ამაზე აისმანის მოადგილემ კიუნცერმა ამგვარი პასუხი გასცა საგარეო საქმეთა სამინისტროს:

„ჩვენ თავს ვიკავებთ შევასრულოთ იცალიის საელჩოს თხოვნა მათთვის სასურველი ცნობების მ ოგროვებაზე ზემომოხსენებული ებრაელის ადგილსამყოფელის დასადგენად. კარგი იქნებოდა შეგვე თავაზებინა იცალიის საელჩოსათვის თავი შეიკავოს ასეთი ზედმეტი კითხვების მიცემისაგან,რათა შესაძლებლობა მოგვეცეს მთელი ყურადღება გადავიცანოთ ჩვენს გაძლიერებულ და საყოველთაო ღონისძიებებზე. ომის მეხუთე წლის დასაწყისში გერმანიის დაწესებულებებს უფრო სხვა და მნიშვნელოვანი ამოცანები აკისრია,ვიდრე გაძევებული ებრაელის ბედის გამოძიებაა. სამწუხაროა,რომ იცალიის ფაშისცური რესპუბლიკის საელჩო ძვე ლებურად აგრძელებს მომართვებს ებრაელთა საკით ხებზე".

ასეთივე ენერგიულ მოქმედებასა და გადარჩენის ყველა სვრელის ამოქოლვას ვხვდებით სხვა ა დგილებშიც. ლუქსემბურში მოქმედებდა „აინზაცკომანდო",რომელიც ზრუნავდა კანონმდებლობაზე,ებრაელთა ქონების ძარცვა-გლეჯაზე,სამარცხვინო ნიშნის შემოღებაზე,ცერიცორიულ თავმოყრაზე (ფი-

უნფბრუნენში) და დეპორტაციაზე.

## იუგოსლავია

იუგოსლავიაშიც, მის სხვადასხვა ნაწილებშიც, აიხმანისა და მისი ხელქვეითების მოღვაწეობაში ვპოულობთ ჩვენთვის სხვა ადგილებიდან ნაცნობ ეტაპებს. აქ გადავაწყდებით სხვა ამბებსაც: სალოცავების დაწვას და მძიმე კოლექტიური ჯარიმების დადებას. სერბიისა და ხორვატიის ებრაელებს თავი მოუყარეს ბანაკებში, მათ შორის იუსენოვაჩის ბანაკში, სადაც დახოცეს 20 ათასამდე ებრაელი. სტარა გრადისკაში და დიაკოვოში ჩაამწყვდიეს ქალები და ბავშვები, რომლებიც დაიღუპნენ ან ავადმყოფობით ან უშუალოდ გერმანელთა ტყვიით. გერმანიიდან, ჩეხიიდან და ავსტრიიდან ერეც ისრაელში მიმავალი ებრაელები იუგოსლავიაში, დუნაიზე შეიპყრეს. გერმანელებმა 1107 შეპყრობილი გადაიყვანეს საბაჩის ბანაკში და იქ ამოჟლიტეს. სერბიის ებრაელობის უმრავლესობა, ამგვარად, მოსპეს თვით სერბიაში, როგორც უკვე მოვიხსენიე, აიხმანის პირადი წინადადებით: „აიხმანი წინადადებას იძლევა დაიხვრიტონ".

ცოტაოდენი ნაშთები გადარჩა პარტიზანთა ოპერაციებით, რომლებშიც მონაწილეობდნენ ებრაელები.

ბრალდებული ხორვატიაში მოქმედებდა თავისი წარმომადგენლის აბრომაიტის მეშვეობით. ხორვატიის მთავრობის და შინაგან საქმეთა მინისტრის არტუკოვიჩის მიერ ანტი-ებრაული კანონების

გამოცემის შემდეგ,1943 წლის მარტსა და ივლისს შორის განხორციელდა ებრაელთა დეპორტაცია სიკვდილის ბანაკებში. შემდეგი წლის აპრილში IVB4 განყოფილება ჩიოდა,რომ ჯერ კიდევ მთლიანად არ დამთავრებულა ოპერაცია ხორვატიაში და საგარეო საქმეთა სამინისტრო ამას ხსნის შერეული ქორწინების სიმრავლით.

სლოვენიაში,რომელიც იუგოსლავიის ერთი ნაწილია,აისმანის წინაშე იდგა კიდევ ერთი ამოცანა: არაებრაელი სლოვენური მოსახლეობის გაძევება სერბიასა და ხორვატიაში ტერიტორიის გასათავისუფლებლად და „ეროვნულ პრობლემათა გადასაწყვეტად ფიურერის გადაწყვეტილების მიხედვით". წარმოგიდგენთ გაძევების ბრძანებებს და იმ ოცდაათ მოხსენებას,რომლებიც შედგა 14 ათასი სლოვენის წინააღმდეგ ბოროტი ხელით გატარებულ ღონისძიებაზე,რითაც ისინი აჰყარეს თავიანთი სამკვიდროდან,მამა-პაპათა მიწა-წყლიდან და გაასახლეს სერბიასა და ხორვატიაში. ამ ღონისძიების განხორციელებაც მოსახლეობის ამოძირკვის გამოცდილ სპეციალისტს ადოლფ აისმანს მიანდეს. ამოძირკვის გეგმა მოიცავდა მეოთხედ მილიონამდე ადამიანს.

## სლოვაკია

სლოვაკიაში,რომელიც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა,ამოჟლეტა მიმდინარეობდა საერთო რეცეპტის მიხედვით. ქონების წაგლეჯისას აქაც ტერიტორიული პრინციპი ბატონობდა. ამოსაჟლეტად გაძევებულებს ებრძანათ ხელი მოეწერათ თ

ავისი ქონების „ნებაყოფლობით დათმობის მოწმობაზე". ეს ქონება 7 მილიარდ კრონად შეფასდა.

აქ აიხმანის რწმუნებული იყო დიტერ ვისლიცენი. თვითონ აიხმანიც კი ჩავიდა იქ საქმეების მოსაგვარებლად. აქ მათ ჰპოვეს სლოვაკი თანამზრახველები მთავრობის მეთაურ ტუკასა და შინაგან საქმეთა მინისტრ მახის სახით. ესენი იყვნენ სატელიტი ქვეყნების იმ ხელმძღვანელთა პირველ რიგებში,რომლებიც მზად იყვნენ ეთანამშრომლათ ებრაელთა გაძევების საქმეში.

მას შემდეგ,რაც უკვე დეპორტირებულ იქნა სლოვაკიის 55 ათასზე მეტი ებრაელი,შეეცადნენ დანარჩენთა სიცოცხლე ფულით გამოესყიდათ. ვისლიცენის გადაეცა,მისივე თქმით,20.000 დოლარი,ხოლო სხვა წყაროთა მონაცემებით – 40-50 ათასი დოლარი. ფული მიეცა სლოვაკიის ხელისუფალთაც. საეკლესიო წრეების მეშვეობით მოხდა ზეგავლენა და სლოვაკიის მთავრობამ დაიწყო ყოყმანი გაძევებათა განგრძობის საკითხში. გერმანიის ელჩი ლიუდინი მოახსენებდა,რომ ეკლესიის გავლენით და ხელისუფლების მოქრთამვით სლოვაკიაში დარჩენილ 35.000 ებრაელს მიეცათ მოწმობები,რომ ისინი თავისუფალნი არიან გაძევებისაგან. ასე თუ ისე ვისლიცენიმ მაინც მოახსენა კიდევ 3.000 ებრაელის დეპორტაცია.

მყისვე მიიტანა აიხმანმა საპირისპირო იერიში. მან სლოვაკ ჟურნალისტ ფრიც ფიალას დაუკვეთა სტატიები,რომლებიც გამოქვეყნდა სლოვაკიის პრესაში. ამ სტატიებსა და რეპორტაჟებში ფიალა წერდა,რომ აღმოსავლეთის შრომის ბანაკების „ს-

აკუთარი თვალით" მონახულებამ იგი დაარწმუნა,რ ამდენად კარგ პირობებში ცხოვრობენ ებრაელები იქ. ძლიერი დაწოლა მოახდინა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც და ბოლოს კვლავ დაუბრუნდა ბრაცისლავას აისმანის ხალხი,ჯერ ვისლიცენი,ხოლო მას მოჰყვა ალოიზ ბრუნერიც. 1944 წლის სექტემბერში დაიწყო ნადირობა და დეპორტაციაში წაიყვანეს 12.000-ზე მეტი ებრაელი.ათასობით სხვა ებრაელი დაიხოცა თვით სლოვაკიაში.

აისმანმა გადაწყვიტა ეცადა სლოვაკი ებრაელებისაგან დამატებით გამოეძალა ფული.მან სლოვაკიის მთავრობას მოსთხოვა 500 მარკა ყოველ გაძევებულ ებრაელზე შრომის ბანაკებში „გადაყვანის ხარჯების" დასაფარავად. აქაც ვხედავთ,რომ აისმანი ყველაფერში ერევა. მნიშვნელოვან საქმეებს პირადად თვითონ აგვარებს მთავრობის მეთაურ ტუკასა და შინაგან საქმეთა მინისტრ მახთან. აისმანის მისამართით იგზავნებოდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახალ-ახალი მიმართვები: ნება მიეცათ სლოვაკიის წარმომადგენლებისათვის,რომ მოენახულებინათ „შრომითი ბანაკები",სადაც,თითქოსდა,გაიგზავნენ ებრაელები. აისმანი ისე მტკიცე უარზე იდგა,რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ უპასუხა: თქვენი უარი საფრთხეში აგდებს სლოვაკიის ებრაელობის დამატებითი დეპორტაციის შესაძლებლობასო. საგარეო საქმეთა სამინისტრო განუმარტავდა მას,რომ სლოვაკელ მინისტრ მახს მთელი თავისი კეთილი სურვილის მიუხედავად ასეთ პირობებში არ შეუძლია დაძლიოს მთავრობაში თავისი კოლეგების წინ-

ააღმდეგობა აღმოსავლეთში ებრაელობის დამტებითი კონტინგენტების გაგზავნაზე. აიხმანმა უპასუხა,რომ პოლონეთის ბანაკებში სლოვაკიის წარმომადგენელთა ვიზიტის განხორციელება უბრალოდ შეუძლებელია. სამაგიეროდ ითხოვდა დაემშვიდებინათ სლოვაკი პოლიტიკოსები და აეხსნათ მათთვის რომ მათ შეშფოთებას ებრაელებზე არავითარი საფუძველი არ გააჩნია. ამას წერდა 1944 წლის 7 თებერვალს,როცა სლოვაკიიდან 1942 წელს დეპორტირებულები უკვე დიდი ხანია ცოცხლები აღარ იყვნენ.

სლოვაკიაში იმყოფებოდა ხსნის ორგანიზაციის სულისჩამდგმელი გიზი ფლაიშმანი. ეს იყო სახელგანთქმული მოღვაწე და დიდბუნებოვანი ადამიანი, რომელმაც ასობით შემთხვევებში თვითონ ჩაიგდო თავი განსაცდელში სხვების გადასარჩენად. აიხმანის სისხლიანი ემისრის ალოიზ ბრუნერის სპეციალური ბრძანებით ისიც ოსვენციმში გაიგზავნა. კასტნერმა ბუდაპეშტში ბეხერს თხოვა ჩარეულიყო ფლაიშმანისათვის და ბეხერის მოთხოვნით აიხმანმა ბრუნერს დეპეშა არ გააგზავნოთო,მაგრამ ამ დეპეშას უკან დაადევნა მეორე დეპეშა,რომლითაც აუქმებდა პირველს და ამ გმირი ებრაელი ქალის ბედიც გადაწყდა.

სლოვაკიის ებრაელობის ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე რაბი ვაისმენდელიც სასიკვდილო გზას გაუყენეს,მაგრამ გაიქცა ოსვენციმისაკენ მიმავალი მატარებლიდან.

რუმინეთი

რუმინეთში აიხმანის სახელით მოქმედებდა ჰაუპტშტურმფიურერი რიხტერი. მისი გავლენითა და წაქეზებით შემოიღეს ანტი-ებრაული კანონები და დაიწყო ებრაელთა ძარცვა. გერმანიამ დათმო თავისი მოქალაქე ებრაელების რუმინეთში არსებული ქონება და ამით რუმინეთი დაეპატრონა ქონებას, რაც თავის ტერიტორიაზე მყოფ გერმანიის მოქალაქე ებრაელებს ეკუთვნოდა. რუმინელებმა ჯერ კიდევ 1941 წელს დაიწყეს ებრაელთა გაძევება ბუგის გაღმა, საგენერალ-საგუბერნატოროს ტერიტორიაზე. მაგრამ გერმანელები მაშინ ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად მათი „აბსორბციისათვის". საგენერალ-საგუბერნატოროში გადაყვანილი 28.000 ებრაელი გაჟლიტეს - როგორც თქვენთვის გახდება ნათელი ბრალდებულისადმი გაგზავნილი ოფიციალური წერილიდან - იმ მუქარის შემდეგ, რასაც აიხმანმა მიმართა ამ საკითხზე. სხვების შესახებ ორი ხელისუფლება შეთანხმდა, რომ ებრაელებს ჯერჯერობით, სანამ შესაძლო გახდებოდეს მათი გადაყვანა აღმოსავლეთში, იყოლიებენ რუმინეთის საკონცენტრაციო ბანაკებში. მე ვფიქრობ, რომ აიხმანმა შემდეგ მწარედ ინანა ეს შეთანხმება, რადგან იმ დროისათვის, როცა აიხმანმა ბოლოს და ბოლოს მოამზადა რუმინელი ებრაელობის დეპორტაცია ამოწყვეტის ბანაკებში, ებრაელებმა მოახერხეს აემოქმედებინათ თავის მთავრობაზე ზეგავლენის საშუალებები, რამაც შეაკავა მათი დეპორტაცია.

დეპორტაცია უნდა დაწყებულიყო 1942 წლის 19 სექტემბერს. აიხმანის განყოფილებაში მომზადდა ყველა წინასწარი სამუშაო. გერმანიის რკინიგზ-

ის სამართველომ თავის მხრივ ყველაფერი მოამ-
ზადა და ბრალდებული უშუალოდ რუმინეთის მთავრო
ბაში ცრიალებდა. მან მიაღწია მთავრობის მეთა-
ურის მოადგილის ნებართვას საყოველთაო დეპორტა
ციაზე. 26. 7. 42 აიხმანმა მოახსენა ჰიმლერს,
რომ რუმინეთის ებრაელებს წაიყვანენ ლიუბლინში.
შრომის უნარიანებს დაასაქმებენ,ხოლო სხვები გ
ადაეცემიან,მისი თქმით, „სპეციალური მოპყრობი
სათვის". იმავე დღეს ბრალდებულმა გერმანიის ს
აგარეო საქმეთა სამინისტროს მისწერა,რომ მხო-
ლოდ შრომის უნარიანებს წაიყვანენ რუმინეთიდან
როცა ნათელი გახდა,რომ აიხმანი ატყუებს თვით
გერმანიის ხელისუფლებსაც და ებრაელთა მოსპობა
რომ მოახერხოს,ამ მიზნით გვერდს უვლის გერმა-
ნიის საელჩოს ბუქარესტში,მაშინ გერმანიის ელ-
ჩმა ბუქარესტში ფონ-კილინგერმა გააგზავნა ოფი
ციალური წერილი:

„მინდა შევნიშნო,რომ ჩვენმა ყველა წერილმა
ობერშტურმფიურერ აიხმანისადმი გაიარა საგარეო
საქმეთა სამინისტრო. ამიტომაც ამ სამინისტრომ
იცოდა რაც ხდებოდა. ის,რომ ბატონმა აიხმანმა,
რა საკვირველია,საჭიროდ არ ჩათვალა ამ საკით-
ხზე კავშირი იქონიოს საგარეო საქმეთა სამინის
ტროსთან,მე სულაც არ მაკვირვებს,რადგან ამ ე-
სეხელი ბატონების მუშაობის მეთოდები ჩემთვის
ზედმიწევნითაა უკვე ცნობილი".

ამასობაში კი აღმოჩნდა,რომ რუმინელებს შე
უცვლიათ პოზიცია. რისტერი ცდილობდა ყოველი სა
შუალებით მოეხდინა გავლენა. მას ეხმარებოდა ე
ბრაულ საქმეთა კომისარი ლეკა. მან მოახერხა პ

რესაში გამოქვეყნებულიყო წამხისიანებელი სტა-ტიები „ებრაელთა მონებზე ბუქარესტში". იგი ო-ფლს ღვრიდა ხელისუფლების დახარწმუნებლად,იმუ-ქრებოდა. მაგრამ ყველაფერი ეს უშედეგოდ დარჩა. რუმინელებმა ებრაელებს თავი მოუყარეს ნისტრის გაღმა ბანაკებში,სადაც დახოცეს და დაიღუპნენ ათეულ ათასობით ებრაელები. მაგრამ ყლეტის ბა-ნაკებში დეპორტაცია ჩაიფუშა. ამასობაში,1943 წელს დაიწყო საბჭოთა ჯარების კონტრშეტევა და გერმანელების დაყინებას უკვე აღარ ჰქონდა ას-ეთი ეფექტი.

და მაინც რუმინეთის ებრაელობამ ათეულ ათა-სობით თავისი შვილი დაკარგა. ჩვენ დავამტკიც-ებთ,როგორ ჯიუტად ცდილობდა ბრაღდებული მათ მთ ლიან ამოწყვეტას და მათი ნაწილის ერეც-ისრაელ-ში ამოხვლით გადარჩენის ჩაფუშვას. აისმანს ე-ჭვი ჰქონდა,საფრანგეთის სავაჭრო აცაშე ბუქარ-ესტში ებრაელებს ეხმარებაო და მან ამაზე თავ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროში იჩივლა. იგი გააბრაზა რუმინულ გაზეთში გამოქვეყნებულმა ს-ტატიამ,რომელშიც მაღალი შეფასება ეძლეოდა გარ დაცვლილ ებრაელ ჟურნალისტს და მისმა წარმომა-დგენელმა რისტერმა რუმინელებს მისწერა,რომ ე-ბრაელის შესახებ საქებარი სიტყვების გამოქვეყ ნება 1942 წელს „მოწმობს შესაფერისი შეგრძნე-ბის უქონლობას".

რუმინეთის ებრაელობის ერთ-ერთი ლიდერის,დ-ოქტორ ფილდერმანის ვაჟი საფრანგეთში იმყოფებო და და კავშირი ჰქონდა მამასთან და იმ ადამია-ნებთან,რომლებიც ებრაელებს ეხმარებოდნენ

წაიყვანეს სხვა ქვეყნებში. ფილერმანის ვაჟი აიხმანის ხალხმა დააკავა და ბერლინში ჩაიყვანეს დაკითხვაზე. მაშინ საქმეში ჩაერია რუმინეთის მთავრობა და ეცადა მის განთავისუფლებას. ამ მიმართვას აიხმანის განყოფილებამ უპასუხა,მზად არა ვართ რუმინელებს გავუმჟღავნოთ მისი ადგილსამყოფელი და სამინისტროს წინადადება მიეცა: მოატყუეთ რუმინელები და უთხარით,რომ ის უკვე განთავისუფლებულია და საფრანგეთში იმყოფებაო.

## ბულგარეთი

ბულგარეთში მექანიზმი მუშაობდა მზამზარეული რეცეპტით: მოკავშირე ბულგარელების მიერ ანტი-ებრაული კანონმდებლობის შემოღების მიღწევა,ქონების წართმევა,სამარცხვინო ნიშნის შემოღება და ა.შ. აქ აიხმანი მოქმედებდა თავისი ემისრის,თეოდორ დანეკერის მეშვეობით,რომელმაც უკვე მიიღო გამოცდილება საფრანგეთის ებრაელობის გაჟლეტისას. ბულგარეთში გაჟლეტას ეწინააღმდეგებოდნენ საზოგადოების სხვადასხვა წრეებში და ამ მოწინააღმდეგეთა შორის იყო თვით მეფე ბორისიც. ამდენად დანეკერის მნიშვნელოვანი წარმატება იყო ებრაულ საქმეთა ბულგარელი კომისრის ბელევის დათანხმება 1943 წლის 22 თებერვალს ხელი მოეწერა ხელშეკრულებაზე,რომ 20.000 ებრაელი გაიგზავნებოდა გერმანიის მიერ აღმოსავლეთში ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ეს „ხელშეკრულება" წარმოადგენს ბულგარეთის წვლილს ამ ამაზრზენ ისტორიაში. ორი მთავრობა წერილობით შეთა

ნხმდა,რომ გამევებულ იქნება 20.000 ებრაელი განურჩევლად ახაკისა და ხქესისა და,რომ გერმანიის ხელისუფალნი გამოყოფენ ცრანხპორცს გადასაყვანად,ხოლო ბულგარეთი გადაიხდის გადაყვანის ხარჯებს. შეთანხმდნენ რომელი ადგილიდან როლის მოხდებოდა გაგზავნა,რამდენი ეშელონი გამოიყოფოდა და რამდენ ხულს გაამევებდნენ ყოველ გაგზავნაზე. ბულგარეთის მთავრობამ ივალდებულა,რომ აღარ მოითხოვდა გამევებულ ებრაელთა დაბრუნებას.

ხელშეკრულებაში თავდაპირველად ეწერა,რომ იგი ეხება მხოლოდ თრაკიისა და მაკედონიის ოლქებს,რომლებიც ბულგარეთმა მიიერთა საბერძნეთიდან და იუგოსლავიიდან. მაგრამ,როგორც ნახავთ,დოკუმენცში ეს სცრიქონი გადახაზულია იმგვარად,რომ კიდევ შეიძლება ნაწერის წაკითხვა. ამ წაშლის მნიშვნელობა ჩვენთვის გასაგები გახდება აისმანისადმი გაგზავნილ დანეკერის მოხსენებით. ბულგარეთს არ სურდა გაეწირა თავისი ებრაელები. უფრო იოლი იყო ბულგარელებისაგან მიელოთ „უცხოელი" ებრაელები,რომლებიც ახალი მიერთებული ჰყავდა სახელმწიფოს,ვიდრე ბულგარელი ებრაელები. ამიცომაც თავდაპირველად,ოფიციალური გადაწყვეცილების თანახმად,დაიწერა, რომ გამევება შეეხება მხოლოდ ახალ ოლქებს. მაგრამ,როგორც დანეკერი იცყობინება თავის მოხსენებაში,ორივე მხარემ იცოდა,რომ ამ ოლქებში საერთოდ არაა 20.000 ებრაელი და ნორმას დააკლდება 6.000 სული,რომელთა შოვნასაც კომისარი ბელევი თვით ბულგარეთის ებრაელობიდან შ

ეპირდა. სულ ცოტა მათი ნახევარი იქნება სოფ-
ლიდან,წერდა დანეკერი,და წაყვანილი იქნებიან
„გავლენიანი ებრაელები... ანუ ისეთები,რომელ
თა ეკონომიური მდგომარეობაც კარგია,ან რომლე
ბსაც გააჩნიათ კავშირები ოფიციალურ ბულგარულ
წრეებთან".

ბელევის შეკითხვაზე შეგიძლია თუ არა დამა
ტებითი გაძევებანიც მოაწყო,დანეკერმა დადე-
ბითად უპასუხა. ეცადნენ ძველი ბულგარეთიდან-
აც გაეძევებინათ ებრაელები და ეს ცდა უკანას
კნელ მომენტში ჩაიფუშა სოფიიდან ჩარევის შე-
დეგად. ამრიგად დეპორტაციამ მოიცვა,გერმანუ
ლი წყაროებით, „მხოლოდ" 11,343 ებრაელი,რო-
მლებიც მოსასპობად წაიყვანეს პოლონეთში.

მას შემდეგ,რაც თრაკიისა და მაკედონიის ე
ბრაელობა გასწირეს მოსასპობად,ეცადნენ სხვე-
ბი აღარ გაესახლებინათ. ებრაელები გადაიყვა-
ნეს იძულებითი სამუშაოების ათობით ბანაკში,
მაგრამ ბულგარეთის ხელისუფალნი ეწინააღმდეგე
ბოდნენ მათ გაგზავნას გერმანიაში. გასაგებია
რომ გესტაპოს თვით ტერიტორიული თავმოყრა მია
ჩნდა საბოლოო მოსპობის ჩვეულებრივ მოსამზად-
ებელ ეტაპად. ამიტომაც წერია,ოფიციალურ ანგა
რიშში:

„მას შემდეგ რაც მოვახერხეთ ებრაელთა ამო
ძირკვა სოფიიდან,რამდენადაც ვიცნობთ მდგომა-
რეობას ადგილებზე,რა თქმა უნდა,კიდევ წავაწყ
დებით ახალ სიძნელეებს სანამ მოვახერხებდეთ
მათ გადაყვანას აღმოსავლეთის რაიონებში. მაგ
რამ ჯერჯერობით ებრაული საქმე ძალიან წაიწია

წინ აღმოსავლეთისაკენ გაგზავნის გზაზე. საქმე დაიძრა. უკან დაბრუნება აღარ მოხდება". მაგ - რამ ბულგარელები მაინც უარობდნენ დამატებით გ აეგზავნათ ებრაელები. მაშინ აიხმანი ამტკიცე- ბდა, რომ ებრაელთა თავმოყრა ბანაკებში წარმოად გენს „საბაბს, რომ ებრაელები არ გააძევონ აღმო ხავლეთში, გაძევება კი არის გერმანიისათვის ს- ასურველი გადაწყვეტა". იმ დაწოლის მიუხედავად რაც მოახდინეს, ებრაელები დატოვებულ იქნენ ამ იძულებითი შრომის ბანაკებში, თუმცა ძნელ და მ- ძიმე პირობებში და ბევრი გაწყდა წელში უღლის სიმძიმისაგან, მაგრამ გერმანელებს არ გადასცეს. ამასობაში მოხდა ძვრები ომის ფრონტებზე და ბუ ლგარეთი ეძებდა ღერძის სახელმწიფოებთან კავში რისაგან თავის დაღწევის გზებს. იქ დარჩენილი ებრაელები გადარჩნენ.

## საბერძნეთი

სამსალით სავსე ფიალა შესვა ოკუპირებული ს აბერძნეთის ებრაელობამაც, კერძოდ კი სალონიკის ჯამაათმა, რომელიც წარმოადგენდა ოკუპირებული ს აბერძნეთის ებრაელობის უმრავლესობას. შეურაც- ხყოფა-დამცირება, დაპატიმრება, ქონების ძარცვა- გლეჯა თან ახლდა გერმანელთა ოკუპაციას, კანონ- მდებლობის შემოღებასთან, ყვითელი ნაჭრის დაბნე ვასა და გეტოების შექმნასთან ერთად. აქ აიხმა ნი მოქმედებდა თავისი თანაშემწეების ვისლიცე- ნის, ალოიზ ბრუნერის და ბურგერის მეშვეობით. ე- სენი მჭიდრო თანამშრომლობდნენ სამხედრო ადმი ნისტრაციის წარმომადგენელ მარტენთან. აქაც შ-

ეხვლებით მათი მოღვაწეობის ნაყოფს - საშუძოებისათვის მოწავებას და მათ მოკავშირეს - პაწიოსან წიფს,რაც ებრაულ უბნებში გაავრცელეს. 1943 წლის მარცში დაიწყეს სახიკვლილო ეშელონების გზავნა. ეშელონები შედგენილი იყო საზარგო და პირუცყვის გადასაყვანი ვაგონებისაგან. ძალიან დაჩქარებული ცემპით გადაიყვანეს ყელცის ბანაკებში 54.000-მდე სალონიკელი ებრაელი. აისმანმა გარკვევით ბრძანა ეშელონებში შეეყარათ ავადმყოფებიც და გდამდები ხნეულებებით დაავადებულნიც. მოისმენთ აღწერას,როგორ მიდიოდა სახიკვლილოდ ეშელონი ეშელონზე,როგორ განადგურდა ჯამაათი,რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ორგანიზებული იყო მსოფლიოში. 1943 წლის ივნისის დასაწყისში სალონიკიდან გავიდა „ინცელექცუალების ცრანსპორცი" და აგვისცოში დამთავრდა ოპერაცია. ამის შემდეგ აისმანმა ხელი მოპკიდა სალონიკში მცხოვრებ უცხო ქვეყნების მოქალაქე ებრაელებს და ზრუნავდა ისინი ჩაერთო საყოველთაო გადაწყვეცის ჩარჩოებში.

მას სურდა ხელში მოეგდო იცალიის საოკუპაციო ზონაში და ძირითადად ათენში მცხოვრები ებრაელებიც,მაგრამ იცალიელები არ ამოუდგნენ მხარში. ვისლიცენი ებრაელთა დევნის მიზნით გაემგზავრა ათენში და ისიც კი მოახერხა,რომ დაეპაციმრებინა საბერძნეთში იცალიის საელჩოს იურიდიული მრჩევლის მაუღის ოჯახი. იცალიელები დაიმუქრნენ თავიანთ ცერიცორიაზე ვისლიცენის დაპაციმრებით. გაცოფებულმა აისმანმა უპასუხა,პიმლერს მოვახსენებ,რომ იცალიელებს აზრად მოსდით

გერმანიის პოლიციის ოფიცერი დააპატიმრონ სამსახურებრივი დავალების შესრულებისას. ბოლოს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ვისლიცენის მისია იტალიელებს განუმარტა, როგორც „პოლიციის საქმიანობასთან დაკავშირებული განსაკუთრებული მიზეზებით" გამოწვეული. რა თქმა უნდა აისმანმა ჩაიბარა ანგარიში ამ განმარტებაზე, მაგრამ კვლავ მწარედ ჩიოდა, იტალიელები ჩვენთან არ თანამშრომლობენო. ახეც წერდა: „ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოდ იმით, რომ იტალიელებმა გაატარონ იგივე ღონისძიებანი თავიანთ ტერიტორიებზეც, რასაც ჩვენ ვატარებთ ჩვენს მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე, ე.ი. ებრაელთა გადაყვანით აღმოსავლეთში.

კატასტროფაში მოჰყვნენ საბერძნეთში მყოფი სხვა ებრაული თემები და ჯამაათებიც: როდოსისა, რომლის ნაწილიც ოსვენციმში გაგზავნეს, ნაწილი კი ზღვაში დაახრჩეს. კორფუსა, თესალიისა, პიროსისა, პელოპონესისა და საბერძნეთის არქიპელაგის ებრაელობაც არ აცდა კატასტროფას.

## თვალის ახვევა ნაცისტურად ტერეზიენშტატი

ახლა კი გადავიხედოთ ტერიტორიებზე, რომლებიც ნაცისტებს მიაჩნდათ დიდი რაისის ნაწილად. ჩეხიის პროტექტორატში „საქმე" მოაგვარეს ჩვეულებრივი წესით: ანტი-ებრაული კანონები, ქონების ჩამორთმევა და გეტოებში ჩამწყვდევა. მაგრამ აქ გადავაწყდებით განსაკუთრებულ ნაცისტურ ქმნილებას, რომლის სახელია ტერეზიენშტატი.

ესესის მეთაურთა სხდომაზე 1941 წლის 10 ო-
ქტომბერს მონაწილეობდნენ აიხმანი და ჰაიდრიხი.
ამ სხდომაზე ლაპარაკი იყო პროტექტორატში ებრა
ელთა პრობლემის გადაწყვეტაზე. ლაპარაკი იყო ი
მაზე,რომ აუცილებელია რაღაც შეღავათების დაშვ
ება,რადგან ებრაელებისადმი ჩეხების განწყობი-
ლება უცნაურია და განსხვავდება პოლონეთის სა-
გენერალგუბერნატორში გამეფებული განწყობილე-
ბისაგან.

აიხმანმა წინადადება წამოაყენა,და ეს ჩაწე
რილია ოქმში,5.000 ებრაელი გაეძევებინათ პრა-
ღიდან „კომუნისტ ტყვეთა ბანაკებში,რომელთა უ-
ფროსები არიან ნაბე და რაში". ნაბე და რაში მ
აშინ მეთაურობდნენ აინზაცგრუპენს,რომელთაც მი
ღებული ჰქონდათ ბრძანება პირდაპირ დაეხოცათ ე
ბრაელები. აიხმანის წინადადებაც იმას ნიშნავ-
და,რომ უბრალოდ ეს 5.000 ებრაელი გაეგზავნათ
დაუყოვნებლივ სასიკვდილოდ. მან კიდევ განახო-
რციელა ეს და ჩვენ უკვე მოვისმინეთ ამ ებრაე-
ლთა შესახებ რიგისა და მინსკის გეტოებში,სად-
აც განწირულნი იყვნენ გარდაუვალი და საშინელი
სიკვდილისათვის.

დიდი ნაწილი გადაიყვანეს ტერეზიენშტადტის გ
ეტოში,რომელიც შექმნა აიხმანმა და იყო მისი უ
შუალო განკარგულების ქვეშ. ეს იყო ბანაკი,სა-
დაც თავი მოუყარეს ათიათასობით ებრაელს და რო
მელიც გათვალისწინებული იყო რამდენიმე მიზნი-
სათვის: პირველ რიგში,როგორც დამამშვიდებელი
მალამო,რამდენადაც ტერეზიენშტადტში გაძევებულე
ბი თითქოს „სიცოცხლეზე დაწერა"ბოროტმა რეჟიმ-

მა; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ებრაელს,რომელიც ეძებდა ხსნას თავისი სულისათვის,ნება მიეცა მოეტყუებინა საკუთარი თავი იმის იმედით,რომ თუ იქ გააძევებენ - აღარ მოკვდება. მეორეც - ეს იყო ერთგვარი „ვიტრინა" ყველა იმათთვის, ვინც ამტკიცებდა,რომ ნაცისტები მხოლოდ ჟლეტდ და ხოცავენ. იქ შეიძლებოდა მიეყვანათ წითელი ჯვრის წარმომადგენლები და ჟურნალისტები,მიეწვიათ იმ სახელმწიფოთა მეთაურები,საიდანაც გაასახლეს ებრაელები,რომელთა ბედიც აშფოთებდათ ამ სახელმწიფოთა მეთაურებს. ყველა ამათთვის შეეძლოთ ეჩვენებინათ ადგილი,სადაც ებრაელები კონცენტრირებულად ცხოვრობენ თითქოს საკუთარი თვითმმართველობით; ისინი დასაქმებული არიან სამუშაოზე და,რაც მთავარია,ცოცხლები არიან.

მაგრამ ყოველივე ეს იყო სიცრუისა და შენიღბვის საშუალებათა ნაწილი,რამდენადაც ბანაკი თავითვე გათვალისწინებული იყო თვალის ასახვევად. მისი შექმნის შესახებ მიღებულ დახურულ გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო:

„... ტერეზიენშტადტის ბანაკი გადავა ებრაული ემიგრაციის განკარგულებაში. ამ დროებითი შეკრების ადგილიდან გაძევების შემდეგ (აქ,ასე თუ ისე მაინც დაჩქარებული ტემპებით მოხდება ამოწყვეტის პროცესი) შესაძლებელი გახდება ყველა გაიგზავნოს აღმოსავლეთის ტერიტორიებზე და ეს ადგილი გახდება სანიმუშო გერმანული დასახლება".

ადგილზევე გადაწყვიტეს,რომ ტერეზიენშტადტის გეტოს არ ექნება სახაფლაო,არამედ მხოლოდ კრე-

მატორიუმი მიცვალებულთა გვამების დასაწვავად. იქვე ნათქვამია, რომ თუ ებრაელებს არ ეყოლათ საცხოვრებელი ადგილები, ბუნაგები და ხვრელები გაითხარონ მიწაშიო.

ეს საქმე გადაიქცა ამოწყვეტის გეგმის ოფიციალური პოლიტიკის ნაწილად. მილიონთა ამოწყვეტა – ერთ მხარეს და ტერეზიენშტადტის დატოვება თითქმის ებრაული თვითმმართველობით – მეორე მხარეს. რა თქმა უნდა, გეტოს თვითმმართველობა მთლიანად იმყოფებოდა აიხმანის ბანდის კლანჭებში. ტერეზიენშტადტის ებრაელთა მეთაურებს ხშირად აწყდებოდათ თავს მხეცური რისხვა: სიკვდილით დასჯა წესის დარღვევით ფოსტის გაგზავნისათვის, მშობიარობის აკრძალვა და სავალდებულო აბორტი, პაპიროსის მოწევის აკრძალვა. ბავშვები მოათავსეს გეტოს სპეციალურ დაწესებულებაში და მათ ნება ეძლეოდათ მშობლები ენახათ კვირაში ერთხელ. გეტოს გამგეობის განკარგულებათა დამრღვევები ისჯებოდნენ გაროზგვით.

გეტოს გამგეობის დღიური განკარგულებებიდან მტკიცდებოდა, როგორ განუწყვეტელ ტერორში ჰყავდა აიხმანს თავისი მსხვერპლი იქ. მაგრამ იქიდან ოსვენციმში ან აღმოსავლეთის რაიონებში გასაჟლეტად რომ გაეგზავნათ, ამისათვის საჭირო იყო თვითონ ჰიმლერის თანხმობა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საერთოდ დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა ასეთი თანხმობის მიღება.

თვით ტერეზიენშტადტში სიკვდილიანობა შემაძრწუნებლად ხშირი იყო ცხოვრების საშინელი პირობების გამო. და რაც ამ ბანაკმა ვერ მოსპო,

ოსვენციმმა მოუღო ბოლო. სინამდვილეში ეს იყო ამოყლეტის დამატებითი შესაკრები და სატრანზიტო ბანაკი. ამ გზაზე გაიარეს პროტექტორატის ებრაელებმაც და მრავალმა სხვა უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომმა ებრაელებმაც. ტერეზიენშტატი განვლეს ათეულ-ათასობით ებრაელებმა გერმანიიდან,ავსტრიიდან და სხვა ადგილებიდანაც.

## ლიდიცელი ბავშვები

პროტექტორატში აიხმანის ბოროტმოქმედებებს მიეკუთვნება ქრისტიანი ბავშვების დახოცვაც.ლიდიცე იყო ჩეხური სოფელი,რომელიც აღგავეს პირისა მიწისაგან ჰაიდრიხზე თავდასხმისათვის შურისძიების ნიშნად. ამ სოფლის ასამდე საბრალო ბავშვი წაიყვანეს ლოძის გეტოში,სადაც მათ ებრაელების ბედი ეწიათ. აიხმანის ერთ-ერთმა თანაშემწემ,კრუმეიმ,მითითებები იმ ბავშვებისადმი „განსაკუთრებული მოპყრობის" შესახებ მოითხოვა მისგან,რამდენადაც უდანაშაულოთა მკვლელობა - ყველგან - აიხმანის საქმე იყო.

## ავსტრია

ავსტრიაში ვხვდებით სხვა ადგილებიდან უკვე ნაცნობ ღონისძიებებს. პირველად იერიში მიჰქონდათ იძულებითი ემიგრაციისათვის. აიხმანი მზად იყო ვენიდან გაეთავისუფლებინა თვით თეოდორ ჰერცლის ძვლებიც კი,ოღონდ ამ ძვლებთან ერთად ავსტრია დაეტოვებინა ხულ ცოტა 8.000 ებრაელს.შემდეგ,როდესაც გენერალური ხაზი შეიცვალა,აქ ი-

გივე.ლონისძიებებს ვხედავთ,რაც ჩვენთვის უკ-
ვე ცნობილია სხვა ადგილებიდან: კანონების შ-
ემოღება,ძარცვა და გაძევება ყლეტის რაიონებ-
ში ანუ „აინზაცგრუპენის" სამოქმედო ტერიტორ-
იაზე და პოლონეთში. ებრაელთა ქონება გადასც-
ეს გერმანელთა განკარგულებაში. ებრაელებს გ-
ანუცხადეს: რაკი ვერ მოახერხეთ ნებით დაგეტო
ვებინათ ავსტრია და ემიგრაციაში წასულიყავით,
გერმანია იძულებული ხდება დაიწყოს თქვენი გა
დაყვანა „სამუშაოდ" პოლონეთში. ებრაულ ორგან
იზაციებს უბრძანეს წარედგინათ გასაძევებელთა
სიები. ამის შემდეგ უკვე უბრალოდ დაპარაკობ-
დნენ საგენერალგუბერნატორში „გადაყვანაზე".

ვენის ებრაელები სასიკვდილოდ მიჰყავდათ ტ
ერეზიენშტატის,ლოძის,მინსკის,რიგისა და სხვა
ადგილების გავლით. სხვები პირდაპირ გააგზავ-
ნეს აღმოსავლეთის ყლეტის ბანაკში.

ყველა ეს ლონისძიება გატარდა აიხმანის მი
ერ,მისი უშუალო მეთვალყურეობით,და ავსტრიის ე
ბრაელთა ყველა საქმე წყდებოდა მისი ხიტყვით.

### გერმანიის რაიხი

თვით გერმანიიდან პოლონეთში დეპორტაცია დ-
აიწყეს ჯერ კიდევ 1940 წლის დასაწყისში. შტე-
ტინისა და შნაიდმიჰლის ებრაელები გააძევეს,რ
ოგორც უკვე ითქვა,ბინების გერმანელებისათვის
გადასაცემად. აიხმანმა ეს განახორციელა თავი-
სი „საევაკუაციო უფლებამოსილების" ძალით. ბა-
დენიდან 1940 წლის ბოლოს ებრაელები გააძევა ს
აფრანგეთში. ამის შემდეგ დაიწყეს ებრაელთა დ-

ეპორტაცია „საბოლოო გადაწყვეტის" პროგრამით. ებრაელები მიჰყავდათ სახელდახელოდ დახახოცალ მინაკსა და რიგაში ან ცოტა ხნის შემდეგ ს ახიკვლილოდ ლოძის (ლიუცმენშტადის) გეტოში.

წარმოგიდგენთ აიხმანის მიერ 1942 წლის დასაწყისში პოლიციის ყველა განყოფილებისადმი და უშიშროების სამსახურის უფროსებისადმი მიცემულ დაწვრილებით მითითებებს ლიუბლინის ყლეცის რაიონში დეპორტაციის შესახებ.

1942 წლის 30 მაისს აიხმანმა განუცხადა ვენის,პრაღისა და ბერლინის ჯამაათების წარმომადგენლებს,რომ რაიხი,ავსტრია და პროტექტორატი გაიწმინდება ებრაელობიდან. ბერლინში ცარდებოდა აღწერები,რომლებიც ცნობილია „აიხმანის აღწერების" სახელწოდებით და ამ დროს ხდებოდა ხელექცია დეპორტაციისათვის.

აქაც ვხედავთ,უშუალოდ ადოლფ აიხმანის ხელით რომ იგეგმება და ხორციელდება საბოლოო გადაწყვეტის ყოვლისმომცველი და უწვრილმანესი საქმეები.

## VIII. უნგრეთის ებრაელობის გაჟლეტა

### დროებითი ხსნა

### პორტის რეჟიმის დროს

ბოლოს,1944 წელს გერმანიის გავლენის სფეროში იყო მხოლოდ ერთი ქვეყანა,სადაც ებრაელი ლცოლვილი ბევრი დარჩა. ეს იყო უნგრეთი. სამხრეთ სლოვაკიის,ჩრდილო ცრანსილვანიისა და იმიერკარპატის მიერთების შემდეგ ამ ქვეყანაში

ცხოვრობდა 800.000-მდე ებრაელი.

ნაცისტების დაწოლა უნგრეთის მთავრობაზე - ებრაულ საკითხში მოგვზაძეთო - გრძელდებოდა 1942 წლიდან,როცა გერმანიის საგარეო საქმეთა წარმომადგენელმა უნგრეთის ელჩს მოსთხოვა "ფიურერის სურვილის აღსრულება და ებრაელთა პრობლემის გადაწყვეტაში მონაწილეობა". ჩვეულებრივად აღუთქვეს,რომ ებრაელთა ქონება გადაიცემა უნგრეთის განკარგულებაში. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის წარმომადგენელს ბუდაპეშტში მიზნად დაუსახა უნგრელებისაგან მოეთხოვა ებრაელების მოშორება ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაზე ყოველგვარი გავლენისაგან,სამარცხვინო ნიშნის შემოღება,ებრაელთა ამოძირკვა და დეპორტაცია აღმოსავლეთში.

მაგრამ უნგრელები დაკმაყოფილდნენ კანონით, რომელმაც ებრაელებს ჩამოართვა ზოგი უფლება. მთავრობის მეთაური კალაი არ მალავდა თავის ანტისემიტურ განწყობილებას,მაგრამ ებრაელების განწირვაზე არ თანხმდებოდა. უნგრეთის პარლამენტში "გადაქვარელინებული ისრების" პარტიის წარმომადგენლის შეკითხვაზე 1942 წლის დეკემბერში კალიამ უპასუხა,რომ ღრო შესაფერისი არაა ებრაელების ჩასამწყვდევად შრომის ბანაკებსა და გეტოებში,

აისმანმა,რა თქმა უნდა,მიიღო საგარეო საქმეთა სამინისტროს ანგარიში ამბების ასეთ განვითარებაზე.

უკვე მაშინ მოელოდა იგი უნგრეთის ებრაელობის ამოჟლეტას. და როცა გერმანიის საგარეო სა-

ქმეთა სამინისტრომ შესთავაზა ემოქმედა უნგრეთში გაქცეული გერმანელი ებრაელების წინააღმდეგ,ისმანმა აცნობა,რომ ეწინააღმდეგებოდა ნაწილობრივ ღონისძიებებს. 1942 წლის 25 სექტემბერს იგი წერდა.

„ჩემი აზრით ამ მიზნისათვის საჭირო იქნება დეპორტაციის მთელი მექანიზმის ამოქმედება ისე რომ ამით ვერ დავაჩქარებთ უნგრეთის ებრაელობის პრობლემის გადაწყვეტას... აჯობებს მოვიცადოთ სანამ უნგრეთი მზად იქნება თავისი ებრაელებიც ჩართოს ამ ღონისძიების ჩარჩოებში".

ასე ელოდებოდა თავის მსხვერპლს: იცოდა,რომ მსხვერპლი ხელიდან ვერ წაუვიდოდა. ამასობაში გერმანელები თანდათან რისხვით ივსებოდნენ.უნგრეთის რეგენტი ჰორტი 1943 წლის აპრილში გამოიძახეს,რათა კლესჰაიმის სასახლეში შეხვედროდა ჰიტლერსა და მის საგარეო საქმეთა მინისტრს რიბენტროპს. არსებობს ამ საუბრის შემაჯამებელი დოკუმენტი. საუბრისას რიბენტროპმა დაასკვნა, რომ არსებობს მხოლოდ ორი გზა: ებრაელები ან საკონცენტრაციო ბანაკში ჩაამწყვდიონ,ან მოსპონ. ჰიტლერმა თქვა,რომ ებრაელები უნდა მოისპონ, „როგორც გრიპის ბაცილები" და თავისი „ღრმა განსწავლულობა" ისტორიაში გამოამჟღავნა ამ სიტყვებით:

„ხალხები,რომლებიც ფრთხილად არ იყვნენ ებრაელობასთან,საბოლოოდ გადაშენდნენ,და ამის მაგალითი არიან სპარსები,რომლებიც ერთ დროს შეადგენდნენ ამაყ და დიდ ხალხს,დღეს კი ისინი განაგრძობენ ბეჩავ არსებობას სომხების სახით."

ასე ღრმად იყო განსწავლული ფიურერი ისტორი აში.

ჰორტი ვერ დარწმუნდა.

1943 წლის ბოლოს ვეზენმაიერმა გერმანიის მომავალმა ელჩმა ბუდაპეშტში - საიდუმლო მოხსე ნება გაუგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროს და წინადადება მისცა, რომ გერმანია აღარ დაკმა ყოფილიყო დამოუკიდებელი უნგრეთის მოკავში რეობით და მოეხსნათ მისი ნამდვილი ოკუპაცია. ხოლო ამ ოკუპაციის ერთ-ერთი გაცხადებული მიზა ნი იყო უნგრეთის ჩაბმა ებრაელთა ამოჟლეტის ს აქმეში.

ასეც გააკეთეს. 1944 წლის 17 მაისს ჰორტი მეორედ მიიწვიეს ჰიტლერთან და წაუყენეს ულტი- მატუმი. სანამ იგი ტვინს იჭყლეტდა რა ექნა, გ- ერმანიის არმიამ გადალახა საზღვრები და წინაა ღმდეგობის გაუწევლად დაეპატრონა მთელ ქვეყან- ას. გერმანიის არმიის შესვლისთანავე შევიდა ა იხმანი უნგრეთში თავისი განსაკუთრებული რაზმ- ით. უნგრეთის ებრაელობის ბედი გადაწყდა.

### ამოჟლეტის ორგანიზაცია უნგრეთში

აიხმანმა უნგრეთში ჩაიყვანა მთელი თავისი ძმაბიჭები, ყველა, ვინც მასთან ერთად აწარმოებ და ამოჟლეტის საქმეებს სხვადასხვა დაპყრობილ ქვეყანაში, იქ მიიყვანა მან ამ მკვლელთა მთე- ლი ბანდა: კრუმეი, ვისლიცენი, დანეკერი, აბრომა იტი, ჰუნჩე, ნოვაკი, ბიურგერი, ალოიზ ბრუნერი; ყ

ველა ისინი,რომლებმაც უკვე მილიონობით ებრაე-
ლი გაგზავნეს ამოსაწყვეტად,რომლებმაც მთელ ევ-
როპაში მიღებული გამოცდილებით იცოდნენ ადგილ-
ობრივი მოსახლეობის გადმობირებისა და წინასწა-
ანების ყველა გზა. ყველა ესენი,რომლებსაც უკ-
ვე დამტკიცებული ჰქონდათ თავიანთი ეფექტურობა
და უნარი,ამჯამად უნგრეთის ებრაელობას დაატყ-
რნენ თავზე. აქ დაყოვნება დაუშვებელი იყო.საბ-
ჭოთა ჯარებმა ხელახლა აიღეს უკრაინა და უახ-
ლოვდებოდნენ კარპატებს. სერიოზულად შიშობდნენ
თუ ახლა,სასწრაფოდ ვერ მოვასწარით ამოწყვეტა,ვ
ეღარასდროს შევძლებთო. ამიტომაც შეიკრიბა აქ
IVB4 -ის საკომანდო ხროვა,რომელმაც უკვე მოი-
ცალა სხვა ქვეყნებიდან,სადაც ამოწყვეტა ან და-
მთავრებული იყო,ან თავისთავად გრძელდებოდა.მ-
თელ მათ საქმიანობაში ახლა იგრძნობოდა აჩქა-
რება,სურვილი იმისა,რომ - რადაც უნდა დაუჯდეთ
- საქმე დაამთავრონ; ისინი გრძნობენ მოსამზა-
დებელ ეტაპთა შემჭიდროების,ზოგჯერ ზოგი ეტაპ-
ის გამოტოვების,პროცესთა შეკვეცის აუცილებლო-
ბას. ილონდაც რაც შეიძლება სწრაფად მიაღწიონ
შედეგს.

ამ ბანდის განკარგულებაში იყო ნაცისტური გ
ერმანიის მთელი სამხედრო საშუალებანი და უნგ-
რეთის მთელი სახელმწიფო მექანიზმი,როცა მთავ-
რობის სათავეში გერმანელებმა თავისი კაცი -
სალაში დააყენეს. საეჭვოა,მაშინ რომ გერმანე-
ლებს სწამებოდათ ომში გამარჯვების შესაძლებლო
ბა. მაგრამ მათ სურდათ ებრაელთა ამოსრესის ს-
აქმე მაინც მიეყვანათ ბოლომდე. ამ ფრონტზე უ-

ნდოდათ გამარჯვების უზრუნველყოფა და მერე რაც მოხდებოდა, მომხდარიყო.

რაზმს სათავეში ჩაუდგა თვითონ ჟლეტის დიდოსტატი, რომელმაც „შავი სამუშაოს" გაძღოლა იკადრა. აქ უკვე წარსდგა არა მარტო როგორც წარმმართველი, გეზის მიმცემი, დამგეგმავი, შემაგულიანებელი და შესრულების ზედამხედველი. იგი თვითონ წარსდგა აღმასრულებლად. ჰიმლერმა დაადგინა, რომ აიხმანი არის მისი სრულუფლებიანი წარმომადგენელი, როგორც ეს განაცხადა თავის ჩვენებაში უნგრეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა გაბორმა. მისი ერთგული თანამონაწილე იყო უნგრეთის სტატსმდივანი ებრაულ საქმეებში, ანდრე.

ვარშავის გეტოს აჯანყების გაკვეთილი კარგად ახსოვდათ. აიხმანს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი აღარ დაეშვა ისეთი თავისმოჭრა, რაც ვარშავაში მოუვიდათ. განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ ებრაელებს აზრადაც არ მოსვლოდათ ამბოხება ან გაპარვა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ერთდროულად ქონების მიტაცებაც და დახოცვაც. დათრგუნვის მთელი სისტემა, რომელიც უკვე კარგადაა ცნობილი, აქ განავითარეს ერთბაშად და იმავდროულად, ჩვეულებრივ, მიმართავდნენ მოტყუებით ამაო იმედების გაღვივებას, ქონების წართმევას და ისეთი სახის მიღებას, თითქოს გადარჩენა შესაძლოა, წვრილმანი რამე-რუმეების თხოვნაზე თანხმობას და იმის ილუზიების წარმოქმნას, რომ ვინც მუშაობას დათანხმდება, ცუდი არაფერი შეემთხვევა.

## ამზადებენ
## ოსვენციმის საკირეებს

ამასობაში კი შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოები მზადდებოდა ყლეტის ბანაკებშიც,რომლებიც ფაქტიურად უქმად იდგნენ. რუდოლფ ჰესს უბრძანეს ხელახლა აემოქმედებინა ოსვენციმი და ყველაფერი გაეკეთებინა გაძლიერებული ტემპით მოსპობისათვის. იგი ბუდაპეშტში გაემგზავრა აიხმანთან  პროცედურის შესათანხმებლად. აიხმანი მოითხოვდა მრავალი ეშელონი უნდა მიიღოო,მაგრამ ჰესი ამტკიცებდა,რომ ასეთ დიდ რაოდენობას ვერ გაუძლევებოდა. ბოლოს მორიგდნენ იმაზე, რომ ერთ დღეს მიიღებდნენ ორ ეშელონს,მეორე დღეს კი - სამს. და მართლაც მანამდე ოსვენციმში არ ყოფილა ისეთი გიჟური ტემპით მუშაობის პერიოდი,როგორიც იყო 1944 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე. გაზის კამერები და კრემატორიუმები დღე და ღამე მუშაობდნენ. და ბოლოს იქამდეც მივიდნენ,რომ ოსვენციმში გვამებს უშუალოდ დია მინდორში წვავდნენ. იყო დღეები,როცა 24 საათის განმავლობაში  10.000-ზე მეტ ებრაელს წვავდნენ.

უნგრეთში მოსპობის პროცესი  დაიწყო უკვე ოკუპაციის მეორე დღეს. აიხმანის უმთავრესმა თანაშემწეებმა კრუმეიმ და ვისლიცენიმ უკვე 1944 წლის 20 მარტს შეკრიბეს ებრაელი მოღვაწეები და გამოუცხადეს,რომ უქმდება ებრაული დაწესებულებები და ორგანიზაციები და იქმნება „ებრაელთა ცენტრალური საბჭო" და ისინი ცნობენ მ

ხოლოდ აძ საბჭოს. იძავე სხდომაზე, როცა გერძა
ნელი ჯალათების გვერდით იდგა სერჟანტი და რე
ვოლვერი ჰქონდა მიშვერილი ებრაელთა თხუთმეტი
წარმომადგენლისაკენ, მათ გაუცხადეს, რომ ამ წ-
უთიდან ებრაელთა ყველა საქმე უნგრეთში გადა-
დის ესესის განსაკუთრებული ნაწილის ზედამხე-
დველობაში, მაგრამ ებრაელებს არაფერი აქვთ სამ
იში, თუკი წესიერად მოიქცევიან.

### უნგრეთის ებრაელობას ამზადებენ სასაკლაოსათვის

ამ განსაკუთრებულ ნაწილს მიენიჭა აიხმან-
ის სახელი და „ზონდერაინცსკომანდო აიხმანის"
მეთაური და უფროსი გახდა თვითონ. იგი გადაი-
ქცა უნგრეთის ებრაელობის სიკვდილ-სიცოცხლის
განმგებლად, ყოვლისშემძლე ბატონ-პატრონად.

მას შემდეგ წამოვიდა ცნობილი კანონებისა
და განკარგულებების ნიაღვრები: აიკრძალოს ს
აცხოვრებელი ადგილების დატოვება, აიკრძალოს ტ
რანსპორტის გამოყენება, გაითიშოს ტელეფონები,
ბანკებში გაიყინოს ანგარიშები, დაწესდეს სა-
შინაო პატიმრობა, დაიკეტოს მაღაზიები, აღიწერ-
ოს მთელი ქონება და ა.შ. როცა ჯამაათის წარ-
მომადგენლებმა იჩივლეს, აიხმანმა უპასუხა, რომ
ყველა ბრძანება დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს.
აპრილის დასაწყისში ყველა უნგრელ ებრაელს ე-
ქვსი წლის ასაკიდან დაეკისრა ყვითელი ნაკერ-
ის ტარება. ბუდაპეშტზე საპაერო თავდასხმა გ-
ამოიყენეს იმის საბაბად, რომ გაეცათ განკარგუ

ლება დაევალათ 500 ებრაული ოჯახის ბინა და მთელი ავლა-დიდებიანად გადაეცათ უნგრელებისათვის. ხოლო ხანამ ებრაელთა წარმომადგენლები ცდილობდნენ და ითხოვდნენ ამ ხვედრის შემსუბუქებას,დასაცლელი ბინების რაოდენობა 2.000-მდე გაზარდეს.

დაიწყო ებრაელებზე ნადირობა გზებსა და მაცარებლებში. შეპყრობილებს თავს უყრიდნენ ბანაკებში,რომელთაგან ცნობილია ყბადაღებული კიშცარჩა.პროვინციაში დაიწყეს ებრაელთა თავმოყრა წინასწარ დაგეგმილი რაიონების მიხედვით. ზოგიერთ ქალაქში შექმნეს გეტოები,სადაც ენით აუწერლად მძიმე პირობები იყო ცხოვრებისათვის.

ბუდაპეშტში,სადაც 250 ათასამდე ებრაელი ცხოვრობდა მთელ ქალაქში დაფანტულად,ადვილი საქმე არ იყო ერთბაშად მათი თავმოყრა და საჭირო იყო თანდათანობით გაეკეთებინათ ეს. სახლები,რომლებშიც ებრძანათ ებრაელებს ცხოვრება,დანიშნეს დიდი ყვითელი ნიშნებით.

უნგრელებსაც და ებრაელებსაც უთხრეს,რომ ებრაელები ხჭირდებათ მხოლოდ სამუშაოდ.უნგრეთის მთავრობა ბოლოს დათანხმდა რაიხისათვის „გერმანიაში სამუშაოდ" გადაეცა 50.000 ებრაელი.მაგრამ ამ საკითხზე მიმოწერის გერმანული ნაწილი,რომელიც მთლიანად აიხმანის სახელით წარმოებდა,აშკარად მიუთითებდა დანიშნულების ადგილს: ოსვენციმი.

გარიგება:

„სისხლი საქონელში"

მასობრივი დეპორტაციები დაიწყო 1944 წლის მაისში. არსებობენ ამ ღონისძიებათა სხვადასხვა ეტაპის ანგარიშები იმ მონაცემთა მიხედვით,რაც აიხმანმა მიაწოდა. საშუალოდ დღეში 12.000 ადამიანი მიჰყავდათ. იმავდროულად მიმდინარეობდა მოლაპარაკებანი შანტაჟითა და გადარჩენის აღთქმით. ვისლიცენი დაუკავშირდა ორთოდოქსალური ჯამაათის ერთ-ერთ მეთაურს ფინხას ფროიდიგერს,რომელსაც ბარონი ეწოდებოდა, რადგან ჯერ კიდევ მის ბაბუას მიენიჭა ავსტრიის სათავადაზნაურო ტიტული. ვისლიცენიმ შესთავაზა ებრაელთა გადარჩენა 2 მილიონ დოლარად და კიდეც მიიღო მნიშვნელოვანი ბე. ამის პარალელურად მოსპობის მუქარითა და გადარჩენის დაპირებებით მიმდინარეობდა კიდევ ერთი მოლაპარაკება აიხმანისა კასტნერთან და იოელ ბრანდთან. კასტნერი იყო ებრაელთა ხსნის კომიტეტის წარმომადგენელი,ხოლო ბრანდი დელეგატი,რომელსაც გერმანელთა ფანტასტიკური წინადადება უნდა მიეტანა დასავლეთის სამყაროსათვის. „სისხლი საქონლის ნაცვლად" - ებრაელთა გადარჩენა საბარგო მანქანების,ყავის,ჩაის,საპნის ნაცვლად. ებრაელებს ისიც უთხრეს,რომ ავტომანქანებს არ გამოიყენებდნენ დასავლეთის ფრონტზე.ბრანდს ებრძანა გამგზავრებულიყო ნეიტრალურ თურქეთში და იქ ებრაული ორგანოებისათვის წარედგინა ეს წინადადებები. აიხმანის ბრძანებით მას თან ახლდა ბონდი გროსი.

ამ საკითხზე გერმანელებს სხვა მიზანი ჰქონდათ,რასაც ვხედავთ გერმანიის საგარეო საქმე

თა მინისტრისათვის გერმანიის ელჩ ვეზემაიერ-
ის მიერ გაგზავნილი ოფიციალური მოხსენებიდან.
როცა რიბენტროპმა ლონდონის რადიოს გადმოცემი
დან შეიტყო ამ გარიგების შეთავაზებაზე,თავის
ელჩს დაუყოვნებლივ მოთხოვა დაწვრილებითი მო-
ნაცემები და ამანაც აცნობა,რომ გარკვეული ს-
აქონლის ნაკლებობის გამო გაიგზავნა ბრენდი,რ
ომელსაც ხელთ აქვს წინადადება ამ საქონლით მ
ომარაგებაზე და ამის სანაცვლოდ „ებრაელთა გ-
არკვეულ რაოდენობას მიეცემა თურქეთში წასვლ-
ის საშუალება". ნიურნბერგის პროცესზე თავისი
გასამართლების დროს რიბენტროპმა თქვა,მყისვე
ჩავერიე ამ გარიგების გასაუქმებლად,რადგან გ
ერმანიის ღირსებისათვის შეუფერებელი იყო მიე
ლო საზღაური მოსპობის შეწყვეტისათვის. ჰიმლე
რმა ამ მოლაპარაკებისათვის გააგზავნა ესესის
მაღალი რანგის ოფიცერი კურტ ბეხერი. ჰიმლერს
სურდა უნგრეთის ებრაელობისაგან გამოეძალა,რ-
ისი გამოძალვაც კი შეიძლებოდა. ჰიმლერმა უთ-
ხრა ბეხერს: შეპირებით შეპირდი რაც გინდოდეს,
„რას შევასრულებთ,ეს სხვა ამბავია". ასე თუ
ისე მოლაპარაკების წარმატებისათვის ბეხერმა
დაითანხმა ჰიმლერი გაგზავნილიყო ემელონი,რო-
მელშიც იყო 1684 გადარჩენილი ებრაელი. ემელო
ნი გააგზავნეს ბერგენ-ბელზენში,საიდანაც ორ
სხვადასხვა ნაწილად გაყოფილ ებრაელებს ნება
მიეცათ შვეიცარიაში წასულიყვნენ. იმ მატარე-
ბლის ყოველ მგზავრს გერმანელებმა 1000-1000
დოლარი გამოძალეს. როცა ესესის მაღალი რანგ-
ის ოფიცერი,შალენბერგი გადარჩენილთა მეორე ნ

აჭილის განთავისუფლებას და ბერგენ-ბელზენიდან შვეიცარიაში გაგზავნას შეეხო,ახსნა,რომ ჰიმლერს სულ სხვაგვარი ინტერესი ამოძრავებდა ებრაელთა ნაშთების გადასარჩენად:მას სურდა დასავლეთის პრესაში საპატიო ფიგურა გამხდარიყო,როგორც მკვლელობის შემწყვეტი,გამოჩენილიყო მხსნელ ანგელოზად,რომელთანაც შეიძლებოდა კონტაქტის გაბმა ცეცხლის შეწყვეტისა და საზავო ხელშეკრულებაზე მოლაპარაკების საწარმოებლად.ცნობილია,რომ ჰიმლერმა მართლაც დაისახა ასეთი გეგმა,როცა დარწმუნდა,რომ აღარავითარი იმედი აღარ არსებობს ბრძოლის ველზე გამარჯვებისა. იგი ვარაუდობდა,რომ ჰიტლერი დასავლეთის სახელმწიფოთა თვალში მიუღებელი იქნებოდა ასეთი მოლაპარაკების საწარმოებლად. ამიტომ სურდა ჰიმლერს თავისთვის მოემზადებინა ნიადაგი ამ მოლაპარაკებათა საწარმოებლად. მან იგივე ცდა გაიმეორა რამდენიმე თვის შემდეგ,უკვე აღსასრულის მიჯნაზე. თავისთავად ცხადია,რომ ამ ამბის ნაადრევად გამოქვეყნებამ ლონდონის რადიოს მიერ ჩაფუშა მთელი ეს ცდა,რომელიც იმთავითვე განკუთვნილი იყო იმისათვის,რომ განხეთქილება ჩამოეგდო დასავლეთელ მოკავშირეებსა და საბჭოთა კავშირს შორის. ბესერი დაინტერესებული იყო გამოძალვით,ჰიმლერი კი „საპატიო" მდგომარეობით.

მაგრამ იყო ერთი კაცი,ვის გულსაც არ ეკარებოდა მთელი ეს გარიგება,ვინც აშკარა უკმაყოფილო იყო იმით,რომ უნდა შეესრულებინა ჰიმლერის ბრძანება ბრენდის კონსტანტინოპოლში გაგზავნის შესახებ,რომელიც ყოველნაირად ცდილობდა გაეგრ-

ძლებინა ამოწყვეტისა და მკვლელობის ღონისძი-
ებანი. ეს კაცი იყო აიხმანი. იგი შეუდგა დაუ-
ყოვნებლივ მასობრივ დეპორტაციას იმავე დღეს,
რა დღესაც იოელ ბრენდი გაუდგა გზას. მან განა
ცხადა,რომ „ოსვენციმის წისქვილები გააგრძელე-
ბენ ფქვას",თუკი დაუყოვნებლივ არ იქნება დადე
ბითი პასუხი ბრენდისაგან. მან გააგრძელა მოს-
პობის სატანური გეგმის განხორციელება,თან ის-
ეთ სახეს იღებდა,თითქოს მოლაპარაკებები თუ გ-
აამართლებდა,ებრაელთა ნაშთები გადარჩებოდა.

## შვედი რაულ ვალენბერგი
## ებრაელთა გადასარჩენად

გრძელდებოდა ებრაელთა ქონების ძარცვა-მიტა
ცება. გრძელდებოდა დაპატიმრებებიც. გასაგებია
რომ ებრაელები ცდილობდნენ გაქცევას და ძირითა
დად ერეც-ისრაელში. აიხმანმა იცოდა ეს და ით-
ხოვდა ენერგიული ზომები მიეღოთ ყოველგვარი ხ-
ვრელის ამოსაქოლად. „უნგრეთის მმართველებს უ-
ნდა ავუხსნათ გარკვევითა და მტკიცედ, - წერდა
იგი 1944 წლის 24 ივლისს, - რომ გერმანელები
არ იძლევიან ამ ღონისძიების ფარგლებში ერეც -
ისრაელში ემიგრაციის ნებას". იგი უჩიოდა შვე-
ციისა და შვეიცარიის საელჩოებს,რომლებმაც ებ-
რაელებს მისცეს ისეთი საბუთები,რითაც შესაძლე
ბლობა მიეცათ უნგრეთიდან წასულიყვნენ ემიგრა-
ციაში. განსაკუთრებით ანთხევდა ცოფს ახალგაზ-
რდა შვედ დიპლომატზე,რაულ ვალენბერგზე. პროფე
სიით არქიტექტორმა და მოღვაწეობით დიპლომატმა

ვალენბერგმა ცხოვრების მიზნად დაისახა ებრაელთა გადარჩენა და ამ მიზნით მან ირგვლივ შემოიკრიბა მუშაკთა მთელი ჯგუფი. იგი არიგებდა პასპორტებს,რომელთა მფლობელებსაც უფლება ეძლეოდათ შვეციაში ეცხოვრათ. თუმცა მუდმივ საფრთხეში აგდებდა არა მარტო თავის დიპლომატიურ კარიერას,არამედ საკუთარ სიცოცხლესაც და მაინც ატარებდა გადარჩენის ღონისძიებებს,იძენდა ქონებასა და სახლებს,სადაც ასახლებდა ებრაელებს შვეციის დროშის ქვეშ,შექმნა ებრაელთა თავმოყრის ცენტრი,სადაც მყოფთა რაოდენობამ ერთ პერიოდში 40 ათასსაც კი მიაღწია. და როდესაც დაიწყო „სასიკვდილო მსვლელობა",რაზეც შემდეგშიც ვილაპარაკებ,ვალენბერგი თან გაჰყვა პროცესიას საკვებით,წამლებით და ტანსაცმლით დატვირთული საბარგო მანქანებით. იგი ზრუნავდა,რომ ამ მსვლელობიდან ამოეგდო ყოველი ადამიანი,რომლისთვისაც შეიძლებოდა რაიმე საშუალებით მიეცა შვეციის მფარველობის საბუთი. ვალენბერგმა აამოქმედა ბუდაპეშტში მყოფი სხვა დიპლომატებიც და წითელი ჯვარიც და მისი დამსახურებაა ათეულ ათასობით ადამიანის გადარჩენა.

ყველაფერი ეს შეძლო ერთმა გმირმა,რომელსაც შესწევდა ძალა ემოქმედა თავისი შეგნებისა და რწმენის მიხედვით. და მისი მოღვაწეობა იხევე, როგორც დანიის მეფე კრისტიანის მოქმედება აღგვიძრავს ხევლიან ფიქრებს - რამდენად მეტი იქნებოდა გადარჩენილთა რიცხვი ამოჟლეტის ქვეყნებშიც,რომ იქ გამოჩენილიყვნენ მისნაირები მათ შორის,ვისაც შესწევდა უნარი ემოქმედა ამკა

რად თუ მალულად.

აღარ უნდა გაგვიკვირდეს,რომ აიხმანმა თავის რისხვა დაატეხა ამ მხსნელს და შვეციის საელჩომ ბერლინში იჩივლა: აიხმანმა წითელ ჯვარს აცნობა - განზრახული მაქვს ტყვია ვკრა შუბლში „ებრაულ ძაღლს" ვალენბერგსო. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბოდიში მოიხადა ელჩის წინაშე და აღნიშნა,რომ აშკარაა, ეს სიტყვები არ თქმულა სერიოზულად; წერილობით კამათისას გერმანელებმა თქვეს: აიხმანის პასუხი უნდა გავიგოთ,როგორც უნგრელი ებრაელების გადასარჩენად ვალენბერგის „უკანონო" მოქმედებით გამოწვეული რეაქცია,რითაც აიხმანი ცდილობდა შეეწყვეტინებინა მისთვის ეს მოქმედება.

დეპორტაცია ხორციელდებოდა საიდუმლოების პირობებში. პრესასა და რადიოს არ გამოუქვეყნებიათ არავითარი ცნობა და გერმანელებმა მიმართეს განსაკუთრებულ საშუალებებს,რომ ეს გახმაურებულიყო და პანიკა არ გავრცელებულიყო ბუდაპეშტის ებრაელობაში. ოსვენციმში მიყვანილებს ებრძანათ დამამშვიდებელი ღია ბარათები გაეგზავნათ ნათესავებისათვის. ჯალათები კარნახობდნენ წერილების შინაარსს და უბრძანებდნენ დაეწერათ,თითქოს ვალზეეში,ავსტრიის საკურორტო ქალაქში იმყოფებოდნენ. ღია ბარათებში ნათქვამი იყო,რომ სამუშაოდ გამოგზავნილები მშვიდობით არიან. ბარათები ადრესატებთან რომ აღწევდა,მათი ავტორები უკვე ფერფლად იყვნენ ქცეულნი ოსვენციმის ღუმელებში. როცა წითელმა ჯ-

ვარმა ითხოვა თავისი წარმომადგენლის გაგზავ-
ნა,აისმანს წინააღმდეგობა არ გაუწევია ახეთი წარმომადგენელი დასწრებოდა დეპორტაციის მიმდი ნარეობას,ოღონდ მას შემდეგ,რაც ეშელონს წინა-
სწარ მოამზადებდა გასაგზავნად. „ეშელონზე გა-
ყოლაზე ფიქრიც კი ზედმეტია",თქვა მან.

გაშეღული იაცაკქვეშეთი ყალიბდებოდა აქაც და გადარჩენისა და გაქცევის ოპერაციები ცარდე ბოდა მრავალ ადგილას. მაგრამ მრავალ გაქცეულს იჭერდნენ ხიზღვარზე და დაუყოვნებლივ აგზავნი-
დნენ მოხახსპობად.

პორცი მოითხოვს
გაძევების შეწყვეცას

ამასობაში გაუარესდა გერმანელთა მდგომარე-
ობა ფრონცებზე. საბჭოთა არმია წინ მიიწევდა და სხვადასხვა მხრიდან პორცზე ახდენდნენ ზეგა ვლენას დეპორცაციის შესაწყვეცად. მანაც მოიკ-
რიბა გამბედაობა და ივლისის დასაწყისში ბრძა-
ნა მათი შეწყვეცა. 1944 წლის ივნისის ბოლომდე გერმანელებმა მოასწრეს,მათივე საგარეო საქმე-
თა სამინისცროს ოფიციალური მოხსენებით,ამოხა-
ფლეცად გაეგზავნათ 437,402 ებრაელი. პორცის ბ რძანებამ ჩაფუშა 1944 წლის ივლისის შუა რიცხ-
ვებისათვის მომზადებული ღონისძიება,რომლის ღ-
როსაც ერთ დღეს უნდა გაეძევებინათ ბუდაპეშცის ყველა ებრაელი. ამისათვის გათვალისწინებული ი ყო მთელი ძალების,საქალაქო საბჭოს მუშაკებისა და ფოსცალიონების მობილიზება. პროგრამის დეცა

ლები დაამუშავეს აიხმანთან ერთად. გერმანელე ბი ებებდნენ რაიმე ხელჩასაჭიდ საბაბს ამ ელ-ვისებური ოპერაციისათვის. საგარეო საქმეთა ს ამინისტროს პრესის განყოფილების გამგემ წამო აყენა იდეა "სალოცავებში ასაფეთქებელი ნივთი ერება აღმოჩნდაო". ვაზენმაიერმა არ გაიზიარა ეს აზრი: სალოცავები უკვე იმყოფებიან პოლიც-იის სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ და ასეთი ს აბაბი არც თუ ძალიან კარგიაო.

აიხმანი გვერდს უვლის

პორცის ბრძანებას

პორცის ბრძანების მიუხედავად აიხმანი ცდი ლობდა გაეგრძელებინა დეპორტაცია. ივლისის დ-ასაწყისში ხვალდა ებელონი გაეგზავნა მოსახპო-ბად კისცარჩას ბანაკიდან. ეს ამბავი მიუვიდ-ათ ებრაელ მოღვაწეებს ბუდაპეშტში. მათ მიმარ თეს პორცის,რომელმაც ბრძანა დაეკავებინათ ე-შელონი საზღვარზე და დაებრუნებინათ უკან. რო ცა აიხმანმა დაინახა ეს,მისმა სალხმა მეორედ შეკრიბა მთელი სათემო საბჭო,თითქოსდა საკით-ხის განსახილველად. მთელი დღის განმავლობაში ხხვადასხვა საქმეზე დაყბობით შეაჩერა ისინი. ამასობაში კი მისმა ემისრებმა კისცარჩაში ვა გონებში შეყარეს 1200 ებრაელი და წაიყვანეს.
აიხმანის ემისრების მიერ მულენბერგში ფა-ქციურად გამომწყვდეულ ებრაელ მოღვაწეებს გუ-ლი ცუდს უგრძნობდათ. როგორც კი განთავისუფლ-დნენ საღამო ყამს,შეიცყეს ეშელონის ამბავი

და მყისვე მიაშურეს ჰორცის უბედურებ-
ის თავიდან ასაცდენად. მაგრამ ამჯერად უკვე
გვიან იყო. მატარებელი უკვე უნგრეთის საზღვა
რს გასცილებოდა და როგორც ახლა ირკვევა ებრა
ელთა წარმომადგენლები მხოლოდ მაშინ გაუშვეს,
როცა აიხმანის რაზმმა მიიღო ცნობა,რომ ეშელო
ნი უკვე უშიშრად მიემართება სიკვდილისაკენ.
ამის შემდეგ რომ ვისლიცენი ფროიდიგერს შ-
ეხვდა,უთხრა: „ნუთუ მართლა ფიქრობდი,რომ აი-
ხმანი ამ ხულელ ბებერ ჰორცის მისცემდა საშუა
ლებას თავისი სურვილი რომ ვერ აღესრულებინა"?
ეს ლონისძიებაც ადასტურებს აიხმანის საცანურ
თაოსნობას. მისგან კაციშვილი არ მოითხოვდა მ
აშინ ამის გაკეთებას. ჰორცი არ დათანხმდა დ-
ეპორტაციის გაგრძელებას. აიხმანს ვერავინ ვ-
ერ წაუყენებდა რაიმე პრეტენზიას თუკი თავს შ
ეიკავებდა ამ ლონისძიებისაგან და დაელოდებო-
და ყლეცის გასაახლებლად გერმანიის მიერ უნ-
გრეთზე მიცანილ დიპლომატიურ და სამხედრო იე-
რიშის შედეგებს. მაგრამ როცა საქმე ეხებოდა
ებრაელთა მოსპობას,აიხმანი მოქმედებდა ყოველ
გვარი ბრძანებისა და განკარგულების გარეშე.
გადარჩენილია ორი წერილი და ერთი ლია ბა-
რათი,რომლებიც დაწერა იაკობ რაიხმა. იგი იყო
ორსავე ეშელონში. ერთი წერილი ცოლს მისწერა
კიმცარჩას ბანაკიდან,ხოლო მეორე წერილი და ღ
ია ბარათი გადმოყარა მატარებლიდან,რომელსაც
ოსვენციმში მიჰყავდა იგი. ორივეს კიდეზე მი-
წერილი იყო: „იკურთხოს მარჯვენა,რომელიც გა-
გზავნის ამ ნაწერს". ახეთი მარჯვენა გამოჩნ-

და. წერილმა და ღია ბარათმა მიაღწია ბუდაპეშტში მყოფ მის მეუღლესთან. მათში ეწერა:

„ახლა ოთხშაბათ ნაშუადღევია. დაგვცვირთეს და მივემგზავრებით. ღმერთი იყოს თქვენთან. გეხვევით და გკოცნით მრავალს. მამა".

რაისი ვეღარ ეღირსა თავისი ოჯახის ხილვას. მისი ქვრივი წარმოგიდგენთ ამ წერილსა და ბარათს.

გერმანელთა დაწოლა დეპორტაციის გასაგრძელებლად არ წყდებოდა. ჰიტლერი პირადად ჩაერია საქმეში და თავის საგარეო საქმეთა მინისტრს უბრძანა გაეფრთხილებინა ჰორტი,რომ გერმანია ვერ მოითმენს ებრაელების წინააღმდეგ მიღებულ ზომათა ვერავითარ დაყოვნებას და,რომ ჰორტის პოზიცია კატასტროფას მოუტანს უნგრელ ხალხს. რათა აღეკვეთა ებრაელების გასვლის ყოველგვარი შესაძლებლობა ნეიტრალურ ქვეყნებში,აიხმანმა განახორციელა ღონისძიებანი,რომელთა შესახებაც 1944 წლის 25 ივლისს ვაზენმაიერი მოახსენებდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს:

„... შეთანხმებულია აიხმანთან,რომ როცა შესაძლებელი გახდება ებრაელთა დეპორტაცია ბუდაპეშტიდან,ეს უნდა განხორციელდეს ისე სწრაფად და ისე დიდი გაქანებით,რომ ის ებრაელი,ვისაც აქვს ემიგრაციის შანსი,უფრო ადრე იქნას წაყვანილი,ვიდრე მოასწრებდნენ სათანადო ფორმალური პროცედურის დამთავრებას საემიგრაციოდ".

ავსტრიას იმ დროს სასწრაფოდ ესაჭიროებოდა მუშები სიმაგრეების ასაგებად. გერმანიის სა-

ომარი გეგმები მხედველობაში იღებდა მძიმე თა-
ვდაცვითი ბრძოლების წარმოებას ამ რაიონში.ვე-
ნის ქალაქის თავმა ბლაშკომ ჯერ კიდევ 1944 წ-
ლის ივნისში მიმართა უშიშროების მთავარი საი-
მპერიო სამმართველოს უფროსს,თავის მეგობარ კ-
ალცენბრუნერს და თხოვა,რამდენიმე ეშელონი დე-
პორცირებული გამოგვიგზავნეთ ამ სამუშაოთა შე-
სასრულებლადო. კალცენბრუნერმა უპასუხა: გავე-
ცი ბრძანება 12.000 ებრაელი გამოგზავნონ ვენა
ში და ისინი უნდა იყოლიოთ ჩაკეტილ ბანაკებში.
ქალები,ბავშვები, და შრომის უუნარონი გაიგზა-
ვნებიან „განსაკუთრებული მოპყრობისათვის",რაც
ნიშნავს - გასაყლეცად.

ხოლო უნგრეთის ებრაელობის წარმომადგენლებს
აიხმანმა და მისმა ძმაბიჭებმა უთხრეს,რომ შეი
ძლება ებრაელთა გადარჩენა „ავსტრიაში გადაგზა
ვნით",გამოსასყიდს თუ გადაიხდიან. ვინც კარგ-
ად გადაიხდის,გადარჩება იქ გაგზავნით. აიხმან
მა თქვა,რომ მზადაა,მისივე გამოთქმით, „ყინუ-
ლზე შეინახოს 30.000 შრომისუნარიანი ებრაელი
ავსტრიაში. მათი ოჯახები იცხოვრებენ ბანაკებ-
ში ბუდაპეშტის ებრაელების ხარჯზე და ამის სა-
ნაცვლოდ იგი ითხოვს გამოსასყიდს - 5 მილიონ შ
ვეიცარიულ ფრანკს,ანუ 200 დოლარს სულზე.

15.000 ებრაელი გაგზავნეს ამ გზით.

1944 წლის შემოდგომაზე პორციმ ხცადა თავი-
სი ქვეყანა გამოეყვანა ომიდან და აღარ ებრძო-
ლა გერმანიის მხარეზე. მაგრამ გერმანელებმა ი
ცოდნენ რასაც აკეთებდა იგი და ძალით დაეპატრო
ნენ ბუდაპეშტს. „რკინის მუშტად" წოდებული ამ

ოპერაციის დროს მათ დააპატიმრეს ჰორტი და 1944 წლის 15 ოქტომბერს ხელისუფლების სათავეში დასვეს „გადაჯვარედინებული ისრების" ბელადი სალაში. ებრაელები ისევ ნაცისტების კლანჭებში მოხვდნენ. აიხმანი, რომელმაც დატოვა ბუდაპეშტი მას შემდეგ, რაც ჰორტის ბრძანებით შეწყდა გაძევება, 18 ოქტომბერს ისევ დაბრუნდა იქ. ებრაელთა წინააღმდეგ მიმართული კამპანიები მთელი ძალით განახლდა ბუდაპეშტში.

## საშინელი მარში

აიხმანისებური მკვლელობის კამპანია ამჟამად დასრულდა ლონისძიებით, რომელიც ცნობილია „სასიკვდილო მსვლელობის" სახელით. მატარებლები აღარ იყო. ამასობაში ჰიმლერმა ბრძანა შეეწყვიტათ ყოველგვარი ჟლეტა. მაგრამ აიხმანმა გამონახა გზა გვერდი აევლო ჰიმლერის ბრძანებისათვის. მან თავის მოკავშირე უნგრელ ფაშისტებთან ერთად მოაწყო ებრაელთა ქვეითი მსვლელობა ავსტრიისაკენ, თითქოსდა იმ სიმაგრეების ასაგებად, სინამდვილეში კი მოსასპობად. ანგარიში უბრალო იყო: სუსტები გზაში გაწყდებიან, ძლიერები მიაღწევენ სიმაგრეთა მშენებლობაზე და ამის შემდეგ მოისპობიან. 200 კილომეტრიანი მსვლელობა დაიწყო ნოემბერში, თოვლ-ჭყაპსა და სიცივეში. ღამეს ათევდნენ ღია ცის ქვეშ ან საღორეებში. ასე მიჰყავდათ ქალები, ბავშვები და მოხუცები. ვისაც სიარული უჭირდა, ადგილზე ხვრეტდა დაცვა, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ცემ

და და შეურაცხყოფდა მსხვერპლთ. ვისაც ძალ-ღო-
ნე ელეოდა,ეცემოდა და კვდებოდა. ასობით ადამი
ანი იკლავდა თავს ან იღუპებოდა მსვლელობის მო
ნაწილეთა შორის მძვინვარე პარტახტიანი ტიფით.
საკვები ეძლეოდათ დღეში ერთხელ: ცოტა პური და
ცოტაოდენი წყალი. ადამიანები იხოცებოდნენ ბუ-
ზებივით. მთელი გზა მოფენილი იყო გვამებით. გ
ზაში დაცემულთა რაოდენობას ვარაუდობდნენ 6-დ-
ან 10 ათასამდე. ყველაფერი ეს იმდენად ამაზრ-
ზენი იყო,რომ უნგრელი ბადრაგის ოფიცრები და ჯ
არისკაცებიც კი ამხედრდნენ და ითხოვდნენ,უმჯო
ბესია ფრონტზე გაგვაგზავნეთო. უნგრეთის მთავ-
რობის მეთაურის,სალაშის ჩარევამაც კი ვერ უშ-
ველა და ვერ შეწყვიტა ეს სასიკვდილო მარში.

და აქ მოხდა მოულოდნელი ამბავი. ჰიმლერმა
პირადად გამოუცხადა საყვედური აიხმანს ამ ღო-
ნისძიების მოწყობისათვის და მხოლოდ მაშინ შეწ
ყდა ეს საშინელი მსვლელობა. ამასობაში საბჭო-
თა ჯარმა ალყა შემოარტყა ბუდაპეშტს და ებრაე-
ლთა დარჩენილი ნაწილი გადაურჩა მოსპობას.

## IX. ბანაკები

უკვე ვილაპარაკე ნაცისტური საკონცენტრაციო
ბანაკის ბუნებასა და რაობაზე,როგორც ლიქვიდაცუ-
რის დაფუძნებისა და მოწინააღმდეგის გასაცეხად
ან დასარწმუნებლად შიშის მომგვრელ საშუალება-
ზე. გერმანიასა და ოკუპირებულ ქვეყნებში იყო
ასობით საკონცენტრაციო,შესაკრები და სატრანზი
ტო ბანაკი. ებრაელთა მიმართ ყველა მათგანი გ-

ათვალისწინებული იყო ერთი მიზნით - ამოსაწყვ-ეტად. ნაცისტები უშუალო ჟლეტაზეც რომ არ გადა-სულიყვნენ, გეტოებსა და შრომის ბანაკებში მყო-ფნი მოკლე ხანში მაინც დაიხოცებოდნენ გამოფი-ტვისა და ეპიდემიებისაგან. მაგრამ „საბოლოო გ ადაწყვეტის" დაყოვნება არ შეიძლებოდა. ამიტო-მაც შექმნეს ჟლეტის ბანაკები. სხვა ბანაკებ - შიც - მაუტჰაუზენში, ბერგენ-ბელზენში, დახაუში და ა.შ. ილუპებოდა ათასობით და ათი ათასობით ადამიანი ცხოვრების ისეთი პირობების შექმნით, რასაც აუცილებლად უნდა გამოეწვია სიკვდილი. ამ ბანაკებზეც მბრძანებლობდა აიხმანი იმ საკითხე ბში, რაც ებრაელებს შეეხებოდა და წარმოგიდგენთ ამის დამამტკიცებელ საბუთებს. მაგრამ ამ შესა ვალ სიტყვაში მინდა შევჩერდე მხოლოდ იმ განსა კუთრებულ, ე.წ. „ჟლეტის ბანაკებზე", რომლებიც ი მთავითვე შეიქმნა „საბოლოო გადაწყვეტის" გან-სახორციელებლად და რომლებშიც მილიონობით ებრა ელმა დალია სული.

ებრაელების ამოჟლეტის იდეა მომწამვლელი გ-ზით წამოყენებულია ჯერ კიდევ მის წიგნში „მა-ინ კამპფ". პირველ მსოფლიო ომში 12-15 ათასი ებრაელი რომ მოეწამლათ გაზით, იქნებ მილიონი გ ერმანელი გადარჩენილიყო, წერდა იგი. როცა „აი ნზაცგრუპენის" მიერ ჩატარებულმა დახვრეტებმა, როგორც უკვე ითქვა, ვერ დააკმაყოფილეს, წამოაყე ნეს ებრაელთა წინააღმდეგ გაზის გამოყენების ი დეა. პირველი ცდები ჩაატარა გლობოჩნიკმა პოლო ნეთში. და აიხმანმა, რომელიც დარწმუნდა სისტე-მის ეფექტურობაში, ეს გაზი მიიღო „საბოლოო გა-

დაწყვეტის" განხორციელების საშუალებად. ეს მ-
ან დაუდასტურა აღმოსავლეთის ოკუპირებულ ტერი-
ორიათა სამინისტროს თანამშრომელს დოქტორ ვეც-
ელს,რომელმაც თავის მხრივ ოფიციალური მოხსენე
ბა წარადგინა ამის შესახებ. აიხმანი პირადად
გაემგზავრა გლობოჩნიკთან იმის სათქმელად,შენ-
თან ჩატარებული ცდები უკვე საყოველთაოდ იქნე-
ბა გამოყენებული შეხთანაც და სხვა ადგილებში-
ცო. შემდეგ იმასთანავე გააგზავნა გიუნტერი მო
მწამვლელი გაზის სპეციალისტთან ერთად. აიხმან
მა რუდოლფ ჰესთან მოიარა ოსვენციმის ტერიტორ-
ია გაზის დანადგარებისათვის ადგილის შესარჩევ
ად,მოინახულა აგრეთვე ყლეტის ბანაკები ტრებლი
ნკა და ხელმონი და შეამოწმა მათი ეფექტურობა.
სისტემამ დააკმაყოფილა და ეს მეთოდი ამჯობინა
დახვრეტებს. ისა და მისი განყოფილება მუშაობ-
დნენ "ციკლონ-ბ" გაზის სამოვნელად. ეს გაზი მ
ედგება ციანის წყალბადისაგან. ამ გაზს იყენე-
ბდნენ ყლეტის რამდენიმე ბანაკში. 1945 წლის დ
ასაწყისში,უკვე ომის დამთავრების წინ,აიხმან-
მა კვლავ დაგეგმა ტერეზიენშტადტში დარჩენილ ე-
ბრაელთა მოსპობა გაზის დანადგარებით,რომლებიც
მისი ინიციატივით უნდა აეგოთ,რამდენადაც ახე-
თი დანადგარები სხვაგან უკვე აღარ მოქმედებდ-
ნენ.

მას აწევს უშუალო პასუხისმგებლობა ამ "სა-
ბოლოო გადაწყვეტის" განმახორციელებელ ბანაკთა
მუშაობისათვის. ზოგ მათგანში ისიც სცადეს,რომ
მოსახსპობად მიყვანილი ებრაელობისაგან სამუშაო
ძალაც გამოეწოვათ.

სასამართლოს ვთხოვ მომცეს ნება მოკლედ დავახასიათო,რა მოხდა ამ ბანაკებში. ყველა მათგანი ესესმა ააგო,ყლეტა კი უშიშროების მთავარი საიმპერიო სამმართველოს ხელში იყო.

მაიდანეკი

მაიდანეკის ბანაკი – ლიუბლინის მახლობლად – 1941 წელ დაარსდა. პირველად აქ სამხედრო ტყვეები მოჰყავდათ,ხოლო შემდეგ ებრაელები სლოვაკიიდან,ჩეხიიდან,საფრანგეთიდან და საბერძნეთიდან. ბანაკიც განვითარდა. იქ იყო ერთმანეთისაგან გამოცალკევებული განყოფილებები,რომლებსაც „მინდვრები" ეწოდებოდა. 1942 წლის გაზაფხულზე იქ დადგეს გაზით მოსპობის დანადგარები და ორი ღუმელი გვამების დასაწვავად. იმავე წლის ზაფხულში დაიწყეს პოლონელ ებრაელთა მასობრივი მორეკვა.

1943 წლის გაზაფხულზე აქ მოაღწია ვარშავიდან დეპორტირებულთა ტალღამ და მყისვე შეუდგენ გაძლიერებული ტემპით მოსპობას,რამაც ზენიტს მიაღწია ნოემბერში,როცა ერთ დღეს დახვრიტეს 18.000 ებრაელი.

ბანაკში ცხოვრების პირობები,უშუალო მოსპობის დანადგარებიც რომ არ ყოფილიყო,ისე იყო გაანგარიშებული,რომ პატიმარს აუცილებლად უნდა ამოხდომოდა სული ან შიმშილით,ან ავადმყოფობით, ან გამოფიტვით. საკვები ეძლეოდათ აუცილებელი მინიმუმის ერთი მესამედი. ტანსაცმელი ისეთი რომ პატიმარი უამინდობის მსხვერპლი ხდებოდა.

ცხოვრება-საჯინიბოებში,ყოველ თავლაში 500 და მეტი ადამიანი,ორნი ერთ ლეიბზე. სამუშაო რაზეც პატიმრებს ასაქმებდნენ მოსპობამდე,თვითონ წარმოადგენდა ყლეტის საშუალებას და მის მიზანს წარმოადგენდა ორგანიზმის დაოსება.ამას აღწევდნენ აგრეთვე როგორც ჯალათური მოპყრობითა და მუშაობის დროს გაროზგვით,ისე ადამიანთა დასაქმებით ყოვლად უაზრო სამუშაოებზე.

პატიმართა ტანსაცმელი მუდამ სავსე იყო სოჭოებით,ტილებითა და ბაღლინჯოებით. მძვინვარებდა გრიპი და ტიფი.მაიდანეკში ტიფს პკურნავდნენ... დახვრეტით. ვისაც უნარი ჰქონდა ერბინა დამსარისხებელი კომისიის წინაშე,დროებით ტოვებდნენ ცოცხალს,დანარჩენი მყისვე იგზავნებოდა მოსასპობად.

წვიმასა და ქარბუქში პატიმრებს უბრძანებდნენ მაინცდამაინც გარეთ ეჭამათ. ავადმყოფებსა და სულთმობრძავებს უბრძანებდნენ თოვლსა და ტალახში წოლილიყვნენ ამოძახების დროს.

ებრაელი პატიმრები ათიათასობით მიჰყავდათ პირდაპირ გაზის კამერებში,დახარისხება-რეგისტრაციის გარეშე. ქალებს თმებს პარსავდნენ;ვისაც ოქროს კბილი ჰქონდა,აძრობდნენ. შემდეგში აღმოჩენილ იქნა დოკუმენტები მაიდანეკიდან გერმანიაში გაგზავნილ ოქროს კბილებითა და ძვირფასეულობით სავსე 9 ყუთზე. სიკვდილიანობა ბანაკში იყო საშინელი - 180 ადამიანი კვდებოდა დღეში. ბავშვები იხოცებოდნენ ბუზებივით.

ასეთი იყო მაიდანეკში დახარისხების პროცედურა: მამაკაცები - მარჯვნივ,ქალები - მარცხნ-

ივ,ბავშვები და მოხუცები - შუაში. დედებს,რომლებსაც არ უნდოდათ შვილების გაშვება ხელიდან, მათრახებით სცემდნენ და ისე აშორებდნენ შვილებს. მოისმენთ ჩვენებას ქალისას,რომელსაც ხელში ეკავა თავისი ბავშვი. მაშინ მიუახლოვდა მას ესესელი,ბავშვი თავით დაახეთქა მიწაზე და სისხლში მოსვრილი გვამი დედას მიაჩეჩა: „ახლა გყავდეს შენი შვილიო", - უთხრა ქალს. იყო შემთხვევები,როცა ხელებით ჭყლეცდნენ ბავშვებს ამაზრზენი სანახაობით გაგიჟებული დედების წინაშე.

მაიდანეკში მხოლოდ ერთ ადგილას ეპყრობოდნენ ბავშვებს რბილად: გაზის კამერის ზღურბლზე ყოველ მათგანს კამფეტით უმასპინძლდებოდნენ.

პაცმრები სინამდვილეში ყოველი ესესელის მონას წარმოადგენდნენ:ესესელებს შეეძლოთ მოეკლათ და შეეძლოთ რაც მოეპრიანებოდათ,ის ექნათ მათთვის. კვირაობით აწყობდნენ „გადარჩენებს". ყოველი პაცმარი ვალდებული იყო ერბინა. ვინც სის ქოშს დაკარგავდა სირბილის დროს ან ველარ შესძლებდა სირბილს - ადგილზე კლავდნენ. პოლონეთის მთავრობის მიერ შექმნილი სახელმწიფო კომისიის ყველაზე ფრთხილი ვარაუდით მაიდანეკში ხუთ ცოცა 200.000 ებრაელი გაჟლიცეს.

## ცრებლინკა

ცრებლინკას ბანაკი შექმნეს ვარშავის ოლქში, პაცარა პოლონური სოფლის მახლობლად უკაცრიელ ადგილას. ბანაკი არსებობდა 1942-1943 წლებში.

მიყრილ-მოყრილი საოჯახო ნივთები,ტანსაცმელი და ჩემოდნები იქ შეიძლებოდა გენახათ მრავალი წლის შემდეგაც იმ დროიდან,როცა თვითონ გერმანელებმა მოსპეს იგი (1943 წლის ნოემბერში). ბანაკის მახლობელ ადგილებში დღესაც შეიძლება იხილოთ ბორცვები,რომელთა ქვიშამიც შერეულია ადამიანის ნაცარი და ძვლები.

აქ გამოიყენეს შენიღბვა თვით ბანაკის ჭიშკრამდეც კი. ააგეს მოჩვენებითი რკინიგზის სადგური და შენობებზე გააკრეს წარწერები,რომლებიც მიუთითებდნენ  თითქოს ბუფეტს,მიმართულებებს სხვა სადგურებში წასასვლელად,მოსაცდელ დარბაზს,მატარებელთა მანევრების ნიშნებს  და ა.შ. ყველაფერი გაანგარიშებული იყო იმისთვის, რომ პატიმრებს რაც შეიძლება დიდხანს ჰქონოდათ ილუზიები. სადგურზე უკვე იდგნენ ესესელები და უკრაინელი პოლიციელები,რომლებიც მათრახების ტლაშუნით უახლოვდებოდნენ მოყვანილებს- ჩქარა ჩამოდით ვაგონებიდანო. ჩამორჩენილებს ადგილზე ხვრეტდნენ.

თვითონ ბანაკშიც ცდილობდნენ შენიღბვას.ავადმყოფები,ინვალიდები,მოხუცები და ბავშვები მიჰყავდათ ყაზარმისაკენ,რომელსაც წითელი ჯვრის ნიშანი ეკეთა და ეწერა „ლაზარეთი". ამ „საავადმყოფოში" იყო „მოსაცდელი ოთახი",სადაც წითელი შალით გადაკრული სავარძლები იდგა, აქედან იყო შესასვლელი სხვა ოთახში,სადაც უკვე იდგა იარაღშემართული ესესელი,რომელიც კეფაში ახლიდა ტყვიას შემოსულს და პირდაპირ ორმოში ისროდა. მთელი ეს "პროცედურა" იმისათვ-

ის ეწყობოდა,რომ გაზის კამერებში მიმავალ ჯ-
ანმრთელებს დაუბრკოლებლივ გაეგრძელებინათ გ-
ზა და მათი წინსვლისათვის ხელი არ შეეშალათ
ბავშვებს,მოხუცებს და ინვალიდებს და არ შეყო
ვნებულიყვნენ „ჩამორჩენილ" მსხვერპლთა გამო.
„ლაზარეთში" ყრიდნენ იმათ გვამებსაც,ვინც ვა
გონებში დაიხოცა ან სადგურზე მოკლეს. სადგუ-
რზე მოყვანილებს უბრძანებდნენ გადაეცათ მათ
ხელთ არსებული მთელი ფული და ძვირფასეულობა.
მსხვერპლთა მთელი ავლა-დიდება ხარისხდებოდა,
რემონტდებოდა და იგზავნებოდა გერმანიაში. ც-
ნობილია,რომ მარტო ტანსაცმელი გაიგზავნა 203
ვაგონი.

დახოცვის წინ ქალებს ჭრიდნენ თმას და სა-
სიკვდილოდ განწირულებს ართმევდნენ ყველაფერს,
რაც ებადათ. თმებს ტენიდნენ ტომრებში და გზ-
ავნიდნენ გერმანიაში. ამის შემდეგ მამაკაცე-
ბს უბრძანებდნენ გაიხადეთო და ცემა-ტყეპითა
და თოფის კონდახებით ერეკებოდნენ გაზის კამე
რებში. ტიტვლებს ხელები თავზე ჰქონდათ შემოწ
ყობილი - უფრო მეტი რომ დატეულიყო კამერაში.
ამის შემდეგ ჰერმეტულად იხურებოდა კარი,ჩაი-
რთვებოდა მოტორი და კამერაში შედიოდა მომწა-
მვლელი გაზი. კამერების კარები რომ გაიღებო-
და და საწამლავის ორთქლი გაიფანტებოდა,გვამ-
ებს აქაც აძრობდნენ ოქროს კბილებს და ორმოე-
ბში ყრიდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ააგეს გ
ვამების დასაწვავი დანადგარები.

მკვდრის ორმოში ჩაგდებული ერთი კაცი კიდ-
ევ ცოცხალი იყო. მან მოახერხა გაქცევა. გლე-

სებმა,რომლებსაც თხოვა შემიფარეთო,ბანაკის კომენდატურას ჩააბარეს. მაშინ ესესელმა კურტ ფრანცმა დაიწყო მისი დამცირება-შეურაცხყოფა დატანჯვა-წამება,ბოლოს კი ჯოხის ცემით მოკლა. ამ ფრანცს ჰყავდა დიდი და ძლიერი ქოფაკი „იუდას" რომ შეუძახებდა,ძაღლი ეცემოდა პატიმარს და გლეჯდა.

გროდნის ებრაელთა აქ მოყვანილ ებრაელთა ერთმა პარტიამ წინააღმდეგობა დაიწყო და გაზის კამერებში არ შედიოდა. ერთმა პატიმარმა ხელყუმბარაც კი ესროლა მკვლელების უკრაინელ თანაშემწეებს. დაუყოვნებლივ დაიწყეს ჯოჯოხეთური სროლა და ებრაელები ტანსაცმლიანად შერეკეს გაზის კამერებში.

შეიძლება დავასკვნათ,რომ იქ მივიდა ებრაელებით დატვირთული სულ ცოტა 7.500 ვაგონი და ამ ვაგონებმა მიიყვანეს სულ ცოტა 750.000 კაცი. აქ ჰპოვა თავისი აღსასრული ვარშავიდან, რადომიდან,ჩენსტოხოვიდან,კელციდან,ბელოსტოკიდან,გერმანიიდან,ავსტრიიდან,ჩეხიიდან,ბულგარეთიდან და საბერძნეთიდან მოყვანილმა ასიათა სობით ებრაელმა: ტერეზიენშტატში მყოფ მოხუცებსაც აგზავნიდნენ აქ ამოსაყლეტად.

ტრებლინკაში საიდუმლოდ მზადდებოდა აჯანყება. მისი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო ექიმი ხორონუეცკი,რომელსაც გერმანელებმა უპოვეს აჯანყებისათვის გამიზნული ფული. ექიმმა იცოდა,რაც მოელოდა ამ გაჩხრეკის შემდეგ და მყისვე საწამლავი გადაყლაპა. მკვლელებმა ყველა ღონე იხმარეს,რომ მოესულიერებინათ,რ-

ათა წამებით მოეკლათ. ფრანცმა დანით გაუღო პი რი,წყალი ჩაასხა ყელში და მუცელზე დაუწყო ჩექ მებით ხცომა, მაგრამ დოქტორი ხორონუეცკი უკვე მკვდარი იყო და ეხესელ ჯალათებს შეეძლოთ ჯავ- რი ეყარათ მხოლოდ მის გაციევებულ ხხეულზე.

აჯანყების მომზადება მაინც გრძელდებოდა ხა იდუმლოდ. რამდენიმე პატიმარი გაერთიანდა,როგ- ორღაც მოახერხეს ცოცხალი იარაღის მოპარვა და 1943 წლის 2 აგვისტოს თავს დაესხნენ ესეს- ელ და უკრაინელ მცველებს. ჯოჯოხეთური ცეცხლის მიუხედავად პატიმართა ერთმა ნაწილმა მოახერხა გაერღვია მავთულხლართის ღობე და გაქცეულიყო. აჯანყებულთა შორის იყო რუდოლფ მახარიკიც,როგ- ორც ჩანს,დიდი თომას მახარიკის ძმისშვილი,სა- ყვარელ ებრაელ ცოლს რომ გაჰყვა სიკვდილის ბა- ნაკში. აჯანყებულებმა ცეცხლს მისცეს ბანაკის დანადგართა ნაწილი და ტყეებს გაქცეულნი წუთით ყოვნდებოდნენ და უკან იმზირებოდნენ,რათა დაე- ნახათ,როგორ იწვოდა ულიდესი სასაკლაო.

ამით დაიწყო ბანაკის ლიკვიდაციაც და მისი მოქმედება შეწყდა 1943 წლის ნოემბერში. გერმა ნელებმა გადახხნეს მთელი მიდამო და ებრაელთა გვამებზე უკრაინელები დაასახლეს.

ხელმნო

ხელმნო,ანუ კულმჰოფი,ლოძის მახლობლად,პირ- ველად დაარსდა როგორც მხოლოდ ყლეცის ბანაკი. იქ არ ამუშავებდნენ ხალხს და არ ახაქმებდნენ მათ. იქ ხოცავდნენ დაუყოვნებლივ. მოყვანილებს

ესესის მეთაური გამოუცხადებდა: სამუშაოდ უნდა გაგიყვანოთ,მაგრამ სანამ გზას გაუდგებოდეთ აბანოში უნდა დაიბანოთ და ტანსაცმელი ჩააბაროთ სადეზინფექციოდ. ისინი მიჰყავდათ შენობაში, სადაც ტანზე იხდიდნენ. აქ კედელზე გაკრული იყო განცხადებები და წარწერები: „ექიმისაკენ", „აბანოსაკენ". იქ კი უბრძანებდნენ ებრაელებს, გამოსულიყვნენ შიშველნი ან პერანგის ამარა და შესულიყვნენ ნაცრისფერ მანქანებში, „ზონდერვაგენში". ყოველ მანქანაში 80-100 ადგილი იყო და ისინი მიჰყავდათ „აბანოსაკენ". კარების დახურვისთანავე იწყებოდა სხვანაირი ბანაობა. ჩაირთვებოდა მოტორი და გამვებული გაზი წამლავდა ყველა მსხვერპლს. როცა შიგნით ყვირილის ხმა ჩაწყდებოდა, მანქანა მიდიოდა მახლობელი ტყისაკენ და „ვალდკომანდოს" მონა ებრაელები ცლიდნენ მანქანებს გვამებისაგან. კბილების დაძრობისა და ბეჭდების წაგლეჯის შემდეგ მათ ყრიდნენ მომზადებულ ორმოებში. „ვალდკომანდის" მუშები ფეხებშებორკილნი მუშაობდნენ. მათაც ხოცავდნენ თანდათანობით და მოყვანილებიდან არჩევდნენ ახლებს.

ხელმონში ჟლეტა დაიწყეს 1941 წელს. რამდენიმე თვის შემდეგ იქაც ააშენეს კრემატორიუმები გვამების დასაწვავად. ფერფლი გაჰქონდათ და ძვლების დაფქვის შემდეგ ფლავდნენ ორმოებში ან ყრიდნენ მდინარეში.

1943 წლის აპრილში ჟლეტის ბანაკმა მოქმედება შეწყვიტა და კრემატორიუმები ააფეთქეს. მაგრამ ერთი წლის შემდეგ აღმოჩნდა,რომ საქმე არ

დამთავრებულა და ბანაკი აღადგინეს და კრემატორიუმები ხელახლა ააშენეს. ისევ ძველებურად მუშაობდნენ: ხოცავდნენ გაზით და გვამებს წვავდნენ. რამდენიმე თვის შემდეგ მორჩნენ ხოცვას და მყლეტავებმა დაშალეს ბანაკი,წაშალეს მკვლელობის კვალი და დაიწყეს მონა-მუშათა - გვამების დამწველთა მოსპობა. ამ მუშებს ახლა უკვე „ზონდერკომანდოს" ეძახდნენ. ზოგმა მათგანმა წინააღმდეგობა გაუწია და ორმა გაქცევა მოახერხა. და აი,ოთხად-ოთხი კაციდან,რომლებიც გადაურჩნენ ამ სიკვდილის ბანაკს,ეს ორნი დარჩნენ ცოცხლები,რათა მსოფლიოს მოეთხრონ ამაზრზენი ამბავი.

ხელმონში,ფრთხილი ვარაუდით,ამოყლიტეს 340.000-მდე ებრაელი,ძირითადად ლოძის,პოზნანისა და ვარშავის რაიონებიდან. მაგრამ ლოძის გეტოში ნამყოფი გერმანელი,ავსტრიელი,ფრანგი, ლუქსემბურგელი და ჰოლანდიელი ებრაელებიც.

აქაც ართმევდნენ ქონებასა და ტანსაცმელს. 1943 წლის 9 იანვარს „გერმანელი ხალხის საზა მთრო დახმარების ორგანიზაციამ" ლოძის გეტოს გერმანელ მმართველებს მისწერა,რომ ხელმონიდან გამოგზავნილი ტანისამოსიდან რამდენიმე არ იყო სათანადოდ გაწმენდილი,ხოლო ერთი პალტოდან,შეხეთ საშინელებას,სამარცხვინო ნიშანი არ მოუშორებიათ. რამდენადაც ეს ტანსაცმელი გამიზნულია გერმანული კოლონიების მცხოვრებთათვის,აუტანელია ასეთი დაუდევრობა,რაც თავლაფს ასხამს საზამთრო დახმარების ორგანიზაციას.

# სობიბორი

სობიბორიც ჟლეტის ბანაკი იყო. იგი ააშენეს ლიუბლინის რაიონში 1942 წლის დასაწყისში. პოლონელმა გამომძიებლებმა განთავისუფლების შემდეგ აქაც აღმოაჩინეს ადამიანის ფერფლის,ძვლებისა და ქონის გორები. აქაც იყო გაზის კამერები და გვამების დანადგარები. მოისმენთ ჩვენებებს,თუ როგორ შეურაცხყოფდნენ ჯალათები თავიანთ მსხვერპლს მოკვლის წინ. წყალს რომ მოითხოვდნენ,საზოგადოებრივ საპირფარეშოებში მიჰყავდათ და განავალში სვრიდნენ. აქაც მოისმენთ როგორ უსისიანებდნენ ძაღლებს,რომლებიც ნაფლეთებად აქცევდნენ ადამიანებს და დამხჯელ ამოკითხვაზე მათ უბრძანებდნენ მწკრივებს შორის გაევლოთ,რათა ამ ბედკრულთ ესესელი და უკრაინელი მცველების როზგები ეწვნიათ.

აქ ხალხი მოჰყავდათ დიდი პარტიებად და პოლონეთის ხელისუფალთა შეფასებით სობიბორში მოსპეს სულ მცირე მეოთხედი მილიონი ებრაელი.

აქაც აშიშვლებდნენ ქალებსა და კაცებს და გრძელ რიგებად მიჰყავდათ გაზის კამერებისაკენ. მოხუცებსა და ბავშვებს აქაც ცალკე ხვრეტდნენ, რათა „ხელი არ შეეშალათ" გაზის კამერებისაკენ მიმავლებისათვის.

სობიბორი იქცა პოლონელი,ჩეხი,ავსტრიელი,ფრანგი ებრაელების სასაფლაოდ. აქაც ძარცვავდნენ,აძრობდნენ კბილებს,კრეჭდნენ თმებს.

სობიბორმაც იხილა დამონებულთა ჯანყი. 1943 წლის ოქტომბერში ამბოხდა ბანაკში დასაქმებული

რამდენიმე ებრაელი. მათ მოახერხეს იარაღის ხელში ჩაგდება,დახოცეს რამდენიმე ესესელი და რამდენიმე ასეული პატიმარი გაიქცა ტყეებისაკენ. აჯანყების შემდეგ ნაცისტებმა მოსპეს ბანაკი. შენობები ააფეთქეს და გერმანელებმა ტყე დარგეს მათ მსხვერპლთა საფლავებზე.

### ბელზეცი

ბელზეცში – ლიუბლიანასა და ლვოვს შორის გზის მახლობლად – ყლეცის ბანაკი ააგეს 1941 წლის თებერვლის ბოლოს. აქ გადმოიყვანეს ლიუბლინისა და მახლობელ ადგილთა,აღმოსავლეთ და დასავლეთ პოლონეთის ებრაელები. აქ ჩახოცეს გალიციის ებრაელობა. და ბევრი სხვაც მრავალი ქვეყნის ებრაელთა შორის.

ეშელონი რომ ბელზეცს მიაღწევდა,როგორც სხვაგან,აქაც ბევრი დეპორტირებული მკვდარი ეგდო ვაგონში. ისინი იხოცებოდნენ გზაზე წყურვილისა და გამოფიტვისაგან. ეშელონები 10-60 ვაგონისაგან შედგებოდა. აღვწერ ერთ ასეთ ეშელონს,ლვოვიდან რომ მოიყვანა 6.700 კაცი.ესესელები და მათი თანაშემწე უკრაინელები უკვე ელოდებიან სადგურზე.

აი აღწერაც! ვაგონების კარები იხსნება და ხალხს მათრახების ცემით უბრძანებენ ჩამოვიდნენ ვაგონებიდან. რეპროდუქტორით განკარგულებებს იძლევიან. ყველას ებრძანა ჩააბაროს ნივთები და ტანსაცმელი,ყავარჯნებიცა და სათვალეებიც... ყველა ძვირფასი ნივთი და ფული ბა-

რდება „ძვირფასეულობის" სარკმელში... ქალები და ქალიშვილები ამის შემდეგ ხვდებიან პარიკ-მახერთან,რომელიც მაკრატლის ორი გადასმით კ-რეჭს თმას და ამ თმას ყრიან კარტოფილის ტომ-რებში... ამის შემდეგ იწყება მსვლელობა. მარჯვნივ და მარცხნივ ეკლიანი მავთულხლართებია, უკან კი ათობით უკრაინელი მცველი თოფებით... კაცები,ქალები,ქალიშვილები,ბავშვები,ძუძუმწოვრები,უფეხოები, - ყველანი დედიშობილა მიდი-ან ბრბოდ. კუთხეში,შენობაში შესასვლელთან დ-გას ესესელი და ქლესა ხმით აცხადებს: „არაფ-ერი ცუდი არ მოგივათ. ოღონდ ისუნთქეთ ღრმად, ეს ამაგრებს ფილტვებს. ინალაცია საჭიროა დე-ზინფექციისათვის". მას ეკითხებიან,რა მოუვათ ქალებს,და იგიც პასუხობს,რომ კაცები,რა თქმა უნდა იმუშავებენ გზებისა და სახლების მშენე-ბლობაზე,ქალები არ იმუშავებენ,ხოლო თუკი მოისურვებენ შეუძლიათ სამზარეულოში და საოჯახო საქმეებში წაუკრან ხელი... რამდენიმეს გულში იღვიძებს იმედის ნასახი,რაც საკმარისი ხდება იმისათვის,რომ უდრტვინველად გააგრძელონ გზა გაზის კამერებისაკენ. უმრავლესობამ დანამდვილებით იცის რაც ელით. საშინელი,მძორის სუნი აშკარას ხდის ყველაფერს. ადიან პატარა კიბეებზე და თვალში ეცემათ სინამდვილე. თავზარდა-ცემული შიშველი დედები მკერდში იკრავენ პატარებს,შიშვლები არიან ყველა ასაკის ბავშვები. ყოყმანობენ,მაგრამ წინ მიიწევენ სასიკვდილო საკნებისაკენ,უმრავლესობა ხმას არ იღებს. წ-ინ მდგომთ უბიძგებენ,ესესელები მათრახებით ც

ემით აჩქარებენ. ორმოციოდე წლის ქალი წყევლის მკვლელთა უფროსს და ეუბნება,ჩემი შვილის სისხლი არ გაგახარებსო. ესესის ოფიცერი ვირტი კადრულობს და პირადად ხუთჯერ არტყამს ქალს მათრახს სახეზე. ქალი უჩინარდება გაზის კამერაში. ბევრი ლოცულობს... ესესელები კამერებში ტენიან ხალხს. „კარგად გაავსე",ბრძანებს ვირტი. შიშველი ხალხი ერთმანეთს ადგას ფეხებზე. 700 - 800 კაცი 25 კვადრატულ მეტრ ოთახში. კარები იგმანება. სხვები გარეთ იცდიან შიშვლები... ზამთარში შიშველი დგანან... მაგრამ დიზელი არ მუშაობს... გადის 50,70 წუთი ... სასიკვდილო საკანში გამომწყვდეულნი დგანან. ისმის მათი მოთქმა. „ზუსტად ისე,სინაგოგაში რომ იციან",ამბობს ესესის შტურმბანფიურერი,პროფესორი პფენშტილი,რომელიც ჰიგიენის ლექციებს კითხულობს მარბურგის უნივერსიტეტში. მხოლოდ 2 საათისა და 49 წუთის შემდეგ იწყებს დიზელი მუშაობას.გადის 25 წუთი. ბევრი  უკვე მოკვდა. ამას უყურებენ პატარა სათვალთვალოდან. 28 წუთის შემდეგ მხოლოდ ერეთეულები-და არიან ცოცხლები. 32 წუთის შემდეგ ყველა უკვე მკვდარია... მეორე მხარეს ებრაელი მუშები ალებენ კარებს,.. მკვდრები გაშეშებულები დგანან ფეხზე,რადგან წასაქცევი ადგილი არ იყო. სიკვდილის დროსაც ერთად მდგარან ოჯახები. ეს ჩანს იქიდან,თუ როგორ მიკვრიან ერთმანეთს,როგორ ჩაუჭდვიათ ხელები ერთმანეთისათვის. ძლივს-ძლივობით ხერხდება გვამების ერთმანეთისაგან დაშორება, ახალი ტვირთვისათვის რომ გან-

თავისუფლდეს ადგილი. ისვრიან ჩალურჯებულ,ოფლითა და შარდით დასველებულ გვამებს. მათ შორისაა ძუძუმწოვრებიც,ბავშვებიც,მაგრამ არავის სცალია მათთვის. ოცზე მეტი მუშა დასტრიალებს მიცვალებულებს,რომლებსაც რკინის კაუჭით უღებენ პირს. ბრძანება ასეთია: „ოქროს კბილები - მარცხნივ,ოქროს გარეშე - მარჯვნივ". ს სხვები მიცვალებულთა ინტიმურ ადგილებს სინჯავენ - ოქრო და ბრილიანტი ხომ არაა დამალული

ვირტი მიუთითებს კონსერვის სავსე ქილაზე და ამბობს: „აიღე და ნახე რამდენი ოქროა"...

ასე კეთდებოდა ბელზეცში და სხვა ადგილებშიც. გაზის კამერების კარებზე წარწერილი იყო: აქაა აბანო და სადიზენფექციო საშუალებანი.

1943 წელს გერმანელებმა შეწყვიტეს ბელზეცის ბანაკის მოქმედება და აქაც დაიწყეს დანა მაულობათა კვალის წაშლა. მანამდე კი გვამები ამოყარეს საფლავებიდან და დაწვეს კოცონებზე. კვალის წამშლელი ბრიგადებიდან ცოცხლად დარჩე ნილი ებრაელები მოსასპობად გააგზავნეს სობიბორში. ესესის რაზმი კი იუგოსლავიაში,პარტიზანებთან საომრად.

ნაცისტურმა ურჩხულმა ბელცში ჩაყლაპა 600.000-ზე მეტი ებრაელი მსხვერპლი.

ოსვენციმი -

სიკვდილის ფაბრიკა

ახლა კი გადავიდეთ ჟლეტის ყველაზე დიდ

და ყველაზე საშინელ ბანაკზე - ოსვენციმზე,ამ ხიკვლილის კომბინატზე,რომელიც კატოვიცის ი სტრიაში ალიზექცება სიზილტისა და თავლაფის დასხმის სიმბილილ. ოსვენციმი - გერმანულად ა უშვიცი პატარა დაბაა კრაკოვის დასავლეთით.ეს არის ღვთისაგან მივიწყებული პატარა ადგილი, ჭაობებისა და ქვიშიანი ბორცვების,ნისლისა და ნესტის, ციებ-ცხელებისა და ღურლოს ადგილი.რ-ოცა ამ ბანაკს აშენებდნენ იქ,ნათლად ესმოდათ, რომ ეს იქნება ადამიანთა სასაკლაო. ესესელ დ ამცველთა რაზმს გამოუცხადეს,რომ აქაური წყლ-ის პირში გამოვლებაც კი არ შეიძლება ადუღებ-ის გარეშე. ეს გრანდიოზული საკონცენტრაციო ბ ანაკი მოიცავდა 39 უბანს,რომელთა შორისაც ი-ყო ქვე-ბანაკები,გარეშე ბანაკები,შრომის ბა-ნაკები,თანმხლებიბანაკები. 1941 წლის ბოლოს ოსვენციმში იყო 18.000 კაცის ადგილი,1943 წ-ელს - უკვე 30.000 კაცისა. მაგრამ აქ ამოყლი ცეს,ბანაკის კომენდანტის რუდოლფ ჰესის თავლა პირველი ალიარებით,2,5 მილიონი კაცი,ხოლო ნ-ახევარ მილიონამდე დაიხოცა ავადმყოფობით,ში-მშილითა და წამებით. აქ მარტო ებრაელები რო-დი მოჰყავდათ. იყვნენ სხვა მრავალიც,რომელთა შრომით წამება და დახოცვა გადაწყვიტა ბოროტ-მა რეჟიმმა. იყვნენ ათასობით საბჭოთა სამხე-დრო ტყვეები,ბოშები,რეჟიმის მოწინააღმდეგენი სხვა ქვეყნებიდან. ასეთები იყვნენ რამდენიმე ათეულ ათასი. ხოლო ებრაელები მოჰყავდათ მილი ონობით.

ბანაკსა და მის ფილიალს - ბირკენაუს გარ-

შემორტყმული ჰქონდა 4 მეტრის სიმაღლის ეკლიანი მავთულხლართის ღობე. მავთულებში მაღალი ძაბვის დენი გადიოდა. შემხები - კვდებოდა. ღობის გასწვრივ სათვალთვალო კოშკებში ისხდნენ ტყვიამფრქვევმომარჯვებული ესესელი მცველები. ღამღამობით პროჟექტორებით ჩირაღდნებოდა იქაურობა.

ეშელონები სხვადასხვანაირი იყო ზოგჯერ ებრაელები უშუალოდ მოჰყავდათ უზარმაზარ კამერებში მოსასპობად. ზოგჯერაც ახლენდნენ "აქციას": შრომის უნარიანებს აგზავნიდნენ მონათა ბანაკებში,ხოლო სხვებს - სასიკვდილოდ. ამ მონებს ამუშავებდნენ "ი.გ. ფარბენში", კრუპის იარაღის საწარმოებში,რომელთაც აქ "უნიონს" ეძახდნენ,ხელყუმბარის ნაწილების დამზადებაზე და სხვა საწარმოებში,მაღაროებში,ყანებსა და ტყეებში. ბანაკის კომენდატურა წარმოებისაგან ყოველ გადაცემულ მონაზე იღებდა დღეში 6 მარკს,ხოლო მონის შენახვაზე ხარჯავდნენ 30 პფენიგს. პოკვლის წინაც ფულს იგებდნენ ებრაელის ოფლით. მაგრამ სამუშაო სიცოცხლეს პირდებოდათ. ამიტომაც ცდილობდნენ ადამიანები გამოჩენილიყვნენ ჯანმრთელები,წელგამართულები,გამოეჭიმათ გამხმარი მკერდი,ყოფილიყვნენ თავაწეულნი,ისეთი სახე მიეღოთ,თითქოს არაფერი აწუხებთ. არა და დოქტორი მენგელე სელექციის დროს თავის კვერთხს მარცხნივ გაიშვერდა. და ეს გაშვერა ნიშნავდა სიკვდილს. ასეთი სელექციით 15 წუთის განმავლობაში წყდებოდა 500 კაცის ბედისწერა. ვისაც სამუშაოსათვის უვარგისად ჩა

თვლიდნენ,მიჰყავდათ სპეციალურ ადგილას და იქ
ელოდებოდა მოსპობას. თუკი მოსპობას ერთი-ორი
დღე აგვიანდებოდა,საერთოდ არ იწუხებდნენ თავს
ამ საბრალოთა კვებისათვის.

### დეპორტაციას ახდენდა
### აიხმანის უწყება

ებრაელ პატიმართა აღმოჩენილ სარეგისტრაციო
ბარათში ეწერა ვინ გამოაგზავნა ის აქ. ჩვენ წ
არმოგიდგენთ ბარათებს შემდეგი ნიშნით: უშიშრო
ების მთავარი საიმპერიო სამმართველოს IVB4
განყოფილება. ამის ჩვენებასაც მოვისმენთ,რომ
ებრაელთა მიმართ აიხმანი იყო სრული ბატონ-პატ
რონი. მომწამვლელი გაზი მოდიოდა გერმანიის რ-
ამდენიმე საწარმოდან. გადარჩა გაზის ზოგი ან-
გარიში და სასამართლოს წარმოვუდგენთ მათ. თი-
თქოსდა ჩვეულებრივი ანგარიშსწორებაა საქონლი-
სათვის: დანიშნულების ადგილი - ოსვენციმი;სა-
ქონელი - 13 ყუთი "ციკლონი-ბ",საერთო შემცვე
ლობა - 195 კგ ციანისტური გაზი. ფასი - 975 მ
არკა. ამ ნივთიერების 6 კილოგრამი კმაროდა
1.500 კაცის მოსასპობად. ანგარიშსწორების ერ-
თი ასეთი ფურცელი ნიშნავდა 42.500 ადამიანის
უეჭველ სიკვდილს.

აიხმანი იყო ოსვენციმში. მან ნახა რაც ხდ-
ებოდა იქ. იგი დირიჟორობდა ამ საქმეს. იგი ი-
ძლეოდა ბრძანებებს თუ რომელი ეშელონებით მოყ-
ვანილები მოისპობოდნენ დაუყოვნებლივ და რომლე
ბს შემოინახავდნენ ცოტა ხნით,ძირითადად იმ დ-

როისათვის,როცა დაწერდნენ „დამამშვიდებელ" ღია ბარათებს ტერეზიენშტადტში და სხვა ადგილებში. თვითონვე ზრუნავდა გრანდიოზულ ყაჩაღობაზე,რაც გრძელდებოდა ამ ჯოჯოხეთის კარიბჭესთან. ძარცვა გლეჯამ მიიღო გრანდიოზული სახე. ნაძარცვი ბრილიანტები იყიდებოდა შვეიცარიაში და,აიხმანის თქმით,გავლენას ახდენდა ძვირფასი ქვების ყველა შვეიცარიულ ბირჟაზე. სხვა მონმის ჩვენებით მარტო ნაძარცვი ძვირფასეულობის ფასმა გადააჭარბა 1მილიარდ მარკას. სასიკვდილოდ განწირულთა ნივთების უზარმაზარ საწყობებს აქ „კანადას" ეძახდნენ. იქნებ ეს იყო დამახინჯებული გამოთქმა სიტყვებისა - "keiner" (აქ არავინაა). ამ საწყობებში მუშაობდა ასობით ადამიანი. წარმოგიდგენთ ანგარიშს ამ ნივთების ნაცისტურ გერმანიაში გაგზავნის შესახებ. 47 დღეში - 1. 12. 44 - 15. 1. 45 - ოსვენციმიდან გერმანიაში გაიგზავნა 99.922 საბავშვო ტანსაცმლის კომპლექტი,192.652 ქალის ტანსაცმელი და მამაკაცის 22.269 კოსტუმი. ხოლო შემდეგ რაც ოსვენციმი ხელში ჩაუვარდა საბჭოთა ჯარებს,იქ კიდევ იყო ასეულ ათასობით სხვადასხვა ტანსაცმელი და ტანსაცმლის კომპლექტი,ათეულ ათასობით წყვილი ფეხსაცმელი,პირის საპარსი ფუნჯების,პროტეზების და სათვალეების გრანდიოზული გროვები. გაჩვენებთ ფოტოსურათებს და თქვენი თვალით ნახავთ.

მოკვლა ოსვენციმში

ოსვენციმში ხოცავდნენ ყველა საშუალებით:ტყვიით,სახრჩობელით,ცემით,ძირითადად კი გაზის უზარმაზარ კამერებში. აქაც შევხვდებით წარწერებს: „აბანო და სადეზინფექციო ოთახი". ყოველ ასეთ საკანში უშვებდნენ 2.000 კაცს „შხაპისათვის". ეს „შხაპი" წარმოადგენდა მომწამვლელი გაზის ნაკადს,რასაც თავისი ხელით უშვებდნენ ესესელები. სიკვდილის კომბინატი მოქმედებდა შეუჩერებლივ. 2.000 კაცის მოსპობა გრძელდებოდა 25 წუთს. ამის შესახებ გვამები გადაჰქონდათ ოთხი გიგანტური კრემატორიუმიდან ერთ-ერთში. ხოლო თუ კრემატორიუმებში ადგილი არ იყო,წვავდნენ გარეთ.

აქაც კრეჭდნენ თმებს,აძრობდნენ კბილებს და ბეჭდებს. 40 კაცი მარტო კბილებზე იყო დასაქმებული და ყოველდღე ადუღებდნენ რამდენიმე კილოგრამ ოქროს,ზოგჯერ 12 კილოგრამსაც კი. მსხვერპლთა ნაცარს ჯერ ორმოებში მარხავდნენ,შემდეგ კი ვისლაში ყრიდნენ.

აქ ისე აწარმოებდნენ სამედიცინო დაკვირვებებს ადამიანებზე,როგორც საცდელ ცხოველებზე. ქალებს კვეთდნენ სხვადასხვა ნაწილებს სასქესო ორგანოებიდან ან მათზე ასხივებდნენ რენტგენის სხივებს ისე,რომ საბრალოებს ტკივილებისაგან სახე უმახინჯდებოდათ ჯერ კიდევ სიკვდილამდე. მამაკაცებს საკვერცხეებს ჭრიდნენ,სწავლობდნენ ნავთისა და ბენზინის მოქმედებას ადამიანის კანზე, ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედებას გონებრივი წინააღმდეგობის უნარზე. ოსვენციმთანაა დაკავშირებული აგრეთვე შტრასბურგის ჩო-

ნჩხების კოლექცია,რაც აღმოჩნდა ამ ქალაქში მ
ოკავშირეთა ჯარების მეხვლის შემდეგ. ჩვენ
დავამცკიცებთ, რომ აიხმანის ბრძანებით იხვენ
ციმის 115 პაცომრით „მოამარაგეს" ნაცვეილერ-
ის ბანაკი გერმანიაში,რათა მათი ჩონჩხები ა-
ნთროპოლოგიური გამოკვლევებისათვის გაგზავნო-
და ესესის რასის საკვლევ ინსცოცუცს,რომელმაც
მოითხოვა ებრაელი კომუნისცი-კომისრების თავ-
ისქალები. შემორჩენილია წერილები და წარვუდ-
გენთ სასამართლოს.

ბანაკში მოყვანილი პაცომრები,რომელთა დაუ
ყოვნებლივი მოხპობა არ იყო გათვალისწინებული,
ხვდებოდნენ „კარანცინში". იქ ახდენდნენ პაცი
მართა პირველად სელექციას: მიმმილითა და წა-
მებით. ზოგჯერ კარანცინში იყვნენ ჩამწყვდეუ-
ლნი დღეების და კვირეების განმავლობაში.იქ
აბინავებდნენ ათასობით ადამიანს საჯინიბოებ-
ში. ხშირად ამ საჯინიბოებშიც არ იყო ადგი-
ლი და ადამიანები ეყარნენ გარეთ. თუ ზამთარი
იყო - თოვლსა და ცალახში. ახდენდნენ ამოკით
ხვებს,რომლის დროსაც პაცომრებს უბრძანებდნენ
შეურხევლად მდგარიყვნენ ფეხზე საღამოდან მ
უადღემდე,ემლერათ „კაპუს" მითითებებით,ჩაე-
ცარებინათ შემაზრზენი „ვარჯიშები" ხოხვით,
დგომით ან მიწაზე ბრუნვა-ცრიალით.

სამუშაო დღე შრომის ბანაკში იწყებოდა დი-
ლის 4.30. ბანაკის ორკესცრის ჰანგებზე მიდი-
ოდნენ მუშები სამუშაოდ და ბრუნდებოდნენ საღა
მოთი. არაქათგამოცლილნი და დაჭრილნი თან მო-

ართრევდნენ მცველების მიერ დახოცილ ამხანაგე-
ბს.

ნაცისტებმა ევროპას
მოუტანეს კანიბალიზმი

ოსვენციმის დახჯის მეთოდებს არ დაიწუნებ-
დნენ ისტორიის ყველაზე ბარბაროსი ჯალათები.
შიშველად გაროზგვა შედარებით იოლი სასჯელი ი-
ყო. იქ ყურებში ასხამდნენ წყალს, გლეჯდნენ ფრ
ჩხილებს, აშიმშილებდნენ გაგიჟებამდე. შიმშილ-
მისჯილთა ბუნკერში ერთხელ ნახეს მკვდარი პა-
ციმარი, რომელზეც დამხობილი იყო მეორე პაციმა
რი ესეც მკვდარი. მაგრამ ხანამ მოკვდებოდა
ამ მეორეს მოესწრო პირველისათვის ღვიძლის ა-
მოცლა და სწორედ მაშინ მოუსწრო სიკვდილმა, რ-
ოცა ღვიძლს სჭამდა. ასეთ მოვლენებზე მოვის-
მენთ სხვა ბანაკებიდანაც. ნაცისტების წვლილი
ევროპის კულტურაში იყო კანიბალიზმის დაბრუნე
ბა მე-20 საუკუნეში.

ოსვენციმში შიმშილი ბატონობდა ყველაფერზე.
პაციმრები ილებდნენ ადამიანისათვის საჭირო ს
აკვების მესამედს. ამიტომ განთავისუფლების შ
ემდეგაც იხოცებოდნენ ასოზით გამოფიტვისა
და უჭმელობისაგან.

გერმანელები შეეცადნენ დაეფარათ თავიანთი
ბოროტმოქმედებანი და კიდეც მოესპოთ თავიანთი
ხელით შექმნილი ჯოჯოხეთის სახსენებელი. გვა
მების დაწვა კრემატორიუმში დაიწყეს 1942 წე-
ლს, იმ ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც აის-

მანმა გადასცა ბანაკის კომენდანტს შტანდარტ-ფენფიურერ ბლუბელის საშუალებით. ამის შემდეგ, ბანაკის დაშლის წინ შეცვალეს ადგილთა სახელ-წოდებები. კრემატორიუმები აქციეს ჰაერსაწინ-აალმდეგო თავშესაფრად. მოსპეს გვამების დასაწვავი ღუმელები. ის ბარაკები სადაც პატიმრე-ბს ხოცავდნენ,გადააკეთეს,ვითომდა სამკურნალო კაბინეტად და ლაზარეთებად. ცეცხლს მისცეს დ-ოკუმენტები და დავთრები. ამ მოსპობის პროცე-სში - 1945 წლის დასაწყისში - ერთ ბარაკში გ ამოწვეს იქ მყოფი ყველა ავადმყოფი პატიმარი. დანადგართა ნაწილი ააფეთქეს. დარჩენილი პატი მრები ფეხით გაუყენეს გზას დასავლეთისაკენ. და ეს გადაყვანა ხდებოდა საშინელ პირობებში.

ნაცისტებს სწამდათ,რომ მათი ბოროტმოქმედე ბანი არ გამჟღავნდებოდა და მათი საიდუმლოება საიდუმლოდ დარჩებოდა. მაგრამ ამ საზიზღრობათა საიდუმლოება გაიხსნა და ჩვენ ვალად გვაკისრია აღვასრულოთ უცნობი პოეტი ქალის ანდერძი,ოსვ-ენციმში სასიკვდილოდ გაყვანის წინ რომ წერდა:

უიმედობით გაწირული დატყვევებულა
სიმწარით ვლავს,
დანგრეულ სახლში დაბრუნებას ვერ ეღირსება
ვერც ერთი ჩვენგან;
მორწყულია ჩვენი ფერფლით დამსხვრეული
ღუქების ფერდით,
უკვალოდ ქრება და აღარ აქვს
სიცოცხლის ეშხი.

მაგრამ ქარიშხალი მოელის
ეს ფერფლი იფეთქებს
ძვალი ძვალს ჩაეკვრის; ჩაეკვრის
მებრძოლთა რიგებს.
ვიცხვით, თუ იცნობ?! –
მსხვერპლნი ვართ, მსაჯულნი
და პასუხს მოვითხოვთ
ყველაფრა ჩვენსაგან.

## X. ებრაული სამყარო რომელიც გაქრა

ევროპის ებრაელთა ადგილი
მხოფლიო კულტურაში

ვის დააწყდა თავზე საზარელ ურჩხულთა მიერ მოწყობილი ეს ხოცვა-ჟლეტა?

ჩვენ დავამტკიცებთ,რომ ებრაელმა ხალხმა დაკარგა მილიონობით თავისი შვილი; შეიძლება დამაჯერებლად ითქვას - ექვსი მილიონი. ეს არ იყო ერის მესამედზე მეტის უბრალოდ ამოჟლეტა. ეს იყო ერის იმ ნაწილების მოსპობა,რომელნიც თავიანთი ეროვნული ხელისკვეთებითა და შეგნებით, შემოქმედებითი უნარით,კულტურული და სულიერი საგანძურით,ებრაელი ხალხისა და მის სულიერ ფასეულობათა ერთგულებით წარმოადგენდა თვით ერის უმრავლესობას. ნაცისტების რწმენა - თუ მოვახხერხებთ ამ ებრაელობის მოსპობას,მთელ ებრაელობას დავამარცხებთ,მოკლებული როდი იყო საფუძვლს. მაგრამ ჯალათის ეს ვერაგული განზრახვა არ ასრულდა,რადგან ზენაარსმა წყალობა ინება და გადაარჩინა ოკეანეს გაღმა მყოფი ებრაელობა,ერეც-ისრაელის ებრაული დასახლება და ცეცხლისაგან იხსნა ასიათასობით ებრაელი,რომლებიც სამშობლოს დაუბრუნდნენ ახალი ცხოვრების შესაქმნელად.

ევროპაში მოსპობილ იქნა ერი,რომელიც ცხოვრობდა იქ ახალი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნი-

დან და წარმოადგენდა ევროპული ყოფის ნაწილს. ამ ერზე წერდა ისტორიკოსი ა. ლ. ფიშერი თავისი წიგნის "ევროპის ისტორიის" შესავალში:

"როდესაც ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში ამობრწყინდა რელიგიური შემწყნარებლობის მზე,ებრაელობას მიენიჭა მოქალაქეობრივი უფლებები. ასეთი მასპინძლობისათვის ებრაელებმა ძალზე გულუხვად გადაიხადეს სამაგიერო ხელოვნებასა, მეცნიერებასა და ლიტერატურაში შეტანილი წვლილით".

ამ საუკუნის პირველ ნახევარში ნობელის პრემიით დაჯილდოებულ 257 ადამიანს შორის 34 იყო ებრაელი,მათ შორის 12 - ნაცისტების მიერ გაძევებული. აქ არ ჩამოვთვლი იმ ქვეყნების ყველა დიდ ებრაელს,რომლებსაც ჰიტლერი წაეპოტინა.საკმარისია მოვიხსენიოთ ისეთი გენიოსები,როგორებიც იყვნენ ალბერტ აინშტაინი და ზიგმუნდ ფროიდი; ისეთი ქიმიკოსები,როგორიცაა ფრიც ჰაბერი, ფილოსოფოსი ჰენრი ბერგსონი,ბიოლოგები პაულ ერლიხი,მეჩნიკოვი,რომელიც აგრეთვე იყო ებრაელი თავისი წარმოშობით,ანდა ფიზიკოსი ნილს ბორი, ფიზიოლოგები ოტო ვარბურგი და ერნესტ ბორის ხენი,მოაზროვნე მარტინ ბუბერი,იურისტები ლაურტერფახტი,ბრანდეისი და კელზენი,მწერლები ემილ ლუდვიგი,სტეფან ცვაიგი,ფრანც კაფკა,ფრანც ვერფელი,იაკობ ვასერმანი,მაქს ბროდი,ლიონ ფოიხტვანგერი,მოქანდაკეები და მხატვრები ანტოკოლსკი,შაგალი,მოდილიანი და მაქს ლიბერმანი,სცენის ოსტატი ბრაინჰარტი,მუსიკოსები ჰუბერმანი და რუბინშტეინი; საკმარისია მოვიხსენიოთ ესე-

ნი,სხვა ასეულთა გვერდით,რომ ნაწილობრივ გამოვსახოთ ის წვლილი,რაც ევროპის ებრაელობამ შეიტანა მსოფლიო კულტურაში თუნდაც უკანასკნელი წლების განმავლობაში.

## ებრაელობა გერმანიაში
## ისტორიულ ჭრილში

ებრაელებისა და გერმანიის ურთიერთობა წარმოადგენს ტრაგიკულ თავს კაცობრიობის ისტორიაში. ვინც ბერფელის "ცრემლთა წიგნში" ჩაიხედავს,დარწმუნდება,რომ გერმანია იყო ის ქვეყანა,სადაც ებრაელს ყველაზე მეტი გაჭირვება ადგა. და მაინც ისრაელი გერმანიას ეტმასნებოდა ყველაზე მეტი კრძალვით: თავისი სასაუბრო ენა,იდიში,შექმნა გერმანული ენის მიხედვით და ეს ენა წარიტანა გაფანტულობის ყველა ქვეყანაში,პოლონეთში,რუსეთში და ოკეანეს გაღმაც კი. გერმანულ ენაზე შეიქმნა ჰერცელის კლასიკური სიონისტური ნაწარმოებები,ამ ენაზე ლაპარაკობდნენ სიონისტურ კონგრესებზე,ამ ენაზე დაიწერა ებრაული ისტორიისა და აზროვნების დიდებული ქმნილებები. ებრაელები დამკვიდრნენ სხვა ევროპულ ქვეყნებშიც და იქაც დაიკავეს საპატიო ადგილები. მაგრამ ბოლო თაობების მანძილზე მათ არც ერთ ადგილას არ გამოუვლენიათ ისეთი ერთგულება და აღგზნება,როგორც გერმანიაში.კარლ მარქსმა და ფერდინანდ ლასალმა შექმნეს გერმანული სოციალიზმი,რომელიც მოედო მთელ მსოფლიოს. მათმა მოწაფემ ედუარდ ბერნშტეინმა შ-

შექმნა რეფორმისტული სოციალიზმი.

როცა პირველი მსოფლიო ომი ატყდა, გერმანელმა ებრაელებმა პატრიოტული ენთუზიაზმით მიაშურეს ბრძოლის ველებს. მხცოვანი ფილოსოფოსი ჰერმან კოენი მოშორდა უნივერსიტეტის კათედრას და მოუწოდებდა გერმანიისათვის გაელოთ ყველაფერი. ფრიც ჰაბერი მთელი გულით ჩაერთო გერმანიის ქიმიურ ღონისძიებათა გატარებაში და აღმოაჩინა ამონიუმის სინთეზი, რაც დაეხმარა გერმანიის სამხედრო მრეწველობას. გერმანიის ებრაელობა ამაყობდა ყოველი ჯარისკაცითა და ოფიცრით, რომელიც წარჩინების ნიშნით ჯილდოვდებოდა. დამარცხების შემდეგ ებრაელები ჩაებნენ აღმშენებლობით მუშაობაში. ვალტერ რატენაუ იყო გერმანიის ჯერ ეკონომიკის, ხოლო შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრი და დიდი წვლილი შეიტანა სახელმწიფოს აღორძინებაში. მინაგან საქმეთა მინისტრმა - ებრაელმა ოტო ფროისმა მოამზადა ვაიმარის კონსტიტუციის, ევროპის ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული კონსტიტუციის პროექტი. მაგრამ ყველაფერმა ამან მხოლოდ გაამწარა ნაცისტები. რატენაუ ნაციონალისტ-შეთქმულთა მსხვერპლი გახდა. ნაცისტებმა დაგმეს ებრაელთა მიერ გერმანიის ცხოვრებაში შეტანილი წვლილი, როგორც სარეველა, რომელიც ძირფესვიანად უნდა მოით ხაროს. ეს გადაიქცა წასისიანების პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიზნად.

ევროპის ებრაელობა -

ერის გული

ებრაელობისათვის კატასტროფამდელი ევროპის ებრაელობა წარმოადგენდა მთელი ერის გულს. იქ იყო მისი სასიცოცხლო ელექსირი. ებრაელობის დიდი მოაზროვნეები და წინამძღოლები იქიდან იყვნენ გამოსულნი. იქ იყნენ თორის მესაჭეები, ვილნიუსელი პაგაონ - რაბი ელიაუს მემკვიდრეები ასწავლიდნენ ვოლოჟინის სახელმოხვეჭილ იეშივაში; ევროპაში - კაუნასის გარეუბანში აგრძელებდა ლიტვური განსწავლულობის ტრადიციებს რაბი იცხაკ ელხანანის ხულისკვეთებით ხლობოდკას იეშივა; ევროპიდან მოვიდნენ რაბი კუკი და „ხაფეც-ხაიმი",იქ წარმოიშვნენ ისრაელის სახელმწიფოს წინასწარმეტყველნი,ებრაული ეროვნულობის ლიდერები,ერის ბელადები,მოაზროვნეები და მწერლები. ეს იყო ებრაელობა,რომელმაც ბოლო თაობებში წარმოშვა პერეცი და ნორდაუ,ახად-ჰაამი და პინსკერი,ბიალიკი,ჩერნიხოვსკი,შალომ-ალეიხემი და შნეური,ვაიცმანი, ბენ-გურიონი და ჟაბოტინსკი; ამ ებრაელობიდან გამოვიდნენ პიონერები,რომლებმაც გზები გაკვალეს ერეც-ისრაელისაკენ,პირველი და მეორე ამოსვლათა მონაწილენი, ისრაელის სახელმწიფოს ფუძემდებლები,იქიდან მოვიდნენ მეოცნებენი და მეომარნი, ახალი ებრაელის ყოფაცხოვრების ფორმათა,აზროვნებისა და ტიპის შემქმნელები,ისეთები,როგორნიც იყვნენ ა.დ. გორდონი,ბერლ კაცნელსონი,კურტ ბლუმენფელდი,შემარიაუ ლევინი და სხვანი მრავალნი.

მოვიხსენიე მხოლოდ ზოგი პიროვნება. უეჭველია,ბევრზე ბევრი ისეთი გამოვტოვე,მოხსენიე-

ზის ღირსნი რომ არიან,მაგრამ ეს არ გამიკე-
თებია,ღმერთმა დამიფაროს,უპატივცემლობის გა-
მო.

მოისპო მილიონები,ისრაელის სახელმწიფოს აღდგენას რომ ელოდებოდნენ და ვერ მოესწრნენ კი. ამოჟლეტილთა თაობაში ორ მსოფლიო ომს შორის დაიბადა ებრაული ახალგაზრდობის საუცხოო მოძრაობა,რომელიც გამსჭვალული იყო ეროვნული და სოციალური იდეალებით,ხოლო ამ მოძრაობის წევრები იყვნენ რწმენისა და აღმაფრენის ანთებული ჩირაღდნები,წმინდა გულისანი და წმინდა სულისანი,რომელნიც სიონით სულდგმულობდნენ.

## ებრაელობის გამქრალი კერები

აღიგვნენ უძველესი ჯამაათები,რომელთაგან მხოლოდ ზოგიერთებს მოვიხსენიებ სანიმუშოდ: ბრწყინვალე ამსტერდამი,სამალავი და თავშესაფარი ესპანეთის ინკვიზიციის მიერ დევნილებისა; იქ ცხოვრობდა რაბი მენაშე ბენ-ისრაელი,იქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბარუხ სპინოზა; დაილუპა პრაღის ათასწლოვანი ჯამაათი,თავისი ბრწყინვალე სალოცავებით,ჯამაათი,რომელმაც წარმოშვა მაჰარალი და „იეჰუდაში ცნობილის" ავტორი; გაიჟლიტა ბერლინის მრავალრიცხოვანი ჯამაათი,მოშე მენდელსონისა და აზრიელ ჰილდსაიმერის ქალაქის ჯამაათი; ამოწყდა ვენის ჯამაათი; ათ საუკუნეზე მეტს რომ ითვლიდა; ჯამაათი ქალაქისა,სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თეოდორ ჰერცლი;გაქ-

რნენ,აღარ არის ისრაელის დიდებული ცენტრები პოლონეთში და მათ შორის პოლონეთის ებრაელობის გულის - ვარშავის გვირგვინოსანი ჯამაათი,რომელმაც შეიწოვა ებრაული და ზოგადსაკაცობრიო კულტურა, ჯამაათი ქალაქისა,სადაც წარმოიშვნენ ი. ლ. პერეცი,ნახუმ სოკოლოვი და დავიდ ფრიშმანი. მიწამ შთანთქა ლვოვის ებრაელობა,თორისა და განათლების ბრწყინვალე კერა,ებრაული აზრლისა და ისრაელის სიყვარულის ცენტრი,ხალხის მოძღვართა და ბელადთა აკვანი, "ოქროს სვეტების' ავტორისა და მ. ი. რაპოპორტისა. მისი უძველესი სასაფლაო - ებრაული ისტორიის მატიანეც კი წაიბილწა,დაიქცა და აღარ არსებობს. გაისრისა ლოძის ჯამაათი,მრეწველობისა და ხელოსნობის,ებრაული ოსტატობისა და მდიდარი კულტურის ჯამაათი; აღიგავა,მოისპო ჯამაათი ვილნიუსისა, "ლიტვის იერუსალიმისა",ქალაქი პაგაონ-რაბი ელიაუსი,ქალაქი თორისა,სიბრძნისა და განსწავლულობისა,რომელზეც ებრაელმა პოეტმა თქვა: "ქალაქი სულისა და სიწმინდისა,ჩაფლული ფიქრსა და განსჯაში". იქ გამოიცა შ ა ს ი - დიასპორის ებრაელობისათვის სახელგანთქმული თალმუდის უნიკალური გამოცემა. დაიღუპა ჯამაათი კრაკოვისა, ქალაქი განათლებისა და მეცნიერებისა,რომლის ებრაელობამაც ერთმანეთს შეურწყა აღმოსავლეთი და დასავლეთი, - მოშე ისრელესისა და საუცხოო კულტურული ტრადიციების ქალაქი. აღარა გყავს ჯამაათი კაუნასისა,სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა რაბი ისრაელ სანტო; მოსპეს ებრაელობა ოდესისა - ბიალიკის,მენდელე - მოხერ სფარიმ-

ხა და ახად-პაამის სულიერი საზრდოს ქალაქი. მოისპო კიევის ებრაელობა - სალი კლდესავით რომ იდგა ბეილისის პროცესზე. დაიღუპა სალონიკის ჯამაათი, იქ რომ ცხოვრობდა ორი ათასზე მეტი წლის განმავლობაში, ჯამაათი პორტუგალიისა და ესპანეთის ჯოჯოხეთიდან ლტოლვილებისა, სადაც თორაში ღრმად განსწავლულთა გვერდით იზრდებოდა მკლავლონიერი და დევგმირი ებრაელობაც. ეს იყო ჯამაათი მოშე ალმოზნინისა და ინკვიზიციას გამოქცეული გაქრისტიანებული ებრაელობისა. აღიგავა პირისაგან მიწისა ებრაელობა ბრატისლავისა ანუ პრესბურგისა, რომელიც თავგამოდებით იცავდა თორასა და ებრაულ წესებს. აქ ცხოვრობდა ხათამ სოფერი. მოისპო ებრაელობა ბუდაპეშტისა, სადაც ისინი ალბათ მადიართა მისვლამდეც ცხოვრობდნენ იქ. ეს იყო ებრაელი ხალხის გამოჩენილ მოღვაწეთა სამშობლო.

მოისპო აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის ებრაული დაბა „შტეტელი", რომელიც განადიდა შალომ ემმა. ასეულ ათასობით ებრაელი ცხოვრობდა ამ დაბებში და ყოველ მათგანში იყო ებრაული სასწავლებელი და ღამის გასათევი მგზავრებისათვის; ეს იყო წყარო განსწავლულობისა და ისრაელისადმი სიყვარულისა. მან შემოინახა და მოიტანა ებრაული სული ბოლო თაობამდე. ეს დაბა პატარა, რიკულის ბალკონიან სახლებში ინარჩუნებდა ოჯახის ტრადიციებს, რომლებსაც ვერას აკლებდა ათასი გრიგალი და ქარიშხალი, აღვივებდა თორის, ტრადიციისა და მაშიახის მოლოდინის ნაკვერჩხლებს. აი, ეს დაბა აღარა გვაქვს.

დაიღუპა სპეციფიკური ყოფა-ცხოვრების,ელფერისა და რწმენის ცივილიზაცია.

წარიხოცა ებრაული ისტორიის ნიშანსვეტები: მახვილი ემგერა ისრაელი ერის გულს. ადოლფ აიხმანმა იცოდა,რა მზაკვრობაც განიზრახა: თუ მოვახერხე ამ ებრაელობის მოსპობა,მთლიანად მოვსპობ, მთელ ებრაელობასო.დანარჩენები ან თვითონ მოსპობენ ან სხვა ხალხებში გაითქვიფებიანო,იმედოვნებდა იგი.

მწყალობელმა მოწყალე თვალით გადმოხედა ისრაელს და შემოუტოვა ნაშთი. აიხმანის ჩანაფიქრი განიფრქვა და გადაწყვეტილება ბოლომდე არ აღსრულდა.

## XI. ბრალდებანი და სამხილები

აიხმანს ბრალი ედება საბრალდებო დასკვნაში ჩამოთვლილ დამნაშავეობათა თაოსნობაში,დაგეგმვაში,ორგანიზაციასა და განხორციელებაში. ჩვენ დავამტკიცებთ მის დანაშაულს,რომ იგი იყო დამგეგმავი,ინიციატორი,ორგანიზატორი და განმახორციელებელი ბოროტმოქმედებისა,რასაც ეწოდებოდა „ებრაული პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა",ჩვენ დავამტკიცებთ,რომ მას უშუალო წილი ედო ამ დანაშაულებრივი განაზრახის შესრულებაში,რომ იგი მონაწილეობდა ამ ოპერაციის განხორციელებაში, როგორც ხელმძღვანელი, წამმართველი და მეთაური; რომ იგი იყო თანამონაწილე და დამხმარე ამ გეგმის განხორციელებაში და ამას აკეთებდა სხვების საშუალებით. იგი იყო დედაბოძი ებრაე-

ლი ხალხის მთლიანად თუ ნაწილობრივ გასაჟლეტად შექმნილი ბანდისა; რომ იგი იყო თანამონაწილე ესესელთა,უშიშროების სამსახურის,გესტაპოს და მათ შორის "აინზაცგრუპენის" მუშაკთა,უშიშრობის პოლიციის უფროსთა,ესესისა და პოლიციის მაღალი რანგის ოფიცერთა,მათ ემისართა და წარმომადგენელთა,ხელქვეითთა და მათი ნების აღმასრულებელთა მიერ ჩადენილი დამნაშავეობისა,თანამონაწილე მკვლელობათა,ძარცვათა,წამებათა და დევნათა ყოველ საქმეში,რომლებიც ჩამოთვლილია საბრალდებლო დასკვნაში. ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ყველაფერი ეს აიხმანმა გააკეთა იმ მიზნით, რათა მთლიანად ან ნაწილობრივ მოესპო ებრაელი ხალხი.

ჩვენ დავამტკიცებთ,რომ მისი მოქმედებანი წარმოადგენენ დანაშაულებრიობებს ებრაელი ხალხის მიმართ,დანაშაულებრიობებს ადამიანურობის მიმართ და სამხედრო დამნაშავეობას,როგორც განსაზღვრულია საბრალდებლო დასკვნაში.

ჩვენ დავამტკიცებთ ბრალდებაში მიცემულის დამნაშავეობასაც,მან რომ ჩაიდინა სხვა ეროვნების პირთა მიმართ.

ბრალდებათა დასასაბუთებლად მოვიტანთ მრავალრიცხოვან წერილობით და სიტყვიერ სამხილს. ახლავე უნდა ვთქვა,რომ გესტაპოს ცენტრალური არქივი და მათ შორის აიხმანის განყოფილების არქივიც,ჩვენს განკარგულებაში არ იმყოფება და საჯაროდ ჯერ არ გამოქვეყნებულა. მაგრამ მრავლად მოიპოვება დოკუმენტური მასალები გერმანიის რაიხის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ს

ხვა სამინისტროების უზარმაზარ არქივში; მიმო-
წერაში,რასაც ბრალდებული და დანაშაულში მისი
თანამონაწილენი აწარმოებდნენ ამ სამინისტრო-
ბთან,უშიშროების პოლიციასა და სხვა ოფიციალურ
დაწესებულებებთან,გერმანიის ქალაქებში და ოკ-
უპირებულ ქვეყნებში; აგრეთვე დოკუმენტები და
ანგარიშები,რაც გამოაქვეყნეს ნაცისტურ დამნა-
შავეობათა დოკუმენტაციისა და კვლევის სახელმ-
წიფო დაწესებულებებმა,როგორც ეს იყო პოლონეთ-
ში,ჰოლანდიაში,საფრანგეთში,დანიასა და ბელგი-
აში. დიდძალი რაოდენობის მასალები მოიპოვება
იმ სასამართლოთა ოქმებში,რომლებმაც ნაცისტი ს
ამხედრო დამნაშავეები გაასამართლეს ნიურნბერ-
გსა და განთავისუფლებულ ქვეყნებში. დოკუმენტე
ბი შემორჩა აგრეთვე სხვადასხვა პირებს და მ-
რავალი გადმოგვცეს ჩვენ.

წარმოდგებიან მოწმეები,რომლებიც აღნიშნულ
პერიოდში საქმესთან დაკავშირებით შეხვდნენ ა-
იხმანს და სხვანი,რომლებიც მოჰყვებიან მის ს-
აქმეებსა და დამნაშავეობაზე,როგორც ეს განიც-
ადეს საკუთარი სხეულით; ისინი მოგვცემენ ჩვენე
ბას კატასტროფის პერიოდში ნახულსა და გაგონი-
ლის შესახებ. მილიონობით ებრაელის მოსპობა ნ-
იშნავდა მილიონობით ისეთი მოწმის მოსპობას,ვ-
ისაც შეეძლო მოეთხრო საკუთარი თვალით ხილული,
საკუთარი ყურით მოსმენილი და საკუთარი ტყავით
განცდილი.

ჩვენი შესაძლებლობის მიხედვით შევეცდებით
წარმოვუდგინოთ სასამართლოს თუ რა დღე აწია ა-
დოლფ აიხმანმა ებრაელ ხალხს,მაგრამ ვერ შევძ-

ლებთ წარმოვადგინოთ ყოველი ჯამაათის თუ ყოვე-
ლი ებრაული თემის ბელი. ეს დარჩება ისტორიოგ-
რაფიის საქმედ. ამგვარად,სასამართლოს წარმოვუ
დგენთ ჩვენს განკარგულებაში არსებულ ყველა ს-
ამხილს,ამოჟლეტის შესახებ მიღებულ  გადაწყვეტი
ლებებსა და მათი განხორციელების საშუალებებზე
და სამხილებს ამ საქმეებში ბრალდებულის მონა-
წილეობასა და პასუხისმგებლობაზე. აგრეთვე მო-
ვიშველიებთ ისტორიულ დოკუმენტებს იმაზე,თუ რ-
ას წარმოადგენდა ისრაელი ხალხი რაოდენობრივად
და თვისობრივად ხელისუფლების სათავეში ნაცისტე
ბის მისვლამდე და მოსპობა-განადგურების რა სუ
რათი გადაიშალა მეორე მსოფლიო ომის ბრძოლები
რომ მიყუჩდა და აფეთქებათა კვამლი გაიფანტა.
ჩვენ დავამტკიცებთ ჟლეტის რა ფორმებს და საშუ
ალებებს მიმართა ბრალდებაში მიცემულმა ყველგ-
ან,სადაც კი მოქმედებდა. ამის შემდეგ წარმოგ-
იდგენთ და დაგისაბუთებთ რამდენიმე ებრაული თ-
ემის ბედს და,ერთის მხრივ - საყოველთაო ამოჟ-
ლეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების,ხოლო
მეორეს მხრივ - კატასტროფის ფაქტით,რასაც და-
ვასაბუთებთ,აი,ამ ორივე საფუძველზე დაყრდნობ-
ით სასამართლოს ვთხოვთ დაასკვნას,რომ რაც და-
მტკიცდება რამდენიმე ადგილის მიმართ,იგივე შ-
ეემთხვევა ისრაელის ყოველ ოჯახს დაპყრობილ ე-
ვროპაში. არ შეგვიძლია ბოლომდე აღვწეროთ საში
ნელი კატასტროფის ყოველი წვრილმანი.

ვშიშობ,რომ მას შემდეგაც,როცა წარმოგიდგე-
ნთ ჩვენს მიერ შეგროვილ ყველა მასალას და ჩ
ვენს განკარგულებაში მყოფ ყველა სამხილს, ვერ

მოვახერხებთ, რომ დავხატოთ ამ ეპოქაში ებრაელობის თავზე დატეხილი საშინელი ადამიანური და უროვნული ტრაგედიის თუნდაც მცირე ნაწილზე მეტი.

ადოლფ აიხმანს მიეცემა უფლება, რაც მან არ მისცა თავის არც ერთ მსხვერპლს. პას შეუძლია თავი დაიცვას სასამართლოს წინაშე. მის ბედს გადაწყვეტს მხოლოდ სასამართლო დამამტკიცებელი საბუთების საფუძველზე. ხოლო დამამტკიცებელი საბუთების წარმოდგენა ჩემი და ჩემი კოლეგების მოვალეობაა.

და ისრაელის მსაჯულნი განსჯიან სამართლითა და სამართლიანობით.

## იერუშალაიმის საოლქო სასამართლო

## 1961 წლის 15 დეკემბერი

სასამართლოს თავმჯდომარე: მე ვხსნი სასამართლოს 121-ე სხდომას.

სასამართლოს გამოაქვს

## განაჩენი:

ჩვენ პასუხისმგებლობის ღრმა გრძნობით ვიხილავდით საკითხს სასჯელის ზომის შესახებ და მივედით დასკვნამდე,რომ ბრალდებულის სათანადო დასჯის მიზნით,მას უნდა მიესაჯოს კანონის მიერ დადგენილი სასჯელის უმაღლესი ზომა. სასამართლოს დასასრულს ჩვენ აღვწერეთ დანაშაულობანი,რომლებიც ხორციელდებოდა ბრალდებულის აქტიური მონაწილეობით,და თავისი არსით,მოცულობითა და არნახული საშინელებით განირჩევოდა კაცობრიობის ისტორიაში მანამდე არსებულ შემაძრწუნებელ დანაშაულობათაგან. ებრაელი ხალხის მიმართ ჩადენილი დანაშაულის მიზანს წარმოადგენდა მთლიანი ერის აღგვა პირისაგან მიწისა,რაშიც ბრალდებული მიჩნეულია დამნაშავედ,და სწორედ ამაში მდგომარეობს მისი განსხვავება იმ დანაშაულებრივ მოქმედებათაგან,რომლებიც დაპირისპირებულია მხოლოდ ცალკეულ პიროვნებათა წინააღმდეგ. შეიძლება ითქვას რომ ადამიანურობისადმი ჩადენილი ასეთი სახის ყოვლისმომცველი დანაშაული,რომელიც აგრეთვე უპირისპირდება ადამიანთა კოლექტივს,გაცილებით აჭ-

არსებს ყველა ერთად აღებულ ერთეულ პიროვნებათა წინააღმდეგ ჩადენილ ხისხლის სამართლის დანაშაულს.

ვიხილავთ რა სასჯელის განსაზღვრულ ზომებს, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის,თუ რა გავლენა იქონია ამ დანაშაულმა ცალკეულ მსხვერპლთა ჯგუფზე,და აგრეთვე - ის განუზომელი ტანჯვა-წამება,რომელიც მათ განიცადეს და კვლავ განიცდიან თავიანთ ახლობლებთან ერთად. ოსვენციმისა და მოსპოზის ნებისმიერ სხვა ცენტრში ბრალდებულის მიერ თითოეული მატარებლის გაგზავნა, რომელშიც ათასობით ადამიანიიმყოფებოდა - უთანაზრდება წინასწარ განზრახულ მრავალ მკვლელობაში ბრალდებულის პირდაპირ მონაწილეობას. ამიტომ მისი მორალური პასუხისმგებლობისა და სასამართლო სასჯელის ზომა ამ მკვლელობათა ჩადენისათვის არ უნდა იყოს უფრო მცირე იმასთან შედარებით,ვინც თვითონ პირადად ათავსებდა ადამიანებს გაზის ღუმელებში.

თუნდაც იმ შემთხვევაში თუ დავადგენდით,რომ ბრალდებული,როგორც თვითონ ამტკიცებს,მოქმედებდა,ბრძანებისამებრ ბრმა დამორჩილებით,მაინც ვიცყოდით: ადამიანი,რომელიც მონაწილეობდა წლების განმავლობაში ასეთ არნახულ მოცულობათა დანაშაულობებში,უნდა დაისაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომით,რასაც კანონი ითვალისწინებს,და მის მიერ მიღებული ბრძანებისამებრ დამორჩილება არ შეიძლება მოგვევლინოს სასჯელის შემსუბუქების საბაბად. მაგრამ ჩვენ გავარკვიეთ,რომ ბრალდებული მოქმედებდა მის მიერ მიღებულ ბრძანებებ-

თან სავსებით გაიგივებული შეგნებით,წაქეზებული და შეპყრობილი მძვინვარე მისწრაფებით,რათა მიეღწია დანაშაულებრივი მიზნისათვის.

ასეთ საშინელ დანაშაულთა ჩადენისათვის სასჯელის ზომის განსაზღვრა არაა დამოკიდებული, ჩვენი აზრით,იმაზე,თუ როგორ ჩაისახა ეს გაიგივება და მისწრაფება,და წარმოადგენდნენ თუ არა ისინი,როგორც ამას დამცველი ამტკიცებს,ნაყოფს იდეოლოგიური აღზრდისა,რომელიც მიენიჭა ბრალდებულს მისი განმდიდებელი რეჟიმის მიერ.

სასამართლოს ადოლფ ეიხმანის წინააღმდეგ გამოაქვს სასიკვდილო სასჯელი იმ დანაშაულისათვის,რომელშიც მას ბრალი ედება, - ებრაელი ხალხისა და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დამნაშავეობისა და სამხედრო დანაშაულისათვის...

(სასამართლო ოქმიდან)

# შ ი ნ ა ა რ ს ი

მთავრობის მეთაურის განცხადება ქნესეთში....3

მთავრობის იურიდიული მრჩეველის სეფესიტყვა..4

ესესი,მოიერიშეთა რაზმები და გესტაპო...... 30

ბრალდებული........................... 48

ებრაელთა პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა.... 65

ჟლეტა პოლონეთში.......................116

ებრაელთა ჟლეტა საბჭოთა კავშირში..........153

ჟლეტა ჩრდილოეთ,დასავლეთ,ცენტრალურ და სამხ-
რეთ ევროპაში..........................170

უნგრეთის ებრაელობის გაჟლეტა..............216

ბანაკები..............................237

ებრაული სამყარო,რომელიც გაქრა............262

ბრალდებანი და სამხილები................. 270

განაჩენი...................... .......275



1 ბრალდებული ადოლფ აიხმანი მოსამართლეთა წინაშე





2 ბრალდებული ადოლფ აიხმანი ისმენს კატასტროფაგადარჩენილ მსხვერპლთა ჩვენებებს



3 "სასამართლო ნიღის"



ს საშინელებათა მიტინგისას



5 თცხლებიდან გალაქანილი ნაჩეხანი



დაძაბული ყურადღებით



ესენი დაიბადნენ ისრაელში და ნაციზმის ეპოქა მათთვის იყო მხოლოდ ისტორიის ერთი თავი



7 [illegible]



8 "სისხლისმსმელი!" —პირში ახლის ბრალდებულს კატასტროფის გადამტანი ერთი მსხვერპლი



9 "როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო?"



10 სახელმწიფო ბრალმდებელი გიდეონ ჰაუზნერი ბრალდებულის დაკითხვისას



11 ისრაელის მთავარი [illegible]



12 სახალხო მასწავლებელი გიორგი [illegible] [illegible] [illegible] სიტყვას



13 [illegible]



აიჩმანის ხელები – ეს ხელები ღვრიდნენ უდანაშაულო სისხლს



15 მოწმე რიმკა იაცულევსკა – ვის თვალწინ ამოხოცეს მთელი ოჯახი, ქალიშვილი ხელებში ჩაუკლეს, ხოლო თვითონ სასწაულით გადარჩა მასობრივი საფლავიდან



16 დოქტ. აარონ ბეილინი იყო ბოშათა განყოფილების ექიმი ოსვენციმში; მის მკლავზე ამოტატუებულია სიკვდილის ბანაკის პატიმრის ნომერი



17 მოწმე იცხაკ ცუკერმანი (ფსევდონიმი: "ანტეკი") იყო ვარშავის გეტოს ებრაული წინააღმდეგობის მებრძოლი რაზმების მეთაურის მოადგილე



18 მონშე აბა კოვნერი, ებრაელი პოეტი, ახლა კიბუცის წევრი; იგი იყო იატაკქვეშეთის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვილნიუსის გეტოში, ხოლო შემდეგ – პარტიზანული რაზმების ერთ-ერთი მეთაური



19 მიწმე ცივია ლუბეტკინ-ცუკერმანი - ვარშავის გეტოს აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი



20 მოწმე იაკობ ვერნიკი – ტრებლინკის საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი პატიმარი სასამართლოს განუცხადებს ბანაკის შესახებ



21 მოწმე ლინა ნეიმანი სასამართლოს აჩვენებს ნაცისტებისაგან ტყვიებით მიყენებულ ჭრილობებს



22 მწერალი კასტრიკი, რომლის წიგნებმაც იძულების შესახებ მსოფლიო სახელი მოიხვეჭა, გამოლონებული ეცემა ჩვენების მიცემისას



23 [illegible] – [illegible]; იგი [illegible]
[illegible]



24 მოწმე ლიონ ველსი სასამართლოს აძლევს ჩვენებას ნაცისტების მხეცობათა და ლვოვის მიდამოებში აღმოჩენილ მასობრივ სასაფლაოთა შესახებ



25 მინსკე ალექსანდრე არჩილი ჩვენებას იძლევა ფაშისტთა მოწინააღმდეგეთა შესახებ
ბაგრატიონი (ნიურნბერგი)



26 ბრალდებული ადოლფ აიხმანი ხელებჩამოშვებული, გაჭიმული დგას ტყვიაგაუმტარ ჯიხურში და ისმენს



27 მოსამართლეები: დოქტ. იცხაკ რავე, თავმჯდომარე მოშე ლანდაუ (ცენტრში) და დოქტ. ბენიამინ ჰალევი (კიდეებით)



28 სასამართლო დარბაზის საერთო ხედი. მარჯვნივ ზემოთ: იბავერული მსარცმნელების



29 დოკუმენტური სურათების ღამის სეანსი. [illegible]





30 მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოსული 500-მდე კორესპონდენტი და რადიოსადგურებისა ტელევიზიის საშუალებით ადევნებს თვალყურს პროცესს და აგზავნის ანგარიშს ამ პროცესის შესახებ



31 ბრძოლებული აიღებანი ევროპის რუკაზე აჩვენებს ბასობრივი ნიადაგის დენებისა
აღმოსავლეთს



32 ჯვარედინი დაკითხვა. მარჯვნივ: სახელმწიფო ბრალმდებელი გიდეონ ჰაუზნერი ჰკითხავს ბრალდებულს. მარცხნივ: ბრალდებულის გერმანელი ვექილი დოქტ. რობერტ სერვატიუსი